კვირის პალიტრა

გზა

N40 (225) 30/IX ... ფასი 60 თ.

1168
2004

დიმა ობოლაძეს ზოგჯერ ემოციების შეკავება უჭირს ანუ ვის „შეაჯდა“ მატჩის დროს

ოთხი დაუვიწყარი „საავტომობილო“ თავგადასავალი

შეუცნობელი – გონება და ეროტიკული სიზმრები

გელა ჩარკვიანი: „ბერიამ უთხრა მამას: სტალინი თქვენ გახადეთ კაცი... ის ჯულაშვილს განადგურებას უპირებდა...“

პირველი პაემანი – თეა გოგეჭიშვილი: „ოჯახის რჩენა არ შეგვეძლო... მალე დავშორდით...“

№20(80) 30.IX-13.X 2004

ოჯახის მეუღლეობა

საგაზეთო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

მთავარი თემა:
რაზომ მწვავდება შემოდგომაზე ქრონიკული დაავადებანი

ჰერპესი – მთვლემარე მხეცი

ყივანახველა

შემოდგომა და ალერგია

ვიზიტი ბავშვთა და მოზარდთა გინეკოლოგთან

პანარიციუმი

ხელების ვარჯიში პირველკლასელთათვის

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

№40 (225)
30 სექტემბერი –
6 ოქტომბერი 2004
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ვაშა, რეფორმას ანუ „უნარს+ჩვევა=უნარ-ჩვევას“ 3
ერთი კითხვა 4
სამართალი
„ჰააგის სასამართლოს დახმარებით შევძლებთ სიტუაციის დარეგულირებას“ 5
ჩემი თაობა
უთანხმოება სტალინთან, სტრესიანი წლები და გოგონების სიახლოვეს დანატრებული გელა ჩარკვიანი 7
სასიძო
„ერთი ანგელოზი ამ მესიჯს წაიკითხავს, კონცერტზეც დამპატიჟებს და ქორწილშიც...“ 10
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 11
კოლეგა
დიმა ობოლაძეს ზოგჯერ ემოციების შეკავება უჭირს ანუ ვის „შეაჯდა“ მატჩის დროს? 12
კრიმინალი
● ყაჩაღობა, რომელსაც ადამიანების სიცოცხლე შეეწირა 14
● განსასჯელი 6 წლის წინ მომხდარ დანაშაულში მონაწილეობას უარყოფს 16
● „ამ მკვლელობაში მხოლოდ ორი ადამიანი არ არის დამნაშავე“ 17
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 18
გემოვნება
რით აშინებს დათო ღოლაშვილს სცენაზე ღგომა? 18
თემა
ალიმენტი ქართულად – ვინ ვის და რატომ უხდის მას 22
თამადა
ქეიფის შემდეგ უნაგირზე დაკინებული მსახიობი ცხენმა ბოსლის შესასვლელთან „დააბინავა“ 25
გზავნილები
„...იქინე უნდა იდგე შენ, სარეცხის მანქანასთან და აპა, ნახე, თუ „დაბუქსავდები!“ 27
ჯანმრთელობა
● ქალის წარმატების საიდუმლო 30
● რა სჭირდება გულს 31
● კითხვა-პასუხი 32
● მედიცინის სიახლეები 32
გარეთ
ოთახის ცოცხალი სამკაულები 33
ტაძარი
რა მნიშვნელობა აქვს საკურთხს? 34

სტრესიანი წლები და გოგონების სიახლოვეს დანატრებული გელა ჩარკვიანი



ჩემს ძმებს აქვს სხვადასხვა საბუთი, რომლებზეც შემორჩენილია სტალინის წითელი კალმით გაკეთებული შენიშვნები. მამას წიგნში ედო ხოლმე ვარდი, რომელიც სტალინს მოუჭრია და მისთვის უჩუქებია.

7

არარომანტიკული თეა გოგეჯიშვილის რომანტიკული თავგადასავლები

ძალიან ცუდ დღეში იყო ჩავარდნილი ერთი-ორი კვირის მანძილზე. ერთ მშვენიერ დღეს კი გამომიცხადა – მინდა წასვლა და ვერ მივდივარ – რა ვქნაო?.. – არ ვიცი-მეთქი, – ვუპასუხე.

51

დიმა ობოლაძეს ზოგჯერ ემოციების შეკავება უჭირს ანუ ვის „შეაჯდა“ მატჩის დროს?

ზოგს გულში ვაგინებ, მაგრამ ანელკას პირდაპირ ქართულად შევუკურთხე: შენი ასე და ისე-მეთქი!.. გაოცებულმა შემომხედა. მე კი ისევ შევუტიე: რას მიყურებ-მეთქი?!.

12

ქეიფის შემდეგ უნაგირზე დაკინებული მსახიობი ცხენმა ბოსლის შესასვლელთან „დააბინავა“

სწორედ ამ ოთხმა კაცმა სწრაფ ტემპში დავლიეთ 22 ლიტრი ღვინო. ოჯახის დიასახლისმა დაცლილ ბოცას რომ შეხედა, გაოცებულმა გვითხრა: შვილებო, მე ღვინო არ მენანება, მაგრამ არაფერი დაგემართოთო...

25

საგანძური

სამარხებისა და გამოქვაბულების აღმოჩენი თავის მიგნებებს ბოლომდე არ ამქღავნებს 35

ლეგიონერი

მრავალშვილიან ოჯახში გაზრდილი შემონდ უილიამსი საქართველოში ბიგნესმენობას აპირებს 37

საფეხბურთო მინდვრებზე 39

სპორტული მოზაიკა 40

ავტო 41

რომანი

რუსუდან ბერიძე. მტაცებლის ინსტინქტი (გაგრძელება) 42

ვარსკვლავები

„ტურნეში“ წასული მხედართმთავარი ფილოსოფოსი, არქიტექტორი და... ბისექსუალი ყოფილა 46

ბომონდი 48

მოგზაურის დღიურები

კონფლიქტი ბოუერების ოჯახში, სევდიანი დღე ჯექსონვილში და გულის ამაჩუყებელი დამშვიდობება 49

პირველი პაემანი

არარომანტიკული თეა გობეჯიშვილის რომანტიკული თავგადასავლები 51

ტესტი

ერთგული მკითხველი 52

„მის საქართველო-2004“

სილამაზის კონკურსი ტემგზის ნაპირიდან ბათუმის ბულვარამდე 53

შეუცნობელი

მორფევსის მარწუხებში მოქცეული გონება და ეროტიკული სიზმრები 55

მოგონება

„გუგული თავიდანვე მიხვდა, რომ ლექსოს ვეღარასოდეს ნახავდა...“ 57

ჰოროსკოპი

კვირის (4-10 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი

გამოცადეთ თქვენი თავი გრაფოლოგიაში 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ალიმენტი ქართულად – ვინ ვის და რატომ უხდის მას



არიან წყვილები, რომლებიც გაყრისას მოსისხლე მტრებად გადაიქცევიან ხოლმე და ერთმანეთთან ბრძოლის იარაღად სწორედ შვილებს იყენებენ. მამები უარს ამბობენ დადგენილი ალიმენტის გადახდაზე, დედები მათ შვილებს უმალავენ...

22

მორფევსის მარწუხებში მოქცეული გონება და ეროტიკული სიზმრები



ალბათ, ნებისმიერ ადამიანს ჰქონია შემთხვევა, როცა ეროტიკული სიზმრის სიუჟეტის გახსენებისას, საკუთარი თავისაც კი შერცხვენია... ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ სექსუალური სიზმრები, თვით სრულიად წარმოუდგენელ პარტნიორებთანაც კი, აბსოლუტურად ნორმალური მოვლენაა.

55

ჰელენ კრისტენსენს კინოში კარიერის გაკეთება სურს

დანიელი ლამაზმანის ეს ნატვრა შესაძლოა, მალე ასრულდეს კიდეც. ყოველ შემთხვევაში, პირველ ნაბიჯს ის სულ მალე გადადგამს, როცა სკანდინავიურ ფილმში – „ალეგრო“ – გადაიღებენ. სურათში ცნობილი პიანისტის, მშობლიურ კოპენჰაგენში დაბრუნების სევდიანი ამბავი იქნება გადმოცემული.

48

მტაცებლის ინსტინქტი



მეგი ისევ მაგიდას მიუჯდა და თვალებად ქცეულ კახას თითქმის ჩურჩულით უთხრა:

– შენ მგონი, საერთოდ ვერაფერი გაიგე, ჩემო კახა!.. საქმე ისაა, რომ მე ჩემს შვილს არავის და მათ შორის არც შენს საჯიჯგნად არასოდეს გავიმეტებ! გესმის?.. ა-რა-სო-დეს!..

42

ვაშა, რეფორმას ანუ „უნარს + ჩვევა=უნარ-ჩვევას"



მთავრობა რისი მთავრობაა, შიგადაშიგ ახალი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სიტყვები თუ არ შემოიღო ხმარებაში და ამ სიტყვების მნიშვნელობის არმცოდნე ხალხი პირდაღებული თუ არ დატოვა... ასე იყო ძველად... ალბათ გახსოვთ სიტყვები: პლურალიზმი, კონსენსუსი, რეფორმა, დემოკრატია, სეკვესტრი... ასეა ახლაც: სოროსი, პრეფიციტი, რეფორმა, უნარ-ჩვევები...

მეც განსაკუთრებით დამაინტერესა სიტყვა „რეფორმის" მნიშვნელობამ (მით უმეტეს, რომ ამ სიტყვას გადაყენებული მთავრობაც ხშირად ხმარობდა და არც გადამყენებელი მთავრობა უვლის გვერდს) და ერთ-ერთ ბიბლიოთეკას მივადექი, სადაც უკვე გაეტარებინათ ახალი რეფორმა: სახინკლე სამკითხველო დარბაზიდან „კორიდორში" გაეტანათ და გაცილებით სიწყნარე და სისუფთავე იყო. დედაააა! ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა, ეს თურმე, რა მოიტანა განათლების რეფორმამ პარლამენტში: ერთმანეთის მიყოლებით შემოდიოდნენ ჩვენი დეპუტატები და ცოდნის გასაღრმავებლად აქამდე წაუკითხავ წიგნებს ითხოვდნენ. ვინ „პეპი გრძელიწინდა" გამოიტანა, ვინ — „ბრემენელი მუსიკოსები", ერთმა კი დანარჩენებს დამცინავი თვალით გადახედა, — თქვე უწიგნურებოო, და „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" მოითხოვა. ბოლოს, შემოვიდა ერთი ცნობილი დეპუტატი და ამაყად განაცხადა, მარქსის „კაპიტალი" მიბოძეთო... ბიბლიოთეკარმა უპასუხა: — ერთი ცალი გვაქვს, ბატონო და ისიც თქვენს ტელეოპონენტ მინისტრს აქვს გატანილი უკვეო... გადაირია ეს დეპუტატი (გვარსაც დავწერდი, მაგრამ მეშინია, კოლეგებმა არ დასცინონ, „წიგნის ჭია" ხარო) — ასეთი საინტერესო წიგნი რატომ ბევრი არ გაქვთო... ძლივს დააწყნარეს... იმასაც მეტი რა გზა ჰქონდა, ბევრი პოლიტიკოსის სამაგიდო წიგნი „ნაცარქექია" ამოიდო იღლიაში და ისე წავიდა.

მეც ვიპოვე საჭირო მასალები და გავიგე, რომ „რეფორმა" ძველზომბაბვური სიტყვაა და ქართულად ნიშნავს ფორმის შეცვლას. თურმე, „ანტიკური ხანის" ზიმბაბვეში, ნიანგი ვინმეს რომ სხეულის ნაწილს მოაკბეჩდა და ფორმას შეუცვლიდა, ამ ადამიანს „რეფორმირებული", ნიანგს კი „რეფორმატორი" ეწოდებოდა... აი, ბატონო, ამაზე უკეთესი ახსნა-განმარტება რაღად გინდათ?!

ახლა კი იმ სიტყვაზე გადავიდეთ, რომელიც დღეს ყველას, ვისაც განათლების მინისტრისთვის თვალი მოუკრავს, პირზე აკერია... დიახ! დიახ!.. უნარ-ჩვევებზე მოგახსენებთ... ამ სიტყვის მნიშვნელობა პირველად პოლიტიკოსებმა გაიგეს და გამოიყენეს კიდეც. ე.ი. ვინც ფხა, მარიფათი ანუ უნარი გამოიჩინა, პარლამენტში შეძვრა, თანდათან შეძრომის უნარი ჩვევაში გადაეზარდა და ასე ჩამოუყალიბდა პოლიტიკური უნარ-ჩვევები. საკანონმდებლო ორგანოში უუნაროები მოდიოდნენ, მაგრამ დეპუტატობა ჩვევად ექცეოდათ და ქვეყნის მართვის თუ არა, საარჩევნოდ მომგებიან პარტიაში შეძრომის უნარს მაინც იჩენდნენ.

თუმცა მოდით, ისევ რეფორმას დავუბრუნდეთ, რადგან რეფორმა ბევრად უფრო მნიშვნელოვანია განათლების სისტემაში. სწორედ ამიტომაა, რომ ყველა სხვა უწყებას თითო მინისტრი ჰყავს, განათლებას კი „ორმაგი" (ალბათ, ამ სამინისტროს მეცნიერებაც რომ მიუერთეს, იმიტომ): ბატონი კახა და ბატონი ალექსანდრე. ამ „ორი მინისტრის" წყალობით წერტილი დაესვა განუკითხაობას, სკოლა რომ რატომღაც გიმნაზიად იქცეოდა, სასადილო — უნივერსიტეტად, გასტრონომი — აკადემიად, აკადემიკოსი — მშიერ პენსიონერად, უმაღლესდამთავრებული კი — არაფრისმცოდნე დიპლომიან სასიძოდ.

აწი აღარც მისაღები გამოცდები ჩატარდება კორუფციისთვის ხელსაყრელ აუდიტორიებში. ყველა აბიტურიენტი ერთად შეიკრიბება, ვთქვათ, სპორტის სასახლეში და ჩააბარებს ქართულს, მათემატიკას და ისტორიას. მხოლოდ ამის შემდეგ, გადანაწილდებიან ქულების მიხედვით ინსტიტუტებში.

მართალია, ამით შეიძლება, თეატრალურის აბიტურიენტი სტომატოლოგიურზე მოხვდეს, ვეტერინარობის მსურველი კი — იურიდიულზე, მაგრამ მაინც ასე ჯობია: 17 წლის ღლაპმა უფრო იცის, ვინ უნდა გამოვიდეს თუ განათლების ორსახელიანმა მინისტრმა?! ასე რომ, თუ ამ სამ საგანში რაღაც გაგეგება, უდიპლომოდ არ დარჩები. ხოლო თუ უფრო მეტი გინდა, ეგ უკვე თვითონ უნდა იჩალიჩო, რომ სწავლა უცხოეთში გააგრძელო, თვითმფრინავში პრეზიდენტს დაემგზავრო და დეპუტატობაც დაირტყა.

ალბათ გაინტერესებთ, ვინც სამივე საგანში ჩაიჭრება, იმას რა ბედი ეწევაო? გიპასუხებთ: სწორედ იმიტომ ტარდება მისაღები გამოცდები სპორტის სასახლეში, რომ ვინც არაფერი იცის და ორებს მიიღებს, იქვე, სპორტის სასახლეში დარჩება და ესტრადის ვარსკვლავი მაინც გამოვა. ასე რომ, რეფორმა ყველაზე ზრუნავს...

P.S. ხალხი პურის რიგში:

— რატომ მიდის რიგი ასე ნელა? გავიგუდე კაცი!

— ურიგოდ არავის მისცე პური, თორემ ჩამოგიღებ ვიტრინებს!..

— უკაცრავად, გამატარეთ, რა, ურიგოდ უნდა ავიღო...

— ვინაა ეს ქალი?

— აუ, რა ლამაზია, ქალი კი არა, სუფთა რეფორმაა!..

— რეფორმა თუა, უნდა გავატაროთ, აბა, რა ვქნათ?!. რეფორმა ხომ მთავარია...

პროვოკატორი

„იმპიჩმენტის არ მეშინია“

— გაეროში საქართველოსთვის ხმის ჩამორთმევასთან დაკავშირებით, პარლამენტი თქვენს მოხსენებას ელოდება. როგორც ამბობენ, შესაძლებელია, მინისტრის იმპიჩმენტის საკითხიც დადგეს...

სალომე ზურაბიშვილი, *საგარეო საქმეთა მინისტრი:*

— დეპუტატების წინაშე გამოსვლის ნამდვილად არ მეშინია. ალბათ შევძლებ მათ დარწმუნებას იმაში, რომ საგანგაშო არაფერია. სამწუხაროდ, ისინი ელემენტარულ საკითხებში ვერ ერკვევიან, ამიტომ დიდი გარჯა დამჭირდება, რომ ავუხსნა, თუ ჩვენმა უწყებამ რა სამუშაო ჩაატარა ბოლო ექვსი თვის განმავლობაში. ჩვენ წელს გადავიხადეთ ის საწევრო, რომელიც ბოლო 4 წლის განმავლობაში არ გადაგვიხდია. თუმცა, ეს შევასრულეთ მაშინ, როცა გაეროში საწევროს გადახდის ვადა უკვე გასული იყო: ჩვენთვის ხმა რომ არ ჩამოერთმიათ, თანხა 30 იანვარს უნდა გადაგვერიცხა. მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, თუ ბიუჯეტში ამ მიზნით რა თანხა იქნებოდა გათვალისწინებული, რაზეც სამინისტროს პასუხი ნამდვილად არ მოეთხოვება. იმპიჩმენტის საკითხი მე ნაკლებად მანაღვლებს. ჩემი აზრით, მისი დაყენება მოსალოდნელი არც არის. მაგრამ ნამდვილად მწყდება გული, რომ ჩემი საქმიანობის შესახებ არასწორი ინფორმაცია ვრცელდება. როგორც ჩანს, საჭიროა, პიარის კუთხით, მიღწევებზე ხმაურიანი საუბარი, რაზეც დიდ დროს არ ვხარჯავდი. როგორც ჩანს, ეს მართლაც, აუცილებელია და ამ ხარვეზს უეჭველად გამოვასწორებ. ■

„რუსეთის ინიციატივა დიპლომატიური ფლირტია“

— როგორ უნდა გავიგოთ სერგეი ლავროვის ინიციატივა რუსეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმებასთან დაკავშირებით?

გიორგი გაჩეჩილაძე, *პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს წევრი:*

— ჩემი აზრით, საგარეო უწყების ინიციატივა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დათბობაზე არ მიანიშნებს. რუსეთის ლოიალურმა წინადადებამ საქართველოს ხელისუფლებას არ უნდა შეუქმნას ილუზია, რომ რუსულ ცნობიერებაში კარდინალური გარდატეხა დაიწყო. ზოგადად მივესალმები მათ „დიდსულოვან“ ჟესტს და მინდა მჯეროდეს, რომ ამ ინიციატივის მიღმა რაიმე პროვოკაცია არ იმალება. ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ რუსული ბაზები საქართველოს ტერიტორიას დატოვებს და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობას მოგვცემენ. მანამდე რუსეთიდან წამოსული ყველა ინიციატივა დიპლომატიური ფლირტია და სხვა არაფერი. რუსეთი, უბრალო სურვილის ან ახირების გამო კი არ არის საქართველოსადმი აგრესიულად განწყობილი, არამედ ჩვენ მისი სასიცოცხლო ინტერესის სფეროში ვართ მოქცეული. ასეთი დროებითი დათბობის პოლიტიკით კი, ის ქმნის ნოყიერ ნიადაგს მორიგი პროვოკაციების განსახორციელებლად. როცა ჩვენ ამ ყველაფრის მოწმენი ვართ, ძნელია კრემლის ლოიალობაში ეჭვი არ შევიტანოთ. ■

„წამების ფაქტების პრობლემა ადვილად გადაიჭრება“

— სახალხო დამცველის მუშაობაში პრიორიტეტული გახდება თუ არა ადამიანების წამების ფაქტების აღმოფხვრა და კონკრეტულად რა გეგმები გაქვთ ამ მიმართულებით?

სოზარ სუბარი, *სახალხო დამცველი:*

— პრიორიტეტების გამოყოფა წინასწარ გამიჭირდება, რადგან ადამიანის უფლებების დარღვევის ნებისმიერი ფაქტი სათანადო რეაგირებას მოითხოვს. თუმცა, არსებობს საკითხები, რომლებიც შეიძლება მოკლე დროში გადაიჭრას. წამების ფაქტების მოსპობა ძნელად მოსაგვარებელ პრობლემად არ მიმაჩნია. ამისათვის ერთი კონკრეტული ადამიანის სამაგალითოდ დასჯაც იკმარებს. უბრალოდ, სირცხვილია, დღეს ადამიანის ფეხებით ჩამოკიდებასა ან დენზე მიერთებაზე იყოს საუბარი. ეჭვმიტანილთაგან ჩვენებების ამ გზით მოპოვება სამართალდამცავთა აზროვნებიდან უნდა ამოიშალოს, რაშიც მთელი საზოგადოება და ეკლესია უნდა ჩაერიოს. გარდა ამისა, საჩვენებელი დაპატიმრების პრეცედენტის შექმნა მოაგვარებს სამარცხვინო დარბევების პრობლემას. ხელკეტებით ცემა და ადამიანებისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება გაგრძელდება მანამ, სანამ კონკრეტული პირები ამისათვის კანონის წინაშე პასუხს სათანადოდ არ აგებენ. რაც შეეხება იარაღისა და ნარკოტიკების ჩადებას — ასეთი ფაქტების დამტკიცება რთულ პროცედურასთან არის დაკავშირებული. ამიტომ ადამიანის უფლებათა დაცვა ამ კუთხით უფრო გაჭირდება. თუმცა, ჩვენი სამსახური აქტიურად იმუშავებს ასეთი ფაქტების მინიმუმამდე შესამცირებლად. ■

„სასაზღვრო ზოლს რეზერვისტები დაიცავენ“

— ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საქართველოს სასაზღვრო ზონებში ადგილობრივი მოსახლეობისაგან დაკომპლექტებული ბატალიონები უქმდება. ამის გამო საზღვრებზე დამატებითი პრობლემები ხომ არ შეიქმნება?

გივი თარგამაძე, *პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე:*

— ისეთი ბატალიონების არსებობას, როგორიც „სვანეთი“, „მონადირე“ და „ხევსურეთია“, ერთხელ და სამუდამოდ წერტილი უნდა დაესვას. თავის დროზე, ეს ბატალიონები იმ მოტივით შეიქმნა, რომ უკეთ დაცულიყო საქართველოს მთიანეთის სასაზღვრო ზოლი. მაგრამ დღეს მათ არსებობას აზრი აღარ აქვს. სრულიად მოუმზადებელი და არადისციპლინირებული ბატალიონის არსებობა, რომელსაც საკუთარ ფუნქციაზე წარმოდგენაც კი არა აქვს, დაუშვებლად მიმაჩნია. საჭიროების შემთხვევაში, სასაზღვრო ზოლს რეზერვისტები დაიცავენ. ვინც რეზერვისტობაზე უარს იტყვის, ჩვენ არაფერში გვჭირდება. ჯაფარიძეების, აფრასიძეების და მათი მსგავსი კრიმინალების თარეშის დრო დამთავრდა. კოდორის ხეობასა და სვანეთში უკონტროლო შეიარაღებული ადამიანების ნაცვლად, კანონის უზენაესობამ უნდა დაისადგუროს. გამორიცხული არ არის, შეიქმნას ისეთი სარეზერვო კომპონენტები, როგორიც არსებობს წამყვან ევროპულ სახელმწიფოებში. მათი უშუალო მოვალეობა, სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში, ქვეყნის საზღვრების დაცვა იქნება. ■

იმ პირობებში, როცა აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის 90%-მა დანაშაულებრივი გზით მიიღო რუსეთის მოქალაქეობა, როცა აფხაზეთის ქონება ფინანსური მაქინაციებით რუსული სააქციო საზოგადოებების საკუთრებაში გადადის, დსთ-ის ხელშეკრულების იგნორირებით აღდგენილია სარკინიგზო მიმოსვლა სოხუმსა და მოსკოვს შორის და კონფლიქტის ზონაში კვლავ ხდება ქართველების ეთნიკური წმენდა, საქართველოს ხელისუფლება დამნაშავეთა წინააღმდეგ მართლმსაჯულების აღსრულებას ჰაგის სასამართლოსაგან მოითხოვს. როგორც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პაატა ზანდარია აცხადებს, ჩვენი ქვეყანა სამართლებრივად მომგებიან მდგომარეობაშია, რაც იმის საშუალებას მოგვცემს, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ გაცემული სანქციებით რუს გენერლებსა და აფხაზ სეპარატისტებს ქართველი ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხი ვაგებინოთ.

„ჰაგის სასამართლოს დახმარებით შევძლებთ სიტუაციის დარეგულირებას“

ხათუნა მაღრაძე

— ბატონო პაატა, ჰაგის სასამართლომ დაიწყო მუშაობა აფხაზეთში ქართველების გენოციდისა და ეთნოწმენდის საკითხებთან დაკავშირებით. რა ეტაპზეა გამოძიება?

— 2003 წელს, როცა ლეგიტიმური ხელისუფლების იუსტიციის მინისტრი ვიყავი, შევიტანე განაცხადი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში, აფხაზეთში ჩატარებული ეთნოწმენდისა და გენოციდის ფაქტებთან დაკავშირებით. მქონდა შეხვედრა სასამართლოს თავმჯდომარესთან ფილიპ ფიშერთან. ჩემი განაცხადით მისი დაინტერესება იმ ფაქტმა განაპირობა, რომ ასეთი დანაშაული ევროპის ტერიტორიაზე დღეს მხოლოდ საქართველოში ხდება. ეთნოწმენდისა და გენოციდის საკითხი რომის სტატუსის მეშვიდე მუხლით განისაზღვრება: დანაშაული კაცობრიობის წინაშე — ასეთია მისი კვალიფიკაცია. განაცხადის რატიფიცირების შემდეგ, საქმე სასამართლოში უნდა შესულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, პროცესში ფარულად ჩაერია რუსული მხარე და პრაქტიკულად, მოქმედების არანაირი საშუალება აღარ დამიტოვა, რადგან ჩემ მიერ წაყენებული ბრალდებები რუსეთის დანაშაულებრივ ქმედებებზე მიუთითებდა... ამის შემდეგ მე გადავდექი იუსტიციის მინისტრის თანამდებობიდან. შემდეგ მოხდა ნოემბრის ცნობილი მოვლენები და ჰაგის სასამართლოსთვის აღარავის ეცალა. თუმცა მე ამ ორგანიზაციასთან კავშირი არ გამიწყვეტია — როგორც კერძო პირი, ვაწვდიდი ყველა საჭირო ინფორმაციას და მოვითხოვდი საქმის წარმოებაში მიღებას. 8 ივლისს მივიღე წერილი პროკურატურის ანალიტიკური ჯგუფიდან იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მისცეს რეკომენდაცია ჰაგის მთავარ პროკურორს რომის სტატუსის 53-ე მუხლით საქმის აღძვრასთან დაკავშირებით, მაგრამ მე, თუ როგორც კერძო პირი, ისე ვაწარმოებ საქმეს ჰაგის სასამართლოში, გამოძიება შეიძლება 4-5 წელი გაიჭიმოს და საჭირო გახდეს ჩემი, როგორც კერძო პირის, სახელმწიფოთი ჩანაცვლება.

— როგორია ჩვენი ხელისუფლების დამოკიდებულება?

— ეს იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, ხელისუფლებამ დახმარება აღმითქვა. მქონდა შეხვედრები უშიშროების საბჭოს მდივანთან, სახელმწიფო მინისტრთან. მიმდინარეობს მოლაპარაკებები. ჰაგაშიც თუ ეს საკითხი სახელმწიფო რანგში არ იქნა აყვანილი, შეიძლება დავკარგოთ ის სამართლებრივი უპირატესობა, რომელსაც ვფლობთ. რომის სტატუსის აღმასრულებელმა მდივანმა ერთ-ერთი შეხვედრის დროს მითხრა: თქვენ გადიხართ რუსეთის დანაშაულის კვალზე, ამიტომ სრული

მობილიზება გჭირდებათ მიზნის მისაღწევადო. ეს პირველ რიგში, ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რადგან ჰაგის სასამართლოს დახმარებით შევძლებთ აფხაზეთის ტერიტორიაზე შექმნილი სიტუაციის დარეგულირებას.

— თუ არსებობს პრეცედენტი, ჰაგის სასამართლოს ჩარევით მსგავსი კონფლიქტის დარეგულირებისა?

— ეს არის რუსეთსა და აფხაზ სეპარატისტებზე ზეწოლის ერთ-ერთი ბერკეტი, მაგრამ პრობლემის მოწესრიგებისათვის მხოლოდ ეს არ კმარა. საჭიროა სახალხო დიპლომატიის გააქტიურება, ხაჯიმბასა და მისი რანგის დამნაშავეების ძებნილებად გამოცხადება... მაშინ სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლები აფხაზეთის გარეთ ცხვირსაც ვეღარ გაყოფენ: ინტერპოლის მიერ ძებნილებს ვერც რუსეთის პრეზიდენტი მოუწყობს აუდიენციებს და ვერც სხვა ვინმე... უნდა დაისვას აგრეთვე საკითხი რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ ევროპის საარბიტრაჟო სასამართლოში, რათა დააბრუნონ ყველა ის მატერიალური ფასეულობა, რომელიც მათ დანაშაულებრივი გზით მიითვისეს: აფხაზეთის მთელ ქონებას რუსეთი ეპატრონება. ამ არაკანონიერ ქმედებას დღესვე თუ არ მიეცა შეფასება, ამ ობიექტების კანონიერ მფლობელთა ვინაობის დადგენა ძალიან გაჭირდება.

— არსებული ინფორმაციით, აფხაზური და რუსული საბანკო სისტემების გაერთიანება იგეგმება. რა სისტემაზეა აგებული ეს მაქინაციები?

— რუსეთში იქმნება დახურული სააქციო საზოგადოებები, ხოლო აფხაზეთში — ღია სააქციო საზოგადოებები; შემდეგ მათ შორის აქციების გაცვლა ხდება, ამის შედეგადაც, რუსული კაპიტალი ღიად შემოდის აფხაზეთის ტერიტორიაზე, რაც დსთ-ის ხელშეკრულების უხეში დარღვევაა.

— ასეთი საბანკო სისტემების შექმნა რუსებისთვის ფულის გათეთრების წყაროსაც წარმოადგენს?

— რუსებმა სწორი არჩევანი გააკეთეს — აფხაზური საბანკო სისტემის მეშვეობით რუსული შავი კაპიტალის გათეთრება უმტკივნეულოდ მოხდება... აფხაზეთში მიმდინარეობს დასასვენებელი სახლების პრივატიზაციაც. ისინი ღია სააქციო საზოგადოებებად გარდაიქმნებიან და შეერწყმებიან რუსეთის დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებებს. ეს ქონება ავტომატურად ამ სააქციო საზოგადოებების ხელში გადავა. თუ ამ პროცესის უკანონობა დღესვე არ დავაფიქსირეთ, ხვალ მტყუან-მართალს ჰაგის სასამართლოც ვეღარ გაარჩევს.

— საერთაშორისო ორგანიზაციები რუსეთთან დაპირისპირებას ერიდებიან. იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარის მტკიცებულებები საკმარისი აღმოჩნდა, ჰაგის სასამართლო რუსეთის წინააღმდეგ კონკრეტულ სანქციებს განახორციელებს?

— მე რამდენიმე თვის წინ ჰაგაში დავსვი ეს კითხვა. მათი პასუხი არაორაზროვანი იყო: თუ თქვენ წარმოადგენთ სათანადო მტკიცებულებებს, როგორც აფხაზი სეპარატისტების, ასევე რუსი გენერლების წინააღმდეგ, მკაცრი სანქციები იქნება მიღებულიო. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო ახალი შექმნილია და ბევრის გაკეთება ჯერ ვერ მოასწრო. მაგრამ ეს ორგანიზაცია თავისუფალია ყოველგვარი პოლიტიკური დირექტივისგან. ის ტონი ბლერის წინააღმდეგ საქმის აღძვრასაც კი არ მოერიდა. ახლა თავად განსაჯეთ — სად ხაჯიმბა და სად ტონი ბლერი!..

— თქვენ მიერ გაგზავნილ განაცხადში კონკრეტული დამნაშავეების გვარები თუ არის მითითებული?

— რა თქმა უნდა. ახლა მთავარია, თითოეულ მათგანზე საკმარისი მტკიცებულებები შეგროვდეს. ქართველების ეთნოწმენდისა და გენოციდის ფაქტები აფხაზეთში დღესაც გრძელდება. ჩვენ ამ ინფორმაციას ვაგროვებთ და გავგზავნით ჰაგის სასამართლოში სათანადო რეაგირებისათვის.

— აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის თითქმის 90% უკვე რუსეთის მოქალაქეა, რაც კონფლიქტის ზონაში რუსეთის პოზიციებს ამყარებს. როგორი უნდა იყოს ქართული მხარის საპასუხო სვლა?

— აფხაზეთში მცხოვრები ადამიანებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება დანაშაულებრივი გზით ხდება. მოჰკიდებენ ადამიანს ხელს, შეაჩეჩებენ რუსეთის პასპორტს და მორჩა. ტერორის ქვეშ მცხოვრები მოსახლეობა პროტესტის გამოთქმას როგორ გაბედავს?.. საპრეზიდენტო არჩევნებში ხაჯიმბას გამარჯვების შემდეგ, 90%-იანი მაჩვენებელი ალბათ 100%-მდე გაიზრდება. ჩვენ მათი ამგვარი ქმედებების წინააღმდეგ მხოლოდ საპროტესტო ნოტებს ვაგზავნით. ეს საკითხიც საერთაშორისო სასამართლოს განსჯის საგანი უნდა გახდეს: ქართულმა მხარემ უნდა წარმოადგინოს იმის არგუმენტი, რომ რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება ყალბი ბეჭდებითა და პასპორტებით ხდება, რაც ამ ფაქტს კანონიერებას გამოაცლის. საქართველო დღეს, როგორც რუსეთთან, ისე აფხაზეთთან მიმართებაში სამართლებრივად მომგებიან პოზიციაში იმყოფება. ამას რუსებიც მშვენივრად გრძნობენ, ამიტომ ყოველთვის ეცდებიან, ხელი შეუშალონ ჩვენს ინიციატივას. მაგრამ თუ ჩვენი ხელისუფლება სათანადო ნებას გამოიჩენს, დაწყებულ პროცესს ვეღარაფერი შეაჩერებს.

■

აფხაზეთში მცხოვრები ადამიანებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება დანაშაულებრივი გზით ხდება...

გელა ჩარკვიანი იმ თაობას მიეკუთვნება, რომელიც 1937 წლის რეპრესიების შემდეგ მოევლინა ქვეყანას. მას მძიმე, რთულ და მოულოდნელობებით აღსავსე ათწლეულებში ცხოვრება მოუხდა. თუმცა პრივილეგირებულ ოჯახში ცხოვრობდა, წინააღმდეგობა მაინც მრავლად შეხვედრია. ბუნებრივია, ბევრი რამ აქვს გასახსენებელი.

უთანხმოება სტალინთან, სტრესიანი წლები და გოგონების სიახლოვეს დანატრებული გელა ჩარკვიანი

ლელა ჭანკოტაძე

— საიდან იწყება თქვენი მეხსიერება?

— ჩემი მეხსიერება ძალიან ადრიდან იწყება. მაგალითად, კარგად მახსოვდა, თუ როგორი იყო ოთახი, რომელიც მაშინ გადაკეთეს, როდესაც 2 წლისაც არ ვიყავი. დედას ეს ძალიან უკვირდა — როგორ მახსოვდა ის, რაც 2 წლის ასაკამდე მინახავს... გასახსენებელი მართლაც, ძალიან ბევრი მაქვს. რაც შეეხება ჩემს თაობას, მინდა გითხრათ, რომ ჩემს თაობად მივიჩნევ ხუთი წლით ჩემზე უმცროს და ამდენივეთი უფროს ადამიანებს. სამწუხაროდ, ამ თაობის ნახევარი ცოცხალი აღარ არის. ზოგჯერ ვჯდები და ვიხსენებ ყველას, — ვისაც ვიცნობდი. საკმაოდ მძიმე გასახსენებელია, თუმცა, ერთგვარ თამაშსაც ჰგავს. თითოეული იმ სახის წარმოდგენასთან ერთად, მეხსიერებაში რაღაც პატარა ამბავი ამოტივტივდება ხოლმე... ძნელი დასახასიათებელია ჩვენი თაობა. პირველ რიგში, დავიწყებ უფროსებთან დამოკიდებულებით. უფრო პატრიარქალური იყო ოჯახი. მამაჩემს მამას ვეძახდი, დედაჩემს — დედას... ჩემი შვილები გელას მეძახიან, ჩემს მეუღლეს — ნანას. შვილიშვილებიც სახელით მოგვმართავენ... მიმართვაში ჩანს, რომ პატივისცემა ახლა ნაკლებია. ღირებულებათა იერარქია შეიცვალა. მაშინ ვინმე თუ იტყოდა: როგორ მიბედავ? მე ხომ შენზე ორჯერ უფროსი ვარო!.. — ეს სერიოზული „არგუმენტი“ იყო. დღეს ასე აღარ არის. არ ვიცი, კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ ფაქტია, რომ დრომ ასე მოიტანა.

— პატრიარქალურ ოჯახში მამის ავტორიტეტი უფრო დიდი იქნებოდა. რისი გახსენება შეგიძლიათ?

— მამაჩემი არ იყო ჩვეულებრივი მამა. ის რესპუბლიკაში პირველი პირი გახლდათ, ამიტომ თავის შვილებთან არ მოდიოდა ისე, როგორც ყველა მამა — ის შინ პირად დაცვასთან ერთად ბრუნდებოდა... სტალინს ძალიან უცნაური რეჟიმი ჰქონდა: მას ღამე არ ეძინა, ამიტომ მთელი პარტიული ელიტა მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდა. ასე იყო მთელ საბჭოთა კავშირში. სანამ სტალინი არ დაიძინებდა, მამა სამსახურიდან შინ ვერ ბრუნდებოდა, დილით ადრე სამსახურში არ მიდიოდა, რადგან სტალინი დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე იწყებდა მუშაობას. შემდეგ მოვიდოდა ექვსის ნახევარზე, ისადილებდა, დაიძინებდა, საღამოს 8 საათზე ისევ სამსახურში მიდიოდა და ღამის 4 საათამდე მუშაობდა. ეს საშინელება გახლდათ. მაგრამ რას იზამდა?.. მთელი ქვეყანა ხომ ერთ კაცზე იყო აწყობილი. როცა მამას ეძინა და ბავშვები ავხმაურდებოდით, დედა გვეტყოდა ხოლმე: ჩუმად, მამას სძინავს, არ გააღვიძოთო.

— როგორი იყო თქვენი მეზობლების დამოკიდებულება რესპუბლიკის პირველი პირის მიმართ? როგორ ცხოვრობდა პრივილეგირებული ოჯახი?

— სახლი, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით მდებარეობდა იქ, სადაც ახლა სახელმწიფო კანცელარიაა. ოთხსართულიან შენობაში ჩვენ მესამე სართული გვქონდა დაკავებული. მეოთხეზე არავინ ცხოვრობდა, რადგან ის რევოლუციონერ მიხა ცხაკაიას ეკუთვნოდა, ცხაკაია კი მოსკოვიდან თითქმის არ ჩამოდიოდა. მეორე სართული ეკავათ: სილიბისტრო თოდრიას (ცნობილი რევოლუციონერი) ქვრივსა და შვილს და უშიშროების მაშინდელი მინისტრის ნიკოლოზ რუხაძის ძმის ოჯახს. პირველ სართულზე კი სხირტლაძეები — ჩვეულებრივი მოქალაქეები ცხოვრობდნენ. მე მათ შვილებთან ვთამაშობდი. ჩვენს მეზობლად ეზო რომ იყო, იქაურ ბიჭებთანაც ვმეგობრობდი. ერთ-ერთი მათგანი — თენგიზ მოდებაძე — ახლაც ჩემი მეგობარია. ის კინოოპერატორი გახლავთ.

— როგორი იყო ბავშვების ან მათი მშობლების დამოკიდებულება პირველი პირის შვილთან?

— დაცვა იდგა მხოლოდ ეზოს დასაწყისში. ბავშვები ეზოდან რომ გავდიოდით, დაცვა არ დაგვყვებოდა. ყოფილა შემთხვევები, როცა ჩემი ძმა მილიციას დაუჭერია. გოგი ძალიან მორცხვი გახლდათ, ამიტომ ვერ თქვა, თუ ვისი შვილი იყო. მის მაგივრად მეორე ბიჭს უთქვამს: ეს ცეკას მდივნის შვილიაო. — ხომ არ გაგიჟდი?.. წადი აქედანო! — თავში წამოარტყა თურმე მილიციელმა... მე სულ სულხან-საბას №8-ში ვტრიალებდი. იქ ცხოვრობდა აბულაძეების ოჯახი. ძალიან პატარა ქუჩაა. ახლა რომ ვუყურებ, სცენის დეკორაცია მგონია, მაშინ კი ძალიან დიდი მეჩვენებოდა. ამ ქუჩაზე ყველასთან ვმეგობრობდი. ვანო ვარაზიშვილი ჩემი მეგობარი იყო. ის 1951 წელს ყაზახეთში გადაასახლეს. მახსენდება ჯიშკარიანების ოჯახიც... 1951 წელს, როცა კრემლში პოლიტიკური ცვლილებები დაიწყო, ჩვენს ოჯახს უკვე დაცვა მიუჩინეს. სკოლაში რომ მივდიოდი, უკან მომყვებოდა ჟორა მღებრიშვილი — დაცვის თანამშრომელი. ერთხელ სკოლაში ჩხუბი მომივიდა. მაშინ იტყოდნენ ხოლმე

„დავარტყათ?“ – ეს ნიშნავდა, რომ უნდა გასულიყავი სკოლის ეზოში და სხვა ბიჭების თანდასწრებით მუშტებით გეჩხუბა. ძალიან ვაჟკაცური ელემენტები იყო ამ ჩხუბში, რომელიც სანახაობრივი თვალსაზრისით, არაჩვეულებრივი რამ გახლდათ... როგორც კი ჩანთები დავდეთ, ჟორა გამოჩნდა და დაიყვირა: ახლავე წადით აქედანო! ჩხუბიც არ შედგა...

— როგორები იყვნენ მაშინდელი პედაგოგები? როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ თქვენთან?

– დედაჩემი საოცრად მკაცრი ქალი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ ცეკას პირველი მდივნის ცოლი იყო, მაინც მოდიოდა სკოლაში და მასწავლებლებს ეუბნებოდა – რაც შეიძლება მკაცრად მოექეცით ჩემს შვილებსო. მან იცოდა,



სტალინს ძალიან უცნაური რეჟიმი ჰქონდა: მას ღამე არ ეძინა, ამიტომ მთელი პარტიული ელიტა მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდა

რომ პრივილეგირებულ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით და შეიძლებოდა, ამას ცუდად ემოქმედა ჩვენზე. მახსოვს ჩემი მათემატიკის მასწავლებელი, რომელიც ივანე ბერიტაშვილის და გახლდათ. ძალიან კარგი ქალი იყო, მაგრამ შეეძლო ეთქვა: „ჩარკვიანო, შე შტერო შენა, ახლა ორიანს დაგიწერ!“ ერთხელ სხვა მასწავლებელმა უთხრა: რას ეუბნები? ეგ ხომ ჩარკვიანის შვილიაო!.. მერე რა?.. – მხრები აიჩეჩა ბერიტაშვილმა, – ვისი შვილიც გინდა იყოსო!..

— ძნელი იყო მეგობრების შერჩევა ცეკას პირველი მდივნის შვილისთვის?

– იყვნენ ისეთები, რომლებსაც მშობლებიც კი აძალებდნენ ჩვენთან მეგობრობას. მაგრამ მამა რომ მოხსნეს 1952 წელს, მაშინ გამოჩნდა, თუ ვინ იყო ნამდვილი მეგობარი და ვინ – არა. სტალინმა მამა მოსკოვში, ცენტრალურ კომიტეტში სამუშაოდ გადაიყვანა. თბილისიდან ისე მივდიოდით, როგორც გადასახლებაში – ასეთი შეგრძნება გვქონდა. მატარებლით წავედით. მეზობელმა ბიჭებმა გაგვაცილეს, ვინც ანგარებით ცდილობდა ჩვენთან მეგობრობას, ისინი აღარ გამოჩენილან.

— თუ გახსოვთ, მამას როგორი სახე ჰქონდა, როცა შინ დაბრუნდა და თქვა, რომ თანამდებობიდან გაათავისუფლეს?

– 1951 წლის აგვისტოდან ველოდით მის გათავისუფლებას. ეს პროცესი 1952 წლის აპრილში დასრულდა. პირველი უსიამოვნება სტალინთან აგვისტოში მოხდა. წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავდა უთანხმოება სტალინთან? ფილმში ამის შესახებ დაწვრილებით გიამბობთ. მამა ცდილობდა, არ შეეშინა, მაგრამ მღელვარებას ვერ ფარავდა. ოჯახის ყველა წევრი ვგრძნობდით დიდ საშიშროებას, მამის მოსალოდნელ დაპატიმრებას და დახვრეტას, ამიტომ ის მდარე სიმღერებიც კი მახსოვს, რომლებიც მაშინ რადიოში ჟღერდა. დღეს ის სიმღერები რომ მესმის, ჟრუანტელი მივლის და შიშის გრძნობა მიპყრობს. წარმოიდგინეთ, რამდენად ძლიერი იყო მოსალოდნელი საფრთხის შიში, რომ აქამდე გამომყვა...

— როგორ გახსენდებათ სტალინის გარდაცვალება? როგორი იყო თქვენი თაობის რეაქცია ამ ფაქტთან დაკავშირებით?

– ეს იყო უდიდესი შოკი ყველასთვის. მაშინ 14 წლის გახლდით, ამიტომ უფროსების მსგავსად არ შემეძლო მეფიქრა, რომ სტალინის გარდაცვალებას მოჰყვებოდა ქვეყნის დასასრული – სწორედ ასეთ პროპაგანდას ეწეოდნენ. მახსოვს, ყველანი შეგვკრიბეს სკოლაში. ყველაზე ვაჟკაცურ ქალს – ქიმიის მასწავლებელს უნდა წაეკითხა სტალინის გარდაცვალების ცნობა. მან დაიწყო: „დღეს, 9.50 წუთზე გარდაიცვალა...“ – მეტი ვეღარაფერი თქვა, რადგან ტირილი დაიწყო. შემდეგ გამოვიდა პიონერთა ხელმძღვანელი, ომახიანი ხმის მქონე მამაკაცი, რომელმაც ასევე ტირილი დაიწყო. ბოლოს, ჩვენ წინ დადგა სკოლის დირექტორი, სერგეი ფიოდოროვიჩი, რომელიც სასმელს ეტანებოდა, თანაც ცინიკოსი გახლდათ და სიამოვნებით წაიკითხა ეს ცნობა, რამაც ძალიან გამაოცა... ურთულეს ეპოქაში ვცხოვრობდით, რომელმაც თითოეული ჩვენგანის ცხოვრებას დააჩნია კვალი, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ბედნიერ თაობას მივეკუთვნები. სტრესიანი წლები გამოვიარეთ, მაგრამ ბევრი სიკეთეც ვნახეთ: რეჟიმის სიმკაცრე, ე.წ. „დათბობა“, ბოლოს კი – სისტემის ნგრევა. წარმოიდგინეთ თაობა, რომელიც 20-იან წლებში დაიბადა. მან გამოიარა საშინელი რეპრესიების წლები, მოესწრო რეჟიმის დასუსტებას, მაგრამ ვერ ეღირსა საქართველოს დამოუკიდებლობას. ჩემი თაობიდან გურამ ჟვანია *(კინორეჟისორი-დოკუმენტალისტი. – ავტ.)* მინდა გავიხსენო. ის არაორდინარულ ფილმებსა და ტელეგადაცემებს აკეთებდა, ერთხანს ტაქსის საჭეს მიუჯდა და მგზავრებს ესაუბრებოდა. გარდა ამისა, ის კინოხელოვანი და ლიტერატორი გახლდათ. გურამი საქართველოს გათავისუფლებას ვერ მოესწრო, ისევე, როგორც შესანიშნავი ლიტერატურათმცოდნე დათო დავლიანიძე და გერმანისტი ბუბა ყარალაშვილი. ეს ადამიანები ძალზე მეცოდებიან.

— მაგრამ თქვენი თაობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მომსწრეც გახდა... პოლიტიკამ მისი წარმომადგენლები ერთმანეთთან დააპირისპირა...

– მე გაგრაში მიხდებოდა ხოლმე ცხოვრება. შემოდგომაზე, როცა სტალინი გაგრაში ჩამოდიოდა, მამაჩემი ვალდებული გახლდათ, იქ ყოფილიყო. მამას უნდოდა, რომ ოჯახიც თან ჰყოლოდა, ამიტომ 2-3 თვე სკოლაშიც გაგრაში დავდიოდი... გაგრის ტრაგედია ჩემთვის დიდი ტრაგედიაა. გაგრა ჩემთვის ყველაფერი იყო. იქ განვიცადე პირველად გრძნობების სიჭარბე... აფხაზეთის ომში დავკარგე საუკეთესო მეგობარი ჯუმბერ ბენაშვილი. თანაკლასელები ვიყავით. ის აფხაზეთის მინისტრთა საბჭოში მუშაობდა და ჟიული შარტავასთან ერთად მოკლეს. ჩემი კლასელი გმირი გახდა... შემდეგ სამოქალაქო ომი დაიწყო... იქით მხარესაც ჩემი კლასელი იდგა. ეს უდიდესი ტრაგედიაა.

— რადგან კლასელები ისევ ვახსენეთ, მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია გაიხსენეთ. როგორი დამოკიდებულება გქონდათ მათთან?

– დედაჩემი და ზვიადის დედა თანაკლასელები იყვნენ, ამიტომ შეგვიყვანეს ჩვენც ერთ კლასში. როცა სკოლაში პირველად მივედი, ერთადერთი, ვისაც ვიცნობდი, ზვიადი იყო. მახსოვს, მაღა-


მამას წიგნში ედო ხოლმე ვარდი, რომელიც სტალინს მოუჭრია და მისთვის უჩუქებია

ლი ვიყავი, მაგრამ მაინც პირველ მერხთან დამსვეს – ალბათ, მამაჩემის თანამდებობის გამო. ზვიადი კი, მიუხედავად მისი კლასიკოსი მამისა, ბოლო მერხთან დასვეს. ჩვენ არ ვმეგობრობდით. მერაბთან უფრო ახლო ურთიერთობა მქონდა. ის ჩემთან მოსკოვშიც ხშირად მოდიოდა. ერთმანეთს ყოველდღიურად ვხვდებოდით. საერთო ენას იოლად ვპოულობდით. მოხდა ისე, რომ პარალელური კლასის ბიჭებთან უფრო ვმეგობრობდი და დღემდეც ასე გრძელდება.

— სიყვარულზე რას მეტყვით? როგორ გამოხატავდით გრძნობებს?

– ჩემი თაობა უფრო მონატრებული იყო გოგონების სიახლოვეს, ვიდრე მომდევნო თაობა. მაშინ ვაჟები და გოგონები ცალ-ცალკე ვსწავლობდით. ამიტომ შემდგომშიც, კარგა ხანს, უფრო მივილტვოდით ქალებისკენ. ამის გამო ჩემი შვილი მსაყვედურობდა კიდეც: რა მოგივიდათ, რა გიჟებივით ხართ ქალების მიმართო?.. სტალინის იდეა იყო ვაჟებისა და გოგონების სკოლების განცალკევება, რადგან მიაჩნდა, რომ თუ ვაჟი გოგონებთან ერთად სწავლობდა, ქალაჩუნა იქნებოდა... დილით სკოლაში რომ მივდიოდით, ახლანდელი უშიშროების სამინისტროს (მაშინდელი ცეკა) ბაღი უნდა გაგვევლო. ამ დროს ქვემოდან, გოგონები პირველ ქალთა გიმნაზიაში მიდიოდნენ. ერთმანეთს ყოველდღე ვხედავდით, ერთმანეთისკენ თვალს ვაპარებდით. თვალებით ვზვერავდით ერთმანეთს და ჩვენს ურთიერთობას ეს მეტ იდუმალებას სძენდა. ახლა იდუმალება ნაკლებია და მგონია, რომ გრძნობაც რამდენადმე შესუსტებულია...

— ბატონო გელა, იმ ფილმის შესახებაც გვითხარით ორიოდე სიტყვა, რომელსაც კანდიდ ჩარკვიანის მოგონებები დაედო საფუძვლად. პირველი სერიის შემდეგ, ალბათ ბევრი ადამიანი დაგიკავშირდათ, არა?

– მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ, რომ აღფრთოვანებული იყვნენ. მაგრამ თუ ხუთივე ნაწილი არ ნახეთ, სრული შთაბეჭდილება ვერ შეგექმნებათ. ისტორიაში უნიკალური შემთხვევაა, როცა 2 ქართველი კრემლს განაგებდა. ასეთი რამ აღარასდროს გამეორდება. ფილმში სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი და ისიც, რომ ამ 2 ქართველს შორის დრამა ვითარდება. სტალინს სურს, დააპატიმროს ბერია, მაგრამ თვითონ კვდება...

— ფილმში თუ ეხებით ვერსიას სტალინის მკვლელობის შესახებ?

– ამის გადაჭრით თქმა არ შეიძლება, რადგან საბუთები, რომლებიც სტალინის მკვლელობის ფაქტს დაადასტურებდა, არ არსებობს. ისე, რა თქმა უნდა, მოკლეს. ფილმში არის კადრი: სტალინის გარდაცვალებიდან ერთი კვირის შემდეგ, მამაჩემი ბერიას ხვდება. ბერია ეუბნება: ვინ იყო სტალინი?.. ის თქვენ გახადეთ კაცი, მაგას ომი კი არ მოუგია, ჩვენ მოვიგეთო!.. ეს ფაქტი აქამდე, არავინ იცოდა. ბერია განადგურებას უპირებდა ჯუღაშვილს. სწორედ მის კაბინეტში გაჩნდა ფრაზა – „პიროვნების კულტი“.

— ირაკლიმ თუ იცოდა, ბაბუამისის ინტერვიუს რომ ინახავდით?

– მე მქონდა 2 ჩანაწერი – ვიდეო და აუდიო. ირაკლიმ 5 წლის წინ მაგნიტოფონიდან ქაღალდზე გადაიტანა ეს ინტერვიუ. ბაბუა ძალიან უყვარდა, მასთან ძალზე ახლოს იყო. მის პირველ კრებულში – „ძველი სათამაშო“ – მთავარი მოთხრობა სწორედ ბაბუაზე ჰქონდა დაწერილი. ახლა კანდიდის 700-გვერდიანი მემუარების გამოცემა მზადდება. მასში ერთადერთი შვილიშვილის სურათი ჩადო – ეს ირაკლის სურათია. ფილმი ჩემთვისაც და ირაკლისთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია. საქართველოს ისტორიის ერთი ფურცელი ხომ სწორედ ჩვენმა ოჯახმა შეავსო. კანდიდის გარდა, სხვა ქართველი სტალინთან ასე ახლოს არ ყოფილა. ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია სადილზე, ყველა იჩემებდა – მისი მეგობარი ვიყავიო. 14 წელი რომ იმუშავებ სტალინთან, გასახსენებელი ნამდვილად ბევრი გექნება.

— ოჯახში თუ გაქვთ სტალინის ნივთები?

– ბევრი ნივთი არ დაგვრჩა. ჩემს ძმებს აქვს სხვადასხვა საბუთი, რომლებზეც შემორჩენილია სტალინის წითელი კალმით გაკეთებული შენიშვნები. მამას წიგნში ედო ხოლმე ვარდი, რომელიც სტალინს მოუჭრია და მისთვის უჩუქებია. ახლა აღარ ვიცი, სად არის, რადგან საგნების ფეტიშიზაციას არ ვაწარმოებ, მხოლოდ ინფორმაცია მაინტერესებს. მახსოვს წითელი ტელეფონიც, რომელთან მიკარება ბავშვებს გვეკრძალებოდა: ამ ტელეფონზე სტალინი რეკავდა ხოლმე. გვქონდა უჩა ჯაფარიძის მიერ შესრულებული სტალინის პორტრეტი, რომელიც ახალ ფილმშიც ფიგურირებს. ეს პორტრეტი მამაჩემის კაბინეტში ეკიდა.

■

ფრაზა გენიალური

სიძულვილი არის მხდალი კაცის შურისძიება იმ შიშისთვის, რომელიც მას განუცდია.

ბერნარდ შოუ

სარეპეტიტორო სკოლა
STS
მოამზადებს აბიტურიენტებს
და მოსწავლეებს უმაღლეს
სასწავლებლებში ჩასაბარებელი
ტესტებისათვის
ქართული, მათემატიკა, უცხო
ენა, ზოგადი უნარ-ჩვევები.
ტელ: 22 69 15
www.sts.caucasus.net

რუბრიკის არსებობის მანძილზე, ჯერ არ მახსოვს შემთხვევა, რომელიმე რესპონდენტის ინტერვიუს გამოხმაურებად 2000-ზე მეტი მესიჯი მოსულიყოს. „გზის“ წინა ნომრის „სასიძომ“ ირაკლი ნოზაძემ კი — არც მეტი, არც ნაკლები — 5000 გზავნილი მიიღო... ვულოცავთ! მან ყველა რეკორდი მოხსნა... „პიკასო, შენ ძალიან კარგი ადამიანი ხარ. ძალიან მიყვარხარ. ნუ ხარ ასეთი სევდიანი, ყველაფერი კარგად იქნება“ — ასეთი მესიჯი, სიტყვათა სხვადასხვა წყობით, უამრავი მოვიდა. სწორედ ამიტომ, ყველა მათგანს ვერ გამოვაქვეყნებთ და მხოლოდ რაღაცით გამორჩეულ ბარათებს შემოგთავაზებთ.

„ერთი ანგელოზი ამ მესიჯს წაიკითხავს, კონცერტზეც დამპატიჟებს და ქორწილშიც...“

მარი ჯაფარიძე

„იკა, დაცემამდე, არანორმალურობამდე მიყვარდი, მიყვარხარ და მეყვარები ყოველთვის. როცა შენ გხედავ, სამყარო სიყვარულის ფერია. გწყალობდეს უფალი!“

„იკა, ასე მგონია, როცა შენს სიმღერას წერდი, ჩემს გულში იჯექი. ძალიან მინდა, რომ გაგიცნო და უბრალოდ, ვიმეგობროთ. ეკა“.

„მე არ ვარ ევა, მაგრამ ვარ ქალი, შენს თვალში ალბათ, ესეც ნაკლია, გაჩენის დღიდან მაქვს შენი ვალი, შენ ხომ ჩემ გამო ნეკნი გაკლია“.

„პიკასოს უთხარით, რომ ჩემი სიზმრების მთავარი გმირია და ყოველთვის ანგელოზად მევლინება. დამირეკე. შესაძლოა, ვისაც შენ ელი, სულ ახლოსაა. სიყვარულით. ანი.“

„ვერ ვიტყვი, რომ ირაკლის ფანი ვარ. უბრალოდ, მომწონს მისი მუსიკა და სიამოვნებით ვუსმენ ხოლმე. როცა ინტერვიუს ვკითხულობდი, მივხვდი, რომ რაღაც საერთო გვაქვს. შეუძლია თუ არა მას სიყვარული? გეტყობა, რომ თბილი ადამიანი ხარ. წარმატებებს გისურვებ. არ გთხოვ, ჩემს მესიჯს ყურადღება მიაქციე-მეთქი. უბრალოდ, ერთი კითხვა მაქვს და იმედია,მიპასუხებ: ხომ შეიძლება, ვიმეგობროთ?.. თათა“.

„იკა, მე შენ ახლოს გიცნობ. ძალიან მომწონხარ. კარგი ადამიანი ხარ. გისურვებ ყველაფერ კარგს. უცნობი, მაგრამ ნაცნობი...“

„ძალზე მომწონს პიკასო. გამოგიტყდებით, ეს ჩემი პირველი მესიჯია. იქნებ, გამიმართლოს?..“

„არ გთხოვ შეხვედრას, ვიცი, მაინც არ მოხდება. უბრალოდ, მინდა გითხრა, რომ კარგი ხარ. გეტყობა, ძალიან ნანობ დაშვებულ შეცდომებს. ღმერთს ვთხოვ, ყველა ოცნება აგისრულოს. ქეთი“.

„დღეს მთელი დღე სულ „გეძახი, ჩემი ოცნება გქვია“-ს ვღიღინებდი. იკა, ნუ ხარ სევდიანი. მერე რა, თუ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვსურს... კარგი ადამიანი ხარ და ბედნიერებას გისურვებ, ჩემო კარგო. ისე გეცხოვროს, რომ არასოდეს არაფერი გენანოს. ფიქრია“.

„მოძღვარს ვკითხე — რა იქნება, პირველად გოგო რომ გამოუტყდეს ბიჭს სიყვარულში-მეთქი? მიპასუხა — ამას რა მნიშვნელობა აქვს?.. მთავარია, შენში არსებულ სიყვარულს გაუფრთხილდეო. ჰოდა, გულწრფელად ვუმხელ ირაკლის, რომ ის საოცარი ადამიანია. ყველაზე არაჩვეულებრივი ჩვეულებრივთა შორის და ჩვეულებრივი ყველაზე არაჩვეულებრივთა შორის. ნია“.

„იკა, იქნებ ერთმანეთის მარტოობა შევავსოთ? ვარ შავგვრემანი, ვმუშაობ ბანკში. ჩემს თავს ვუვლი. არც შენი გულის მოგება გამიჭირდება. ბათუმი. დონი“.

„გამარჯობა, ირაკლი. როგორ ხარ? ალბათ, ვერც გამიხსენებ. ბავშვობაში მეგობრები ვიყავით. ცეკვაზე ერთად დავდიოდით ლიკანში. ირინა“.

„ჩვენ ერთმანეთს შევხვედრივართ დიდი ხნის წინ, ერთ ლამაზ ქალაქში. შენ მღეროდი, მე — გისმენდი. ახლა, როგორც შენ, ასევე მეც წამოსული ვარ მშობლიური ქალაქიდან“.

„პიკასო, გახსოვს, ჩემს სალონში რომ მოხვედი?.. რა გინდოდა, ის თუ გახსოვს?.. მაშ, რატომ არ მოხვედი?..“

„უკვე დაღამდა, ამოდის მთვარე და ვიღაც ხარობს შენი შეხებით, როდის ვიხილავ შენს ლამაზ თვალებს?.. და ჩვენ ერთმანეთს როდის შევხვდებით?.. თამუნა. ბათუმი“.

„ირაკლი, ძალიან მიყვარხარ და ძალიან მინდა შენი გაცნობა. შენი და არა ზურასი! ვიცი, რომ იმ ორ გოგოს შორის ვერ მოვხვდები, მაგრამ იმედი მაინც მექნება. იმედი ხომ ბოლოს კვდება?!. გკოცნი. ლიზი“.

„ჩემო კარგო, შენში ყველაზე მეტად სევდიანმა განწყობამ მომხიბლა. ალბათ იმიტომ, რომ დღესდღეობით მეც მარტო ვარ. სევდიან ადამიანს ყოველთვის ლამაზი სული აქვს და დიდი სიყვარული შეუძლია. ძალზე თბილი ადამიანი ჩანხარ და ვფიქრობ, შენთვის სიყვარული, სტიმული და მამოძრავებელი ძა-

ლაა. გამოხმაურებას არ ველი. უბრალოდ, შენმა ინტერვიუმ კარგ განწყობაზე დამაყენა. აქამდე, სულ სხვა წარმოდგენა მქონდა შენზე. გისურვებ ლამაზ სიყვარულს. ნათია".

„იკა, მეგობრები ვარსკვლავებივით არიან. შენ ყოველთვის ვერ ხედავ მათ, მაგრამ ისინი მუდამ შენთვის ანათებენ. გამოიხედე გარეთ და დამინახავ, თუ მოღრუბლული არ არის. ია".

„ტყუილი იქნება, თუ გეტყვი, რომ მჯერა, ჟურნალის საშუალებით შენი გაცნობის. მიკვირს კიდეც, რომ გწერ. არც ფუჭი ოცნებების მჯერა, თუმცა, შენთან მეგობრობას ნამდვილად ვისურვებდი. ნურც იმას იფიქრებ, რომ საჩუქრის გულისთვის გეხმაურები. მე შენში ადამიანს ვხედავ. გამიხარდება, თუ დავმეგობრდებით. გისურვებ, შეხვდე ისეთ ადამიანს, ვინც სიყვარულსა და სითბოს არ მოგაკლებს. მარი".

„შენი თვალების სიკეთე მხიბლავს, მე შენი სულის სიღრმე მაოცებს, იმდენად კარგი არსება გნახე, ახლოს რომ იყო, მაგრად გაკოცებ. პიკასო, თვითონაც არ ვიცი, რატომ მიყვარხარ... დ".

„ჩემი სიყვარული შენ არ შეგაწუხებს, გულში მეყოლები დარდად, ჩემი სიყვარული შენ არ შეგაწუხებს, ოღონდ შენ იყავი კარგად". სოფო ლ-იანი".

„მინდა, ხელუხლებელ, კლდოვან ნაპირზე მარტოდმარტო ვიჯდე, არავინ იყოს ირგვლივ, ზღვა ოდნავ „ტორტმანებდეს", მისი ხმაც კი არ ისმოდეს; მაშინ ვიოცნებენ შენზე, ზღვის პირზე შენი სახე წარმომიდგება; არ მინდა სიახლოვე, არც შენი სიყვარული და თანაგრძნობა. უბრალოდ, თვალუწვდენელი ჰორიზონტი, ზღვის ნაპირი და შენზე ოცნება..."

„იკა, ძალიან მიყვარხარ. შენ რომ ბედნიერი იქნები, მე ეს გამახარებს. შენს ცოლობაზე ოცნებას ვერ ვბედავ. გისურვებ წარმატებებს. შენი ერთგული მზიკო".

„მე შენი თაყვანისმცემელი ვარ იმ დღიდან, რაც სცენაზე გამოჩნდი. მაგრად მიყვარხარ და ვარ ისეთი, როგორსაც შენ ეძებ. მუდამ შენი კეთილისმსურველი ლიკა".

„სულ ვფიქრობდი – სად იყვნენ ანგელოზები?.. ცაში თუ მიწაზე?.. ეს ვერ გავიგე, მაგრამ ის კი ზუსტად ვიცი, რომ ერთი ანგელოზი ამ მესიჯს წაიკითხავს, კონცერტზეც დამპატიჟებს და ქორწილშიც. ლანა".

„შენი მზით გამთბარი გული მიყვარს, შენი სულ პატარა, ციცქნა ფიქრით, ქვეყნად შენს მეტი არავინ მიყვარს, ნუთუ, შენ არ იცი?.. პიკასო, ყველაფერი კარგად იქნება. გისურვებ, რომ ცხოვრების გზაზე პატიოსნად გევლოს. დიანა".

„პიკასო, ძალიან მიყვარხარ. შენი თავმდაბლობა ყველა უარყოფით თვისებაზე მეტია. გარეგნობაზე ლამაზი, სული გქონია. მინდა იცოდე, რომ ძალიან მინდა შენი გაცნობა და იმედი მაქვს, ამის საშუალებაც მომეცემა. თაკო".

გამარჯვებული გოგონების ვინაობასა და მცირე რეპორტაჟს სპორტის სასახლეში ჩატარებული კონცერტიდან „გზის" მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ: ალბათ გახსოვთ – კონცერტი პირველი ოქტომბრისთვისაა დაგეგმილი.

■

ტესტი ერუდიციაზე

1. რისგან ამზადებენ ბრიტანელი მოსამართლეების პარიკებს?

ა) მხოლოდ ქალის თმისგან;
ბ) ცხენის ძუისგან;
გ) მხოლოდ მამაკაცის თმისგან.

2. ვინ იყო აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი თავისი კარიერის დასაწყისში?

ა) რიგითი მილიციელი;
ბ) ქარხნის მუშა;
გ) ვეტერინარი.

3. ლოკოკინები არიან:



ა) უსქესოები;
ბ) ჰერმოფროდიტები;
გ) ცალსქესიანები.

4. XIX საუკუნის შუა პერიოდში ლონდონში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით, ლონდონელთა უმეტესობა შიშობდა, რომ უახლოეს ას წელიწადში დედაქალაქი:

ა) ცხენის ფუნით აივსებოდა;
ბ) ემიგრანტებით გაივსებოდა;
გ) მოსახლეობისგან დაიცლებოდა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

დიმა ობოლაძეს თურმე, სპორტი ბავშვობიდანვე ჰყვარებია. აღმოჩნდა, რომ დაშნასა და ჩოგანს ისევე კარგად ფლობს, როგორც ბურთს — კალათბურთის იქნება ის თუ ფეხბურთის. დიმას ფიზიკოს მამას, შვილის ცოდვაში ჩაუდგამს ფეხი, როდესაც ის სპორტისთვის ჩამოუცილებია და ტექნიკური საგნების დასაუფლებლად ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში გადაუყვანია. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რომ ტელემაყურებლებს ბევრი სიამოვნება მოაკლდებოდათ, დიმასგან სპორტული კომენტატორი რომ არ დამდგარიყო...

დიმა ობოლაძეს ზოგჯერ ემოციების შეკავება უჭირს ანუ ვის „შეაჯდა“ მატჩის დროს?

ემა ტუხიაშვილი

— დიმა, როგორც ვიცი, სპორტით ბავშვობიდანვე იყავი გატაცებული, არა?

— სკოლის პერიოდში დავდიოდი ფარიკაობაზე, ჩოგბურთზე, ცურვაზე, ფეხბურთზე, სტუდენტობისას კი გე-პე-იში კალათბურთს ვთამაშობდი და ნიკოლოზ დერიუგინთან ერთადაც კი მითამაშია. საკმაოდ სპორტული ცხოვრება მქონდა: დილით ადრე ვდგებოდი და საღამოს 10 საათზე უკვე საწოლში ვიწექი ხოლმე. მერე მშობლებმა სპორტისთვის თავი დამანებებინეს და ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში მიმიყვანეს, მაგრამ რაც გამოვიდა ჩემგან, ხედავთ.

— მშობლების ეს გადაწყვეტილება არ გაგიპროტესტებია?

— შეგნებულად არ ვსწავლობდი გაკვეთილებს, რომ დირექციას სკოლიდან გავერიცხე, მაგრამ არაფერი გამომივიდა, რადგან მამაჩემი ასწავლიდა იმ სკოლაში. ჰუმანიტარული საგნები უფრო მაინტერესებდა, ამიტომ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე შევიტანე საბუთები და ჩავირიცხე კიდეც.

— ალბათ სპორტული კერპებიც გყავდა. ბავშვობაში მათ პლაკატებს არ აგროვებდი?

— კი, შინ სპორტსმენების უამრავი პლაკატი მქონდა, მთელი კედლები მქონდა აჭრელებული. მაგრამ ბინაში რემონტი რომ გავაკეთეთ, სასტიკად ამიკრძალეს ამ პლაკატების კედლებზე დაბრუნება, ამიტომ მუყაოზე მივაკარი და აგარაკზე წავიღე. სპორტულ ჟურნალებს დღესაც ვაგროვებ და უკლებლივ ყველა მაქვს. მაქვს აგრეთვე ცნობილი ფეხბურთელების ავტოგრაფები, რომლებიც ფინალური მატჩებიდან ჩამომაქვს ხოლმე. შეიძლება ითქვას, რომ ყველა იმ ფეხბურთელს შევხვედრივარ, ვისი ნახვაც ოცნებად მქონდა ქცეული. არაჩვეულებრივი ტიპი აღმოჩნდა რობერტო კარლოსი, როგორიც მანამდე წარმომედგინა — მხიარული და თბილი ბრაზილიელი. თუმცა, მქონია უარყოფითი ემოციები, მაგალითად, ანელკა ძალიან ცივი და უკარება ყოფილა, არც დაგელაპარაკება და სხვათა შორის, არც თანაგუნდელებს უყვარდათ. შმეიხელი „მანჩესტერ იუნაიტედის“ საუკეთესო მეკარედ მიმაჩნდა ყოველთვის და ერთხელ ჩემ გვერდით საკომენტატორო კაბინაში აღმოჩნდა — მატჩის რეპორტაჟი მიჰყავდა. დავეკონტაქტე, ვთხოვე, სურათი გადავიღოთ-მეთქი, მაგრამ ისეთი უჟმური ტიპი აღმოჩნდა... — თავი დამანებე, არ მცალიაო, — მიპასუხა.

— შენ რა რეაქცია გაქვს ხოლმე? უკმაყოფილებას აშკარად გამოხატავ?

— ზოგს გულში ვაგინებ, მაგრამ ანელკას პირდაპირ ქართულად შევუკურთხე: შენი ასე და ისე-მეთქი!.. გაოცებულმა შემომხედა. მე კი ისევ შევუტიე: რას მიყურებ-მეთქი?!. რა უნდა ეთქვა?.. მიტრიალდა და წავიდა.

— სპორტული კომენტატორებიდან ვინ არის შენთვის მისაბაძი, სამაგალითო?

— ეროსი მანჯგალაძე და კოტე მახარაძე ის კომენტატორები იყვნენ, ვისაც ფაქტობრივად, ბადალი არ ჰყოლიათ. მიბაძვაზე ზედმეტია საუბარი — მათ როგორ უნდა მიჰბაძო?.. ეს შეუძლებელია. კოტე ხშირად მაძლევდა რჩევებს, სულ იმას მეუბნებოდა: რა იყო, კაცო, ცოტა ნელა ილაპარაკეო, — მაგრამ ეს ჩემგან დამოუკიდებლად ხდება. ზოგჯერ მატჩის შემდეგ რომ მეუბნებიან — ესა და ეს თქვიო, — გაკვირვებული ვუყურებ ხოლმე, რადგან ნამდვილად არ მახსოვს... შინ მაქვს ეროსი მანჯგალაძის მატჩების ჩანაწერები, ხშირად ვუსმენ და იქიდანაც ბევრს ვსწავლობ.

— როგორც ვხედავ, ემოციური ადამიანი ხარ. მატჩის დროს, პირდაპირ ეთერში ალბათ ძალიან გიჭირს ამ ემოციების შეკავება, ხომ?

— რა თქმა უნდა, ეს საქმიანობა დიდ პასუხისმგებლობას გულისხმობს მაყურებლის წინაშე. მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როდესაც ჩემი ემოციები ვერ გამიკონტროლებია. მახსოვს, „არსენალი“ ფრანგებს ეთამაშებოდა, ჩემს მეგობრებს „არსენალზე“ ჰქონდათ დადებული ფსონი. ვურჩიე: არ გინდათ, არ დადოთ „არსენალზე“, რა იცით, ეს „ლიონი“ როდის რას „გააგორებს“-მეთქი?.. მაგრამ ვინ დაგიჯერა; მატჩის დროს ვხედავ, რომ არ თამაშობს „არსენალი“. რომ „შევჯექი“ ერთზე მთელი მატჩის განმავლობაში, სულ იმას გავიძახოდი: ამათ თამაში არ იციან-მეთქი. ზამთარი იყო და ერთ-ერთ ფეხბურთელს თავზე ორთქლი ასდიოდა, მე კი ვთქვი — თავზე კვამლი ასდის-მეთქი... მოკლედ, რეკავდნენ პირდაპირ ეთერში და მეკითხებოდნენ: რა გინდა, რას ერჩი ამ „არსენალს“? თავი დაანებეო!.. წონასწორობიდან გამომიყვანა მაკედონიის კალათბურთელთა ნაკრების თამაშმა. მაყურებლის შეურაცხყოფაა ეთერში გინება, ამიტომ დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ თავი შემეკავებინა, სიტყვასა და სიტყვას შორის პაუზებს ვაკეთებდი და პირის მოძრაობით ვაგინებდი მაკედონიელებს.

— ხშირად გიხდება პირდაპირი ტრანსლაციის კომენტირება საზღვარგარეთიდან. სირთულეები, კურიოზული შემთხვევები არ გქონია?

— პირველად ფინალურ მატჩზე პარიზში ვიყავი, საგანგებოდ გამოვეწყვე პიჯაკსა და ჰალსტუხში და ისე მივედი სტადიონზე. თავიდან ძალიან დავიბენი, როდესაც ერთად ვნახე თავმოყრილი ყველა ის ადამიანი, კომენტატორი თუ მწვრთნელი, ვინც კი ოდესმე ტელევიზორში მინახავს. მერე საგანგებოდ გამოაცხადეს: ახალი კოლეგა შემოგვიერთდაო, — და დავინახე რომ ჩემ გარდა, ყველა შორტსა და მაისურში იყო გამოწყობილი. კაბინაში თავი დავღუნე და ჯერ პიჯაკი გავიხადე მალულად, შემდეგ ჰალსტუხთან ერთად სადღაც ჩავკუჭე... საერთოდ, უცხოეთში ყოფნისას, ჟურნალისტები მიჩვეულები ვართ, რომ გამუდმებით გვჩხრეკენ. ერთხელაც საკონფერენციო დარბაზის შესასვლელთან ჩვეულებრივად, ახმახი ზანგი დამხვდა. მეც, ყოველგვარი ცერემონიის გარეშე, ავწიე ხელები, დავწიე, შევტრიალდი, შემოვტრიალდი. გაოგნებული მიყურებს, მე კი, მისი უმოქმედობით გაღიზიანებული ვეუბნები: რა გინდა-მეთქი? — აი, ყურსასმენები ინებეთ, სინქრონული თარგმნისთვის დაგჭირდებათო, — მიპასუხა გაოგნებულმა...

— ბოიარის ციხე-სიმაგრიდან რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდი?

— თავიდან უარი ვთქვი ბოიარზე და ოჯახთან ერთად დასასვენებლად წავედი. მაგრამ მიხარია, რომ მაინც წავედი, რადგან, მთელი ცხოვრება სანანებლად მექნებოდა, იმდენად დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდი იქიდან. მოკლედ, სარფში, სადღაც კლდეში ვზივარ, ყანწებს და ჭიქებს ერთმანეთს ვუნაცვლებ და მირეკავს ხოფერია: ხვალ დილის 9 საათზე „ლაგუნა-ვერეზე“ იყავიო. ამ დროს, ღამის 10 საათია... მოკლედ, ერთი საათი გამოვიძინე და თბილისში გამოვემგზავრე. რა თქმა უნდა, დათქმულ დროს არავინ მოვიდა „ლაგუნაზე“. მეც ერთი ბოთლი ლუდი დავლიე, ცოტა ხანს წავუძინე და რომ გამომეღვიძა, ყველა უკვე იქ იყო. მაშინვე მომახალეს: წადი, სიმაღლიდან გადმოხტიო. ნაბახუსევს, 7 მეტრის სიმაღლიდან რომ გადმოვიხედე, კინაღამ გული გამისკდა... მოკლედ, გოგოც ამაყვანინეს ხელში და რამდენიმე მეტრიც მარბენინეს... გავემგზავრეთ შატო დე ლიორის რეგიონში, რომელსაც ასევე ღვინის რეგიონს უწოდებენ. სადაც ერთი ბოთლი ღვინო ღირდა 1 ევრო, ყავა კი — 5 ევრო. ვინ დალევდა ახლა იქ ყავას?.. უნდა გითხრა, სულ 10 ქართული გუნდი ვიყავით, მათ შორის იყვნენ მომღერლები: სტეფანე, „ქუჩის ბიჭები“ და სხვა ცნობილი ადამიანები: ლალი მოროზკინა, ნიკუშა თავაძე და სხვები. როდესაც ქართველების კვირეული დამთავრდა ბოიარზე, გვითხრეს: ასეთი რამ ჯერ არ გვინახავსო, — რადგან 10-დან 9 გუნდმა გაიმარჯვა.

— რამდენად რთულია ის დავალებები, რომლებსაც მოთამაშე ასრულებს?

— ზოგს ჰგონია, რომ ეს რაღაც დადგმული შოუა, მაგრამ ასე არ არის. ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი უნდა იყო, დავალებებს რომ გაუმკლავდე. ჩვენ კი, ქართველებმა, ჯერ ხომ გზაში ვსვით, მერე ფრანგული ღვინოც მივირთვით და 2 დღით ადრე თამაშამდე გადავწყვიტეთ, რომ სპორტულად გვეცხოვრა. არანაირი წინასწარი მომზადება ბოიარზე არ გაგვიკეთია. ყველა ეს თამაში მხოლოდ ტელევიზიით გვქონდა ნანახი. თვით სიტუაცია გაიძულებს, რომ ძალები მაქსიმალურად მოიკრიბო და შეუძლებელი შეძლო. ნათია ლაზაშვილმა იქ ისეთი რაღაცები აკეთა, დარწმუნებული ვარ, ახლა რომც დააძალო, ვერაფრით შეძლებს.

ძმურად, დამიგოვე-მეთქი. უარი მითხრა. გავბრაზდი და კოლოფიდან 2 ღერი ამოვაცალე. ერთი იქვე მოვწიე, სულ რაღაც 30 წამში. გადაირია კაცი...

— შენ რა დავალება შეგხვდა?

— ერთ ოთახში შემაგდეს, საიდანაც წყალი უნდა გადამექაჩა და ისე მომეპოვებინა გასაღები. მეორე ოთახში კი უნდა მეხტუნა და ისე უნდა მომეშვა ჭანჭიკები. ყველაზე მეტად ჩვენ გაგვიჭირდა. როდესაც მაყურებელი ამ გადაცემას ნახავს, ისეთი შეგრძნება დაეუფლება, რომ აუცილებლად წავაგებთ. პირველი გასაღები რომ ვერ გამოვიტანე, ისეთი სახე მქონდა, ვერ აღგიწერ... ორი ოთახის შემდეგ, სადაც დავალებები უნდა შემესრულებინა, კიბეზე უნდა ამერბინა. წინ ერთ-ერთი ჯუჯა მირბოდა, ის ჯუჯები ისე სწრაფად დარბიან, ვერაფრით დავწიე. შემდეგ ერთი წუთით შემაჩერეს: კამერებს გადავიტანთო. 2 დღე სიგარეტი არ მქონდა მოწეული და დავინახე, ფრანგი ოპერატორი ზის და ეწევა. მივედი და ვთხოვე: ძმურად, დამიტოვე-მეთქი. უარი მითხრა. გავბრაზდი და კოლოფიდან 2 ღერი ამოვაცალე. ერთი იქვე მოვწიე, სულ რაღაც 30 წამში. გადაირია კაცი.

— რა თანხა მოიპოვეთ?

— ცოტა — 580 ევრო. მაშინ, როცა სხვა გუნდებმა 2.000 და მეტიც მოიპოვეს. ეს თანხა ბავშვთა სამედიცინო ცენტრს გადავურიცხეთ.

— მოთამაშეს სერიოზული საფრთხე ხომ არ ემუქრება?

— მე მხარი მქონდა ამოგდებული, ისე ჩამოვედი თბილისში... თანხის გამოსატანად რომ შედიხარ, ისე ახლოს მოდიან ვეფხვები, რომ ფიქრობ — ახლა შემჭამენო. ვერ გეტყვი, რით აჩერებენ მათ, ეს მოთამაშისთვისაც შეუმჩნეველი რჩება.

— სიმპათიური ქერათმიანი გამყოლი გაიცანი?

— რა თქმა უნდა. მონიკა ჰქვია. მითხრა: დღეში 4 საათს სახტუნაოზე ვხტუნავ, იმიტომ ვარ მაგარი ნაშაო. ვეფხვებს ერთს დაუტკაცუნებს თითებს და მომენტალურად ემორჩილებიან. ასევე გავიცანით ლაბოლი — ადამიანი, რომელიც მოთამაშეებს აპატიმრებს. როგორც გვითხრა, მსხვილი ბიზნესმენი ყოფილა, ბოიარი კი მისთვის გართობის ერთ-ერთი საშუალებაა.

— რატომ ეცინებათ შენს გამოჩენაზე „კურიერის“ წამყვანებს? ასეთს რას ეუბნები ხოლმე?

— რას ვეუბნები, ნამდვილად არ მახსოვს; მგონი, თვითონაც არ იციან, რაზე ეცინებათ ხოლმე. კიკალ *(მიმართავს დავით კიკალიშვილს. — ავტ.)*, შენ გახსოვს, რატომ გეცინებოდა ხოლმე?

დავით კიკალიშვილი:

— როგორ არ მახსოვს?.. შენ არ იყავი, რომ გვითხარი — ბულდოგი საკუთარ ლეკვს არ მიეფერება, კისერზე კატლეტი თუ არ დაადეო *(იცინის)*?..

— დიმა, სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?

— ვაკეთებ ერთსაათიან გადაცემას ქართულ ფეხბურთზე, რომელიც პირდაპირ ეთერში გავა ხოლმე. მოწვეული გვეყოლება სტუმრები, იქნება სატელეფონო ზარები ეთერში და ა.შ. სამომავლოდ კი, მინდა, გადაცემა ზოგადად ქართულ სპორტს მივუძღვნა. წიგნიც მინდა დავწერო. ვფიქრობ, რომ ჩემპიონთა ლიგის 5 ფინალზე დასწრება ცოტა არ არის, ზოგი მთელი ცხოვრება ოცნებობს ამაზე. ჩემს წიგნში ყველაფერს დეტალურად აღვწერ, მათ შორის ბოიარის ციხე-სიმაგრეზე მომხდარ ამბებსაც.

■

„ოთახიდან მამის განწირული ყვირილი მესმოდა... იატაკზე დასისხლიანებული დედაჩემი იწვა...“

ყაჩაღობა, რომელსაც ადამიანების სიცოცხლე შეეწირა

ღამის 12 საათი კარგა ხნის დაწყებული იყო, როცა სოფელ კახათში (ზუგდიდის რაიონი) მდებარე ორსართულიან სახლს სახეზე შავნიღაბაფარებული ბოროტმოქმედები მიუახლოვდნენ. გასასროლად გამზადებული ავტომატები ხელში კიდევ ერთხელ მოსინჯეს და დაუყოვნებლივ გეგმის განხორციელებას შეუდგნენ. სიბნელეში გაიფანტნენ და სახლის ირგვლივ, წინასწარი შეთანხმებისამებრ შერჩეული პოზიციები დაიკავეს...

ეზოში, სახლის გვერდით, ერთსართულიანი დაბალი შენობა იდგა. ოჯახის წევრები მას სამზარეულოდ იყენებდნენ. სწორედ იქ ეძინა იმ ღამით ოჯახის უფროსს – ზაურ ფაჟავას, თავის ცოლსა და მცირეწლოვან შვილთან ერთად. საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე კი მისი უფროსი ვაჟი, არასრულწლოვანი ირაკლი იწვა. ის იმ დროს ოჯახისთვის მნიშვნელოვან ქონებას – სარეალიზაციოდ გამზადებულ და დაფასებულ 800 კილოგრამამდე თხილს ყარაულობდა.

ირაკლის საეჭვო ხმაურზე გაეღვიძა, თვალები გაახილა და მის წინ სამი უცნობი, ნიღბიანი და ავტომატებით შეიარაღებული მამაკაცი დაინახა. ყაჩაღებმა არ დააყოვნეს და ბიჭის გაცურებას შეეცადნენ: – ჩვენ პოლიციიდან ვართ, ინფორმაცია გვაქვს, რომ ამ ოჯახს პარტიზანები აფარებენ თავს და მათ ვეძებთო, – უთხრეს შიშისგან თვალებგაფართოებულ და გაფითრებულ ირაკლის. ბიჭი ლოგინიდან წამოაყენეს, შემდეგ ფანჯრიდან ეზოში გადააძვრინეს და უბრძანეს, სასწრაფოდ გაეღვიძებინა მშობლები. თუმცა, უფროსებისთვის იმის „გამხელა“, რომ პოლიციიდან იყვნენ, არ მოისურვეს და ირაკლის სულ სხვა მითითება მისცეს.

„დედ-მამისთვის კარის გაღება უნდა მეთხოვა და მეთქვა, რომ ცუდად ვიყავი. ასეც მოვიქეცი. სამზარეულოს კარზე დავაკაკუნე და მამაჩემს გარედან დავუძახე: – კარი გააღე, ცუდად ვარ-მეთქი. მამაჩემი კარს რომ აღებდა, იმ მომენტში მოვახერხე და ჩუმად ვუთხარი – ეზოში ნიღბიანები არიან და კარი არ

გააღო-მეთქი“, – ჰყვება ირაკლი ფაჟავა.

ზურაბ ფაჟავა, ირაკლის მამა:

„შვილის უკან მდგომი ნიღბიანები მეც დავინახე. იმავე წამს მივხურე კარი და მისი ურდულით ჩაკეტვა ვცადე, მაგრამ სწორედ ამ დროს, მეორე ოთახიდან ჩემი ცოლი გამოვიდა – ხმაურს გაეღვიძებინა. როცა მიხვდა, რაც ხდებოდა, შეეშინდა, თავდამსხმელებმა ჩემს შვილს რამე არ დაუშავონო და ირაკლის საშველად ეზოში გავარდა. მივაძახე, ნუ გეშინია, ყაჩაღებს თვითონ მოვუვლი-მეთქი და სროლის ხმაც გაისმა. ბოროტმოქმედები იარაღიდან ისროდნენ“...

ირაკლი ფაჟავა:

„მამაჩემს რომ ვაფრთხილებდი, კარი არ გაეღო, ამას ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ყური მოჰკრა. მაშინვე ხელი ჩამავლო და ეზოში გამიყვანა. მიყვირა: რას აკეთებ, აქვე მოგკლავო! შემდეგ ავტომატის კონდახი ჩამარტყა თავში, სამზარეულოს მიმართულებით კი სროლა ატეხა. პირდაპირ, დამიზნებით ისროდა...“

სროლა დაახლოებით 5 წუთს გაგრძელდა. სახლში დიდი ხმაური ატყდა და ამან ყაჩაღებს განზრახვის განხორციელებაში ხელი შეუშალა. ამიტომაც იქაურობა ხელცარიელებმა დატოვეს და სიბნელეში, გაურკვეველი მიმართულებით მიიმალნენ...

„იმ ოთახში შევბრუნდი, საიდანაც მამაჩემის განწირული ყვირილი მესმოდა... იატაკზე დასისხლიანებული დედაჩემი იწვა“, – იხსენებს ირაკლი ფაჟავა. სისხლი თავად მასაც სდიოდა თავიდან. ამის გამო, ეზოში შეკრებილმა მეზობლებმა ისიც დედასთან ერთად წაიყვანეს საავადმყოფოში. ირაკლის უშველეს, დედამისი – ელისო ქირია-ფაჟავას კი – ვერა. ის უკვე გარდაცვლილი იყო... თუმცა, ოჯახის დიასახლისი ერთადერთი არ გახლდათ, ვინც ამ დანაშაულს შეეწირა...

პოლიციელებმა 15 წლის ბიჭის ლიკვიდაცია მოახდინეს

მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე მეორე დღეს – 2004 წლის 29 თებერვალს აღიძრა ზუგდიდის რაიონულ პროკურატურაში. სამართალდამცავები იმ პერიოდში ეჭვმიტანილთა ვინაობას არ ახმაურებდნენ, თუმცა აცხადებდნენ, რომ ასეთები ჰყავდათ. როგორც ამჟამად ერთ-ერთი პოლიციელი – შს ზუგდიდის სამმართველოს ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე მამუკა ჩახაია იხსენებს, 2004 წლის 17 მარტს, საღამოს, დაახლოებით ათის ნახევარზე მას მობილური ტელეფონით შს ზუგდიდის სამმართველოს უფროსის მოადგილე (კრიმინალური პოლიციის ხაზით) დაუკავშირდა და ოპერატიული ინფორმაცია აცნობა. შეატყობინა, რომ იმ ღამით გალის რაიონიდან ზუგდიდის რაიონში გადასვლას აპირებდა ბოროტმოქმედთა ჯგუფი და სასწრაფოდ მდინარე ენგურის ხიდთან გასვლა და მათი აყვანა დაავალა. ჩახაიას თქმით, დავალების შესასრულებლად 8-კაციანი ოპერატიული ჯგუფი შეიკრიბა. ისინი მითითებულ ადგილზე გავიდნენ და აფხაზეთიდან მომავალ შეიარაღებულ ბანდიტებს ჩაუსაფრდნენ.

ღამის პირველის ნახევარი იყო, როდესაც მდინარე ენგურზე გადებულ ვიწრო ხიდს ცხენშებმული ოთხთვალათი 15-22 წლის ახალგაზრდები მიუახლოვდნენ. ოთხნი იყვნენ. ერთ-ერთს ხელში 20-ლიტრიანი ბოცა ეჭირა, მეორეს კი – ჩანთა. ბიჭებმა ცხენი და ოთხთვალა იქვე ხეზე მიაბეს და ხიდს ფეხით გაუყვნენ.

„ხიდზე რომ მოდიოდნენ, შევნიშნეთ, რომ ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულები. 10-15 მეტრის მანძილზე რომ მოგვიახლოვდნენ, დავუძახე მათ – პოლიციელები ვართ, იარაღი დაყარეთ და დაგვნებდით-მეთქი. თუმცა, ბოროტმოქმედებმა ამ წინადადებას ცეცხლით უპასუხეს, ოთხივე ისროდა. საპასუხოდ, ჩვენც გავხსენით ცეცხლი. სროლა დაახლოებით 15 წუთს გრძელდებოდა. ბოროტმოქმედებმა სროლა შეწყვიტეს. ახლოს მივედით და შევამჩნიეთ, რომ მიწაზე ორი პიროვნება იწვა...“ – აღნიშნავს პოლიციელი ჩახაია.

მიწაზე გართხმული ორივე ახალგაზრდა მკვდარი იყო. ერთი – გალის რაიონის სოფელ გაგიდაში მცხოვრები, 15 წლის ბიკო ბარქაია გახლდათ, ხოლო მეორე – ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონის მკვიდრი, 21 წლის ზაზა თაკალანძე. ოდნავ მოშორებით იწვა მესამე – გალის რაიონის სოფელ განახლებაში მცხოვრები, 17 წლის იური წოწორია, რომელსაც პოლიციელების მიერ ნასროლი ტყვიები ასცდა და სიკვდილს გადაურჩა. მეოთხე პირმა – 21 წლის ზვიად შამუგიამ გაქცევა მოასწრო.

„ეს სპეცოპერაცია კი არა, ტერორისტული აქტი იყო“

დღეს სპეცოპერაციის მონაწილე სამართალდამცავები აცხადებენ, რომ ისინი კანონის წინაშე პირნათელნი არიან, რადგან შეიარაღებულმა პირებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს და ამის გამო იძულებულები გახდნენ, მათი ადგილზე ლიკვიდაცია მოეხდინათ. სრულიად საპირისპიროს აცხადებს ამჟამად პატიმარ იური წოწორიას დამცველი ადვოკატი, მისივე ნათესავი **ვილერი წოწორია**:

„ეს სპეცოპერაცია კი არა, პოლიციელების მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტი იყო. დაირღვა პოლიციის კანონის ყველა პუნქტი. რა თქმა უნდა, პოლიციელები დღეს ერთხმად აცხადებენ, ეჭვმიტანილები გავფრთხილეთ – იარაღი დაყარეთო, მაგრამ სინამდვილეში არანაირ გაფრთხილებას ადგილი არ ჰქონია, არც სროლით და არც სიტყვიერს.

იმ ახალგაზრდებს ცეცხლი არ გაუხსნიათ და საერთოდ, ისინი ის ეჭვმიტანილი პირები სულაც არ იყვნენ, ვისაც ჩასაფრებული პოლიცია იმ ღამით ელოდა.

იმ ადგილებში ყველა იარაღით დადის. განსაკუთრებით ახალგაზრდა ვაჟები გრძნობენ ამის აუცილებლობას, ძირითადად, აფხაზი სეპარატისტებისგან თავის დასაცავად. ზვიად შამუგიასაც ამ მიზნით ჰქონდა ავტომატები წაღებული. ბიჭები მეგობრის დაბადების დღეზე მიდიოდნენ და რახან ღამით გადაწყვიტეს წასვლა სოფელ შამგონაში, შამუგიამ ჩათვალა, რომ საზღვართან საფრთხე იყო მოსალოდნელი და ყველა იარაღით მოამარაგა. ავტომატები ჰქონდათ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ისინი დამნაშავეები და ფაჟავების ოჯახზე თავდამსხმელები იყვნენ. ამასთანავე, ძალზე საეჭვოა პოლიციელთა მტკიცება, თითქოს მათ იმ ღამის უკუნში შეამჩნიეს, ხიდზე მომავალ პირებს იარაღი რომ ჰქონდათ მხარზე გადაკიდებული. ბარდებში ჩამალული პოლიციელები არც გასულან სამალავიდან, ისე დაიწყეს სროლა და დაუფიქრებლად ჩაცხრილეს უდანაშაულო ახალგაზრდები“.

იური წოწორია, პატიმარი:

„ბარდებიდან სროლის ხმა უეცრად გაისმა. მაშინვე მოვისროლე იარაღი და მიწაზე პირქვე დავწექი. ჩემი მეგობრების – ზაზას და ბიკოს დაცემის ხმაც გავიგონე. ბიკო როდის დაიჭრა, არ გამიგია. ალბათ, უცებ მოკვდა. ზაზას სიტყვები კი მომესმა – ვკვდები, არ მოგკლათო. ძლივს ლაპარაკობდა...

სროლა 10 წუთს გაგრძელდა. შემდეგ ვიღაცამ დაიძახა – ბიჭებო, დაჭრილი ხომ არ ხართ რომელიმე ყაჩაღებისგანო? მაშინ მივხვდი, რომ პოლიციელები იყვნენ და ისინი ისროდნენ. რომელიმე ცოცხალი თუ ხართო? – კითხულობდნენ. – ცოცხალი ვარ, არ მესროლოთ-მეთქი! – დავიძახე. – ხელები მაღლა ასწიე, იარაღი დაადე და გამოდიო – დამიყვირეს. ასეც მოვიქეცი. მომიახლოვდნენ და ხელები ქამრით შემიკრეს. იქიდან პირდაპირ პოლიციის განყოფილებაში წამიყვანეს. სკამზე დამაბეს, პარკეტით, სკამის ფეხებითა და „დუბინკებით“ მცემეს. მეორე დღეს დენი ჩამირთეს ყურებზე და გაუპატიურებით, ხან კი მოკვლით მემუქრებოდნენ. ჩემგან სოფელ კახათში, ფაჟავების ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმასა და მკვლელობის აღიარებას მოითხოვდნენ. ამდენი წამების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, მაიძულეს, მათთვის სასურველი ჩვენება დამეწერა. მათივე კარნახით დავასახელე თანამონაწილეებად გიგა თორია და ჩემი ბიძაშვილი ლევან მებონია. სინამდვილეში, არც მე და არც ჩემს მეგობრებს არანაირი დანაშაული არ ჩაგვიდენია. პირველად იარაღი ხელში სწორედ 17 მარტის ღამით მეჭირა, როცა პოლიციამ დამაკავა“.

პროკურატურა წოწორიას ყოველ სიტყვას უარყოფს. გამოძიების მტკიცებით, მას და მის მეგობრებს – აწ გარდაცვლილებს – თაკალანძესა და ბარქაიას, ასევე გიგა თორიას, ლევან მებონიას, გიზო ჩემინავას და ზვიად შამუგიას განზრახული ჰქონდათ ფაჟავების ოჯახიდან 400 კილოგრამამდე თხილი წაეღოთ, შემდეგ მისი რეალიზება მოეხდინათ და აღებული თანხა ერთმანეთში გაენაწილებინათ. საამისოდ, გამოძიების მასალების თანახმად, მიზნის განსახორციელებლად 11 პოლიეთილენის ტომარაც წაიღეს. მოკლულის შვილის ირაკლი ფაჟავას თქმით, თავდამსხმელი 5 იყო, პროკურატურის მასალების თანახმად კი – 7.

დასახელებულ პირთაგან სამართალდამცავებს მხოლოდ წოწორია ჰყავთ დაკავებული. პროკურატურამ მას ყაჩაღობასა და იარაღის უკანონო ტარებაში დასდო ბრალი. შამუგია, ჩემინავა, თორია და მებონია კი, როგორც ზუგდიდის რაიონულ პროკურატურაში ამბობენ, იძებნებიან. თუმცა ამ განცხადებასაც

«დ ე ლ ტ ა»
მეტალოპლასტმასის
ძარ-ფანჯრებისა და
ლამინირებული ავეჯის
დამზადება
ბრტყელი გადახურვები
ფასს: გლადიძის ქ.№9 ტ: 92 32 08; 92 14 95.

ეჭვის თვალით უყურებს ადვოკატი ვილერი წოწორია. მისი ვარაუდით, პროკურატურა სასამართლო განაჩენს ელოდება და თუ იური წოწორიას დამნაშავედ ცნობენ, ანუ მის გამოძიებაში მიცემულ ჩვენებას დაადასტურებენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში დააკავებენ ზემოთ ხსენებულ პირებს.

რაც შეეხება მკვლელობას, გამოძიების მასალებში არსებული წოწორიას ჩვენების მიხედვით, ელისო ქირია-ფაჟავას გიზო ჩემინავამ ესროლა. სამართალდამცავები აცხადებენ, რომ წოწორია და მისი მეგობრები 17 მარტს ღამით, დაბადების დღეზე კი არა, მორიგი ყაჩაღური თავდასხმის განსახორციელებლად მიეშურებოდნენ.

წოწორიასა და გამოძიების მასალებში დასახელებულ სხვა პირთა დანაშაულში დაზარალებულის მხარეს ეჭვი არ ეპარება. ამის საფუძვლად ისინი პოლიციის მიერ ამოღებულ ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღთან ერთად წოწორიას მიერ გამოძიებისთვის მიცემულ აღიარებით და თან დეტალურ ჩვენებაზე მიუთითებენ.

ვილერი წოწორია:

„ეს ჩვენება მართლაც დეტალურია და მისი შედგენა დაზარალებულის ჩვენების მიხედვით პროკურატურის თანამშრომლებს არ გასჭირვებიათ. დღეს ამ ცრუჩვენებას ბრალდების მხარე ერთ-ერთ ძირითად მტკიცებულებად ასახელებს და რეაგირების გარეშე ტოვებს ყოველ საბუთს, რომელიც წოწორიას უდანაშაულობას ადასტურებს. აღსანიშნავია, რომ შემთხვევის დღეს – 28 თებერვლის საღამოს, ზუსტად იმ დროს, როცა ფაჟავებს აყაჩაღებდნენ, იური წოწორია მეზობელ სოფელში, ხუნწში იმყოფებოდა. მანამდე კი, – 22-დან 26 თებერვლის საღამომდე – სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთში ახლობლის ქორწილში. ამის დამადასტურებელი ვიდეოკასეტაც არსებობს. აქედან გამომდინარე, ყოვლად წარმოუდგენელია, მას ყაჩაღობის განზრახვა თანამზრახველებთან შეეთანხმებინა და დანაშაული ჩადინა. პროკურატურას, რა თქმა უნდა, ხელს არ აძლევს ამ მნიშვნელოვან საბუთზე ყურადღების გამახვილება. ამას თან ერთვის დაზარალებული მხარის აგრესიული განწყობა წოწორიასადმი. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში სასამართლო სხდომები დაძაბულად და დაზარალებულთა წივილ-კივილისა და მუშტების ქნევის ფონზე მიმდინარეობს“.

პროკურატურა ადვოკატის მიერ ხსენებულ ვიდეოკასეტას საკმარის მტკიცებულებად არ მიიჩნევს, რადგან სამართალდამცავთა აზრით, წოწორიამ დანაშაულის შესახებ მეგობრებთან ქორწილიდან დაბრუნების შემდეგ მოილაპარაკა. ზუგდიდის რაიონის პროკურორმა მურთაზ ნარმანიამ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით კომენტარზე უარი გვითხრა, აღნიშნა – წოწორიას დამნაშავეობის საკითხს სასამართლო გადაწყვეტსო.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, იური წოწორია წარსულში ნასამართლევი არ გახლდათ. 8 წლისა იყო, როცა დედა გარდაეცვალა. მას შემდეგ, 3 ძმასა და 4 დასთან ერთად იგი მამამ – ენუქი წოწორიამ გაზარდა. მოგვიანებით, და-ძმები ოჯახიდან წავიდნენ, სხვა სოფელში გადავიდა საცხოვრებლად ენუქი წოწორიაც და მამისეულ სახლში იური მარტო დარჩა. როგორც ამბობენ, მას ნათესავები ეხმარებოდნენ. პროკურატურა ირწმუნება, რომ სწორედ ამ პერიოდში ასცდა ის ცხოვრების სწორ გზას, თუმცა ამას წოწორიას ოჯახის წევრები და ახლობლები უარყოფენ. ბრალდებისა და დაზარალებულის მხარეები განსასჯელის, კანონის მთელი სიმკაცრით დასჯას მოითხოვენ, ადვოკატი კი წოწორიას დასაცავად ყველა ზემდგომ ინსტანციაში ჩივილს აპირებს.

■

განსასჯელი 6 წლის წინ მომხდარ დანაშაულში მონაწილეობას უარყოფს

უზენაესი სასამართლო 6 წლის წინ მომხდარი მკვლელობის საქმის განხილვას იწყებს. განსასჯელი 23 წლის გურამ ლომჯარია გახლავთ. 1998 წელს შარიფაშვილების ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმისა და მკვლელობის გამო, სამართალდამცავებმა ლომჯარიაზე ძებნა 1999 წელს გამოაცხადეს, თუმცა მხოლოდ წელის 20 თებერვალს დააკავეს. პროკურატურამ მას ყაჩაღობისა და მკვლელობის მუხლები მიუყენა. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მის მიმართ ბრალდების წაყენება, დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა აღიარებითი ჩვენებების საფუძველზე მოხდა. ამჟამად უკვე მსჯავრდებულები – მაისაშვილი და ყიფშიძე, წინასწარი გამოძიების პერიოდში, თანამონაწილედ ასახელებდნენ ლომჯარიას. მაგრამ სასამართლოში მათ ეს უარყვეს და შესაბამისად, პროკურატურის მიერ მიყენებული მუხლიც – არასრულწლოვნის (ლომჯარია მაშინ 17 წლის იყო) დანაშაულში ჩაბმა – მოეხსნათ.

„რადგან მაისაშვილსა და ყიფშიძეს ეს მუხლი მოუხსნეს, გამოდის, რომ ლომჯარიას დანაშაულში არ მიუღია მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ შეწყვეტილა. ბრალის დამადასტურებელი რაიმე არგუმენტი და საბუთი საქმეში არ დევს. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ გურამ ლომჯარიაზე წლების მანძილზე, ძებნა იყო გამოცხადებული, მან კი ამის შესახებ არაფერი იცოდა. ჩვეულებრივად ცხოვრობდა სახლში, ქუჩაშიც დადიოდა, პოლიციას კი მისთვის ერთხელაც არ მიუკითხავს. არც მისი, როგორც არასრულწლოვნის მშობლები გაუფრთხილებია ვინმეს – თქვენს შვილს სისხლის სამართლის დანაშაულისთვის ვეძებთო. ერთი სიტყვით, მას არავინ ეძებდა. წელს კი პროკურატურაში ვიღაცას მისი დაჭერა დასჭირდა და დააკავეს“, – აცხადებს ადვოკატი **დავით ზაჭაპურიძე**.

საქმის მასალების თანახმად, მოკლულ მამაკაცს ერთი ჭრილობა აღენიშნებოდა, რომელიც ექსპერტების თქმით, ბასრი საგნით ჰქონდა მიყენებული. შემთხვევის ადგილიდან მკვლელობის იარაღი არ ამოუღიათ.

■

ფრაზები გენიალური

ნებისმიერი მკვლელი ვიღაცის კარგი მეგობარი ან ნაცნობი მაინცაა.

აგატა კრისტი

„ამ მკვლელობაში მხოლოდ ორი ადამიანი არ არის დამნაშავე“

2004 წლის 27 იანვარს დილით, ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითში, მდინარე ძირულას ნაპირზე, მოკლული მამაკაცის გვამი იპოვეს. ის 33 წლის დათო ავაკიანი აღმოჩნდა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა თქვეს, რომ ავაკიანი თავის არეში ბლაგვი საგნის ჩარტყმით იყო მოკლული. როგორც გამოძიებამ დაადგინა, მკვლელობის იარაღად მკვლელმა ქვა გამოიყენა. ამ საშინელი მკვლელობისთვის ამჟამად ხარაგაულის რაიონის მკვიდრებს თედო მუმლაძესა და კობა ბარბაქაძეს ასამართლებენ. პროკურატურის მტკიცებით, თედო მუმლაძემ დათო ავაკიანი დაყაჩაღების მიზნით მოკლა, 489 ლარი ამოაცალა, გვამი კი მდინარის პირას მიაგდო. შემთხვევის ადგილზე იმ დროს, კობა ბარბაქაძეც იმყოფებოდა, თუმცა პროკურატურამ მას მხოლოდ ძარცვის მცდელობის მუხლი მიუყენა.

წინასწარი გამოძიების პერიოდში, მუმლაძემ დანაშაული აღიარა, მაგრამ ამჟამად ყველაფერს უარყოფს. ბარბაქაძე კი თავს დამნაშავედ არ ცნობს. რაც შეეხება დაზარალებულს, ის ეჭვობს, რომ მკვლელობა არა მარტო განსასჯელთა, არამედ საქმეში მოწმის სტატუსის მქონე პირის – ელდარ ბარბაქაძის კისერზეცაა.

ძეთევან ავაკიანი, მოკლულის და:

„ჩემი ძმა პატიოსანი და მშრომელი კაცი იყო. კონფლიქტი არასოდეს ჰქონია ვინმესთან. ცოლ-შვილი არ ჰყავდა, უვლიდა ავადმყოფ დას და ძალ-ღონეს არ იშურებდა, ოღონდაც მისთვის პრობლემები მოეგვარებინა. ამიტომაც დღე და ღამე შრომობდა, ხარაგაულის რაიონში ჩადიოდა, იქ შეშას ყიდულობდა და თბილისში ჩამოჰქონდა გასაყიდად. რაიონში ჩასვლისას, კობა და ელდარ ბარბაქაძეების ოჯახში ჩადიოდა. ერთხელ, მათ დათომ 500 დოლარი მისცა, სანაცვლოდ ბარბაქაძეებს ის შეშით უნდა მოემარაგებინათ. თუმცა, დრო გადიოდა, დაპირებული შეშა კი არსად ჩანდა. ბოლოს, დათომ ფული მოითხოვა. მთელი თანხა მაინც არ მისცეს, მხოლოდ ნაწილი გადაიხადეს. ამის შემდეგ, ჩემმა ძმამ სულ სხვა პიროვნებას მიაკითხა შეშისთვის, ფულიც ჰქონდა თან წაღებული. სწორედ მაშინ შეხვედრია ბარბაქაძეებს და როგორც ჩანს, იმ ვალთან დაკავშირებით შელაპარაკება მოუხდათ...

27 იანვარს კი, მკვლელობის შესახებ შევიტყვეთ. ამიტომაც ვთვლით, რომ ელდარ ბარბაქაძე შელაპარაკებისა და მკვლელობის უშუალო მონაწილეა. ამ მკვლელობაში მხოლოდ ორი ადამიანი არ არის დამნაშავე, საქმე ჯგუფურ დანაშაულთან გვაქვს. მან კი იმდენი მოახერხა, რომ ამ საქმიდან გამოძვრა და მთელი დანაშაული თავზე მუმლაძემ აიღო...“

პროკურატურა, ისევე, როგორც განსასჯელები და თავად ელდარ ბარბაქაძე, დაზარალებულის სიტყვებს უარყოფენ. ელდარ ბარბაქაძე მოწმის სახით სასამართლოს მომავალ კვირას მისცემს ჩვენებას.

■

კრიმინალური ავტორიტეტი თანამზრახველებთან ერთად აიყვანეს

როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, კრიმინალური ავტორიტეტი, ქურდული ტრადიციების მიმდევარი და ყაჩაღური, შეიარაღებული დაჯგუფების ორგანიზატორი და ლიდერი – ირაკლი საბანაძე, მეტსახელად კორა დააკავეს. გლდანი-ნაძალადევის რაიონის შს სამმართველოს თანამშრომლებმა მასთან ერთად აიყვანეს ამავე დაჯგუფების 5 წევრი: წარსულში ნასამართლევი მამუკა ჯოხაძე, დავით გელაშვილი, ნიკოლოზ ბერუაშვილი, კახაბერ ყანჩელაშვილი და თეიმურაზ ტეფნაძე. სამართალდამცავებმა აგრეთვე დაადგინეს ბანდის მიერ განხორციელებულ დანაშაულებში მონაწილე 2 პირის ვინაობა. ესენი არიან: მიხეილ ადეიშვილი და ვალერი ბერუაშვილი. აღნიშნული პირები მოქალაქეებზე თავდასხმებსა და სხვა ყაჩაღობებში არიან ეჭვმიტანილი.

■

სააკაშვილზე ტერაქტის მცდელობაში მხილებული მსხალაძე ახალ ბრალდებასაც უარყოფს

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ედნარ მსხალაძის სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაიწყო. ამჯერად მას ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებაში ადანაშაულებენ. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის აპრილში ედნარ მსხალაძე უშიშროების სამინისტრომ მიხეილ სააკაშვილზე ტერორისტული აქტის მოწყობის მცდელობის ბრალდებით დააკავა. მსხალაძემ მაშინ ტელევიზიის საშუალებით აღიარებითი ჩვენება მისცა და აღნიშნა, რომ ტერაქტის მოწყობას მას ასლან აბაშიძის გარემოცვა აიძულებდა. ედნარ მსხალაძე საქართველოდან ასლან აბაშიძის წასვლის შემდეგ გაათავისუფლეს პატიმრობიდან. მაგრამ ერთი თვის შემდეგ, აჭარის შს სამინისტროს თანამშრომლებმა ის კვლავ დაიკავეს. პროკურატურამ მას ტერორიზმის მუხლი მოუხსნა, თუმცა განსასჯელის ადვოკატი აცხადებს, რომ მსხალაძე არც იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებაში ცნობს თავს დამნაშავედ. ბრალდების დადასტურების შემთხვევაში, მსხალაძეს 3-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელის.

■

ექიმი-გინეკოლოგი ტრეფიკინგში ამხილეს

კახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა საგარეჯოს რაიონული საავადმყოფოს სამშობიარო სახლის ექიმი-გინეკოლოგი ტრეფიკინგში ამხილეს. სამმართველოს ინფორმაციით, 2004 წლის 10 ივლისს ექიმმა (მისი ვინაობა არ ხმაურდება) სოფელ იორმუღანლოში მცხოვრები, 35 წლის ქალი ამშობიარა, ახალშობილი ბიჭი კი, გამოძიებით დაუდგენელ პირს მიჰყიდა.

მომხდართან დაკავშირებით ძიებას კახეთის სამხარეო პროკურატურა აწარმოებს. როგორც სამართალდამცავები ამბობენ, ამჟამად ტარდება ღონისძიებები ახალშობილის გაყიდვის მოტივის, ბავშვის ადგილსამყოფლისა და დანაშაულში თანამონაწილეთა ვინაობის დასადგენად.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის
უშის წიგნაკიდან:

1. ტენცო წყლის პიტნაა.
2. ჯაჯა და ძერა სინონიმებია.
3. თოჯინა ბარბი 1959 წელს შეიქმნა.
4. მინიკაბა 1965 წელს შემოვიდა მოდაში.
5. ლინო ვენტურა ერთადერთ ფილმში კოცნის ქალს.
6. ილიას მკლელობის დღეს, მის ეტლს თედო ლაბაური მართავდა.
7. ხიროსიმაში ატომური ბომბი პოლკოვნიკმა კლოდ იზერლიმ ჩამოაგდო.
8. ტიციან ტაბიძეს გულის ჯიბესთან მიხაკი ჰქონდა ხოლმე დამაგრებული.
9. ამერიკის ქალაქ ჰანიბალში ტომ სოიერსა და ჰეკლბერი ფინს ძეგლი დაუდგეს.
10. ჟაკლინ კენედი თავის მეორე ქმარზე არისტოტელე ონასისზე 23 წლით უმცროსი იყო.
11. ზანზიბარელი მეომრები ბრძოლის წინ, საბრძოლო სპილოებს სპირტიან სასმელებს ასმევდნენ.
12. „ჩვენი სამშობლო საფრანგეთი, ერთი ქალის მიერ გულით, სინაზით, ცრემლებითა და სისხლით არის ნაშობი“ – ამბობენ ფრანგები ჟანა დ'არკის შესახებ.
13. ილია ჭავჭავაძის მეუღლემ ოლღა გურამიშვილმა ილიას სიკვდილიდან 20 წლის შემდეგ, მარტოობაში დალია სული.
14. ვარშავის აღების შემდეგ, სუვოროვმა სამსიტყვიანი წერილი გაუგზავნა ეკატერინე მეორეს: „ურა, ვარშავა ნაშა!“ ეკატერინე მეორემ სამი სიტყვითვე მიულოცა: „ურა, ფელდმარშალ სუვოროვ!“
15. პეტრე პირველმა რუსული ფლოტის შენება პირველად, ვორონეჟში დაიწყო. თუმცა, ბალტიის ზღვაზე მოგვიანებით აშენებული ფლოტი უფრო გამძლე აღმოჩნდა, რადგანაც მტკნარ წყალში ხე უფრო სწრაფად ლპება, ვიდრე მარილიან წყალში.
16. 1941 წლის 8 ნოემბერს წარმოთქმულ თავის გამოსვლაში ჰიტლერმა მოულოდნელად განაცხადა: „მე არასოდეს მიხმარია გამოთქმა – „ბლიცკრიგი“, რადგან ეს სრულიად იდიოტური სიტყვაა“. P.S. კი, აბა!...
17. საზღვარგარეთ იმ ავტომობილების სამართავად, რომელთა სიჩქარე 45 კმ/სთ-ს არ აღემატება, მართვის მოწმობა სავალდებულო არ არის.
18. ინგლისელი რაინდების ტრადიციამ – მარჯვენა ხელი ყოველთვის თავისუფალი ჰქონოდათ საბრძოლველად,

რით აშინებს დათო დოიაშვილს სცენაზე დგომა?

რამდენიმე თვის წინ, მუსკომედიის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად რეჟისორ დათო დოიაშვილის დანიშვნამ მისი დასის ერთი ნაწილის გულისწყრომა გამოიწვია. ახლა თეატრში ნორმალური სამუშაო ატმოსფერეა. სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებთან ერთად სეზონის გახსნისათვის ინტენსიური მზადება მიმდინარეობს. დასი ნოემბერში 2 პრემიერით წარდგება მაყურებლის წინაშე. სეზონი ალბერტ კამიუს პიესით — „ქალაქი ალყაში“ და რასინის „საქორწინო გაგებით“ გაიხსნება. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ კი, თეატრის მეორე სცენაზე (რომელიც ჯერ დამთავრებული არაა) ნაჩვენები იქნება მიუზიკლი, რომლის დადგმასაც დათო დოიაშვილი უკვე რამდენიმე წელია, აპირებს. მაგრამ იმის გამო, რომ თბილისში მსგავსი მიუზიკლისთვის საჭირო სცენა არ არსებობს, ამ გეგმის ხორცშესხმა ვერ მოახერხა. „სპექტაკლის წარმატებისთვის ყველაზე მთავარი, სწორად განაწილებული როლებია, რეჟისორის გემოვნებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული“, — მითხრა ინტერვიუს დასაწყისში რეჟისორმა და შემდგომ, უკვე გემოვნების სხვა მხარეებზე საუბარი გავაგრძელეთ.

მერი კობიაშვილი

— დათო, რა არის საჭირო იმისთვის, რომ სახლში თავი კომფორტულად იგრძნოთ?

– ჩემთვის აბსოლუტურად ყველაფერს აქვს მნიშვნელობა – ავეჯის ფერს, პარკეტის ფაქტურას... პირველ რიგში კი, აუცილებელია, რომ სახლში იყვნენ კეთილი ადამიანები, რომლებიც დადებით განწყობას გიქმნიან.

— ბინა თქვენი გემოვნებით მოაწყვეთ?

– ბინა, სადაც ახლა ვცხოვრობ, ჩემი მშობლებისაა, ამიტომ იქ ყველაფერი მათი გემოვნებითაა მოწყობილი.

— საკუთარი ბინის შეძენას არ აპირებთ?

– ბინა უკვე შეძენილი მაქვს, რომელიც დასრულებულ სახეს ნოემბერში მიიღებს. ვამჯობინებ, რომ ბინის მოწყობა მეუღლეს მივანდო. მხოლოდ პატარა რაღაცებში შეიძლება, კორექტივები შევიტანო.

— თქვენი აზრით, ადამიანს გემოვნებას გარემო პირობები უყალიბებს?

– ვფიქრობ, გემოვნება არ ჰგავს ნიჭს, რომელიც ან გაქვს, ან – არა. ყველა ადამიანს შეუძლია, მიაღწიოს იმას, რომ

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

გემოვნება ნელ-ნელა დაეხვეწოს. ეს ადვილი არ არის, მაგრამ მისი მიღწევა შეიძლება. გემოვნების ჩამოყალიბება დამოკიდებულია არა იმდენად გარემოზე, რამდენადაც ცხოვრების სტილზე. გააჩნია, ადამიანი რა ცხოვრებას ირჩევს, რა უნდა და რა მოთხოვნები აქვს.

— ამბობენ, გემოვნებაზე არ დაობენო. ეთანხმებით ამ გამონათქვამს?

— ეს არის მტკნარი სიცრუე. სფერო, სადაც მე ვმუშაობ (ხელოვნება) ის ადგილია, სადაც სწორედ გემოვნებაზე კამათობენ.

— გემოვნების ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს ლიტერატურის კითხვა. ბავშვობაში რას კითხულობდით?

— ამ მხრივ ძალიან გამიმართლა: ფილოლოგთა ოჯახში გავიზარდე. მშობლები იმაში მეხმარებოდნენ, თუ რა და როგორ უნდა წამეკითხა. თუმცაღა მახსოვს, ბავშვობაში „ჯრაფ მონტე კრისტოზე" მეტად „მგლის ბილიკი" მომწონდა. ეს წიგნი ჩემს ბავშვობაში ბესტსელერად ითვლებოდა. დღეს რომ ვკითხულობ, მის მიმართ აბსოლუტურად სხვა დამოკიდებულება მიჩნდება, მაგრამ მაშინ, მშობლებს არ ვუჯერებდი, რომლებიც მირჩევდნენ, რომ მის ნაცვლად, ნამდვილი კლასიკა მეკითხა.

— რომელიმე ლიტერატურულმა გმირმა განსაკუთრებული გავლენა თუ მოახდინა თქვენზე?

— ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენმა". არ ვიცი, ასე რატომ მოხდა. შეიძლება იმიტომ, რომ ძალიან პატარა ვიყავი, როდესაც ეს წიგნი წავიკითხე, ან ის „სენტიმენტი", რომელიც ამ წიგნშია, ჩემთვის ძალიან ახლობელი იყო. მახსოვს, მარტინ იდენის ბედი ძალიან განვიცადე.

— თეატრით პირველად როდის დაინტერესდით?

— ბავშვობიდან დავყავდი მშობლებს თეატრში. თითქმის ყველა პრემიერას ვესწრებოდი. მაშინ ამ მხრივ, ქალაქში ბევრად უფრო საინტერესო ცხოვრება იყო, ვიდრე დღეს არის. მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ მესამე კლასიდან მნდომებია რეჟისორობა. ამ აღმოჩენით ძალიან ბედნიერი და გაკვირვებული დავრჩი. ჩემს მასწავლებელს დაუწერინებია თემა — „რა მინდა, რომ გამოვიდე" (ეს ჩემთვის პირველი თავისუფალი თემა იყო), რომელზეც 4 წინადადებით მიპასუხია. იქ მიწერია: მე მინდა, გამოვიდე კეთილი ადამიანი. მინდა, გამოვიდე თეატრის რეჟისორი-მეთქი. თეატრის რეჟისორი გამოვედი, კეთილი ადამიანის გარანტიას და პირობას კი ვერ მოგცემთ...

— გარშემო მყოფები რას ამბობენ — კეთილი ადამიანი ხართ?

— ჩემი პროფესია ძალზე სუბიექტურია და თავისთავად ვერ ვიქნები კეთილი. როცა დასში, ვთქვათ, 368 ადამიანი გყავს და იქიდან მხოლოდ ერთი უნდა დაამტკიცო ჰამლეტის როლზე, ცხადია, 367 ადამიანს გული ეტკინება..

— რეჟისორები ხანდახან სცენაზე თამაშზე ოცნებობენ. თქვენ ამის სურვილი არასდროს გაგჩენიათ?

— მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ყველა რეჟისორი არშემდგარი მსახიობია. ისინი უბრალოდ, ცუდი მსახიობები არიან. ჩემი ჩათვლით, რასაკვირველია.

— ამის გამო გული არ გწყდებათ?

— ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ გავედი სცენაზე, ისიც — ბატონი მიშა თუმანიშვილის დაჟინებული მოთხოვნით. სტუდენტებს გვეუბნებოდა — უბრალოდ, გადით სცენაზე, რომ იცოდეთ, ეს რას ნიშნავსო. საწარმოო პრაქტიკაზე წავიკითხე ნაწყვეტი დავით კლდიაშვილის „ბაკულას ღორებიდან". ამაზე

თეატრის რეჟისორი გამოვედი, კეთილი ადამიანის გარანტიას და პირობას კი ვერ მოგცემთ...

— ინგლისში საგზაო მოძრაობა მარცხენა მხარეს დაამკვიდრა.

19. პენტაგონის შენობაში ორჯერ მეტი საპირფარეშოა, ვიდრე საჭიროა. საქმე ის გახლავთ, რომ შენობა 1940 წელს აშენდა, იმ დროს კი თეთრკანიანები და ფერადკანიანები სხვადასხვა საპირფარეშოთი სარგებლობდნენ.

20. რომის იმპერატორმა კლავდიუსმა სიკვდილით დასაჯა აპიუს სილანუსი მკვლელობისთვის, რომელიც მას არ ჩაუდენია. მკვლელობა საერთოდაც არ მომხდარა. კლავდიუსი მისმა გათავისუფლებულმა მონამ ნარცისმა და მისმა ცოლმა მესალინამ დაარწმუნეს — სიზმარში ვნახეთ, სილანუსი როგორ გვკლავდაო.

21. ერთმა საბჭოთა ავტომოყვარულმა 2222 საგნისგან შექმნა სურათი, რომელსაც „2222 წყევლა" უწოდა. საგანთა შორის იყო: ლურსმნები, ჭანჭიკები, შურუპები, გიტარის სიმი, ფეხსაცმლის ლურსმანი, სტომატოლოგიური ბურღები, აკაციის ეკლები და ა.შ. ყველა ეს საგანი სხვადასხვა დროს დაშვებული საბურავებიდან იყო ამოღებული.

22. სახელგანთქმული მწერალი ჰანს-ქრისტიან ანდერსენი ძალზე უხეიროდ იცვამდა. ერთხელ, რომელიღაც გამვლელმა დაცინვით ჰკითხა: „და ამ უბადრუკ ნივთს, თავზე რომ გახურავთ, თქვენ ქუდს ეძახით?.." — „თქვენ კი, თქვენი ქუდის ქვეშ მდებარე უბადრუკ ნივთს თავს ეძახით?.." — კითხვა შეუბრუნა ანდერსენმა.

23. 1929 წლის 25 ივლისს, როდესაც ვატიკანის სახელმწიფო შეიქმნა და რომის პაპს საკუთარ სამფლობელოში გადაადგილების საჭიროება გაუჩნდა, ფირმა „ფიატმა" მას ავტომობილი მიუძღვნა, რომელშიც მხოლოდ ერთი — მძღოლისთვის განკუთვნილი ადგილი იყო.

24. ახლო წარსულში, ლონდონის აუქციონზე 12 ათას დოლარად გაიყიდა 1912 წელს გამოშვებული სარეკლამო პლაკატი, რომელიც გემ „ტიტანიკზე" სასიამოვნო და უხიფათო კრუიზში იწვევდა ტურისტებს.

25. 1911 წლის აგვისტოში საფრანგეთის მთელი პოლიცია ლუვრიდან მოპარულ „ჯოკონდას" დაეძებდა. ეძებდნენ ყველგან — საგიჟეთშიც კი, სადაც რამდენიმე პაციენტი ჯოკონდას საყვარლად ასაღებდა თავს. ნახატი მხოლოდ 1913 წლის დეკემბერში იპოვეს.

შვილების გემოვნების ჩამოყალიბებაზე ჩემი მეუღლე ზრუნავს. მე აბსოლუტურად მჯერა ქეთისი და ვენდობი მას...

უფრო საშინელი გრძნობა ცხოვრებაში არ განმიცდია. მივხვდი, რომ უბედნიერესი ადამიანი ვიყავი, სცენაზე გასვლა რომ აღარ მომიწევდა და ეს საშინელი განცდა აღარ დამეუფლებოდა.

— მაინც რა განცდამ შეგაძულათ სცენაზე გასვლა?

— როდესაც სცენაზე დგახარ, გგონია, რომ უამრავი პროჟექტორია შენზე მონათებული, მათ მიღმა კი, სიბნელე ჩანს და მხოლოდ და მხოლოდ შენზეა დამოკიდებული, ამ სიბნელეში მჯდომი მასა გაიცინებს, გაიტრუნება თუ იტირებს. ამიტომ უზარმაზარ პასუხისმგებლობას გრძნობ, სცენაზე მდგომი. მაყურებელი კი შავ ურჩხულს ჰგავს, რომელმაც შეიძლება, გადაგყლაპოს. ასე რომ, სცენაზე გამოსვლის სურვილი არასდროს გამიჩნდება.

— ამ ბოლო დროს, თბილისში ბევრი კონცერტი თქვენი რეჟისორობით მომზადდა. ქართულ ესტრადას თუ უსმენთ?

— ქართული ესტრადის მოსმენა შარშან დავიწყე, როცა გარე (ე.ი. არათეატრალურ) პროექტზე ბევრი შეკვეთა მქონდა, ისიც იმიტომ, რომ ეს აუცილებელი იყო. ესტრადა მასობრივი ხელოვნებაა. მომწონს, რომ ის ჩვენში გაჩნდა. ჩემს ახალგაზრდობაში, ქართული ესტრადა დასაცინი იყო. მთელი საქართველო გადასული იყო „სტიუარდესა ჟანაზე". კარგია, რომ ქართული სიტყვა გაჩნდა ესტრადაზე. მეორე საკითხია. თუ როგორ გამოსდით სიმღერა ქართველ მომღერლებს... მაგრამ იმედი მაქვს, რომ დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

— მეუღლეზეც მოგვიყვით. შეგიძლიათ გაიხსენოთ, როგორ მოგხიბლათ ქეთი ენდელაძემ, რით გამოირჩეოდა სხვა გოგონებისგან?

— არსებობს გენიალური გამოთქმა: მე რომ შევძლო ერთ სიტყვაში გამოვთქვა სპექტაკლის იდეა, მაშინ ამ სპექტაკლს არ დავდგამდი... მე რომ ახლა მოგიყვეთ, თუ რატომ ავირჩიე ცხოვრების თანამგზავრად ჩემი მეუღლე, ყალბი ვიქნები.

— ვიცი, რომ გურმანი ხართ. როცა შინ ის საჭმელი არ გხვდებათ, რომელიც გიყვართ, როგორ იქცევით ხოლმე?

— ამ მხრივ, პრეტენზიული არ ვარ. თუ შინ არ არის ის საჭმელი, რომელიც მინდა, რესტორანში მივდივარ...

— საყვარელი კერძი თუ გაქვთ?

— ჩემთვის საჭმელი, ისევე, როგორც ოდეკოლონი ან ტანსაცმელი, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხასიათზე ვიღვიძებ. შეიძლება, ერთ დღეს იაპონურ რესტორანში მომინდეს წასვლა, ან ჩინურში... ეს ყველაფერი იმ დღის განწყობაზეა დამოკიდებული.

— თქვენ თვითონ თუ გეხერხებათ სამზარეულოში ტრიალი?

— შინ მარტო რომ ვიყო და შიმშილით ვკვდებოდე, საჭმლის გაკეთებას, რესტორანში წასვლას ვამჯობინებ. კარგად რომ გააკეთო, თუნდაც ერბოკვერცხის შეწვას ბევრი დრო სჭირდება. მე კი, რაშიც შრომას ჩავდებ, იმას ვეღარ შევჭამ.

— ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ საკუთარ სპექტაკლებსაც არ ნახულობთ?

— როგორც წესი — არა. პრემიერაზე ჩემს ოთახში ვზივარ და ხმით ვხვდები, კარგად მიდის სპექტაკლი თუ ცუდად. ასე იმიტომ ვიქცევი, რომ საკმარისია, ერთხელ მაინც ვნახო სპექტაკლი, რომ მისი ხელახლა დადგმა მომინდება ხოლმე.

— ოდესმე გაგიკეთებიათ სპექტაკლი თავიდან?

— მარჯანიშვილის თეატრში „მეფე ლირი" რომ დავდგი, ედინბურგის ფესტივალის პროდიუსერმაც ნახა. სპექტაკლი ძალიან მოეწონა. შემოგვთავაზა, ფესტივალზე წაგვეღო, ოღონდ — იმ პირობით, თუ ორსაათ-ნახევრამდე შევამცირებდით. სპექტაკლის „შეჭრა" დამთავრდა ხელახალი დადგმით, რომელსაც ფესტივალზე დიდი წარმატება ხვდა წილად. მაგრამ მე, სიმართლე გითხრათ, პირველი ვარიანტი უფრო მომწონდა.

— ხშირად გაქვთ საშუალება, სპექტაკლები უცხოეთშიც ნახოთ. შეგიძლიათ, გულწრფელად თქვათ, ქართველები ბევრად ჩამოვუვარდებით საერთაშორისო დონეს? სად უფრო გემოვნებიანი სპექტაკლები იდგმება?

— ფაქტია, რომ საზღვარგარეთ რეჟისორებს ათასჯერ მეტი ტექნიკური საშუალება აქვთ, ვიდრე ქართველებს. ჩვენ ვსხედვართ და ვფიქრობთ, ერთი თოკისგან როგორ გავაკეთოთ სასწაული. ამას წინათ, შემომთავაზეს ლონდონში „ზაფხულის ღამის სიზმრის" დადგმა. მე, რასაკვირველია, დავთანხმდი და ვკითხე, რამხელა ბიუჯეტი იყო გათვალისწინებული სპექტაკლისთვის. იმხელა თანხა დამისახელეს, ვიჯექი და ვფიქრობდი — როგორი დეკორაცია გავაკეთო, რომ ეს თანხა დაიხარჯოს-მეთქი?.. უცხოელი რეჟისორების მხოლოდ ასეთი ფუფუნებისა მშურს.

— თეატრში ძალიან დაკავებული ხართ. ფაქტობრივად, მთელ დღეებს რეპეტიციებში ატარებთ. თუ გრჩებათ დრო, რომ შვილების გემოვნების ჩამოყალიბებაში მიიღოთ მონაწილეობა?

— ეს პრობლემა ძალიან იოლად მაქვს მოგვარებული: მათი გემოვნების ჩამოყალიბებაზე ჩემი მეუღლე ზრუნავს. მე აბსოლუტურად მჯერა ქეთისი და ვენდობი მას...

■

ფრაზა გენიალური

სიდიადესა და კომიკურს შორის სულ ერთი ნაბიჯია.

ნაპოლეონ ბონაპარტე

უძრავი ქონების სეზონი დაიწყო

ჟურნალში იხილეთ: უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი, ტენდენციები, ფასები, პროგნოზები, პროფესიონალთა რჩევები... და რა თქმა უნდა, უამრავი განცხადება

ჟურნალშია — ორი სუპერრუბრიკა

განქორწინება ჩვენი ცხოვრებისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, რომელსაც უფრო და უფრო ხშირად ვაწყდებით, ზოგიერთი წყვილი განქორწინების სტადიაშიც კი ინარჩუნებს ნორმალურ, ადამიანურ ურთიერთობას, ანგარიშს უწევს ერთიმეორეს, ზრუნავს შვილების აღზრდასა და კეთილდღეობაზე. მამები კეთილსინდისიერად იხდიან იმ საარსებო მინიმუმსაც, რომელსაც მათ სასამართლო უწესებს. მაგრამ არიან წყვილები, რომლებიც გაყრისას მოსისხლე მტრებად გადაიქცევიან ხოლმე და ერთმანეთთან ბრძოლის იარაღად სწორედ შვილებს იყენებენ. მამები უარს ამბობენ დადგენილი ალიმენტის გადახდაზე, დედები მათ შვილებს უმალავენ...

ალიმენტი ძარცულად – ვინ ვის და რატომ უბრალოდ მას

ლელა ჭანკოტაძე

*რა არის ალიმენტი? ვინ, რატომ და როგორ უნდა გადაიხადოს იგი? რატომ ხდება ალიმენტი სასამართლო დავის მიზეზი? ამ საკითხებზე სასაუბროდ პირველად ადვოკატს – **ლარისა ზარნაძეს** მივმართეთ.*

– მშობლების მოვალეობაა, არჩინონ თავიანთი შვილები. ეს მოვალეობა თანაბრად აკისრია, როგორც მამას, ასევე დედას. განქორწინების შემთხვევაში, მხარე, რომელთანაც ბავშვი რჩება, მეორე მხარისგან ითხოვს ალიმენტის გადახდას. ალიმენტი წარმოადგენს მატერიალურ დახმარებას, ბავშვისთვის საკვების, ტანსაცმლისა და სასკოლო ნივთების შესაძენად. თუ ბავშვი ავად გახდება, კანონის თანახმად, მამამ დამატებითი ხარჯები უნდა გაიღოს. საქართველოში ალიმენტს უფრო ხშირად მამები იხდიან, რადგან განქორწინების შემდეგ, ბავშვები დედასთან ცხოვრობენ. თუმცა, არის გამონაკლისებიც. თუ სასამართლომ ბავშვი მამას მიაკუთვნა, ასეთ შემთხვევაში ალიმენტს დედა იხდის. კანონი ითვალისწინებს აგრეთვე, დახმარებას იმ ქალების მიმართ, რომლებსაც 3 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ. ყოფილი ქმარი ვალდებულია, გადაიხადოს ალიმენტიც და გარკვეული თანხაც ბავშვის დედისთვის, რადგან მას, როგორც მცირეწლოვანი შვილის პატრონს, მუშაობა არ შეუძლია.

— რა ოდენობის შეიძლება იყოს ალიმენტი?

– პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დღესდღეობით ალიმენტი ჩვეულებრივ, 50 ლარის ფარგლებშია. მთლიანად მოსამართლეზეა დამოკიდებული, თუ რა თანხას დანიშნავს. მან უნდა დაასახელოს ე.წ. „ზონივრული თანხა“, რომელიც მამის მატერიალურ მდგომარეობას ითვალისწინებს. მაგრამ არის შემთხვევები, როცა მამას არც ბინა აქვს და არც სამსახური. ასეთ დროს ის ალიმენტს ვერ გადაიხდის: თუ ქონება არა აქვს, ალიმენტს იძულების წესითაც ვერ გადაახდევინებენ. ასეთი კაცები ძალზე მომრავლდნენ. უფრო მეტიც – შვილებს ალიმენტი რომ არ გადაუხადოს, ზოგი თავის ბინას რომელიმე ახლო ნათესავის სახელზე აფორმებს; ხშირად, ეს ახლო ნათესავი, ბავშვის ბებია, მამიდა, ბიძა გახლავთ...

— ეი. ხშირია შემთხვევა, როცა მამები უარს აცხადებენ ალიმენტის გადახდაზე?

– თუ მამა თავს არიდებს ალიმენტის ნებაყოფლობით გადახდას, მაშინ აღმასრულებელი წერს განცხადებას პროკურატურის სახელზე, რათა მას თანხა იძულებით გადაახდევინონ. თუმცა, ბევრი ალიმენტს იძულებითაც არ იხდის. უწინ (კომუნისტური მმართველობის დროს) ასეთ მამებს იძულებით ამუშავებდნენ, ახლა პატიმრობაა გათვალისწინებული, მაგრამ ამ სასჯელის გამოყენება თითქმის არ ხდება.

— როცა მამა არ მუშაობს, სასამართლო მაინც აკისრებს ალიმენტს?

– აღმასრულებელი აღწერს მის ბინას; თუ ბინა არა აქვს – მის პირად ნივთებს. შემდეგ ხდება ამ ნივთების აუქციონზე გაყიდვა და ალიმენტი ასეთი სამარცხვინო გზით იფარება. იყო შემთხვევა, როცა მამაკაცი იძულებული გახდა, აუქციონზე გაეყიდა ბინა, რათა დაგროვილი საალიმენტო დავალიანება დაეფარა. შვილს უფლება აქვს, ხანგრძლივი პერიოდის შემდეგაც მოითხოვოს ბოლო 3 წლის ალიმენტი. ახლა მყავს კლიენტი, რომელიც უკვე 18 წლისაა. პირობითად ლევანი დავარქვათ. მშობლების განქორწინების დროს 4 წლის იყო. ბოლო 4 წლის განმავლობაში მამამ ალიმენტი არ გადაუხადა და დაგროვდა დავალიანება – საკმაოდ სოლიდური თანხა. მამამ შეიტანა სასამართლოში სარჩელი და მოითხოვა, რომ მოეხსნათ მისთვის საალიმენტო დავალიანება, ხოლო ალიმენტის ოდენობა 50 ლარიდან 20 ლარამდე შეემცირებინათ. მასთან ხანგრძლივი საუბარი მქონდა. მეუბნებოდა: უმუშევარი ვარ და ალბათ, 20 ლარსაც ვერ გადავიხდიო... მაგრამ სარჩელი გაიტანა. არ ვიცი, ასე რატომ მოიქცა – შერცხვა თუ იფიქრა, პროცესს წავაგებო. ერთ თვეში ეს კაცი გარდაიცვალა. მას მეორე ცოლი და მასთან ერთი ვაჟიშვილი ჰყავდა. ახლა, სწორედ ეს სამი ადამიანია მისი მემკვიდრე. მემკვიდრეობის მიღებისთანავე, კანონით, უნდა დაიფაროს საალიმენტო დავალიანება და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება მემკვიდრეობის სამად გაყოფა. ლევანმა და დედამისმა ბევრი იწვალეს, ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და ალიმენტსაც სრულად მიიღებენ. მაგრამ არსებობენ ქალები, რომლებიც ეგუებიან ყოფილი ქმრებისგან ალიმენტის გადაუხდელობას.

— საალიმენტო დავალიანების მიზნით აუქციონზე რა ქონება გააქვთ ხოლმე?

– ბოლო დროს, უფრო მეტი ქალი იბრძვის სიამისოდ, რათა შვილებს საარსებო მინიმუმი – ე.წ. ალიმენტი მიაღებინოს. უწინ ასე არ იყო. ქალები ხშირად, არც თხოულობდნენ ალიმენტს. თუმცა სასამართლო, განქორწინების შემთხვევაში, ბავშვებს ალიმენტის გარეშე არ ტოვებდა. ზოგიერთი ქალი ახლაც არ თხოულობს ალიმენტს და ყოფილი ქმრისგან ერთი თეთრის მიღებაზეც უარს აცხადებს.... რაც შეეხება აუქციონს – გაგვაქვს ურჩი გადამხდელის პირადი ნივთები, მასში ტანსაცმელი არ შედის. შეიძლება გაიყიდოს საწოლი, მაგნიტოფონი, ტელევიზორი, მობილური ტელეფონი და ა.შ. სულ ახლახან ერთი ურჩი მამის პირადი

ნივთების გაყიდვით 400 დოლარი შეგროვდა.

მძიმე სოციალური პირობების ფონზე, სულ უფრო იშვიათია შემთხვევა, როცა ქალი თავისი შვილისთვის ალიმენტის დანიშვნას არ მოითხოვს. ასეთი აღმოჩნდა ნათია. მისი ქმარყოფილი მირიანი წლების მანძილზე ამაოდ ცდილობდა, ყოველთვიური დახმარების მიღებაზე დაეთანხმებინა იგი. ვერაფერს რომ ვერ გახდა, სასამართლოს მიმართა...

ქალბატონი ნანა, *მირიანის დედა:*

— ჩემი შვილი და რძალი რომ გაიყარნენ, მეგონა, ამით მათი გაუთავებელი კინკლაობა დასრულდებოდა, ჩხუბსა და უსიამოვნებას ბოლო მოეღებოდა, მაგრამ შევცდი. ნათიამ ალიმენტი არ მოითხოვა. სასამართლოზე განაცხადა, რომ დამოუკიდებლად შეეძლო შვილის უზრუნველყოფა და ყოფილი ქმრისგან ალიმენტს არ მიიღებდა. მაშინ ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიგვიქცევია. მირიანმაც ჩათვალა, რომ სულაც არ იყო საჭირო სასამართლოს განესაზღვრა, თუ რა უნდა გაეკეთებინა შვილისთვის, ეს თვითონაც კარგად იცოდა. მაგრამ როცა ნათიამ შვილთან ურთიერთობა აუკრძალა, მაშინ ყველანი შევფიქრიანდით.

— ურთიერთობა რატომ აუკრძალა?

— ნათიას მშობლებს მირიანი თავიდანვე არ უნდოდათ სიძედ. ამას ისიც დაერთო, რომ სწორედ მისი ცუდი საქციელი გახდა ოჯახის დანგრევის მიზეზი: ჩემმა შვილმა სხვა ქალი შეიყვარა. ნათიამ, ცხადია, ეს ვერ აიტანა. ამიტომ აღარ უნდოდა მირიანის სახელის გაგონებაც კი. შვილს აღარ აჩვენებდა და რამდენჯერაც შინ მივაკითხეთ, იმდენჯერ მისმა მშობლებმა ლანძღვა-გინებით გამოგვისტუმრეს. ბავშვის მონატრება გაუსაძლისი გახდა. მირიანი ძალიან ნერვიულობდა და ყველა ღონეს ხმარობდა, პატარა ნიკუშა რომ ენახა. ასე გავიდა 6 თვე. ყველა ნაცნობი და ახლობელი ჩაერია საქმეში. ნათიას დაყოლიება შეუძლებელი აღმოჩნდა. მერე გავიგე, რომ თურმე, ჩემს შვილს ყოველთვიურად ფული მიჰქონდა და სახლის კართან, ფეხის საწშნდის ქვეშ დებდა. თავიდან ვერ გაიგეს, ფულს ვინ ტოვებდა, შემდეგ კი, ეს ფული მომიტანეს და მითხრეს: ნიკუშას მოღალატე მამისგან კაპიკიც არ უნდაო. მაგრამ მირიანმა მაინც არ დაიხია უკან. ყოველი თვის პირველ რიცხვში, დაახლოებით 100 დოლარი ნათიას, ერთსა და იმავე ადგილას ხვდებოდა, მაგრამ ოჯახის წევრის ან რომელიმე ახლობლის ხელით ყოველთვის უკან გვიბრუნებდა. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში. მოულოდნელად საშინელი რამ მოხდა. ნიკუშას მანქანა დაეჯახა. მომაკვდავი ბავშვი საავადმყოფოში მიიყვანეს. ნაცნობმა შეგვატყობინა: ბავშვი ცუდად არისო. მაშინვე საავადმყოფოში გავქანდით. ნათიამ ჩვენს დანახვაზე კივილი ატეხა, მირიანს ეცა და პერანგი შემოახია... იქ ჩხუბის ადგილი არ იყო. ამიტომ იძულებულები გავხდით, შინ დავბრუნებულიყავით. გვეგონა, ნათია დამშვიდდებოდა და მკურნალობის ხარჯებს მაინც გადაახდევინებდა ბავშვის მამას. ისევ მოვტყუვდით. მახსოვს, როგორ ბღაოდა მირიანი, მე რა მამა ვარ? — შვილი მიკვდება და მისთვის არაფრის გაკეთების უფლებას არ მაძლევენო!..

— მირიანს ამ დროს, მეორე ცოლი უკვე ჰყავდა?

— დიახ. როგორც კი ნათიას გაეყარა, ცოლი მაშინვე შეირთო. შვილიც შეეძინათ. მაგრამ არაფერი იცვლებოდა. ის ნიკუშას მამაც ხომ იყო და ვალდებულება მის წინაშეც ჰქონდა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა, სასამართლოში შეეტანა სარჩელი. სასამართლოს ძალით, მან შვილის ნახვის უფლება მოიპოვა. მაგრამ ნათიამ ალიმენტის მიღებაზე მაინც უარი თქვა. მოსამართლემ გვირჩია, მისთვის დაგვეთმო, ბანკში ანგარიში გაგვეხსნა და ყოველთვიურად ამ ანგარიშზე დაგვერიცხა თანხა... მართლაც, 10 წლის განმავლობაში მირიანს არც ერთი თვე არ გამოუტოვებია, ანგარიშზე რაღაც თანხა რომ არ გადაერიცხა. შარშან ნიკუშამ სკოლა დაამთავრა და სასწავლებლად ინგლისში წასვლა მოისურვა. ამისთვის საჭირო თანხა დედამისს არ აღმოაჩნდა. სწორედ მაშინ გამოადგა დაგროვილი ალიმენტი. უკვე 6 თვეა, რაც ლონდონში ცხოვრობს და სწავლობს. მირიანი ამით ძალიან ბედნიერია. ნათიას მადლობელიც არის, ალიმენტს რომ არ იღებდა, რადგან ახლა შვილისთვის სოლიდური დახმარების გაწევის შესაძლებლობა მიეცა.

მაგრამ რომ იცოდეთ, რამდენი ვინერვიულეთ მაგ ალიმენტის გამო...

მამების ნაწილი თავს არიდებს ალიმენტის გადახდას და ცდილობს, მუქარით აიძულოს ყოფილი ცოლი, მისგან მატერიალური დახმარება არ მოითხოვოს. ქალბატონი მარიკა თავისი 3 შვილით წლების მანძილზე ერთი სასამართლოდან მეორეში დადიოდა და სამართალს ეძებდა. ამაოდ ცდილობად, ქმარი ეიძულებინა, შვილებისთვის თუნდაც მიზერული თანხა ეხადა.

მარიკა, *39 წლის:*

— განქორწინების შემდეგ, საცხოვრებლად მამისეულ სახლში დავბრუნდი, სადაც ჩემი ორი ძმა ცხოვრობდა, თავ-თავისი ცოლებით და შვილებით. წასასვლელი სხვაგან არსად მქონდა. სასამართლომ ჩემს შვილებს უზარმაზარ ბინაში ერთი ოთახიც არ გამოუყო, რადგან სანამ გავიყრებოდით, ჩემმა ქმარყოფილმა სახლი დედის სახელზე გადააფორმა. შვილები ფაქტობრივად, ღია ცის ქვეშ დატოვა. ამან საშინლად იმოქმედა ჩემზე. წარმოიდგინეთ, 3 ბავშვით ხელში, უმუშევარი და უფულო ქალი რა მდგომარეობაში უნდა ვყოფილიყავი. თანაც, ძმები მეუბნებოდნენ — 3 შვილზე ალიმენტი რომ გადაიხადოს, 2 წელიწადში იმხელა თანხა მოგროვდება, რომ სოფელში პატარა სახლს იყიდიო... მეც დავიწყე დავა. მოსამართლემ 3 ბავშვზე 45 ლარი დააწესა — არადა, გვეგონა, რომ თითო ბავშვს 30 ლარს მაინც დაუნიშნავდნენ. მოსამართლეს შევეკამათე. მან პროცესის შემდეგ, დამიბარა და მითხრა: დარწმუნებული ვარ, შენი ქმარი ამ 45 ლარსაც არ გადაიხდისო...

— უფრო დიდი თანხა რატომ არ დააწესა?

— რადგან ჩემმა ყოფილმა ქმარმა საბუთები წარმოადგინა, რომ ბინა არ ჰქონდა და თან, უმუშევარი იყო... იმ დღეს, საშინლად აღშფოთებული ვიყავი. თვეში 45 ლარი 3 ბავშვს მხოლოდ პურის ფულად თუ ეყოფოდა, თან ვიცოდი, რომ ჩემს ქმარს ფულის პრობლემა არ ჰქონდა: ის და მისი მეგობრები სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობდნენ. ვფიქრობდი — ალბათ, ბავშვებს საჭმელს მაინც გამოუგზავნის-მეთქი, — მაგრამ განქორწინების შემდეგ შვილები აღარც კი გახსენებია. რაც ყველაზე სამწუხაროა, 45 ლარის გადახდაზეც უარი თქვა. შემომითვალა: რომც დამპატიმრონ, ამ ფულს მაინც არ გამოგიგზავნით, ჩემი შვილების ხარჯზე გინდათ იცხოვროთ შენ და შენმა ძმებმაო?.. თვეები გადიოდა, ის კი ალიმენტს არ იხდიდა. მეც სამსახურს ვერ ვშოულობდი, აღარ ვიცოდი, რა მექნა. ბოლოს, ადვოკატი ავიყვანე და ვიფიქრე, იძულების წესით გადავახდევინებ-მეთქი. მასთან საუბარი შეუძლებელი გახდა. ერთხელ ვკიბიდან ფული ამოიღო, დახია და გადაყარა — აქაოდა, ფული მაქვს, მაგრამ

მირჩევნია, დავხიო, ვიდრე თქვენ მოგცეთო.

— ბავშვები ამის გამო არ ნერვიულობდნენ?

— ერთხელ, უფროსმა გოგონამ მითხრა: მირჩევნია, მოვკვდე, ვიდრე ასეთი დამადლებული ალიმენტი მივიღოო... წლების მანძილზე, ერთი თეთრიც ვერ მივიღეთ. ვერც ადვოკატი დაგვეხმარა. მერე, როგორც ქალების უმეტესობა, სამუშაოდ მეც თბილისში ჩამოვედი. ქუჩაში ნამცხვარს ვატარებდი და ვყიდდი. გამიმართლა. ყოველდღე იმდენს ვაგროვებდი, რომ თვის ბოლოს, ჩემი შვილებისთვის 60-70 ლარი ჩამეტანა. სწორედ მაშინ გავიცანი ერთი ქალი, რომელსაც შვილი ადვოკატი ჰყავდა. მითხრა — შენს ქმარს კისერს მოუგრეხს, ისეთი ძლიერიაო... თურმე ადვოკატზე ძალიან ბევრი რამ ყოფილა დამოკიდებული. ის სოფელში წამომყვა და ჩემი შვილების ბებიას შეხვდა. ისე მკაცრად ელაპარაკა, რომ მგონი, შეაშინა კიდეც. მეორე დღეს, ქმარი ჩამისაფრდა. ისეთი ჩხუბი ამიტეხა, რომ მგონი, მზად იყო, მოვეკალი. მეც არ დავუთმე. დამარტყა. მეც დავარტყი. ბოლოს, სულ წინლები მირტყა. სახეც დალურჯებული მქონდა და სხეულიც. ექსპერტის ცნობა ავიღე და საჩივარი შევიტანე სასამართლოში. ამის გამო შეშინდა, მიხვდა, მისი საქციელით გამწარებული, სარჩელს არ გამოვიტანდი და სერიოზული პრობლემები შეექმნებოდა. შუაკაცი გამომიგზავნა. შემომითვალა, სარჩელი გამოიტანე და საალიმენტო დავალიანებას მთლიანად დავფარავო. დავალიანებამ მართლაც, დიდი თანხა შეადგინა. წელიწადში 540 ლარი გროვდებოდა. მას კი 4 წლის მანძილზე, ერთი თეთრიც არ ჰქონდა გადახდილი. მოვილაპარაკეთ. საავადმყოფოში 1.000 ლარი გამომიგზავნა. დანარჩენი ფული 3 თვეში უნდა დაეფარა. სარჩელი გამოვიტანე. მან სიტყვა გატეხა და აღარაფერი გადაიხადა. მითხარით, ასეთ კაცთან ცხოვრებას, განქორწინება ხომ ნამდვილად სჯობდა?!.

მაინც, რატომ არ იხდიან ალიმენტს მამები? რატომ ამბობენ უარს შვილების საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფაზე? რატომ იქცევა მოსიყვარულე მამა განქორწინების შემდეგ, „ყინულის კაცად“? გვესაუბრება ფსიქოლოგი ***გიორგი ნაფეტვარიძე:***

— სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როცა მამები განქორწინების შემდეგ შვილების მიმართ ცივები, გულგრილები და ზოგჯერ ძალზე მკაცრები ხდებიან. არცთუ ისე იშვიათია შემთხვევა, როცა მამაკაცი თვეების განმავლობაში აღარ ნახულობს შვილებს, თითქოს მათი არსებობაც აღარ ახსოვს. სწორედ ასეთ დროს ისმის ფრაზები: დედა ასე არ მოიქცეოდა, მამაკაცს თუ ქალი აღარ სურს, არც მისი შვილები უნდაო, — და ა.შ. ამაში სიმართლის მარცვალი არის, თუმცა, ყველა მამაკაცზე მისი გავრცობა არასწორი იქნებოდა.

— მაშ, რა ხდება განქორწინების შემდეგ? მამა, რომელიც შვილებს „ჩიტის რძეს“ არ აკლებდა, რატომ ამბობს უარს მიზერული ალიმენტის გადახდაზე?

— ჩვენი აზრები გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე. ისინი ხან გვეხმარება, ხან გვთრგუნავს. აზროვნების ჩვენთვის დამახასიათებელი სტილი, ჩვევა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რეალობის ჩვენეულ ხედვას და მომავალში მოსალოდნელ მოქმედებებს. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ რაიმე საქმეს ასეთი აზრით ჰკიდებთ ხელს: „ასეთი აზრი ხშირად უსაფუძვლოა, მათ შედეგი არ მოჰყვება“. ასეთი აზრი ხშირად იპყრობს განქორწინებულ კაცს. ის ფიქრობს: „ალიმენტის გადახდას რა აზრი აქვს? დედამისი დახარჯავს, ბავშვს არ მოახმარს“ — ან „ფულს ტყუილად ვყრი, შვილებს ვძულვარ, რადგან დედა მათ ჩემს თავს აძულებს“. სწორედ ამ აზრების ტყვეობაშია მამაკაცი. მას აზროვნების შეცვლა სჭირდება. განქორწინება ისეთი რთული და მნიშვნელოვანი პროცესია, რომ აუცილებელია ფსიქოლოგების სერიოზული ჩარევა, რაც ჩვენში სამწუხაროდ, არ ხდება. რადგან მამაკაცს ქალზე გაცილებით სუსტი ფსიქიკა აქვს, განქორწინების შემდეგ სწორედ მას სჭირდება უფრო აქტიური ფსიქოლოგიური დახმარება. ასეთ შემთხვევაში გაცილებით ნაკლები იქნებოდა ურჩი მამების რიცხვი.

ჩემი რესპონდენტი იმ იშვიათ ადამიანთა რიგს განეკუთვნება, რომლებსაც პასუხისმგებლობის გრძნობა განსაკუთრებულად აქვთ განვითარებული. მან საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა და ორ შვილიშვილს ალიმენტს თავად უხდის. შვილი ცოლს რომ გაეყარა, მამას ელდა ეცა; ფიქრობდა, რომ ყველაფერი დამთავრებული არ იყო და ისევ შეძლებდა შვილისა და რძლის შერიგებას, მაგრამ ერთ დღეს შვილმა გამოუცხადა: სხვა ქალი მომყავს ცოლად, ის ჩემგან უკვე ბავშვს ელოდებაო. თუ როგორ განვითარდა მოვლენები, ამის შესახებ თავად ***გატონი გიორგი*** *გვიამბობს:*

— სასამართლომ ჩემს ვაჟს ალიმენტის გადახდა დააკისრა. ყოველთვიურად 50 ლარი უნდა გადაეხადა. ამან საშინლად აღმაშფოთა, ასეთი მცირე თანხა ჩემს შვილიშვილს საკვებზედაც არ ეყოფოდა. ამიტომ მოსამართლეს ყვირილი დავუწყე: 50 ლარი შეიძლება, კატას დაუნიშნოთ, ბავშვის უფლებებს რომ არღვევთ, ვერ ხვდებითმეთქი? გაბრაზებულმა რძალს ვუთხარი: არ ინერვიულო, ყოველ თვეში 100 დოლარს მე გამოგიგზავნით-მეთქი. ასე გრძელდება უკვე 3 წელი... სამწუხაროდ, ჩემი შვილი მეორე ცოლსაც გაეყარა. ქალი 3 თვის ბავშვით ხელში სახლიდან შუაღამისას გაუშვა. რძალს შეშლილივით დავედევნე. ვეჩხუბე: დედობა უნდა ჩამოგართვან, შვილზე რომ არ ფიქრობ-მეთქი!.. დაიბნა. ისევ შევუტიე: სანამ მე ცოცხალი ვარ, ჩემს შვილიშვილთან ერთად სამოთხეში გაცხოვრებმეთქი, — ხელი ჩავკიდე და უკან დავაბრუნე, შვილი ველარ შემეკამათა. მეორე დღეს რძალი მანქანაში ჩავსვი, ნივთები ჩავუწყვე და თავის მშობლებს ჩავაბარე.

— ალიმენტს მეორე შვილიშვილსაც უხდით?

— რა თქმა უნდა! სანამ პირში სული მიდგას, იმდენს ვიშოვი, რომ შვილიშვილებს საჭმლის და წამლის ფული არ მოვაკლო. თუ ჩემი შვილი პასუხისმგებლობას გაურბის, მის მოვალეობებს მე ვიკისრებ. იცით, რამდენი რამ აკლდება ბავშვს, რომელიც მამის ოჯახში არ ცხოვრობს?.. წარმოგიდგენიათ იმ ქალის მდგომარეობა ამ შეჭირვებულ დროში, შვილს რომ უმამოდ ზრდის?! ალიმენტი ყველაზე ცოტაა, რაც კი მამამ შეიძლება შვილს გაუკეთოს. მახსოვს, ჩემი ძმა ცოლს რომ გასცილდა, დედაჩემი როგორ ნერვიულობდა. ძმა ადრე გარდამეცვალა. ცხადია, შვილებიც ალიმენტის გარეშე დარჩნენ. დედაჩემი უკვე მოხუცი იყო. ალიმენტს ჭირნახულით იხდიდა. სოფლიდან ტომრებით უგზავნიდა კარტოფილს, ყველს, ერბოს, ბოსტნეულს და შვილიშვილებზე სიკვდილამდე ზრუნავდა...

განქორწინების პროცესი, ალიმენტისთვის ბრძოლა და გაუთავებელი უსიამოვნებები — რა გავლენას ახდენს ეს ყოველივე ბავშვებზე? გვესაუბრება ფსიქოლოგი ***ქეთინო თავართქილაძე:***

— პატარები ასეთ დროს „ივიწყებენ“ შეძენილ ჩვევებს — ისველებენ, ხშირად ტირიან, ცდილობენ, გვერდიდან არ მოშორდნენ მშობლებს; ძალიან ნერვიულობენ, როცა ძილის დროს ან დღის განმავლობაში, ცოტა ხნით მათთან დაშორება უხდებათ. სკოლამდელი ასაკის შედარებით მოზრდილ ბავშ-

ვებს შეიძლება უმიზეზო შიშები და შფოთიანობა განუვითარდეთ. ხშირად ისინი ფიქრობენ, რომ სწორედ მათი ცუდი ქცევა გახდა ოჯახის დანგრევის მიზეზი, ან მამას აღარ უყვარს და ამიტომ აღარ უხდის მიზერულ თანხას, რომლითაც საკვებს ან ტანსაცმელს შეიძენდა. უფრო მოზრდილი, სასკოლო ასაკის ბავშვები შესაძლოა, ღრმა დეპრესიაშიც ჩაცვივდნენ... ბავშვებს ხშირად, ფიზიოლოგიური დარღვევებიც უვითარდებათ: თავის, კუჭის ტკივილი, ღამის კოშმარები, შარდის შეუკავებლობა. სკოლაში ეს ბავშვები უმართავები ხდებიან, ყურადღების კონცენტრირებას ვერ ახერხებენ და შესაბამისად, ნორმალურ სწავლაზე ლაპარაკიც ზედმეტი ხდება. თუმცა, ზოგიერთ ბავშვს შეიძლება, სრულიად საწინააღმდეგო რეაქცია ჰქონდეს – უკეთ სწავლა დაიწყოს, ყურადღება მთლიანად გაკვეთილებზე, სპორტზე ან რაიმე გატაცებაზე გადაიტანოს. ეს მძიმე ყოფითი სიტუაციისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესანიშნავი ხერხია და ბავშვი მას მანამ იყენებს, სანამ ოჯახის დანგრევით გამოწვეული მძაფრდება გრძნობები მეორე პლანზე არ გადაინაცვლებს.

— უნდა იცოდნენ თუ არა ბავშვებმა, რომ მამა ალიმენტს უხდის ან არ უხდის?..

– მშობლების ემოციური მდგომარეობა უდიდეს როლს ასრულებს შვილების ცხოვრებაში. ამიტომ მშობლის განწყობა შვილს გადაედება ხოლმე, თუ დედა ალიმენტის რაოდენობით უკმაყოფილოა, იმავეს გრძნობს ბავშვიც. ამას ზოგჯერ თან ერთვის საყვედურები: „მამაშენმა გადაგიხადოს კინოს ფული!..“ – და ა.შ. ოჯახის უმცროს წევრებს განქორწინების განზრახვის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ უნდა აცნობოთ, როცა საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებთ. ამ საუბარს ორივე მშობელი უნდა ესწრებოდეს, რათა ერთ-ერთი მათგანი მომხდარში მხოლოდ მეორის დადანაშაულების სურვილმა არ აცდუნოს. აუხსენით ბავშვებს, რა ცვლილებებია მოსალოდნელი და როგორ აისახება ეს ცვლილებები მათ ცხოვრებაზე, მოუყევით, სად აპირებთ ცხოვრებას. თუ ადრე არ მუშაობდით – ფიქრობთ თუ არა სამსახურის მოძებნას, მოაკლდებათ თუ არა მათ ჯიბის ფული, მოემატებათ თუ არა მოვალეობები და ა.შ. სწორედ ამ დროს მოუყევით ალიმენტის შესახებ და უთხარით, რომ მამა ყოველთვიურად მას „ხელფასს“ გადაუხდის. ამის შედეგად შესაძლებელი ხდება, ბავშვი იმაში დაარწმუნოთ, რომ მამა განქორწინების შემდეგაც იზრუნებს მასზე. ის იფიქრებს: თუ ჩემზე ზრუნავს, ე.ი. კვლავაც ვუყვარვარო. მოზარდისთვის ამის გაცნობიერებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ■

qeifis Semdeg unagirze daZinebuli msaxiobi cxenma boslis SesasvlelTan "daabinava"

გია აბესალაშვილი, გარდა იმისა, რომ შესანიშნავი მსახიობია, ბრწყინვალე თამადაც ყოფილა. თუმცა, როდესაც ვუთხარი — თამადის ამპლუაში უნდა წარგადგინოთ მკითხველის წინაშე-მეთქი, მან მაშინვე მორიდებულად მიპასუხა: მოუტყუებიხართ, ვინც გამორჩეულ თამადად დამასახელაო... თუ რამდენად შევცდით არჩევანში, თავად განსაჯეთ.

ეკა მინდაძე

— ბატონო გია, პირველად რა ასაკში ითამადეთ?

– თამადობა სკოლის ასაკში, მე-9 კლასიდან დავიწყე. როცა მე და ჩემი თანაკლასელები შევიკრიბებოდით, სუფრას ყოველთვის მე ვუძღვებოდი. ხომ წარმოგიდგენიათ, მაშინ რა თამადა ვიქნებოდი?.. მაგრამ ერთი რამ უდავოა: იმ ასაკში უფრო გულწრფელი ვიყავი, ვიდრე დღეს ვარ: ყმაწვილობისას ვამბობდი ყველაფერს, ამჟამად კი, სანამ რაიმეს ვიტყვი, ვაანალიზებ...

— სუფრას რომელი სადღეგრძელოთი იწყებთ?

– სუფრას ვიწყებ ღვთის დიდებით და ვამთავრებთ ყოვლადწმინდა სალოცავებით.

— საყვარელი სადღეგრძელო?

– ბევრია. ძალიან მიყვარს სადღეგრძელო ჩვენი ჯიშის, ჯილაგის, ქართველი ერის, ჩვენი ეკლესიების, პატრიარქის და მამების – ანუ იმ ადამიანებისა, ვისზეც მართლა დგას ჩვენი ქვეყანა.

— როგორი უნდა იყოს თამადა?

– თამადა პირველ რიგში, უნდა იყოს განათლებული და საინტერესო მოსაუბრე. ერთსა და იმავეს არ უნდა ამბობდეს ყველა სუფრაზე. უნდა იცოდეს თავისი ქვეყნისა და გვარის ისტორია. მას უნდა შეეძლოს სიმღერა, ცეკვა და სუფრის წევრების მოფერება და გამხიარულება.

— როგორც თამადა, მკაცრი ხართ?

– თუ თამადას სუფრაზე ყვირილი დასჭირდება – ანუ, როგორც იტყვიან ხოლმე, „სუფრა გაექცევა“, – მისი საქმე წასულია. სუფრაზე არასოდეს იქნება აბსოლუტური სიჩუმე. შენ უნდა შეძლო სუფრის წევრების დამორჩილება.

— ქეიფის დროს, ალბათ კურიოზებიც გადაგხდენიათ, არა?

– ერთ-ერთ სუფრაზე, სადაც თამადა უნდა ვყოფილიყავი, ვერ მოვახერხე დროულად მისვლა – სწორედ მაშინ გამომიჩნდა გადაუდებელი საქმე. რომ მივედი, სუფრის თამადად, დიდი სამამულო ომის (1941-45 წლების) მედლებით და ორდენებით მკერდდამშვენებული ჭარმაგი კაცი დამხვდა. ერთმანეთი მაშინვე გაგვაცნეს და შევუერთდი ქეიფს. რამდენიმე ჭიქის შემდეგ, ფაქტობრივად, შეჯიბრი გაიმართა ჩემსა და თამადას შორის. ერთმანეთის ჯიბრში არაერთი ყანწი გამოცალეთ. ნელ-ნელა ვატყობდი, რომ თამადა ფორმაში ვეღარ იყო. ბოლო ყანწის დალევამ კი, სულ მოსპო და სასწრაფოდ დაატოვებინეს სუფრა. ამ ფაქტმა სუფრის წევრებში აჟიოტაჟი გამოიწვია. გაკვირვებულები ერთმანეთს ეუბნებოდნენ,

სუფრაზე არასოდეს იქნება აბსოლუტური სიჩუმე...

4 კაცში თამადობას რა სჯობს?!

როგორ აჯობა ასეთ მსმელ კაცსო?! გავიხედეთ და ცოტა ხანში, შემოვიდა ისევ ის თამადა, ოღონდ – აბსოლუტურად დამშვიდებული და დაწყნარებული სახით, თითქოს არაფერი დაელიოს. მან ყანწი დალია და ალავერდს ჩემთან გადმოვიდა. მე კი დავლიე, მაგრამ მას შემდეგ რა მოხდა, აღარ მახსოვს... დილით გამოვედი და რას ვხედავ? – ორი ერთნაირი კაცი დგას. ვიფიქრე, გაორება დამემართა-მეთქი... თურმე, თამადას ტყუპისცალი ჰყოლია!.. ერთხელ, სოფელში დავთვერი. დავჯექი იმ ცხენზე, რომლითაც დავდიოდი ხოლმე. მან იცოდა, სად უნდა მივეყვანე. არაფერი მახსოვდა, იმდენად მთვრალი ვიყავი, რომ გათიშულს მეძინა გზაში. ცხენი ბოსელს მისდგომია, თავი დაუღუნია, მე გადმოუგდივარ და თვითონ შიგ შესულა. მეორე დილით, უკვე გამოფხიზლებულმა შევამჩნიე, რომ თავი გამიტეხია...

— საერთოდ, რამდენი ლიტრი ღვინის დალევა შეგიძლიათ?

– გაჩნია სიტუაციას. მე და მამუკა არეშიძეს 48 საათიც გვიქეიფია... ერთხელ კახეთში სოფელ ფშავაში ღვინის ქარხნის მთავარი დეგუსტატორის ოჯახში ვიყავით სტუმრად მე, ზაზა მიქაშავიძე, ვანიჩკა იანტბელიძე და კიდევ ერთი მეგობარი – გეგე. სწორედ ამ ოთხმა კაცმა სწრაფ ტემპში დავლიეთ 22 ლიტრი ღვინო. ოჯახის დიასახლისმა დაცლილ ბოცას რომ შეხედა, გაოცებულმა გვითხრა: შვილებო, მე ღვინო არ მენანება, მაგრამ არაფერი დაგემართოთო...

— თუ იცოდა ბატონმა მიშა თუმანიშვილმა თქვენი თამადობის ამბავი?

– რა თქმა უნდა! მის ოჯახშიც არაერთხელ მითამადია. თვითონაც უყვარდა ქეიფი, სასმელებიდან კი – წითელი ღვინო და კონიაკი. ქეიფის დროს, სულ ამბობდა: ახლა შენი ტოლი რომ ვიყო, რას დავლევდიო!..

— ოჯახი რას გეუბნებათ — როგორი სიმთვრალე გაქვთ?

– ალბათ, კარგი. ცუდი რომ მქონდეს, აუცილებლად მეტყოდნენ.

— ეი. ნასვამი არ ჩხუბობთ ხოლმე, ხომ?

– გაჩნია, რა შემთხვევაში: თუ არ გამაბრაზეს – არა. არ მიყვარს კაცი, რომელიც ბილწსიტყვაობს და უზნეო საქციელს სჩადის. ადამიანს ყველაფერს ვაპატიებ, თავხედობისა და უზრდელობის გარდა. ამის გამო შეიძლება მაგრად მივბეგვო კიდეც.

— ქალის გამო თუ გიჩხუბიათ?

– არა. მარტო სიმთვრალეში...

— რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ სუფრაზე განსხვავებული სასმისების გამოყენება?

– შეიძლება, ოღონდ – ბევრის არა. გაჩნია, სუფრაზე ვინ გყავს. მარტო შენ თუ სვამ და „სკდები“, რა თქმა უნდა, სისულელეა. განსხვავებულს თავისი ხიბლი აქვს. სულაც არ არის აუცილებელი, დიდი იყოს – მთავარია, განსხვავებული ფორმა ჰქონდეს.

— ოდესმე უარი თუ გითქვამთ სმაზე, ცუდი ღვინის გამო?

– არ არსებობს ცუდი ღვინო – არსებობს კარგი და საუკეთესო. ამრიგად, არანაირ ღვინოზე არ ვიტყვი უარს. ძმარიც რომ იყოს ღვინის მაგივრად, ცოტა მაინც უნდა დალიო.

— ძველი თაობის მსახიობებიდან ვინ იყო კარგი თამადა?

– ბრწყინვალე თამადები იყვნენ: ეროსი მანჯგალაძე, კოტე დაუშვილი, თემურ ჩირგაძე და დოდო აბაშიძე.

— თქვენი აზრით, თამადობის ინსტიტუტის მოსპობის საშიშროება თუ არსებობს?

– გული მწყდება, მაგრამ სამწუხაროდ, საშიშროება ნამდვილად არსებობს. თუმცა, ჩემზე უფროსი თაობა ალბათ, ჩვენს თაობაზეც ამავეს იტყოდა. მაგრამ ჩემი აზრით, ჩვენმა თაობამ ასე თუ ისე, მაინც შემოინახა ქართული სუფრის მადლი და თამადობის ინსტიტუტი. ადრე თამადას ისეთ პატივს სცემდნენ, ის რომ ფეხზე ადგებოდა, ყველანი დგებოდნენ. ახლა კი ფეხზე ადგომას ვინ დაეძებს?.. უნდა ეხვეწო, რომ მოგისმინონ.



ადრე თამადას ისეთ პატივს სცემდნენ, ის რომ ფეხზე ადგებოდა, ყველანი დგებოდნენ. ახლა კი ფეხზე ადგომას ვინ დაეძებს?..

— თუ გაქვთ რაიმე სასმლის კოლექცია ოჯახში?

– კოლექცია ჩემთან არ შეიძლება და აი, რატომ: მე და ჩემმა ორმა მეგობარმა, გიორგი სიხარულიძემ და ირაკლი კალანდაძემ ბაკურციხიდან შარშან ჩამოვიტანეთ ყურძენი და 1300 კგ დავწურეთ. დღეს უკვე ერთი წვეთიც აღარ გვაქვს. ყველგან, სადაც მივდიოდით, ღვინო თან მიგვქონდა...

— მოგწონთ თამადის ამპლუაში ყოფნა?

– თქვენ წარმოიდგინეთ, არ მომწონს. თუმცა, გაჩნია სუფრის წევრთა რაოდენობას: 4 კაცში თამადობას რა სჯობს?! 300-კაციან ქორწილში თამადობა კი, უმძიმესი ტვირთია. ხალხი ჭრელია და ამიტომაც, ძნელია ყველასთან საერთო ენის გამონახვა.

■

ფრაზა

ქათმები ერთ ჭერქვეშ მშვიდობიანად ცხოვრობენ, აი, ორი მამალი კი, ვერაფრით შეეგუება ერთიმეორეს ერთ საქათმეში — ასეთია მათი ბუნება.

ლეონარდო და ვინჩი

გენიალური

დაუვიწყარი მოგზაურობა ავტომანქანით

ამერიკელი სოციოლოგების გამოკვლევის შედეგებს დავ-ესესხები და გაგიმხელთ, რომ თურმე, მამაკაცთა 57%-ის აზრით, ავტომობილის მარკა მათი მამაკაცური ღირსების დონეს განსაზღვრავს. ე.ი. „მერსედესისა“ და „ბე-ემ-ვეს“ ახალი მოდელების მფლობელე-ბი გაცილებით ამაყად დადიან, ვიდრე შედარებით მოძველებუ-ლი ავტომობილების პატრონე-ბი; 22% — ალიარებს, რომ ავტომობილი გაცილებით საყ-ვარელი და მიმზიდველია, ვიდრე — ცოლი; 17% ხანძრის დროს პირველ რიგში, სწორედ საყვარელი ავტოს გადარჩენას ეცდება; მამაკაცთა მხოლოდ 4%-ს მიაჩნია, რომ ავტომო-ბილს სხვა არავითარი დანიშ-ნულება არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ ის გადაადგილების საშუალებაა...

„...იქინე უნდა იდგე შენ, სარეცხის მანქანასთან და აპა, ნახე, თუ „დაბუქსავდები!“

მარი ჯაფარიძე

ჩვენმა მკითხველებმა არ დაიზარეს და უამრავი საინტერესო თავგადასავალი დამიმესიჯეს, რომელიც სწორედ ავტ-ომობილით მგზავრობისას გადახდენიათ თავს. მამაკაცთა უმეტესობა (რამდენიმე გამონაკლისის გარდა), სწორედ იმ ამერიკელთა 57%-ის აზრს იზიარებს, რომელიც მიიჩნევს, რომ რაც უფრო კარ-გი მანქანა გყავს, მით უფრო „მაგარი ტიპი“ ხარ – და თავის მესიჯს ამ სიტყვებით იწყებს: – ძალიან მაგარი მან-ქანა მყავს...

თუ „ნავაროჩენი“ „მერსედესით“ ზღვისკენ მიქრით, თან მაგნიტოფონიც ჩართული გაქვთ და მაღალ ხმაზეც ღიღ-ინებთ, ჯიბეში კი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს ლუქსის ნომრის საგზურიც საიმედოდ გაქვთ ჩაკეცილი, საქმე მოს-ალოცად გქონიათ და დარწმუნებული ვარ, წინ მართლაც დაუვიწყარი დღეები გელით. მაგრამ დაუვიწყარი ყოველთვის სასიამოვნოს როდის ნიშნავს... გვიამბობს 32 წლის ბესო.

„თურმე, რამდენი ფული მქონია...“

„შარშან ზაფხულში, ცოლის მოყვანა გადავწყვიტე და ქორწილი სექტემბრის ბოლოსთვის დავნიშნეთ. უინტერესო არ იქნება, ისიც გითხრათ, როგორ მივიღე ეს გადაწყვეტილება. საკმაოდ შეძლებული ოჯახი მაქვს. მამას ადრეც კარგი სამ-სახური ჰქონდა, შემდეგ სარფიანი ბიზნე-სი წამოიწყო. მე ერთი დღეც არ მიმუშა-ვია. სულ მირჩევდა მამა, რომ მასთან მემუშავა, მესწავლა ის საქმე, რასაც თვი-თონ ედგა სათავეში, მაგრამ ყოველთვის თავს ვარიდებდი. ერთ დღეს კი მამა უეცრად, გულის შეტევით გარდაიცვალა. მე მისი საქმის მართვა, ბუნებრივია, ვერ შევძელი, თუმცა იხტიბარს არ ვიტეხდი, ფირმას სათავეში ჩავუდექი და ჩემი შეხედ-ულებისამებრ დავიწყე მისი გაძღოლა. მაშინ 26 წლის ვიყავი და როდესაც საფინანსო საქმეებში ჩავიხედე და უამ-რავნულიანი ციფრები ვნახე, თვალები ლამის ბუდიდან ამომიცვივდა. თურმე რამდენი ფულის პატრონი ვყოფილვარ-მეთქი. დავიწყე ფულის ხარჯვა. ბიზნესი უკან-უკან მიდიოდა, ამიტომ ძირეულ თანხას არაფერი ემატებოდა, პირიქით – აკლდებოდა და ხომ მოგეხსენებათ, ზღვა კოვზით დაილიაო, მეც შევჭამე მამის დანატოვარი ქონება. ვიდრე ბოლომდე, ნულზე დავიყვანდი, გადავწყვიტე, ბი-ზნესპარტნიორი მომეძებნა. ისევ მამის სახელის გავლენით მისი ძველი მეგობარი ამომიდგა მხარში. ნახევარი წილი და-ვუთმე და განზე გავდექი. თვალი კი მის არცთუ ისე ლამაზ გოგოს დავადგი. ვი-ფიქრე – თუ რუსიკოს ცოლად მოვიყ-ვანდი, სიმამრის წილიც ჩემი იქნებოდა და ჩემიც. მოკლედ, ჩვენი ნიშნობა შედგა. ქორწილამდე კი, კარგად „გაგულავება“ მოვინდომე და ანტალიაში გავემგზავრე. წინასწარ შეკვეთილი მქონდა საუკეთე-სო სასტუმროს საუკეთესო ნომერი და ჩემი მაგარი „მერსედესით“ თურქეთის გზას დავადექი. თან თვალწინ ლამაზი ნაშები მესახებოდნენ და წინასწარ ვტკ-ბებოდი სამკვირიანი დასვენების თითოეუ-ლი დღის წარმოდგენით. როდესაც საზღ-ვართან მივედი, ასეთ ფაქტს შევესწარი: მესაზღვრეები ერთ ლამაზ გოგოს ედავე-ბოდნენ და ქვეყნის ტერიტორიაზე არ უშვებდნენ. ეს გოგო თვალში მომივიდა. ძალზე მოხდენილი და ლამაზი იყო. მათ საუბარში ჩავერიე, გარკვეული თანხა გადავიხადე, რომ ნინო საზღვარზე გაეშ-ვათ და ჩემი მანქანით მომსახურებაც შევთავაზე. უარი არ უთქვამს. მთელი დარჩენილი გზა საუბარში გავატარეთ. მართალია, ის ანტალიაში სულაც არ მიდიოდა, მაგრამ გადავაფიქრებინე, გეგმე-ბი შევაცვლევინე და თან წავიყვანე... მთელი 3 კვირა გვერდიდან არ მომი-შორებია. საუცხოო ქალი აღმოჩნდა და შესანიშნავი დროც გავატარეთ. მისთვის არც ჩემი ვინაობა დამიმალავს და არც ის, რომ 2 თვეში ქორწილი მქონდა. თბილისში დაბრუნებიდან 2 კვირის შემ-

დეგ კი, ნინომ საუცხოო „სიურპრიზი“ მომიწყო: ერთად გადაღებული ფოტოები და კიდევ რაღაც სამხილები ჩემს სასიმამროს გაუგზავნა და თან წერილი დაურთო, რომელშიც იტყობინებოდა, რომ ფეხძმიმედ იყო... ალბათ მიხვდით, რომ ჩემი ქორწილი არ შედგა. ჩემმა ყოფილმა სასიმამრომ ჩემი ბიზნესი მთლიანად ჩაიგდო ხელში, მე კი ნელ-ნელა ნივთების გაყიდვა დავიწყე, თავი რომ მერჩინა. თქვენ რომ ჩემს ადგილზე იყოთ, ეს მოგზაურობა ოდესმე დაგავიწყდებოდათ?..“

სამწუხაროდ, ბესომ არ გვაცნობა, თუ როგორი გაგრძელება ჰქონდა მისი და ნინოს ურთიერთობას, მაგრამ ალბათ მოსაყოლად არც ღირს... მთავარი ამ შემთხვევაში ხომ ის არის, რომ დაუვიწყარი „საავტომობილო“ თავგადასავალი გადახდა?! ახლა კი მძღოლ ქალბატონს მოვუსმინოთ, რომელიც გასვენებაში მიდიოდა და თავი ამოყო... თუმცა, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს და მის ნაამბობს გავეცნოთ.

ქელეხში თუ... საკუთარი ბედის საძებნელად...

„წელს, ივლისში მეგობარს ბაბუა გარდაეცვალა და ხარაგაულის რაიონში წასვლა გადავწყვიტე ჩემი მანქანით. არ იფიქროთ, მაიას 100 წლის ბაბუა მედარდებოდა. ვიფიქრე, ქალაქის სიცხეს თავს დავაღწევ, ერთი კვირა მთიან სოფელში დავრჩები და ქალაქური ორომტრიალისგან დავისვენებ-მეთქი. ავზი საწვავით ავავსე, მაგნიტოფონი ჩავრთე და – ჰერი!.. გზად ერთ სოფელში გავჩერდი, რომ სული მომეთქვა; იქვე ონკანიდან ცივი წყალი მოდიოდა, ჩრდილში სკამიც იდგა და ცოტა ხნით ჩამოვჯექი. თან ჩემ წინ აღმართულ, ტყით დაფარულ მთებს აღტაცებით გავყურებდი, რომ უცებ დარტყმის ხმა მომესმა. მივიხედე და რას ვხედავ: შავი „ბე-ემ-ვე“ უკუსვლით წამოსულა და ჩემს მანქანას დასჯახებია. წამოვხტი. „ბე-ემ-ვეს“ მძღოლი და მგზავრებიც გადმოვიდნენ მანქანიდან. თავი გადაქნიეს, ჩემი მანქანის დაქოქვა სცადეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ რაღაც ნაწილი გაუტყდა და ვერ დაქოქეს. ბიჭებმა დამაიმედეს – ახლავე ზესტაფონში წავალთ, ნაწილს გიყიდით და დავბრუნდებით, აბა, მარტო მყოფ ქალს უცხო სოფელში ხომ არ მიგატოვებთო?!. წავიდნენ. მე ისევ სკამზე ჩამოვჯექი. მოსაღამოდა, ბიჭები კი არ ჩანდნენ. ცოტა ხანში გვერდითი ეზოდან მოხუცი ქალი გამოვიდა. უცხო რომ შემნიშნა, გამომელაპარაკა. ვუამბე ჩემი გასაჭირის შესახებ. აღარ მომეშვა, ვიდრე შინ არ შემიყვანა. საღამოს მისი მეუღლეც დაბრუნდა ყანიდან. მოხუცებთან ერთად ისე კარგად გავხალისდი, იმდენი ტყუილ-მართალი მიამბეს და ისე საუცხოოდ ვგრძნობდი თავს, რომ ჩემი მანქანაც გადამავიწყდა, ის ბიჭებიც, მანქანის ნაწილი რომ უნდა მოეტანათ, ჩემი გასაჭირიც და მეგობრის დასამარხი ბაბუაც. ღამით მოხუცებთან დავრჩი. ისიც კი არ ვიცოდი, დილა რომ გათენდებოდა, რა უნდა მექნა. ალბათ სამარშრუტო ტაქსის ზესტაფონში გავყვებოდი, ნაწილს ვიყიდდი და მერე ხელოსანთან ერთად უკან დავბრუნდებოდი... საბედნიეროდ, დილით რომ გავიღვიძე, ლაპარაკის ხმა მომესმა – მანქანის ნაწილს ახსენებდნენ. ნატო ბებოს გასაღები უჩემოდ მიუცია დაბრუნებული ბიჭებისთვის, ისინი კი საქმეს შესდგომოდნენ და მანქანას აკეთებდნენ. მე რომ დამინახეს, მხიარულად მომესალმნენ და უამრავი ბოდიში მომიხადეს დაგვიანებისთვის. ძალზე კარგ გუნებაზე დავდექი. შუადღისთვის, ჩემი მანქანა წესრიგში იყო, მაგრამ ნატო ბებომ სადილის გარეშე არ გაგვიშვა. იქ სამ-სამი ჭიქა ღვინოც დავლიეთ, ბიჭები გადამეკიდნენ – გინდა თუ არა, ჩვენთან ერთად უნდა წამოხვიდეო. აღმოჩნდა, რომ მეზობელ სოფელში, ერთ-ერთი მათგანის ბაბუასთან მიდიოდნენ მისახმარებლად – ის თურმე, ბოსელს აშენებდა. თავი აღარ გამოვიდე და ბიჭებს ჩემი მანქანით მივყევი. იმ ღამით, იქ მოვილხინეთ. მეორე დილით კი, კოტე ბაბუას შვილი, უცოლო მალხაზი წამოგვადგა თავს. ისიც თბილისიდან ჩამოსულა, მამას რომ მიხმარებოდა... იმ დღესაც, იქ დამტოვეს. მალხაზი ძალზე მომეწონა, მასაც მოვეწონე და მგონი, ეს შემთხვევა მალე გაგვაბედნიერებს. ეს მოგზაურობა ნამდვილად არასოდეს დამავიწყდება“.

სვანებზე რომ უამრავ ანეკდოტსა და ტყუილ-მართალს ჰყვებიან, ეს ახალი არ არის, მაგრამ თვითონ სვანებს ეს სულაც არ სწყინთ – გულღია ღიმილით ხვდებიან და თქვენ მიერ მოყოლილ ამბავს ხშირად, საკუთარ თავგადასავალსაც შეაგებებენ.

„გმადლობ, „ბრატ“...“

„ძალზე სასაცილო ამბავი უნდა მოგიყვეთ. წარმოშობით სვანი ვარ. ჰოდა, ერთხელ თბილისში, სამარშრუტო ტაქსში 3 ახმახი ბიჭი ამოვიდა. სვანურად ლაპარაკობდნენ. სადღაც „სტრელი“ ჰქონიათ დანიშნული და 50 კაცი დახვედრიათ. უკან მობრუნებულები გეგმას აწყობდნენ: ახლა ორი კაცი დავიმატოთ, მივიდეთ და მაგრად „დავაბოქსაოთო“. რომ წარმოვიდგინე, 5 სვანი 50 კაცს როგორ „დააბოქსავებდა“, გამეცინა. ერთ-ერთმა მათგანმა შენიშნა ჩემი ღიმილი, მომიბრუნდა და მკითხა: რა გაცინებს გოგო? მან ქართულად მკითხა, მე კი სვანურად ვუპასუხე – თქვენს საუბარზე გამეცინა-მეთქი. – სვანი ხარო? – სამივეს სახე გაუნათდა. – რა გვარის ხარო? – ვუპასუხე. – ვისი და ხარო? ამაზეც ვუპასუხე. – ოო-ო, ჩვენი და ყოფილხარ, შენ გენაცვალეო! – გადამეხვივნენ სათითაოდ... ბოლოს, მათი ჩასვლის დროც მოვიდა. – შოფერ, აქ გაგვიჩერე, თუ ძმა ხარო! – დაუძახეს მძღოლს. ჩავიდნენ, მგზავრობის ფული კი არ გადაიხადეს, მაგრამ ბოლოს ჩასული, მძღოლს მიუბრუნდა და უთხრა: გმადლობ, „ბრატ“ და ამ გოგოსი გადახდილია, იცოდეო!.. მგზავრებმა გაცინება მხოლოდ მას შემდეგ გაბედეს, როდესაც „მარშრუტკა“ ადგილიდან დაიძრა. მერე დაიწყეს ანეკდოტები სვანებზე. ყველაზე მეტად მძღოლი აქტიურობდა. თან მე მეუბნებოდა, – შენ არ გეწყინოს, მაგრამ ერთ სვანზე კიდევ უნდა მოვყვე ანეკდოტიო... გულში გავიფიქრე – შენ გიჩვენებ სეირს, როგორ უნდა სვანებზე ანეკდოტების მოყოლა-მეთქი... ჰოდა, ჩასვლისას ორმოცდაათთეთრიანი რომ მივაწოდე და არ გამომართვა, – როგორ გეკადრებათ, თქვენი გადახდილიაო! – მივუბრუნდი და ვუთხარი: გმადლობ, „ბრატ“ და ამ მგზავრების, სუყველასი, გადახდილია-მეთქი. ხარხარი მაშინ უნდა გენახათ. აბა, ამ მგზავრობას რა დამავიწყებს?..“

სვანებს არც გურულები ჩამოუვარდებიან თავიანთი იუმორით. თუმცა, მათ ისეთი კილო აქვთ – რომც არ გაიხუმრონ, მაინც გაგეცინება. მაგრამ როგორც ჩანს, „პილპილმოყრილი მადლიც“ არ არის მათთვის უცხო ხილი.

„სარეცხის მანქანა გაქვენ?“

„თუ გახსოვთ, 2 წლის წინ, ზამთარში ძალზე დიდი ყინვა იყო. ჩემი „მერსედესით“ ვარაზისხევს ავუყევი. შუამდე მისული, ყინულზე „დავბუქსავდი“. ბევრი ვიწვალე, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ – გზას ველარ ვაგრძელებ. იქვე, ხელმარჯვნივ, რესტორანია. მის წინ რამდენიმე მანქანა იყო გაჩერებული და 4-5 მამაკაცი ტრიალებდა. ერთ-ერთმა შენიშნა ჩემი გასაჭირი, მოვიდა და მანიშნა, ფანჯრის მინა ჩამომეწია. მერე თავი ფანჯარაში შემოყო და სუფთა გურული კილოთი, მზრუნველად შემეკითხა: ვერ მიხვალ, ცაო? – ვერა-მეთქი, – გავაქნიე თავი. – გადაი იქეთ, „სკამეიკაზეო“! – მიბრძანა გურულმა. დავემორჩილე. საჭეს მიუჯდა და რამდენიმე წამში უკვე უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან ვიყავით. გურული მომიბრუნდა, თვალები მოჭუტა და მკითხა: – „ოკა-პიატ“ გაქვენ სახლში? სარეცხის მანქანა რაა, იგი, გაქვენ? – კიმეთქი, – დავუქნიე თავი... ჰოდა, იქინე უნდა იდგე შენ, სარეცხის მანქანასთან და აპა, ნახე, თუ „დაბუქსავდები“! რაი გინდა

შენ „მერსედესის“ „რულზე“? – აი, ასეთი რამ გადამხდა თავს ზამთრის ყინვიან დღეს. მას შემდეგ, გურულის სიტყვები ძალზე ხშირად მახსენდება და ყოველთვის მეღიმება ხოლმე“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„...გახსოვს? პირველად მაშინ მაკოცე...“

„ერთხელ, ორთაჭალიდან ისანში უნდა წამოვსულიყავი. მეგობართან ლაპარაკში გართულმა, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე ამოვყავი თავი. ისიც, იმით მივხვდით, რომ „მარშრუტკა“ გაჩერდა და მძღოლმა გვითხრა – ბოლო გაჩერებაო... იმ მძღოლმა უკანვე წამოგვიყვანა და ფულიც არ გამომართვა. მოკითხვა მძღოლს. ნელი“.

„ერთი „დანგრეული“, ცისფერი „ნივით“ გასეირნება ახალციხის მტკვრიან, ერთადერთ ქუჩაზე ყველა კრუიზს მირჩევნია. ეს დაუვიწყარი იქნება. ჩემს თავს ერთხელ მაინც მივანდობ გიას...“

„ჩემთვის დაუვიწყარი მოგზაურობა მაშინ იყო, როცა მე და ილია მანქანით ვსეირნობდით. მან მანქანა გააჩერა და ტუჩებში მაკოცა“.

„აბა, რად მინდა ავტომანქანით მოგზაურობა? ლევან გ., მე მინდა ხელში ამიყვანო და ისე შემომატარო მთელი მსოფლიო. ეს იქნება დაუვიწყარი. მიყვარხარ. შენი „მჩხავანა ბალღი“.

„მე „მარშრუტკით“ გასეირნებაზე მოგიყვებით. ამ გასეირნებამ მიმახვედრა, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც გარეგნობის მიუხედავად, ერთმანეთს იზიდავენ. ერთხელ „მარშრუტკაში“ რამდენიმე ბიჭი დამემგზავრა. მე იმას დავაშტერდი, რომელიც პირგაუპარსავი, აჩაჩული და დაუვარცხნელი იყო. თვითონ აშკარად თვალს მარიდებდა და სულ გვერდზე იყურებოდა. მე ვფიქრობდი – ეს საცოდავი ალბათ, არავის მოსწონებია-მეთქი... დაუძახეს და იძულებული გახდა, თავი მოებრუნებინა. ჩემი ყოფილი შეყვარებული აღმოჩნდა. მერე მე მივაბრუნე თავი და სიბრაზისგან გავლურჯდი. აბა, ამას რა დამავიწყებს?!“

„ჩემთვის დაუვიწყარია ის დღე, როცა ალგებრის გამოცდა ჩავაბარე. სკოლიდან გამოვედი და ჩემი შეყვარებული მეგობრის მანქანით დამხვდა. გასეირნება შემომთავაზა, სულ 1 საათით. 5 საათი ვიხეტიალეთ. ერთმანეთს სიყვარულს ვეფიცებოდით, შინ კი მელოდნენ... პატო, გახსოვს? პირველად მაშინ მაკოცე... მერე კი ცხოვრებამ მიღალატა, მაგრამ ყოველთვის მემახსოვრება შენი ნაღვლიანი, ლურჯი თვალები. იმ დღეს კი, სახსოვრად „შევინახავ“. დაგელოდები სიცოცხლის ბოლომდე. შენი პატარა ირმა“.

„ყველაზე მაგარი მოგზაურობა იყო, როცა ბათუმში მიმავალი, გზად „ფორდ მონდეოს“ „წავეგონკავე“ და მისი მძღოლი მაგრად დამევასა. მის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ მანქანის ნომრის სერია აქვს – EZZ და თვითონ ფოთელი ლევანია. მინდა ვუთხრა, რომ მაგრად მევასება“.

„ჩემთვის დაუვიწყარია ის მგზავრობა, როცა მანქანაზე ძროხა შემოხტა. არა, ახლაც მაკვირვებს – რა უნდოდა?.. თბილისში წამოსვლა?.. არ დასცალდა, საწყალს. სულ დაიმტვრა და დავკალით“.

„2 წლის წინ, ექსკურსიაზე ავტობუსში სიყვარული ამიხსნა. წელს კი ექსკურსიაზე, იმავე ავტობუსში, იმავე ადგილზე მე გამოვუტყდი მას სიყვარულში... „მარტიშკა“.

„ნათია ს-ვა, ვგიჟდები შენს შავ თვალებზე და გაბუშტულ ტუჩებზე. უკარებავ, თუ გულს მაჩუქებ, „ფერარის“ ვიყიდი და იტალიაში გაგაქროლებ. ვიცი, ამაზე ოცნებობ. გიო.“

დღეს „გზავნილებს“ ამით ვასრულებთ. მომავალი ნომრის თემად გთავაზობთ: რას მალავენ მამაკაცები? გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გვიამბეთ მამაკაცური საიდუმლოებების შესახებ. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ■

თერმოჯეტიქსი

გახდომა შიმშილისა და ვარჯიშის გარეშე



თერმოჯეტიქსის სპეციალური კვების პროგრამებით სურვილისამებრ შეგიძლიათ გახდეთ, გასუქდეთ ან გაახალგაზრდავდეთ, თუ გულისყურით მოეკიდებით საერთაშორისო კლასის სპეციალისტის **სვეტლანა მხითარიანის** რეკომენდაციებს. ამ ქალბატონის წყალობით მსუქნები დიეტისა და ვარჯიშის გარეშე თვეში 5-დან 15 კილოგრამამდე იკლებენ, გამხდრები კი 4-8 კილოგრამს იმატებენ, თანაც პარალელურად ორგანიზმი ტოქსინების, შლაკების, მარილებისა და ქოლესტერინისგან იწმინდება, აღდგება კუჭის მოქმედება, ნივთიერებათა ცვლა, ძლიერდება იმუნოსისტემა და, რაც მთავარია, შედეგი გარანტირებულია!

— **ქალბატონო სვეტლანა, რა დრო დასჭირდა გასახდომად მამაკაცს, რომელსაც ფოტოზე ვხედავთ?**

– თერმოჯეტიქსის წყალობით 13 თვეში 120 კილოგრამი დაიკლო. უამრავი სხვადასხვა დიეტით ცდილობდა გახდომას, მაგრამ ისევ სუქდებოდა. ეს პრობლემა ჩვენ მიერ შედგენილმა წონის შენარჩუნების პროგრამამ მოუგვარა და აღარ იმატებს. სიმსუქნის გარდა პაციენტს აწუხებდა კუჭ-ნაწლავთა სისტემა, ჰქონდა ჰიპერტონია, დიაბეტის საწყისი სტადია, მარილები, ქოშინი...

— **ახლა როგორ გრძნობს თავს?**

– წონაშიც უდიეტოდ დაიკლო და პარალელურად გამოჯანმრთელდა კიდეც... საერთოდ, სიმსუქნეცა და სიგამხდრეც, ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური ცვლილებების შედეგია. თერმოჯეტიქსი ვიტამინებითა და მინერალებით მდიდარ, ბიოლოგიურად აქტიურ საკვებ დანამატს გვთავაზობს, რომლის წყალობითაც, სხეული ჯანმრთელდება, თავისუფლდება ცელულიტისგან, ძლიერდება ცხიმების წვა. მართალია, კალორიებს მცირე რაოდენობით ვიღებთ, მაგრამ ორგანიზმი მარაგდება ყველა აუცილებელი საკვები ნივთიერებით. თერმოჯეტიქსის წყალობით ადამიანი მადას აკონტროლებს – უქრება შიმშილს გრძნობა ან პირიქით, ემატება, თუ გასუქება სურს. თერმოჯეტიქსის პროგრამა ჰორმონალური დარღვევების დროსაც ეფექტურია... ჩვენს პაციენტს, 50 წლის ქალბატონს, რომელსაც 2 წლის წინ დაეწყო კლიმაქსი. შევუდგინეთ გახდომის ინდივიდუალური პროგრამა და გარდა იმისა, რომ წონაში დაიკლო, მენოციკლიც აღუდგა. გვაქვს აგრეთვე, სპეციალური პროგრამები ბავშვებისა და სპორტსმენებისთვის.

P.S. მიღება წინასწარი ჩაწერით! დარეკეთ: 95.72.94; 78.48.20; 893.97.57.60

®

ქალის წარმატების საიდუმლო

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ბევრმა იცის, თუ რა არის კლიმაქსი, მაგრამ ცოტასთვის თუა ცნობილი, რომ ბერძნული სიტყვიდან — „კლიმაქტეროს“ — წარმოიქმნა, რაც „საფეხურს“ ნიშნავს. როცა ქალი ამ საფეხურზე ადის, მის ცხოვრებაში ორგანიზმის ასაკობრივ ცვლილებებთან დაკავშირებული ახალი პერიოდი დგება. კლიმაქსი ჩვეულებრივ, 45-55 წლის ასაკში იწყება და შეიძლება, 8-10 წელი გაგრძელდეს. ამ დროს წყდება მენსტრუაცია და თანდათანობით ქრება რეპროდუქციული ფუნქცია.

კლიმაქსის გამოვლინებები განპირობებულია ქალური სასქესო ჰორმონების მაპროდუცირებელი საკვერცხეების ფუნქციის დაქვეითებით. რადგან ჰორმონები ყველა ორგანოსა და სისტემაზე ახდენს გავლენას, მათი უკმარისობაც სხვადასხვაგვარად ვლინდება. ყველაზე ხშირად, ქალების 91%-ს ეწყება ალები, 81%-ს — გაძლიერებული ოფლიანობა, 55%-ს — არტერიული წნევის ცვალებადობა, აგრეთვე — თავის ტკივილი, დეპრესია, გაღიზიანებადობა, ძილის დარღვევა და სხვა ნიშნები.

კლიმაქსის ავადმყოფური გამოვლინებების თავიდან აცილება შესაძლებელია

ამ მიზნით გამოიყენება ჩანაცვლებითი ჰორმონული თერაპია ანუ ინიშნება ქალური სასქესო ჰორმონების პრეპარატები, რომლებსაც ექიმი არჩევს კლიმაქსის ფაზისა და გამოვლინებების შესაბამისად. მაგალითად, მაღალეფექტური პრეპარატია პაუზოგესტი, რომელიც შეიცავს ჰორმონებს – ესტრადიოლსა და ნორეტისტერონს. თერაპიას იწყებენ მენოპაუზის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ (ანუ ბოლო მენსტრუაციიდან ერთი წლის შემდეგ). მისი მიღებიდან რამდენიმე დღეში, ქრება ან მნიშვნელოვნად ქვეითდება ალების სიხშირე და გულის აჩქარების შეტევები, წესრიგდება ძილი, ქრება განწყობილების მკვეთრი ცვალებადობა. გარდა ამისა, პრეპარატი დადებითად მოქმედებს კანზე, აუმჯობესებს მის სისხლმომარაგებას, ზრდის ტენიანობასა და ელასტიკურობას და ამგვარად ეწინააღმდეგება ნაოჭების წარმოქმნას. შუახნის ყველა ქალბატონი კი, მათგან თავის დაღწევაზე ოცნებობს.

ამ პრეპარატს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისება აქვს – ქალს იცავს ოსტეოპოროზის განვითარებისაგან. ეს დაავადება 45 წელზე მეტი ასაკის ყოველ მესამე ქალს აქვს; იგი ძვლოვანი ქსოვილის მინერალებისაგან გამოფიტვას იწვევს. ძვლები მყიფდება და ადვილად მსხვრევადი ხდება, რის გამოც ზოგჯერ ქალი ხანგრძლივად მიეჯაჭვება ხოლმე საწოლს, ზოგჯერ კი, სულაც ინვალიდად რჩება. ჩანაცვლებითი ჰორმონული თერაპია კალციუმის პრეპარატებთან ერთად თავიდან აგვაცილებს ოსტეოპოროზსა და მის მძიმე შედეგებს.

ბოლო დროს ჩანაცვლებითი ჰორმონული თერაპიისათვის განკუთვნილ პრეპარატთა რიგს მიემატა კიდევ ორიტრიაკლიმი და ესტრიმაქსი. ტრიაკლიმი იმავე ჰორმონებს შეიცავს, რომლებსაც პაუზოგესტი და გამოიყენება ჰორმონული უკმარისობით გამოწვეული სიმპტომების მოსახსნელად პერიმენოპაუზის პერიოდში (47-დან 52 წლამდე). პრეპარატი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ქალის სიცოცხლის ხარისხს ამ პერიოდში.

თუმცა, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სასქესო ჰორმონების უკმარისობა ქალებში ასაკობრივ ცვლილებებთან ერთად თანდათანობით კი არ ვითარდება, არამედ – უეცრად იჩენს თავს, საშვილოსნოს ქირურგიული ამოკვეთის შემდეგ. ამ შემთხვევაში საჭიროა ჩანაცვლებითი ჰორმონული თერაპია ოპერაციის შემდგომ, ადრეულ პერიოდში, რათა ორგანიზმი თანდათანობით შეეგუოს მწვავედ განვითარებულ ჰორმონულ უკმარისობას. ასეთი შემთხვევებისათვის შექმნილია ახალი პრეპარატი – ესტრიმაქსი, რომელიც პაციენტმა ყოველდღიურად, შესვენების გარეშე უნდა მიიღოს.



თანამედროვე ჰორმონული საშუალებების ფართო სპექტრი ქალს საშუალებას აძლევს, კლიმაქსის დროს შეინარჩუნოს ჯანმრთელობა, ჰქონდეს კარგი განწყობა და კარგადაც გამოიყურებოდეს. ქალმა უნდა იცოდეს, რომ მენსტრუალური ფუნქციის დამთავრებით ცხოვრება სულაც არ მთავრდება. ამ პერიოდს გარკვეული უპირატესობებიც კი აქვს, მაგალითად: ქალს აღარ ეშინია დაუგეგმავი ორსულობისა, აღარ აწუხებს მენსტრუაციასთან დაკავშირებული პრობლემები – ტკივილი და სისხლდენა.

კლიმაქსი არ უნდა უშლიდეს ხელს ქალს, დარჩეს მომხიბლავი, წარმატებული და გარშემო მყოფთათვის საინტერესო. ამის მისაღწევად კი, ყველა ქალს საკუთარი საიდუმლო აქვს. ■

რა სჭირდება გულს

ჩვენს გულს უყვარს, როცა ვმოძრაობთ. *სულ არაფერს, უმნიშვნელო ვარჯიშიც სჯობს. დღეში 30 წთ სიარული გაუმჯობესებს თქვენს მდგომარეობას. ექიმები ინფარქტის შემდეგაც კი მოძრაობას ურჩევენ პაციენტებს – მათ დღეში ორჯერ მაინც უნდა ისეირნონ სუფთა ჰაერზე.*

გულ-სისხლძარღვთა დაავადებები არ იკურნება, ამიტომ ვისაც გაწუხებთ, უნდა იცოდეთ, რომ საკუთარი თავის შეზღუდვა ბევრ რამეში მოგიწევთ. მთავარია, არ დავუშვათ ამ დაავადებათა განვითარება, ვეცადოთ, თავიდან ავიცილოთ ისინი, მით უმეტეს, რომ ეს არც ისე რთულია, განსაკუთრებით, თუ სიმპტომები მათი გაჩენისთანავე შეამჩნიეთ. რა უყვარს გულს? რა სჭირდება მას?

ჩვენს გულს აუცილებლად სჭირდება...

კალიუმი, რადგან იგი ხელს უწყობს ორგანიზმიდან ჭარბი სითხის გამოდევნას და აუმჯობესებს გულის კუნთის მუშაობას. კალიუმი ბევრია: ლობიოში, სოიაში, ბარდაში, ატამში, გარგარში, შავ ქლიავში, შავ ჩაიში, გამომშრალ თეთრ სოკოში, კაკაოსა და შედეგებულ რძეში;

მაგნიუმი, რომელსაც აქვს სისხლძარღვთა გამაფართოებელი და შარდმდენი მოქმედება. ორგანიზმში მისი მოხვედრის ძირითადი წყაროები მცენარეული პროდუქტებია. მას დიდი რაოდენობით შეიცავს: წიწიბურა, შვრია, ბარდა, ლობიო, საზამთრო, ნუში, შავი ჩაი, ყავა, ხალვა, ზღვის კომბოსტო;

იოდი – სასიკეთო გავლენას ახდენს ნივთიერებათა ცვლაზე ათეროსკლეროზის დროს. იოდით მდიდარია ზღვის პროდუქტები: თევზი, განსაკუთრებით – კალმახი, კრევეტები, ზღვის კომბოსტო. იოდს შეიცავს აგრეთვე: ხორცი, კვერცხი, რძე, ჭარხალი, სალათი, კარტოფილი, კომბოსტო, კიტრი, ყურძენი, ქლიავი;

C ვიტამინი – ამაგრებს სისხლძარღვებს. მისი ძირითადი წყაროა: წითელი ბულგარული წიწაკა, ვაშლი, კამა, ასკილი, ქაცვი, მოცხარი;

B ჯგუფის ვიტამინები – ხელს უწყობს ათეროსკლეროზის პროგრესირების პროფილაქტიკას და დადებითად მოქმედებს ნივთიერებათა ცვლაზე. მისი შემცველია: საფუარი, ღვიძლი, თირკმლები, კაკალი, მცენარეთა მწვანე ფოთლები;

PP ვიტამინები (ნიკოტინის მჟავა) – ზოგიერთი მჟანგავი ფერმენტის შემადგენლობაში შედის. მისი წყაროა: ბურღულეული, ლობიო, პურის ფქვილი, ბარდა, კარტოფილი;

P ვიტამინი – ხელს უწყობს კაპილარების გამაგრებას, ამცირებს სისხლძარღვთა კედლის გამავლობას. მას შეიცავს: ალუბალი, შავი მოცხარი, ჩაი, მწვანე ბარდა, ფორთოხალი, ლიმონი, ასკილის ნაყოფი, წიწაკა, ჟოლო, მარწყვი;

უჯრედისი – მცენარეულ უჯრედთა გარსები, მცენარეული ბოჭკოები. ისინი ხელს უწყობს ორგანიზმიდან ჭარბი ქოლესტერინის გამოდევნას და ამით უზრუნველყოფს ათეროსკლეროზის პროფილაქტიკას. მას შეიცავს მხოლოდ მცენარეული პროდუქტები – ბოსტნეული, ხილი, კენკროვანები, ბურღულეული;

მცენარეული ზეთი – პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავების მთავარ წყაროს წარმოადგენს. ეს მჟავები კი ქოლესტერინის ცვლას აწესრიგებს. ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ თერმული დამუშავება რამდენადმე ამცირებს მცენარეული ზეთის სასარგებლო თვისებებს, ამიტომ მიზანშეწონილია მისი გამოყენება სალათების შესაკაზმად.

გულს უყვარს, როცა ფორმაში ვართ. ითვლება, რომ ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა ინარჩუნებდეს იმ წონას, რომელიც მას 25 წლის ასაკში ჰქონდა (თუკი ბავშვობაში არ წაწყდომია განსაკუთრებულ პრობლემებს – სიმსუქნეს ან პირიქით – მეტისმეტ სიგამხდრეს). ნორმალური და სტაბილური წონა ჯანმრთელობის ერთ-ერთი პირობაა. რაც მეტად მატულობს წონა, მით მეტად ირღვევა ჯანმრთელობა.

გულს უყვარს, როცა საერთოდ არ ვეწევით ან თავს ვანებებთ სიგარეტს. თუ არ შეგიძლიათ სიგარეტისთვის თავის დანებება, შეამცირეთ მაინც მოწეული სიგარეტების რაოდენობა. მოწევა არა მხოლოდ ჯანმრთელობას ვნებს, არამედ იმ წამლების მოქმედებასაც ასუსტებს, რომლებსაც ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად იყენებენ.

გულს უყვარს, როცა მშვიდად ვართ. ეს რთულია, მაგრამ მაინც უნდა ვეცადოთ. დამტკიცებულია, რომ ცხოვრებისადმი პოზიტიური დამოკიდებულება დადებით გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე. სასოწარკვეთილება, ღვარძლი, აგრესია – დამანგრეველი ემოციებია არა მხოლოდ ირგვლივმყოფთათვის, არამედ ამ ემოციების მქონე ადამიანისთვისაც. სტრესებისგან თავდაცვა შეუძლებელია. ამიტომ ბევრი რამაა დამოკიდებული სწორ რეაქციაზე. თუ ადამიანს არ შეუძლია სტრესთან ბრძოლა, იგი მის გაქარვებას სიგარეტით ან ალკოჰოლით იწყებს და ამგვარად, ფსიქოლოგიურთან ერთად, მოქმედებას იწყებს რისკის სხვა, უფრო ბანალური ფაქტორები. ■

კითხვა პასუხი



კითხვა: ვისთვისაა სასარგებლო მწვანე ჩაი: მათთვის, ვისაც მაღალი წნევა აქვთ, თუ მათთვის, ვინც დაბალწნევიანია?

პასუხი: მწვანე ჩაი აწესრიგებს სისხლძარღვთა ტონუსს: თუ სისხლძარღვები სპაზმირებულია (ან შევიწროებულია) და წნევა მომატებულია, მწვანე ჩაი მათზე მომადუნებლად იმოქმედებს. თუ ადამიანს ჰიპოტონია (დაბალი წნევა) აქვს, ჩაის, ტონუსში მოჰყავს სისხლძარღვები და ამგვარად, წნევის ნორმალიზებას ახდენს. სწორედ ესაა მისი უნიკალურობა. მწვანე ჩაი ხელს უწყობს ორგანიზმში C ვიტამინის დაგროვებასა და ცვლას. ამავე დროს იგი დადებით ზემოქმედებას ახდენს სისხლძარღვთა კედლებზე, ზრდის მათ ელასტიკურობას და იცავს ათეროსკლეროზული ფოლაქების წარმოქმნისაგან. მწვანე ჩაის ტონუსში მოჰყავს გულის კუნთი, როცა იგი მოდუნებულია რაიმე ზოგადი დაავადების ან ფიზიკური გადაძაბვის გამო.

სასარგებლოა მწვანე ჩაის სმა ზაფხულში, რადგან იგი აწესრიგებს ოფლის გამოყოფას და თერმორეგულაციას. სიცხეში იცავს ორგანიზმს გაუწყლოებისაგან – მასში ხომ მრავლადაა მინერალური ნივთიერება და მიკროელემენტი, რომელსაც ორგანიზმი ოფლთან ერთად კარგავს.

აღსანიშნავია მწვანე ჩაის ანტიოქსიდანტური თვისებები, რომელთა წყალობითაც ეს სასმელი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური პროფილაქტიკური საშუალებაა ქრონიკული დაავადებების, სიმსივნური პათოლოგიების დროს.

კითხვა: ვარ 24 წლის ვაჟი. პერიოდულად, ტანზე რალაც ჭიანჭველასავით დამივლის ხოლმე და მექავება. გთხოვთ, მიპასუხოთ, რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს?

პასუხი: მსგავსი შეგრძნებები შეიძლება უკავშირდებოდეს ნევროზს, ოსტეოქონდროზს, ალერგიას ან კანის პათოლოგიას. დიაგნოზის დასაზუსტებლად უნდა მიმართოთ თერაპევტს. დამატებითი გამოკითხვის და სამედიცინო გამოკვლევის საფუძველზე იგი სხვა საჭირო სპეციალისტთან გაგგზავნით. ■

მედიცინის სიახლეები

გამოიძინეთ და ჯარგად დაიხსომებთ!

ჰარვარდის უნივერსიტეტის მედიკოსების აზრით, ღამის ძილსა და მეხსიერებას შორის უშუალო კავშირია. მაგალითად, თუ ადამიანს აწვდით რაიმე ახალ მასალას, მეორე დღეს კარგად გამოძინებულ ადამიანს გაცილებით უკეთ ახსოვს იგი, ვიდრე მას, ვინც ღამით ფხიზლად იყო. მკვლევარები ურჩევენ სტუდენტებს, რომლებიც გამოცდების წინ მთელ ღამეს მეცადინეობენ, შეიცვალონ ეს ჩვევა და დაიძინონ. მათ ყველაფერი უკეთ დაამახსოვრდებათ, რაც ღამით, ძილის წინ აითვისეს. ძილის წინ ხდება მეხსიერების კონსოლიდაციის პროცესი, რაც ნასწავლის დამახსოვრებას უზრუნველყოფს. ■

მივიღოთ თუ არა სტატინები?

დიდი ხანია, ათეროსკლეროზის მკურნალობაში სტატინების ჯგუფის პრეპარატები ყველაზე პერსპექტიულად ითვლება. ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სტატინები ინფარქტის რისკს ამცირებს, მაგრამ მათი მიღება შესაძლოა, გულის უკმარისობის მიზეზი გახდეს.

ლონდონის სამეცნიერო კონფერენციაზე აღმოსავლეთ ტეხასის სამედიცინო ცენტრის ექიმმა პიტერ ლანგსჯოენმა აღნიშნა, რომ სტატინების მიღებისას ორგანიზმში იკლებს გულისთვის მნიშვნელოვანი ნივთიერების – კოენზიმ Q10-ის მარაგი, რომელიც აუცილებელია გულის უკმარისობის თავიდან ასაცილებლად. მეცნიერის აზრით, ამ აღმოჩენის უგულებელყოფა არ შეიძლება, რადგან საფრთხე მილიონობით ადამიანს ემუქრება.

ბრიტანელმა ექსპერტებმა ამ გამოკვლევას კომენტარი გაუკეთეს და აღნიშნეს, რომ სტატინების დადებითი ეფექტი რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომითაც დასტურდება. მათი აზრით, უბრალოდ, სტატინების დახმარებით ადამიანს სიცოცხლე უხანგრძლივდება და იმ ასაკს აღწევს, როდესაც გულის უკმარისობა იჩენს თავს. ■



ოთახის ხრიოკული სეგმენტები

ჩვენს საცხოვრებელს ყველაზე მეტად ყვავილები ალამაზებს. მცენარეების სიყვარული შეიძლება ადამიანის კარგ თვისებადაც ჩაითვალოს, რადგან ყვავილებთან ურთიერთობა გვაკეთილშობილებს.

ოთახის მცენარეთა მოყვარულებს ვთავაზობთ სუკულენტების (მრავალწლოვანი, გვალვაგამძლე მცენარეების: კაქტუსი, აგავა, ალოე, კალანხოე და სხვა) მოვლა-გახარების წესებსა და გზებს.

თავდაპირველად, კაქტუსებისადმი ჩვენი გაზრდილი ინტერესის გათვალისწინებით, ამ ეგრეთ წოდებული „მწვანე მახინჯების“ შესახებ ზოგად ცნობებს მოგაწვდით. ბევრმა არც კი იცის, რომ კაქტუსების ათასობით სახეობა არსებობს. ეკლიან ბურთებს ულამაზესი ყვავილებისა და ნაყოფის გარდა, ბევრი სხვა სარგებლობაც მოაქვს. ზოგს სამკურნალოდ იყენებენ, ზოგს საკვებად, ზოგისგან კი საღებავს და კუჭუკსაც კი ამზადებენ. თუმცა, ეს ყველაფერი ბრაზილიაში, აშშ-ში, აფრიკასა და კაქტუსების სამშობლოდ ცნობილ მექსიკაში ხდება. ჩვენს ოთახებში კი „უდაბნოს ბინადართა“ საოცარი ყვავილებიც დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

კაქტუსების მოვლა შედარებით ადვილია. ზედმეტი ყურადღება და გადაყოლა მათ ვნებს კიდეც. სხვა მცენარეებისგან განსხვავებით, კაქტუსების „ხორციანი“ ფოთლები და ღეროები თითქმის არ აორთქლებს წყალს. სწორედ ამის წყალობით ხარობენ ისინი უდაბნოს პირობებში.

ჩვენში გავრცელებული ჯიშები პირობითად შემდეგ ტიპებად დავყოთ: ფოთლოვანი კაქტუსები (Epiphilum, Zigocactus), გრძელი, ბოძისებური (Cereus), მრგვალი (Echinopsis, Lobivia, Rebutia), ეკლოვანი (Echinocactus, Notocactus),





ბუსუსებიანი (Mammillaria) და იშვიათი, პატარა ჯიშები (Astrophitum, Leuchtenbergia, Melocactus).

როგორც ყველა მცენარისთვის, ბუნებრივია, კაქტუსებისთვისაც არსებობის აუცილებელი პირობებია: სინათლე, მიწა, წყალი და ჰაერი. ისინი თითოეულ ტიპს შესაბამისი რაოდენობით სჭირდება. მაგალითად, ფოთლოვანებს ჩრდილში ყოფნა უყვართ, ხოლო ბუსუსებიანსა და პატარა ჯიშებს — თაკარა მზეზე.

პირობითი სახელი „ფოთლოვანი“, ამ ჯიშთა გარეგნული ფორმებიდან გამომდინარეობს. სინამდვილეში ეს ღეროებია და არავითარი ფოთოლი კაქტუსს არ გააჩნია. Epiphillum-ისა და Zigocactus-ის (დეკემბერა) დამახასიათებელი თვისებებია ჩრდილისა და სითბოს სიყვარული. დეკემბერა ზამთარში ყვავის და ეს სახელიც ამიტომ შეერქვა.

ბოძისებური კაქტუსები, ე.წ. ცერეუსები მზეზე ყოფნას არჩევენ. თუმცა, ზაფხულში, შუადღის მცხუნვარე სხივებს უნდა მოვარიდოთ. როგორც წესი, დამყნობისას ამ ტიპის კაქტუსებს საძირედ, საფუძვლად იყენებენ. მისი მაღალი და ვიწრო ფორმები დამყნობის შემდეგ ახალ რტოებს აღარ იყრის. სამშობლოში მისი სიმაღლე 18(!) მეტრსაც კი აღწევს.

მრგვალი და ეკლოვანი კაქტუსი ჩვენში მრავლადაა. მათ უყვართ ზაფხულში გარეთ, სუფთა ჰაერზე ყოფნა. ზამთარში კი Lobivia-სა და Rebutia-ს შედარებით ცივ, ნათელ ადგილზე ყოფნა უყვართ, ვინაიდან ისინი მაღალი მთის ბინადარნი არიან. Echinopsis-ებს აქვთ 20 სმ-მდე სიგრძის, თოვლივით თეთრი ან მოვარდისფრო, სურნელოვანი ყვავილები.

ეკლოვანი Echinocactus-ები განსაკუთრებით ადვილად ხარობენ. ორი წლისანი უკვე ყვავიან. მოიცავენ ყველაზე მეტ ჯიშს. მოსწონთ ბევრი წყალი, მზე და სითბო.

ბუსუსებიანი და პატარა ჯიშები (Mammillaria, Astrophitum და სხვა) განსაკუთრებით ნელა იზრდებიან. ყველაზე მრავალფეროვანი ყვავილი და უცნაური და საინტერესო ფორმები აქვთ. რაც შეიძლება მეტი სინათლე ესაჭიროებათ. Astrophitum-ები და Melocactus-ები თითქმის არ შეიცავენ ქლოროფილს. ამიტომ, ზედაპირის ნაცრისფერი და ყავისფერი შეფერილობა ახასიათებთ. სჭირდებათ ბევრი სითბო და ვერ იტანენ მორწყვისას ზედაპირის დასველებას.

საერთოდ, ყველა კაქტუსი ძირგახვრეტილ ქოთანში უნდა მოვათავსოთ, რათა ზედმეტი წყალი გაუშვას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შეისრუტოს. ზოგს აქვს მცდარი ინფორმაცია, თითქოს ქოთანში ჯერ უნდა ეყაროს კენჭები, შემდეგ — ქვიშა და ბოლოს — მიწა. სინამდვილეში პირიქითაა. საშუალოდ საჭიროა 50% მიწა, შემდეგ 25% ქვიშა და ზედაპირზე 25% კენჭები. ვინაიდან თუ კაქტუსი მიწაში ღრმადაა ჩაფლული, ის დალპება. კენჭები კი უზრუნველყოფს ძირში ჰაერის მოძრაობასა და სიმყარეს.

კაქტუსებზე უამრავი დაკვირვების წარმოება შეიძლება. განსაკუთრებით საინტერესოა (და თანაც ადვილი) მათი დამყნობა. თუ როგორ ხდება დამყნობა, ამას „გზის“ მომდევნო ნომერში მოგახსენებთ.

მოამზადა ლევან ებრალიძემ

ბომარშე „... ქორწინება“	თვით-მფრი-ნავი	კბილის მთავარი შემადგენელი ნაწილი	ოჯახი	უახლოესი ვარსკვ-ლავი	ალიყური	საბჭოთა სატვირთო ავტომობილი	სამხრეთ კორეის დედაქალაქი
კერძზე მომდგარი ცხიმი	უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლე	გამარჯვების ქალაქ-მერთი	ფარაონთა ერთ-ერთი დინასტია	თათქარიძეების მოსამსახურე გოგო			

რა მნიშვნელობა აქვს საკურთხს?

როგორც წმინდა ეკლესია გვიქადაგებს, გარდაცვალების შემდეგ ადამიანის სული საჭიროებს შეწევნას, რისთვისაც გარდაცვლილის ახლობლებმა უნდა იზრუნონ, რადგან მათ მიერ ქმნილი კეთილი მოქმედებებით მოხვეჭილი მადლი გარდაცვლილის სულს კეთილად წაადგება. მიცვალებულის სულისთვის ზრუნვის ერთ-ერთი სახეა მოწყალების გაცემა. მოწყალების სახით შეიძლება გაიცეს: საკვები, ნივთი, თანხა და ა.შ. — რისი გაღების საშუალებაც აქვთ გარდაცვლილის ახლობლებს. გარდაცვლილის სახელზე გაღებულ მოწყალებად ითვლება საკურთხის მომზადებაც, რასაც ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს გარდაცვლილის სულისთვის.

მორენა მერკვილაძე

რა არის საკურთხი?

საკურთხი მიცვალებულის სახელზე მომზადებული ტრაპეზია (სუფრა), რომელსაც ამზადებენ გარდაცვლილის ახლობლები, გარდაცვლილთა კერძო და საყოველთაო მოხსენიების დღეებში. ტრაპეზი ჭირისუფალმა უნდა მიიტანოს ეკლესიაში, სადაც ღვთისმსახური აღასრულებს პანაშვიდს — ე.ი. აღავლენს სპეციალურ საეკლესიო ლოცვას მიცვალებულთათვის (ამ დროს იკითხება საგანგებო ლოცვები მიცვალებულის სულის საოხად, ინთება სანთელი, იკმევა საკმეველი და ხდება მიცვალებულის სახელზე მომზადებულ ტრაპეზზე ნაკურთხი წყლის პკურება). კურთხევის დროს აღსრულებული საეკლესიო ქმედებები მისდის მიცვალებულის სულს, რაც მას მაკურნებლად წაადგება. საკურთხი ჭირისუფალმა უნდა შესწიროს ეკლესიას, რათა მოხმარდეს ტაძრის მსახურთა და უპოვართა დაპურებას, რადგან საკურთხის დანიშნულება ღარიბ-ღატაკთა დაპურება და მისი მოწყალების სახით გაცემაა, რაც აუცილებლად უნდა მომდინარეობდეს წმინდა გულიდან და თან ახლდეს გულწრფელი სურვილი, რომ ამ ქმედებით შევეწევით გარდაცვლილის სულს.

ზოგჯერ ხდება, რომ მიცვალებულის სახელზე მომზადებულ ტრაპეზს მხოლოდ შინ უნთებენ სანთელს, აკმევენ საკმეველს, ასხურებენ ნაკურთხ წყალს და ამბობენ მიცვალებულის შესანდობარს. შეიწირავს თუ არა უფალი მიცვალებულის სახელზე გაკეთებული ტრაპეზს, რომელიც ჭირისუფალს ეკლესიაში არ მიაქვს და ღვთისმსახურის მიერ არ იკურთხება?

ეკლესიური სწავლებით, ჭირისუფალი მსგავსი ქმედებით მცირედით შეეწევა მიცვალებულის სულს და უფლისგანაც უმნიშვნელოდ შეიწირება. ამიტომ აუცილებელია მიცვალებულის სახელზე მომზადებული ტრაპეზის ტაძარში მიტანა და სასულიერო პირის მიერ მისი კურთხევა (შესაძლებელია, სასულიერო პირი ჭირისუფალმა შინ მიიყვანოს და იქ აკურთხებინოს საკურთხი), რადგან საკურთხს იმიტომ ჰქვია საკურთხი, რომ იკურთხება. კურთხევას კი მხოლოდ ღვთისმსახური აღასრულებს.

კონკრეტულად რომელ დღეებში უნდა მომზადდეს საკურთხი?

მიცვალებულის სახელზე საკურთხი მზადდება მიცვალებულთა კერძო და საყოველთაო მოხსენიების დღეებში. კერძო მოხსენიების დროს ხდება მიცვალებულის კერძო მოხსენიება — ე.ი. იხსენიება მხოლოდ ერთი გარდაცვლილის სული. კერძო მოხსენიების დღეებია — გარდაცვალებიდან მე-3, მე-9 და მე-40 დღეები, ასევე გარდაცვალებიდან ერთი წლისთავი. გარდა ამისა, მიცვალებულთა კერძო მოხსენიება ხდება გარდაცვალებიდან ყოველ წლისთავზე (გარდაცვალების დღის აღსანიშნავად) და გარდაცვლილის დაბადების დღეზე. კარგია, თუ ახლობლები აღნიშნავენ გარდაცვლილის ანგელოზის დღესაც. ამ დღეებში, მიცვალებულის სახელზე მომზადებული ტრაპეზი შეიძლება წავიღოთ ტაძარში ან შინ მოვიყვანოთ ღვთისმსახური და იქ ვაკურთხებინოთ.

მიცვალებულთა საყოველთაო მოხსენიების დღეებია: ხორციელის შაბათი; დიდი მარხვის მეორე, მესამე და მეოთხე შაბათი; თომას კვირის სამშაბათი; სულთმოფენობის წინა შაბათი; დიმიტრის შაბათი. ამ დღეებში ყველა მოქმედ მართლმადიდებელ ტაძარში აღესრულება პანაშვიდი, მიცვალებულთა სულის საოხად.

საქართველოში განსაკუთრებით რაიონებში, საკურთხს ამზადებენ ზოგიერთი საეკლესიო დღესასწაულის დღეებშიც — შობას, აღდგომას, მარიამობას, ღვთისმშობლობას. მაგრამ ეს მართებული არ გახლავთ.

ეკლესიური სწავლებით, საეკლესიო დღესასწაულების დღეებში მიცვალებულთა სულის საოხად საკურთხის სუფრა არ მზადდება. ეს არის ხალხური ჩვეულება, რომელსაც არანაირი რელიგიური საფუძველი არ გააჩნია.

კერძები, რომლებიც საკურთხის სუფრისთვის მზადდება...

აუცილებლად უნდა მომზადდეს კოლიო (მოხარშული ხორბალი, რომელსაც თაფლით აზავებენ). ასევე აუცილებელია საკურთხის სუფრაზე იყოს ზეთი და ღვინო. ამის გარდა, შესაძლებელია ნებისმიერი კერძის მომზადება, რომლის მომზადების სურვილი და შესაძლებლობაც აქვთ გარდაცვლილის ახლობლებს. მთავარია, საკურთხის სუფრისთვის მარხვის დროს მომზადდეს მხოლოდ სამარხვო კერძები, ხსნილში კი შესაძლებელია ნებისმიერი კერძის მომზადება.

აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა საკურთხის სუფრისთვის იმ კერძების მომზადებას, რომლებიც გარდაცვლილს სიცოცხლეში გამორჩეულად უყვარდა?

მსგავს სწავლებას წმინდა ეკლესია არ იცნობს. გარდაცვლილთა სულები კვებას არ საჭიროებენ, მათ მიუვათ და შეეწევათ მხოლოდ ის სამღვდლო ქმედებები, რომელთაც აღასრულებს მღვდელი მიცვალებულის სახელზე მომზადებული ტრაპეზის კურთხევის დროს. ამიტომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, იქნება თუ არა საკურთხის სუფრაზე კერძი, რომელიც გარდაცვლილს სიცოცხლეში გამორჩეულად უყვარდა.

ხაზი უნდა გაესვას საკურთხის სუფრისთვის კოლიოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. სიმბოლურად ხორბალი აღნიშნავს, რომ მიცვალებული ჭეშმარიტად აღდგება, ხოლო თაფლი — ნეტარი ცხოვრების სიტკბოების მანიშნებელია, რომელიც მოელის მართლებს (ე.ი. იმ ადამიანებს, რომლებიც ღვთის წინაშე გამართლდებიან) საყოველთაო აღდგომის შემდეგ.

რა შემთხვევაში არ შეიძლება საკურთხის მომზადება გარდაცვლილისთვის?

გარდაცვლილისთვის საკურთხი არ მზადდება იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანი ისე გარდაიცვალა, რომ არ იყო მართლმადიდებლური წესით მონათლული. ვისაც არ ჰქონდა რწმენა — სიცოცხლის ბოლომდე გმობდა ღმერთს. საკურთხის მომზადება არ შეიძლება აგრეთვე თვითმკვლელთათვის (მათთათვის ეკლესია ლოცულობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თავს მოიკლავს შეურაცხადი ადამიანი, რომელიც ვერ აცნობიერებს იმას, თუ რას სჩადის). ■

ასეთ დონეზე დამუშავებული და ასეთი მდიდრული ორნამენტებით მოჩუქურთმებული საგრაპეზო ქვა აქამდე ცნობილი არ ყოფილა

სამარხებისა და გამოქვაბულების აღმომჩენი თავის მიგნებებს ბოლომდე არ ამჟღავნებს

ნუგზარ ტაბატაძე სოფელ მანავის მკვიდრია. ის ჩვეულებრივი ადამიანია, რომელსაც არაჩვეულებრივი ინტუიცია აქვს. სწორედ მისი წყალობით შეძლო, უნიკალური აღმოჩენა გაეკეთებინა. საუბარია კლდეში ნაკვეთ ეკლესიაზე, რომელსაც VI საუკუნეს მიაკუთვნებენ. ეკლესიაში უნიკალური სატრაპეზო ქვა აღმოჩნდა. როდესაც ნუგზარმა მთის ძირში ხეები მოჭრა, ტერიტორია გაასუფთავა და თხრა დაიწყო, წინასწარ ამბობდა — აქ ეკლესიის ნანგრევებს ვიპოვიო... ზოგს ირონიულად ეღიმებოდა, ზოგი ამბობდა — „ვერ გაფრინდებაო"... ზოგიერთს სჯეროდა, რომ მართლაც რაიმეს მიაგნებდა... ჯერ აღმომჩენს მოვუსმინოთ, შემდეგ კი კახეთის რეგიონის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის ბატონ კიაზო ფიცხელაურის კომენტარს გავეცნოთ.

მარი ჯაფარიძე

— **ნუგზარ, გვიამბეთ თქვენი აღმოჩენის შესახებ.**

— მართალია, მე ასეთ საკითხებში ვერ ვერკვევი, მაგრამ ჩემი აღმოჩენა სპეციალისტებმა ნახეს და თქვეს, რომ ეს ადრეფეოდალური ხანის ქართული ეკლესიაა. რაც შეეხება მის ფორმას — ის არის ნახევრად კლდეში ნაკვეთი ტაძარი, რომელსაც ისეთი ფასადი აქვს, თითქოს კლდეში მდებარე გამოქვაბულის შესანიღბავად ნაჩქარევად არის მიშენებული... შესაძლოა, დარბევის საშიშროების გამო მოხდა მისი აშენება. გამოქვაბულის შესასვლელი ამოქოლილია, ცალპირი ქვით აშენებული კედლით. შიგნით შესაძლოა, იყოს ბიბლიოთეკა, რაიმე განძი ან სამარხი... მე ვიცი, რომ ახლომდებარე ტერიტორიაზე აუცილებლად იქნება მარანი, რომელსაც სულ მალე გავთხრი.

— **ვიდრე თხრას დაიწყებდით, იქ რაიმე ნიშანი ხომ არ გინახავთ, რომელმაც მიგახვედრათ, რომ მიწის ქვეშ ნაგებობას აღმოაჩენდით?**

— არა, იქაურობას არანაირი ნაგებობის არსებობის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ეკლესია მთლიანად მიწის ქვეშ იყო მოქცეული, ზევიდან კი საკმაოდ მოზრდილი ხეები იყო ამოსული. არავის სჯეროდა, რომ რაიმეს ვიპოვიდი. შესაძლოა, ჩუმ-ჩუმად დამცინოდნენ კიდეც... ძალზე მიყვარს ტყეში ხეტიალი. კლდის ფენების შესასწავლად უზარმაზარ კლდეზე თოკით ჩავდივარ ხოლმე. კლდეში არის ბუნებრივი ნაპრალები, სადაც მხოლოდ მგლები ბინადრობენ. შესწავლილი მაქვს ყოველი კუთხე-კუნჭული, თანაც ინტუიცია მაქვს განვითარებული. წინათაც ბევრჯერ ამომითხრია და უამრავი რაღაც აღმომჩენია. მივადგები ერთ ადგილს, გული მეტყვის — აქ ნასახლარია! — ამოვთხრი და მართლაც ასეა. ან გული მიკარნახებს — აქ ნაციხარია, სამარხია... — ამოვთხრი და მართლაც ასეა... შარშან ბიჭებთან ერთად ტყეში ვიყავი. ერთ ადგილზე მიწას ფეხი დავარტყი და ვთქვი — აქ, მიწის ქვეშ ძველი მარანია-მეთქი. — ამოვთხარე და მართლაც, ძველისძველ მარანს მივაგენი! იქ, სადაც ეს ეკლესია აღმოვაჩინე, ერთი კვირით ადრე, მთელი მიმდებარე ტერიტორია დავზვერე. ამ მთის ძირში 3 ბილიკი გადის. მათი გადაკვეთის ადგილზე ჩამოვჯექი, მივიხედ-მოვიხედე და გულმა მიკარნახა, თუ სად უნდა დამეწყო თხრა. თან გუმანით იმსაც ვგრძნობდი, რომ ეკლესიას მივაგნებდი. გავასუფთავე ის ადგილი და დავიწყე ამოთხრა. მეტრ-ნახევარ სიღრმეზე რომ ჩავედი, კირის ნაფხვენები გამოჩნდა. ეს უკვე იმის ნიშანი გახლდათ, რომ მართლაც, რაღაც შენობის ნანგრევს მივაგენი. განვაგრძე თხრა და ცოტა ხანში, სწორედ ის ადგილი მოვასუფთავე, სადაც ტრაპეზის ქვა იყო. სპეციალისტებმა თქვეს, რომ ეს არის უნიკალური სატრაპეზო ქვა, რომლის მსგავსი არსად უნახავთ.



იქ, სადაც ეს ეკლესია აღმოვაჩინე, ერთი კვირით ადრე, მთელი მიმდებარე ტერიტორია დავზვერე. ამ მთის ძირში 3 ბილიკი გადის...

— **როგორც უკვე თქვით, ამ სფეროში სპეციალური განათლება არ მიგიღიათ...**

— მე-6 კლასიდან, ჩვეულებრივი სკოლიდან სპორტსკოლაში გადავედი, მერე — თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავ-

უამრავი გამოქვაბული ვიცი, სადაც ადამიანს ჯერ ფეხი არ დაუდგამს და სულ იოლად აღმოვაჩენ... (ნუგზარ ტაბატაძე (მარცხნივ) თანასოფლელთან ერთად)

ლებელში. შემდეგ აფხაზეთის ომში ვიბრძოდი, დავიჭერი და სწავლასაც თავი დავანებე. მერე ცოლიც მოვიყვანე. ერთი პერიოდი ვმუშაობდი ძეგლთა დაცვის სამმართველოში, ეკლესიების მშენებლობა-რესტავრაციაზე. ვმუშაობდი ქაშუეთის ეკლესიის კარიბჭის მიშენებაზე. ასე რომ, თუმცა არქეოლოგიაში სპეციალური განათლება არ მაქვს, მაგრამ არ გადავჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ იქ, სადაც სპეციალური აპარატურით აღჭურვილი ექსპედიცია ყოფილა და ვერაფერი აღმოუჩენია, მე უამრავი საინტერესო რამ მაქვს ნაპოვნი...

— **გამოდის, რომ თამარ მეფის საფლავსაც მიაგნებთ, თუ ძალიან მოინწადინებთ...**

— უცხო ტერიტორიას რომ შემოვივლი, გუმანით ვხვდები, სად რა იქნება მიწის ქვეშ დამალული... 7 წლის წინ, ბიჭები სოკოს მოსაკრეფად წავედით დავითგარეჯში. უდაბნოს დიდი ნაწილი შემოვიარეთ ფეხით. იქ ენახე უზარმაზარი ქვები, რომლებიც გათლილი არ იყო, მაგრამ მივხვდი, რომ საძირკველში გამოყენებული ქვები გახლდათ. შემთხვევით შემხვედრ მწყემსს ვკითხე ამ ქვების შესახებ, მაგრამ მან მხოლოდ ის მითხრა — შესაძლოა, ჩვენს წინაპრებს „ბაკის“ მაგივრობას უწევდაო. გავიდა წლები და იმ ადგილზე მთელი სამონასტრო კომპლექსი აღმოაჩინეს... რაც შეეხება თამარ მეფის საფლავს, მე მგონია, რომ მისი ადგილსამყოფელი ქართველმა მეცნიერებმა იციან და არ ახმაურებენ. მე კი ამის შესახებ საუბარი არ მსურს. უცხო ადგილზე მოხვედრისას, იმდროინდელი არქიტექტორის თვალით ვზვერავ გარემოს და ყოველთვის შეუცდომლად გეტყვით, სად საიდუმლო გვირაბს გაიყვანდნენ, სად — კარი იქნება, სად — სამალავი ან მარანს როგორ ადგილზე გააკეთებდნენ. მერე იმ ადგილის გათხრას რაღა უნდა?!.

— **მნიშვნელოვანი კიდევ რა აღმოგიჩენიათ?**

— აქვე, ახლოს არის ადგილი, რომელსაც ზეიანი ჰქვია. იქ გახლდათ ფერმა, სადაც პაპაჩემი მწველავად მუშაობდა. ბავშვობაში მას თან დავყვებოდი ხოლმე და ხანდახან, ჩემთვის საინტერესო ადგილებს ვთხრიდი. ასე აღმოვაჩინე ძველისძველი, ტომის ბელადების სამარხები... თბილისში სწავლის პერიოდში, ერთ გამოქვაბულს მივაგენი. ეს გახლდათ დიდი დიღმის შორიახლოს, ვიდრე მცხეთამდე მიხვიდოდეთ. მერე რამდენიმე ბიჭს ვუთხარი. მოვილაპარაკეთ, სპეციალური ინვენტარით აღვიჭურვეთ და გამოქვაბულს მივადექით. შიგნით თოკებით ჩავეშვით და საოცარი რამ ვიხილეთ: საცხოვრებელი ოთახები გახლდათ. ისეთ მდგომარეობაში დაგვხვდა, თითქოს სულ ახლახან, ყველაფერი ხელუხლებლად დაუტოვებიათ და ოჯახის წევრები სადღაც გაკრეფილანო... კუთხეში ტახტი იდგა, ძველებური საწოლები, მაგიდა, თაროები, სადაც ძველისძველი ჭურჭელი ელაგა... ძალზე მომეწონა ორი ვერცხლის თასი, რომელიც ძვირფასი თვლებით იყო მოჭედილი. ელვაშესაკრავიანი სპორტული „ზედა“ მეცვა, რომელსაც ბოლოში ზონარი ჰქონდა გაყრილი. ეს თასები უბეში ჩავიდე და ზევით ამოვძვერი. შემდეგ, ბიჭებმა მითხრეს — არ შეიძლება ხელის ხლება, მისი პატრონის სული დაგწყევლისო, — და მეც არ დავიზარე, უკანვე ჩავძვერი და ნივთები ძველ ადგილზე დავაბრუნე... ამის შემდეგ, დიდი დრო გავიდა. შევიტყვე, რომ ვიღაცებს იმ ადგილისთვის მიუგნიათ, ერთი კედელი შეუნგრევიათ და უამრავი ოქროვერცხლი უპოვიათ, ეს განძი ვერ გაუნაწილებიათ, დავა მოსვლიათ, ერთ-ერთ განაწყენებულს ეს ამბავი ადგილობრივი ხელისუფლებისთვის გაუმჟღავნებია და მთელი განძი ჩამოურთმევიათ. ახლა ის ერთ-ერთ მუზეუმში ინახება... ეს ამბავი XX საუკუნის 80-იან წლებში მოხდა... ვაზისუბანში არის სამკარიანი ეკლესია. ამ უბანს ურიათუბანს ეძახიან. იქ ბიჭები იკრიბებოდნენ ხოლმე და „სეკას“ თამაშობდნენ. მე იქვე ახლოს გამოქვაბული აღმოვაჩინე, დიდი ჯოხი გამოვთალე, სახელდახელო საფეხურები გავაკეთე და გამოქვაბულს ვეწვიე. ვნახე უამრავი ძველი ნახატი, ხატები, რომლებიც ძვირფას ჩარჩოებში იყო ჩასმული... ეს განძი სად გაქრა, არ ვიცი... ახლა ვერ ვიცლი, თორემ, უამრავი გამოქვაბული ვიცი, სადაც ადამიანს ჯერ ფეხი არ დაუდგამს და სულ იოლად აღმოვაჩენ... მანავში კი მეგულება რამდენიმე ეკლესია, სამარხები, ნაციხარიც შეიძლება იყოს... ყველაფრის თქმა არ მინდა. ნელ-ნელა ყველას გავთხრი...

— **თქვენი ბოლო აღმოჩენით ვინ დაინტერესდა?**

— უამრავი ადამიანი იყო მოსული. კულტურის მინისტრის მოადგილე, ძეგლთა დაცვის სამმართველოს თანამშრომლები, არქეოლოგები და რა ვიცი — ყველას სახელი ვერ დავიმახსოვრე. ამ საქმის ერთ-ერთმა სპეციალისტმა ისიც კი თქვა, რომ ტრაპეზის ქვაზე გამოსახული თითოეული ფოთოლი რაღაც აზრს შეიცავს. ეს არის შრიფტი, რომელიც ბევრ საიდუმლოს ახდის ფარდას. უფალს უთქვამს — შვილნო ჩემნო, გიტოვებთ მსოფლიო საუნჯის გასაღებსო... — ეს გასაღები არავის უნახავს და ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ ქვაზეა გამოსახული...

პატონ ***კიაზო ფიცხელაურს*** *ტელეფონით დავუკავშირდი და მანავის აღმოჩენასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვე.*

ეს ამბავი XX საუკუნის 80-იან წლებში მოხდა... ვაზისუბანში არის სამკარიანი ეკლესია. ამ უბანს ურიათუბანს ეძახიან. იქ ბიჭები იკრიბებოდნენ ხოლმე და „სეკას“ თამაშობდნენ...

— ეს გახლავთ VI თუ VII საუკუნის ქრისტიანული ეკლესია. აღმოჩენილი ტრაპეზის ქვა უნიკალურია. ის შემკულია გეომეტრიული რელიეფით. წინა მხარე მთლიანად წმინდანების გამოსახულებებით არის დაფარული. ასეთ დონეზე დამუშავებული და ასეთი მდიდრული ორნამენტებით მოჩუქურთმებული სატრაპეზო ქვა აქამდე ცნობილი არ ყოფილა, თანაც — ესოდენ ადრეული ხანის. ის იატაკამდე გათხრილი არ გახლავთ და კიდევ უამრავი სამუშაოა ჩასატარებელი.

გადაწყვეტილი იყო, რომ ქვა თბილისში გადმოვეტანა, იგი ადგილზე ნახა ძეგლთა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ პაატა გაფრინდაშვილმა და კულტურის მინისტრის მოადგილემ ნიკა ვაჩეიშვილმა. უნდა შედგეს სპეციალური კომისია, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ქვა თბილისში გადმოვიტანოთ. სამწუხაროდ, ტრაპეზი დღესდღეობით ღია ცის ქვეშ რჩება. მართალია, მკვრივი ქვაა და საკმაოდ მაღალი ხარისხის, მაგრამ ამინდის ცვალებადობა, წვიმა, თოვლი, სიცივე მასზე უარყოფით გავლენას მოახდენს. ამ საქმის გადადება არ შეიძლება.

— ეი. აღმოჩენა ძალზე მნიშვნელოვანია...

— ეს გახლავთ უნიკალური ძეგლი. კლდის ერთი მხარე, რომელზეც მიშენებულია ეკლესია, ნაწილობრივ დამუშავებულია და კედლად არის გამოყენებული. კლდეს აქვს ბუნებრივი ნაპრალები, რომლებიც ახლა ჩამონგრეულია და მიწითაა ამოვსებული. შესაძლოა, ჩვენი წინაპრები მას სამალავად იყენებდნენ. არ არის გამორიცხული, რომ მთელი სამონასტრო კომპლექსიც ყოფილიყო.

— აღმომჩენზე რას იტყვით?

— ის ძალზე კარგი ადამიანია. მას არ მიუღია არანაირი განათლება, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ საქმის „პროფესორია". ნამდვილი მხარეთმცოდნეა და ძალზე ენერგიული ადამიანი. მერწმუნეთ, ნუგზარმა ძალზე ბევრი რამ იცის და მის ცოდნას გამოყენება სჭირდება. გათხრის დროს ტრაპეზის ქვის ნატეხები უპოვია და კი არ გადაყარა, არამედ იზრუნა და შეინახა. მაგრამ მაინც არაპროფესიონალია და შესაძლოა, უნებლიეთ, რაიმე ავნოს მნიშვნელოვან აღმოჩენას. ამიტომ მისი ცოდნა უნდა შეერწყას პროფესიონალების ცოდნასა და გამოცდილებას, შესაბამისად, მისი შრომა უნდა ანაზღაურდეს და საუკეთესო შედეგს მივაღწევთ. მან კიდევ ბევრი რამ იცის. ამბობს, რომ მისთვის ცნობილია სხვა ეკლესიების ადგილმდებარეობა და აღწერს, როგორც ძალზე უნიკალურ ძეგლებს. მწამს, რომ ნამდვილად ასეა...

■



საქართველოს ნაკრების ფერადკანიანმა წევრმა, NBA-ს მოთამაშემ შემონდ უილიამსმა იმთავითვე შეიყვარა საქართველო. ის აღფრთოვანებას ვერ ფარავს იმ საოცრად თბილი დამოკიდებულების გამო, რომელსაც მის მიმართ ქართველები იჩენენ. მხიარული, მეგობრული და ენერგიული უილიამსი საქართველოსთან დაკავშირებით უამრავ რამეს გეგმავს და ფიქრობს, რომ მისი შემდგომი ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირდება ჩვენს ქვეყანას...

შემონდი 29 წლისაა. 9 წელი აქვს გატარებული NBA-ში. საქართველოში ჩამოსვლა და საკალათბურთო კარიერის აქ გაგრძელება, მას ჩვენმა ცნობილმა ლეგიონერმა ვლადიმერ სტეფანიამ შესთავაზა. უილიამსი წლეულს, 4 სექტემბერს ჩამოვიდა თბილისში. როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა სააკაშვილმა მას საქართველოს მოქალაქეობა უბოძა და უილიამსი უკვე წარმატებით გამოვიდა ჩვენი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში. ახლა მასთან რამდენიმე ევროპული საკლუბო გუნდი აწარმოებს მოლაპარაკებას და შემონდი მალე ალბათ, ერთ-ერთი მათგანის შემადგენლობაში მოგვევლინება.

მრავალშვილიან ოჯახში გაზრდილი შემონდ უილიამსი საქართველოში ბიზნესმენობას აპირებს

ლელა ჭანკოტაძე

შემონდ უილიამსი:

— დავიბადე ნიუ-იორკში. გავიზარდე სამხრეთ კაროლინის შტატის ქალაქ გრინვილდში. ბავშვობიდანვე ფიზიკურად ძლიერი ვიყავი და სპორტის ბევრ სახეობაში შემეძლო, წარმატებისთვის მიმეღწია. არჩევანი კალათბურთზე შევაჩერე. ჩემი ორივე მშობელი თამაშობს კალათბურთს, ასევე — ჩემი ძმებიც. ამაში გასაკვირი არაფერია — ამერიკაში ხომ კალათბურთი იმდენად პოპულარულია, რომ სადაც კალათი კიდია, ყველგან ბურთს ტყორცნიან... ბევრი შრომა და დიდი გარჯა დამჭირდა, პროფესიონალი რომ გავმხდარიყავი. ბევრს ვვარჯიშობდი. ბედმაც გამიღიმა. გამიმართლა და საუკეთესო მწვრთნელებთან მომიხდა ურთიერთობა. წარმატებამაც არ დააყოვნა. NBA-ში ვთამაშობდი. NBA-ში თამაშობს ჩემი ახალგაზრდა ბიძაშვილიც, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებენ. ჩემი ძმა, რომელთან ერთადაც ახლა თბილისში ჩამოვედი, ინგლისურ კლუბში გამოდის. უმცროსი ძმა კოლეჯის გუნდის წამყვანი მოთამაშეა და იმედი გვაქვს, რომ მისგან დიდი კალათბურთელი დადგება.

— თამაშში შოუს ელემენტებს შეტანა შენი სტილია თუ ამერიკაში ასეა მიღებული?..

— სპორტის სასახლეში გამართულ მატჩს უამრავი გულშემატკივარი ესწრებოდა, რაც ყველა კალათბურთელს გვახარებდა. დიდი შრომა გავწიეთ და ცხადია, კმაყოფილებას ვერ ვფარავდით იმის გამო, რომ მაყურებელმა დაგვიფასა. ენთუზიაზმის მოზღვავებას ვგრძნობდი. ქართველი კალათბურთელები უფრო თავშეკავებულები აღმოჩნდნენ. გულში ალბათ, ჩემსავით აღტაცებულები იყვნენ, მაგრამ ეს არ გამოხატეს. იმდენად კმაყოფილი დავრჩი გულშემატკივრებით, რომ არ შემეძლო, ჩემი პატივისცემა მათ მიმართ რაღაცით არ გამომეხატა.

— ფინეთის ნაკრებთან შეხვედრას საქართველოს პრეზიდენტი ესწრებოდა. თუ გახსენდება რომელიმე სხვა შემთხვევა, როცა გულშემატკივართა შორის სახელმწიფოს მეთაური ყოფილა?

— ამბობდნენ, რომ შეიძლებოდა,

ჩვენი გუნდი არ ჩამოუვარდება არც რუსეთის და არც ესპანეთის გუნდებს. კალათბურთელები თავგანწირვით თამაშობენ

პრეზიდენტი მოსულიყო მატჩზე. ერთხანს, ამან კამათიც კი გამოიწვია: ზოგი ირწმუნებოდა – მოვაო, ზოგი კი, დაჟინებით ამბობდა – არაო. მოთამაშეებს რამდენიმე წუთით ადრე გვითხრეს, რომ პრეზიდენტი აუცილებლად დაესწრებოდა შეხვედრას. მე მთლიანად თამაშზე ვიყავი კონცენტრირებული და არა ქვეყნის პირველ პირზე. თუმცა, მისი მობრძანება ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ: ამით მან ხელი შეუწყო სპორტის პოპულარიზაციას და სპორტსმენებსაც დიდი სტიმული მოგვცა. ვიცი, რომ ის ფეხბურთის მატჩსაც დაესწრო. მისი ამგვარი ქცევა ჩემში მხოლოდ აღტაცებას იწვევს. რაც შეეხება ჩემს ქვეყანას – ამერიკაში პრეზიდენტი კი არა, სენატორებიც არ ესწრებიან ხოლმე სპორტულ შეჯიბრებებს. საქართველო პატარა ქვეყანაა. ახლა შენდება, ძლიერდება და ამიტომ, ყველა დარგსა და ყველა სფეროს სჭირდება პატრონობა. მე მგონი, ასე მიაჩნია თქვენს პრეზიდენტსაც და ამიტომაც მოვიდა კალათბურთელების მხარდასაჭერად.

— როგორ შეეწყვე ქართველ კალათბურთელებს? როგორ მიგიღეს გუნდში?

– ბიჭები ძალიან მომწონს. ისინი ნიჭიერი კალათბურთელებიც არიან და კარგი ადამიანებიც. ერთმანეთს უკვე დავუმეგობრდით. ვლადიმერ სტეფანია და ზაზა ფაჩულია იტალიაში გავიცანი. თუმცა, აქ ჩამოსვლამდე, მათთან დაახლოებული არ ვიყავი. ამიტომ გამიკვირდა და გამიხარდა, აეროპორტში რომ დამხვდნენ და მეგობრულად გამომიწოდეს ხელი... მეგონა, რომ ქართველი კალათბურთელები დიდი სიხარულით არ შემხვდებოდნენ: ჩათვლიდნენ, რომ რომელიმე მათგანის ადგილი დავიკავე და ამის გამო, ბიჭებთან ურთიერთობა გამიჭირდებოდა, მაგრამ ჩემი ეჭვები არ გამართლდა. ყველამ გააცნობიერა ის ფაქტი, რომ მათი ქვეყნის დასახმარებლად ჩამოვედი. როცა მითხრეს – საქართველოს საკვალიფიკაციო თამაშები აქვს ჩასატარებელი და შენს პოზიციაზე მოთამაშე კალათბურთელი სჭირდებაო, – ბევრი აღარ მიფიქრია, ისე დავთანხმდი. არც ვნანობ. ამ დღეებში, ტელეფონით ველაპარაკე ჩემს მშობლებს და მათაც ვუთხარი – სწორი გადაწყვეტილება მივიღე, საქართველოში რომ ჩამოვედიმეთქი. მე ხომ საქართველოს მოქალაქეობა მივიღე, რაც ჩემთვის დიდი პატივია და ძალიან მიხარია.

— რაიმე ინფორმაცია თუ გქონდა საქართველოს შესახებ, სანამ ჩამოხვიდოდი?

დღეს დილით ვფიქრობდი – რისი გაკეთება შემიძლია იმ ხალხისთვის, რომელმაც ასე გულითადად მიმიღო და შემიყვარა-მეთქი?.. ასეთი რამ მოვიფიქრე...

– ინტერნეტით შევიტყვე, რომ თქვენს ქვეყანაში რევოლუცია მოხდა. ისიც ვიცოდი, რომ როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, თქვენ დამოუკიდებლობა გამოაცხადეთ. ძალიან ლამაზი ქვეყანა რომ იყო, ესეც ვიცოდი, მაგრამ თუ აქ ასეთი კეთილი და გულიანი ხალხი ცხოვრობდა, ვერც ვიფიქრებდი. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა... ახლა ბიჭები ყველაფერს მიყვებიან, ყველა წვრილმანს მიხსნიან. მიხარია, რომ კარგ გუნდში მოვხვდი. ჩვენი გუნდი არ ჩამოუვარდება არც რუსეთის და არც ესპანეთის გუნდებს. კალათბურთელები თავგანწირვით თამაშობენ და ცდილობენ, არაფერი დაუთმონ მოწინააღმდეგეს. გამარჯვების ჟინი ხომ წარმატების საწინდარია. ქართველი ხალხი ძალიან მომწონს. გარდა იმისა, რომ საოცარი გულშემატკივრობა გცოდნიათ, სტუმართან ურთიერთობაშიც შესაშური გულწრფელობით გამოირჩევით. თითოეულისგან ვგრძნობ ჩემდამი კეთილგანწყობას, სულ მიღიმიან და მესალმებიან. ყველა მცნობს...

— შენს ქვეყანაშიც თუ გცნობენ ყველგან?

– როცა მაღაზიაში შევდივარ, ყველა ყურადღებით მიყურებს, მაკვირდებიან. თუმცა ქუჩაში ჩემს გამოჩენაზე, მოძრაობა ნამდვილად არ ჩერდება. ისეთი მაღალი არა ვარ, რომ პირველსავე დანახვით ყველამ იფიქროს, კალათბურთელიაო. ამიტომ, როცა უცხო ადამიანები მხვდებიან, პირველ რიგში ფიქრობენ: უილიამსია თუ ჰგავსო? ეს მომწონს კიდეც. თაყვანისმცემლები არ მაწუხებენ და თავს უფრო მშვიდად ვგრძნობ. საქართველოში კი, ამ კითხვას მგონი, არავინ სვამს. ყველა მცნობს. ალბათ, იმიტომ, რომ თქვენს ქვეყანას ვეხმარები. ვეცდები, მომავალშიც დავეხმარო. დღეს დილით ვფიქრობდი – რისი გაკეთება შემიძლია იმ ხალხისთვის, რომელმაც ასე გულითადად მიმიღო და შემიყვარა-მეთქი?.. ასეთი რამ მოვიფიქრე: დიდი კონტაქტები მაქვს, შემიძლია, აქ ჩემი მეგობარი ბიზნესმენები ჩამოვიყვანო. ისინი სხვადასხვა საწარმოში ჩადებენ ფულს. აუცილებელია საქართველოში ბიზნესის აყვავება. ეს კარგად მესმის, რადგან არა მარტო კალათბურთელი, არამედ ჭკვიანი ბიზნესმენიც ვარ. ბიზნესი ძალიან მაინტერესებს. ამიტომაც დავდიოდი უნივერსიტეტში, ვსწავლობდი და ეკონომისტის დიპლომიც ავიღე. შემდეგ NBA-ში თამაში დავიწყე. თუმცა, მაინც შევძელი, გამეკეთებინა პროექტი, რომელიც რუსეთში კერძო ბიზნესის განვითარებასთან იყო დაკავშირებული. ახლა მინდა, საქართველოს ეკონომიკაში გავერკვე. კონკრეტული გეგმები მაქვს. ვფიქრობ, რომ აქ ფულის ჩადება შეიძლება. ბიზნესის აყვავებისთვის ხელსაყრელი გარემოც არსებობს. ასე რომ, გარისკვა ღირს.

— ეი უკვე იცი, რას გააკეთებ, როცა დიდი სპორტიდან წახვალ?

– დიახ. მომავალში ალბათ, დიდ ბიზნესმენად მოგევლინებით. დამიჯერე – საქართველოში მნიშვნელოვან პროექტებს განვახორციელებ.

— შენი ოჯახის შესახებაც გვიამბე.

– ოჯახისგან დამოუკიდებლად ვცხოვრობ. ყველა გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვიღებ. დედამ იცის, რომ უკვე დიდი კაცი ვარ, ამიტომაც ჩემს საქმეებში არ ერევა. ჩემმა უმცროსმა ძმამ კოლეჯი დაამთავრა და საცხოვრებლად ჩემთან გადმოვიდა. სულ 13 დედმამიშვილი ვართ – 8 ძმა და 5 და. ცხადია, ყველანი ერთად ვერ ვიცხოვრებთ...

■

ბექჰემებს ჯვლავ არ ასვენებენ

დევიდმა და ვიქტორიამ ერთ-ერთი გაზეთის მესვეურებს სასამართლოში უჩივლეს. ამის მიზეზი ის გახდა, რომ ამას წინათ, აღნიშნულმა გამოცემამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ცოლ-ქმარი თითქოსდა ცალ-ცალკე ცხოვრებას აპირებს. კერძო, ანონიმურ საინფორმაციო წყაროზე დაყრდნობით, გაზეთი იუწყებოდა, რომ ვიქტორია დევიდს ხშირად ახსენებს იმ სასიყვარულო ინტრიგას, რომელიც „რეალის“ ნახევარმცველს ესპანეთში თავის თარჯიმან გოგონასთან გადახდა თავს. „შენ პატივმოყვარე ადამიანი და უნიჭო ფეხბურთელი ხარ“, – ხშირად უმეორებს თურმე ადამსი ამ სიტყვებს მეუღლეს, რომელიც ყოფილ „სპაის გერლზს“ ვალში თავადაც არ რჩება და თავისი „ცხოვრების უკუღმართობას“ სწორედ ამ უკანასკნელს აბრალებს. ერთი სიტყვით, თუ ზემოთ ხსენებულ გაზეთს დავუჯერებთ, ვარსკვლავური წყვილი საზოგადოებაში ისე იქცევა, როგორც მის დიდებასა და ბრწყინვალებას შეეფერება, მაგრამ როგორც კი დევიდი და ვიქტორია განმარტოვდებიან, უმალვე ათასგვარ ბრალდებას უყენებენ ერთიმეორეს. უფრო მეტიც, გამოცემა იუწყება, რომ ცოლ-ქმარს ცალ-ცალკე ცხოვრებაც გადაუწყვეტია, რათა ერთმანეთთან გაუთავებელი ჩხუბით შვილებს პრობლემები არ შეუქმნან. როგორც უკვე მოგახსენეთ, ამ ცნობის გავრცელებამ მეტისმეტად გააღიზიანა წყვილი, რის გამოც ოჯახის ადვოკატმა გამოცემისაგან საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოითხოვა. გაზეთს ბექჰემთა მოთხოვნა არ დაუკმაყოფილებია და ამიტომ, დევიდმა და ვიქტორიამ სასამართლოს მიმართეს. ■

ბრაზილია ჯიჭას ქორწილის მოლოდინშია

რონალდო თავისი მორიგი ქორწინებისთვის ემზადება, რასაც მთელი ბრაზილია მოუთმენლად ელის. როგორც ცნობილია, ამჯერად კიჭას გულის მონადირება ცნობილმა მოდელმა დანიელა ჩიკარელიმ შეძლო. აი, საქორწინო ცერემონიასთან დაკავშირებით კი, „რეალის“ სუპერფორვარდი თანამემამულეებს ალბათ იმედს გაუცრუებს. საქმე ისაა, რომ რონი ქორწილის გადახდას არა სამშობლოში, არამედ პარიზის მახლობლად მდებარე, შუა საუკუნეებში აგებულ ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეში აპირებს. თუმცა წყვილს მაინც მოუწევს ბრაზილიაში ჩასვლა. პაპარაცებმა უკვე მოახერხეს იმის დადგენა, რომ რონი და დანიელა სან-პაულუს ყველაზე პრესტიჟულ უბანში ძვირფას ვილას იშენებენ. ამიტომ ცხადია, ახალ საცხოვრებელს ისინი მომავალში ხშირად ეწვევიან. ■

ბრემენელთა ქომაგი ლამაზმანი

ჩემპიონთა ლიგის „ინტერი“–„ვერდერის“ შეხვედრის მსვლელობისას ტელემაყურებელთა ყურადღებას უთუოდ მიიქცევდა სიმპათიური ქერა გოგონა, რომელსაც მატჩის რეჟისორი ეკრანზე ხშირად უჩვენებდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს ლამაზმანი, ფოტომოდელისა და ცნობილი პოპმომღერლის, სარა კონორის და, ანა-მარია ლევე ყოფილა. ეს უკანასკნელი, „ვერდერის“ ქომაგია, თანაც მთელმა გერმანიამ იცის, რომ იგი ბრემენული კლუბის 21 წლის მოთამაშე პეკი ლაგერბლომთან მეგობრობს. მანამდე კი, ლევეს, „ვერდერის“ კიდევ ერთ ფეხბურთელთან, ლუდოვიკ მანინთან ჰქონია მჭიდრო ურთიერთობა. ასე რომ, ამ ლამაზმანს გერმანიის მოქმედი ჩემპიონის მატჩების მსვლელობისას ალბათ კვლავაც ვიხილავთ. ■

აბრამოვიჩი საკუთარი კომფორტისთვის ფულს არ იშურებს

რომან აბრამოვიჩმა თავისი ახალი ვილის ნაწილობრივ გადაკეთება გადაწყვიტა. ცოტა ხნის წინ მან დასავლეთ სასექსში უკვე აშენებული სასახლე მოინახულა და უკმაყოფილება გამოთქვა სატრენაჟორო დარბაზის სიმცირის გამო. გარდა ამისა, მან ვარჯიშის შემდეგ მოსასვენებელი ოთახების გაფართოებაც მოითხოვა. ამ ცვლილებებისთვის კი „ჩელსის“ მფლობელმა – არც მეტი, არც ნაკლები – 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოყო. „მან შესრულებული სამუშაოები მოიწონა, მაგრამ სურს, რომ სახლს რამდენიმე სათავსი მიაშენონ“, – განუცხადა გაზეთ „სანის“ კორესპონდენტს ერთ-ერთმა მშენებელმა. საგულისხმოა, რომ მანამდე აბრამოვიჩმა თავისი საცხოვრებლის გაუმჯობესებაზე 15 მილიონი გირვანქა სტერლინგი დახარჯა. მის ამჟამინდელ ვილას 7 საძინებელი, პოლოს საათამაშო მოედანი, ჩოგბურთის კორტი, ხელოვნური ტბა, ტირი, კარტინგის ტრასა, 2 აუზი, საჯინიბო, ბოულინგის დარბაზი და ჰოკეის მოედანი აქვს. დასავლეთ სასექსში ბიზნესმენის კუთვნილი ტერიტორია კი 424 აკრს (1 აკრი – 4,047 კვმ) შეადგენს. ■

ვიერი მეჯალთანეობას თავს არ ანებებს

„ინტერის“ მწვრთნელები ყოველთვის გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ქალები მოსვენებას არ აძლევენ კრისტიან ვიერის, რის გამოც ფეხბურთელი თავისი ოსტატობის მაქსიმალურად გამოვლენას ვერ ახერხებს. ბობოს პაპარაცებმა და ფეხბურთის ქომაგებმა განსაკუთრებით „ევრო-2004“-ზე „სკუადრა აძურას“ უსახურად გამოსვლის შემდეგ შეუტიეს, თუმცა ფეხბურთელს „ამურული ლაშქრობებისთვის“ თავი მაინც არ დაუნებებია. სულ ცოტა ხნის წინ მას ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა მშვენიერ ვიქტორია სილვსტედთან, ახლა კი ყვითელი პრესა კრისტიანის ახალ რომანზე ავრცელებს ინფორმაციას. მილანელი ლოველასის რჩეულის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ სკანდალებზე მონადირენი ხაზს უსვამენ იმას, რომ ფორვარდის სიყვარულის ობიექტი ე.წ. VIP-პერსონათა კატეგორიას არ მიეკუთვნება. ■

შარაპოვა მდიდრდება

მარია შარაპოვა თავისი სუპერპოპულარობის ნაყოფს იმკის და სხვადასხვა სარეკლამო პროექტში მონაწილეობით დიდ ფულს შოულობს. ამას წინათ მან გააფორმა კონტრაქტი კომპანია Parlux Fragrances-თან, რომელიც მომავალი წლის ბოლოს ჩოგბურთელის სახელის მატარებელი სუნამოს გამოშვებას ისახავს მიზნად. „ეს მე საქმისა და გართობის შერწყმის საშუალებას მომცემს, – ამბობს 17 წლის სპორტსმენი. – საერთოდ მოდის სამყარო ძალიან მომწონს და თავადაც მსურს ამ საქმიანობაში ჩაბმა“. რუსმა სექსსიმბოლომ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და 5 მილიონ დოლარს მიიღებს. როგორც ცნობილია, უიმბლდონის ტურნირის ტრიუმფატორმა ადრე, კომპანია Motorola-სთან დადო ხელშეკრულება და 3 წლის განმავლობაში ჩოგბურთის ვარსკვლავი 4-5 მილიონი დოლარით გამდიდრდება. ჟურნალ „ფორბსის“ მონაცემებით, ამჟამად შარაპოვა შემოსავლის მიხედვით, რუსეთში მე-20 ადგილზე იმყოფება. ექსპერტთა შეფასებით, კარგად გათვლილი მენეჯმენტის შემთხვევაში მარიას წლიურმა შემოსავალმა შეიძლება წელიწადში 180 მილიონ დოლარს მიაღწიოს. საჩოგბურთო ჰონორარები ამ თანხის უმნიშვნელო ნაწილი იქნება. ამიტომ, უკვე ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში მარიას შეიძლება სპორტისადმი ინტერესი გაუნელდეს და ისიც ანა კურნიკოვას მიერ გაკვალულ გზას დაადგეს... ■

ლუისმა კინომსახიობობა მოინდომა

ლენოქს ლუისი მხატვრულ ფილმში მთავარი როლის შესრულებას აპირებს. „კინოში გადაღების სურვილი მაქვს და ამის შესახებ მოლაპარაკება უკვე მქონდა ერთ-ერთ კინემატოგრაფისტთან. ვცდილობ, როლი მოვირგო, თუმცა ამ ეტაპზე, უფრო კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი“, – ამბობს ბრიტანელი მოკრივე, რომელმაც პროფესიონალური რინგი ვიტალი კლიჩკოზე გამარჯვების შემდეგ დატოვა. სხვათა შორის, მას კინოგადაღებაში მონაწილეობის გარკვეული გამოცდილება უკვე აქვს. ლუისმა კლიჩკოსთან ერთად „ოუშენის თორმეტ მეგობარში“ ითამაშა. ყოფილ სპორტსმენთაგან კი, კინოში ყველაზე დიდ წარმატებას ცნობილმა ინგლისელმა ფეხბურთელმა ვინი ჯონსმა მიაღწია, რომელმაც უკვე რამდენიმე ფილმში თამაში მოასწრო. ყველაზე დასამახსოვრებელი მათ შორის, გაი რიჩის მიერ გადაღებული „ბანქო, ფული და ორი ლულა“ გახლდათ. კინოში გადაუღიათ თვით გამოუსწორებელი მაიკ ტაისონიც. მან „დანდი, მეტსახელად ნიანგის“ მესამე ნაწილში მაწანწალის როლი შეასრულა. ანიმაციურ ფილმებში უთამაშიათ მაიკლ ჯორდანსა და შაკილ ო'ნილს. ■

მოკრივე გოგონა ტელეკომენტატორს უჩივის

გერმანელი ტელეკომენტატორი რენე ჰიპენი შესაძლოა, უახლოეს მომავალში უმუშევარი დარჩეს ან სულაც, ციხეში ამოყოს თავი. პრობლემის წინაშე ჰიპენი დეილი ლანგისა და რეჯინა ჰალმიკის საკრივო ორთაბრძოლის კომენტირებისას წარმოთქმული ზოგიერთი უცენზურო ფრაზის გამო აღმოჩნდა. წამყვანის მიერ ლანგის მისამართით ნათქვამი შეურაცხმყოფელი სიტყვები დაახლოებით სამმა მილიონმა ტელემაყურებელმა მოისმინა. ცხადია, ეს ამბავი თავად ლანგის ყურამდეც მივიდა, რომელმაც ჰიპენთან ნაცნობობა გაიხსენა და ისიც აღნიშნა, რომ ტელეკომენტატორი საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე უშედეგოდ ცდილობდა მის შებმას. ერთი სიტყვით, ამ ინციდენტის გამო დეიზი ლანგმა ტელეკომენტატორს უკვე სასამართლოშიც უჩივლა. ჰიპენმა კი, მოკრივე გოგონას შეტევას სატელევიზიო ეთერში სახალხოდ ბოდიშის მოხდით უპასუხა, მაგრამ როგორც მოსალოდნელია, მას სასამართლოზე თავის მართლება მაინც მოუწევს. ■

ვიტალი კლიჩკო ახალი ჯილდოს მფლობელია

WBC-ის ვერსიით, სუპერმძიმე წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონი ვიტალი კლიჩკო კიდევ ერთი საპატიო ტიტულის მფლობელი გახდა. ლას-ვეგასის MGM Grand Hotel-ში უძველესი საკრივო ჟურნალის – The Ring – მესვეურებმა უკრაინელს საჩემპიონო ქამარი გადასცეს, რომელსაც სხვადასხვა დროს, მუჰამედ ალი, ლენოქს ლუისი და როი ჯონსი ფლობდნენ. თავდაპირველად, ქამარი 1922 წელს ჟურნალის დამაარსებელმა ნეტ ფლეშერმა ჯეკ დემპსის გადასცა. გასული საუკუნის 90-იან წლებში, The Ring-ის სარედაქციო საქმიანობაში მომხდარი ცვლილებების გამო, ქამარი არავისთვის გადაუციათ. ტრადიცია 2002 წლის აპრილში აღდგა. ჟურნალის მიერ დაწესებული ჯილდო პრესტიჟულობით მთავარი საერთაშორისო საკრივო ორგანიზაციების ქამრებთანაა გათანაბრებული. „დიდი სიამოვნებით გადმოგცემთ The Ring-ის მიერ დაწესებულ საჩემპიონო ქამარს, – განაცხადა დაჯილდოების ცერემონიაზე ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა ნაიჯელ კოლინზმა, – ჩვენი გამოცემა ამ ტიტულს სპორტსმენებს აღარ ჩამოართმევს და მათგან არც მის დაცვას მოითხოვს. ვფიქრობ, ამ ჯილდოს ისეთივე სიამაყით ატარებთ, როგორც წინამორბედი ჩემპიონები ატარებდნენ“. ■

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

ახალი „ჯიმის“ Mercedes

როგორც კორპორაცია „დაიმლერ კრაისლერ“ აცხადებს, მალე ბაზარზე ახალი მოდელი – Mercedes CLS გამოჩნდება. ეს ოთხკარიანი მანქანა პირველად, 2003 წლის ფრანკფურტის ავტოსალონზე წარდგა ავტომოყვარულთა წინაშე. 5 მ სიგრძის Mercedes CLS-ში საუცხოოდაა შერწყმული სპორტული კუპეს ელეგანტურობა და წარმომადგენლობითი ლიმუზინის კომფორტულობა. საბაზო ვერსიაში ის აღჭურვილი იქნება ახალი 6-ცილინდრიანი ძრავათი, რომლის სიმძლავრე 272 ცხ.ძ-ს შეადგენს და 7-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფით. სტანდარტულ კომპლექტაციაში შედის: კლიმატკონტროლი, უმაღლესი კლასის აუდიოსისტემა, 17-დუიმიანი საბორბლე დისკები.

ახალი მოდელის – Mercedes CLS

350-ის ფასები გერმანულ ბაზარზე 54.346 ევროდან იწყება. ტექნიკურად მეტად დახვეწილი, 5 ლ მოცულობის 8-ცილინდრიანი ძრავათი აღჭურვილი CLS 500-ის სიმძლავრე 306 ცხ.ძ-ს აღწევს, აქვს პნევმატური საკიდარი, საჰაერო ნაკადის 4-ზონიანი სისტემით აღჭურვილი კლიმატკონტროლი და 18-დუიმიანი საბორბლე დისკები. ამ მოდიფიკაციას მომხმარებელს 67.280 ევროდ შესთავაზებენ. ორივე ვერსიას ფართო, ხალვათი სალონი აქვს: მანძილი წინა და უკანა სავარძლებს შორის 829 მმ-ს შეადგენს, რაც არც ერთ კუპეს არ ახასიათებს. საბარგულის ტევადობით (505 ლ) „მერსედესის“ ახალი მოდელი ყველა თავის კონკურენტს ჯობნის.

ახალი მოდელის შემქმნელები ძრავას მიღწეული სიმძლავრით (306 ცხ.ძ.) არ კმაყოფილდებიან: უკვე 2005 წლის იანვარში, სატიუნინგო ფირმა AMG გამოუშვებს 476 ცხ.ძ. სიმძლავრისძრავიან ვერსიას, რომლის სამუშაო მოცულობა 5,5 ლ იქნება. მოდელის გაუმჯობესებული ვერსია აღჭურვილი იქნება აგრეთვე: სპორტული საკიდრით, ნატურალურტყავიანი სპორტული სავარძლებით, ქსენონის მაშუქებით, 5-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფით, რომელსაც მექანიკური გადართვის რეჟიმიც დაერთვება თან. მოდიფიკაცია Mercedes CLS 55 AMG გერმანიაში 96.164 ევრო ეღირება. მასზე წინასწარი შეკვეთების მიღება უკვე დაწყებულია. ■

Cadillac CRX საგანგებოდ ევროპისათვის

გასული ზაფხულის დამლევს, ევროპის ავტობაზარზე კიდევ ერთი ამერიკული ავტომანქანა – Cadillac CRX გამოჩნდა. ესაა სრულამძრავიანი, სპორტული ყველგანმავალი, რომლის სიგრძე 4,95 მ-ს, ხოლო წონა – 2015 კგ-ს შეადგენს. ამჟამად, ევროპისთვის განკუთვნილი Cadillac CRX 8-ცილინდრიანი, 325 ცხ.ძ. სიმძლავრის, 4,6 ლ მოცულობის V ტიპის ძრავათი და 5-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი. მისი მაქსიმალური სიჩქარე 225 კმ/სთ, ხოლო 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარების დრო – 7,4 წმ გახლავთ. საწვავის ხარჯვის საშუალო მაჩვენებელი განვლილ 100 კმ-ზე 14 ლ-ს შეადგენს. ზამთარში კი, ევროპაში 6-ცილინდრიანი აგრეგატით აღჭურვილი მოდიფიკაციაც გამოჩნდება. მისი ტექნიკური მახასიათებლები ასეთია: სამუშაო მოცულობა – 3,6 ლ, სიმძლავრე – 258 ცხ.ძ, საწვავის ხარჯი – 12 ლ, მაქსიმალური სიჩქარე – 201 კმ/სთ, 100 კმ/სთ სიჩქარის „აწევის“ დრო – 8,1 წმ. Cadillac CRX-ის საბაზო კომპლექტაცია საკმაოდ მდიდრულად გამოიყურება: უსაფრთხოების 6 ბალიში, საბურავებში ჰაერის წნევის კონტროლი, საჰაერო ნაკადების გამნაწილებლით

აღჭურვილი კლიმატკონტროლი, აუდიოსისტემა, ქსენონის მაშუქები, 17-დუიმიანი საბორბლე დისკები. 8-ცილინდრიანი ძრავათი აღჭურვილი Cadillac CRX ევროპაში 58.950 ევრო ეღირება, 6-ცილინდრიანი მოდიფიკაციის ფასი კი, საგრძნობლად ნაკლებს – 43.950 ევროს შეადგენს. ■

(დასაწყისი იხ. „გზა“ № 26-39)

მცველის ინსტინქტი

რუსუდან ბერიძე

რესტორანში მომხდარი სროლის დროს დაღუპული კაცის მკვლელობას ახალგაზრდა ბიზნესმენ ანდრო სვანიძეს აბრალებენ. ამ ამბავში რაღაც იდუმალი როლი მის ბიზნესპარტნიორ შალვა ოშხერელს აკისრია. ანდროს თანამშრომელი და საყვარელი, დალი ხაჩიძე მის დაცვას თავის ყოფილ დაქალს, ადვოკატ მეგი ლაღიძეს სთხოვს. მეგის ერთ-ერთი დაქალის, ლიკას მეუღლე, ვახო ანდროს წარსულის საინტერესო მომენტებზე უამბობს და იმასაც ეტყვის — მას კახეთში მიწის ნაკვეთი აქვს, სადაც ნავთობის საბადო არისო...

საქმის შესწავლის პროცესში მეგი შეიტყობს, რომ ანდროს „ჩაძირვით“ წარსულში მისი შეყვარებული კახაცაა დაინტერესებული. მეგის დედამისთან შეხვედრაც მოუხდება. მომაკვდავი მარიკა მას მწარე სიმართლეს გაანდობს: მეგისა და კახას შვილი, რომელიც მკვდრად შობილად იყო გამოცხადებული, ცოცხალია და ანდრო სვანიძის ოჯახში იზრდება...

საუბრისას მეგი და კახა (რომელმაც თავისი შვილის არსებობის შესახებ არაფერი იცის) შეკამათდებიან, ქალი მას ოშხერელთან კავშირში დაადანაშაულებს და გაბრაზებულს ისიც წამოსცდება, — თუ მართალი ხარ, შენი შვილი დაიფიცეო...

იმავე დღეს, მეგის აცნობებენ, რომ ანდრო სვანიძე ციხეში კრიმინალებმა დაჭრეს. ამას კახას დედის სიკვდილი მოჰყვება. მეორე დღეს, მეგი ანდროს ცოლყოფილს ლანას უნდა შეხვდეს და შესაძლოა, ცხოვრებაში პირველად, საკუთარი შვილიც ნახოს. ლანასთან მისვლამდე, მას ქუჩაში ხანდაზმული ქალბატონი გამოელაპარაკება და ბოლოს იმასაც ეტყვის — მალე შენს ბიჭს ჩაიკრავ გულშიო, — შემდეგ კი, ერთ-ერთი სახლის სადარბაზოში გაუჩინარდება. ამ სადარბაზოს მეორე გასასვლელით მეგი ეზოში აღმოჩნდება და იქ, ხის ძირში მსხდომ სამ ქალს გამოელაპარაკება, მაგრამ მათგან ვერანაირ ინფორმაციას ვერ მიიღებს. იქიდან ქუჩაში გამოსულს, ტაქსით მომავალი დალი ხაჩიძე შეეფეთება და მასთან ერთად, კახა სუთიძესთან, დედის გარდაცვალების მისასამძიმრებლად წავა. იქიდან მეგი, ლანა სვანიძესთან შეთანხმებისამებრ, შინ ეწვევა მას. ლანას კართან მისული, ათიოდე წლის ბიჭს შეეფეთება და გული გადაუქანდება — ეს ხომ მისი შვილია!.. საუბრის დაწყებისას, მეგის მასპინძელიც შეატყობს, რომ შეუძლოდაა... შემდეგ მეგი ბიჭთან დაკავშირებით რამდენიმე ისეთ კითხვას დაუსვამს, რომლის გამოც ლანა გაოცებას გამოთქვამს: მიშიკოს რაღაც ძალიან შინაურულად კითხულობთო...

— ისევ ცუდად ხომ არ გახდით? — უცბად სახეზე აშკარა სიბრალული გამოეხატა მეგის შემხედვარე ლანას. — წეღანდელზე უარესი ფერი დაგედოთ...

— არა უშავს, უცბად გამივლის... — ძლივს ამოისუნთქა მეგიმ.

— ისე, მეც მაგარი უხეში ვარ!.. — ალალად აღიარა ლანამ. — მაგრამ როგორც კი ვინმე ჩემს ბიჭზე ჩამომიგდებს ხოლმე სიტყვას, მაშინვე გიჟს ვემსგავსები: სულ მეჩვენება, რომ მის სიყვარულში მეცილებიან!.. ალბათ, ჩემი სიტყვებიც სიგიჟედ გეჩვენებათ, მაგრამ თქვენც გახდებით დედა და ალბათ, მაშინ გამიგებთ!..

— მე თქვენი ახლაც კარგად მესმის... — როგორც იქნა, ცოტა სული მოითქვა მეგიმ და თან, თვალი თვალში გაუყარა ლანას. — ჩემი შვილის გამო, ალბათ, მეც არავის არაფერს დავუთმობდი.

— ოჰო!.. — გახალისდა ლანა. — ნამდვილი ძუ ვეფხვივით არ დააკვესეთ თვალები?!. როგორც რუსები იტყვიან: Вам палец в рот не клади!..

— მართალი ხართ!.. — დაეთანხმა მეგი. — თუ დამჭირდა, კაცს ხელს იდაყვამდეც თვალის დაუხამხამებლად მოვაჭამ!..

— იმედია, ჩემთან ამის გაკეთება არ დაგჭირდებათ... — ახლა კი, ცოტა არ იყოს, ირონიულად გაეღიმა ლანას. — მე ხომ ჩემი საქციელით ძირითადად, თქვენს წისქვილზე ვასხამ წყალს...

— მაინც რას გულისხმობთ? — ვერ მიუხვდა მეგი.

— თუნდაც, ოშხერელთან ჩემს ურთიერთობას. რაც უფრო მეტად დავახვევ ჩვენს შალიკოს თავბრუს, მით მეტად მოდუნდება და ბოლოს მართლა დაიჯერებს, რომ მეც მის მხარეზე ვარ... ამას წინათ ისიც კი „დავუნამოიკე“ — ანდროს ოფიციალურადაც უნდა გავეყარო-მეთქი... ჯერ კინაღამ სიხარულით ხმამაღლა შეჰყვირა, მაგრამ მერე ემოციები მაინც მოთოკა და ჭკუაც კი დამარიგა: ნუ იჩქარებ, ჯერ ვნახოთ, ანდროს რას მიუსჯიანო...

— მაინც რა არამზადაა! — თავი ვეღარ შეიკავა მეგიმ.

— და მერე როგორი!.. — კვერი დაუკრა ლანამ.

— მაგრამ არა უშავს, მაგის რიგიც მოვა და მერე ვნახოთ, როგორ აჭიკჭიკდება.

— რას გეტყვით, იცით?.. თავისით არაფერიც არ მოვა! შალიკოს ჩაძირვაზე მე უკვე ვმუშაობ, თქვენ კი, ანდროს სხვა მტრებს მიხედეთ, გულხელი კი ნუ დაგიკრეფიათ! — უცბად, ისევ უხეშად შეუძახა ლანამ მეგის.

— გულხელი ნამდვილად არ დამიკრეფია, მაგრამ არა მგონია, ბატონი ანდროს ერთ-ერთი მთავარი მტრის — კახა სუთიძის განადგურება დიდად გაგიხარდეთ... — აღარც მეგი დარჩა მას ვალში.

კახას ხსენებაზე, ლანას სახეზე წამით სიწითლემ გადაჰკრა, მაგრამ თავი ხელში სწრაფადვე აიყვანა:

— ძალიან მაინტერესებს, თქვენ საიდანღა იცნობთ კახას?

— სტუდენტობიდან, — მშვიდად უპასუხა მეგიმ, — მაგრამ სიტყვას ბანზე რატომ მიგდებთ?

— რა არის, იცით?.. — წამით ჩაფ-

იქრდა ლანა. – მოდით, ამაზე ლაპარაკი სხვა დროისთვის გადავდოთ. კახას ახლა ძალიან მძიმე დღეები უდგას: წუხელ დედა გარდაეცვალა...

– ვიცი, – გააწყვეტინა მეგიმ. – პირადად მე, კახას უკვე მივუსამძიმრე.

– მართლა?.. – გაკვირვება ვერ დაფარა ლანამ. – შემთხვევით, მარიკა დეიდასაც ხომ არ იცნობდით?

– კი. თანაც, საკმაოდ კარგად. იმდენად კარგად, რომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, საგანგებო წერილიც კი დამიტოვა.

– წერილი?.. – ყურები ცქვიტა ლანამ. – რა წერილი?

– რაღაც, აღსარების თუ მონანიების მსგავსი – ზუსტად არ ვიცი, იმიტომ, რომ ჯერ არ წამიკითხავს.

– მერე დროზე წაიკითხეთ!.. – აღელდა ლანა. – რაღას უცდით?..

– ნამდვილად არ დაგზარდებოდით, მაგრამ ჯერ არ მიმიღია... – იცრუა მეგიმ.

– რატომ?.. ტივით მოდის თუ მარიკა დეიდამ თავისი გულისნადები ფოსტის გამოგიგზავნათ? – სახეზე ირონიული ღიმილი აუთამაშდა ლანას.

– არც ერთი და არც მეორე. როგორც მარიკა დეიდამ სიკვდილის წინ მითხრა, მისი ნოტარიუსი თავად მომძებნის და წერილსაც გადმომცემს...

– როგორ?.. – შეცბა ლანა. – მარიკამ თავისი აღსარება ნოტარიუსსაც დაამოწმებინა?!

– ალბათ... თუმცა, ზუსტად არ ვიცი...

– კახამ თუ იცის ეს ყველაფერი?

– არა. კახასთვის ჯერ არაფერი მითქვამს... კაცმა არ იცის, იმ წერილში რა წერია! თუ რაიმე ისეთი იქნა, რაც კახას თვალში დედამისს ჩრდილს მიაყენებს, შეიძლება, საერთოდაც არაფერი ვუთხრა. ხომ გაგიგონიათ – მიცვალებულზე ან კარგი უნდა თქვა, ან საერთოდ არაფერიო...

– დიახ... – ჩაფიქრდა ლანა. – ალბათ, მართალი ხართ... ახლა კი, მგონი, ჩვენი დამშვიდობების დროც მოვიდა, – ფეხზე სწრაფად წამოდგა ის. – მალე ალბათ, დედაჩემი და მიშიკო დაბრუნდებიან და მინდა, მანამდე, ჩემს ბიჭს რამე გემრიელი მოვუმზადო...

ლანას მორიგი უცერემონიობით განცვიფრებულმა მეგიმ იქაურობა უსიტყვოდ დატოვა.

ქუჩაში კარგა ხნის უაზრო ხეტიალის შემდეგ, ქაშუეთის ეკლესიასთან ამოყო თავი. ტაძარში თავჩაქინდრული შევიდა და ღვთისმშობლის ხატთან სანთლების მთელი შეკვრა დაანთო.

„ღვთისმშობელო! – გულში შეჰღაღადა მან ხატს. – შენ მიკარნახე, როგორ მოვიქცე!.. შვილის დასაბრუნებლად ვიბრძოლო თუ ყველაფერი ისე დავტოვო, როგორც არის... გემუდარები, გონება გამინათე. მიმახვედრე, მისთვის რა უფრო აჯობებს!..“

– შვილო, ვერ ვწვდები და იქნებ, ეს სანთელი ჩემ მაგივრად დაანთო!.. – მოესმა უცბად მეგის ბებრული ჩიფჩიფი და გვერდით მდგარი, ჩია მოხუცი ქალი დაინახა.

– დიახ, ქალბატონო. ახლავე, – მოხუცს სანთელი სწრაფად გამოართვა მეგიმ და თავისი სანთლების გვერდით დაანთო.

– იცოცხლე, შვილო! – ისევ აჩიფჩიფდა მოხუცი. – ეს სანთელი ჩემს ბიჭს დავუნთე. რუსეთშია სამუშაოდ წასული და დღედაღამ იმას ვლოცულობ, რომ მშვიდობით დამიბრუნდეს.

– ასეც იქნება, ქალბატონო! – დაიმედა მეგიმ მოხუცი და კვლავ საკუთარ საფიქრალს მიუბრუნდა...

როცა სანთლები ჩაიწვა, მეგიმ კიდევ ერთხელ გადაიწერა პირჯვარი და გასასვლელისკენ გაემართა. იქ ისევ ის მოხუცი დახვდა:

– კი შეგაწუხე, შვილო, მაგრამ იქნებ, კიბეზე ჩასვლაშიც მომეხმარო...

– ახლავე, ქალბატონო! – მხარზე გადაკიდებული ჩანთა სასწრაფოდ მეორე მხარეს გადაიტანა მეგიმ და ფოთოლივით მოცახცახე მოხუცს ხელი შეაშველა.

– სიბერეს დაუდგეს, შვილო, თვალი!.. – აწუწუნდა მეგის ხელზე საიმედოდ დაყრდნობილი მოხუცი. – აღარც ჯანი მერჩის და აღარც გული. სულ იმის შიში მაქვს, ჩემი დათას უნახავად არ ამომხდეს სული...

– მარტო ერთი შვილი გყავთ? – დაინტერესდა მეგი.

– ეს ერთიღა შემარჩინა ღმერთმა, თორემ, ხუთი მყავდა... სამი გოგო და ორი ბიჭი... დათას გარდა, ყველანი დამეხოცნენ... თუ საქმე არ გაგიფუჭდება, შვილო, აგერ იმ სკამზე ჩამოვსხდეთ და ჩემს ამბავს სულ წვრილად მოგიყვები... – თვალში ობოლი ცრემლი აუკიაფდა მოხუცს.

– დიახ, რა თქმა უნდა!.. – სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება მეგიმ. – მერე თუ გინდათ, სახლამდეც მიგაცილებთ...

– არა, შვილო, სახლში ვერ მიგიყვან... – იუარა მოხუცმა. – ცოტა ავი რძალი მყავს და მეშინია, არ შემოელანძღო!.. გარეთ გამოსვლას მიშლის – რას დახეტიალებო?.. ეკლესიაში სიარულს, ხეტიალს ეძახის... მაგრამ მთლად არც იმას გაემტყუნება: სამ-სამ შვილსა და ოჯახს უქმროდ უკვე მეოთხე წელია, უძღვება... ჩემი დათა კი სულ უფრო და უფრო ნაკლებ ფულს უგზავნის... იცი, გუშინ ჩემმა რძალმა რა მითხრა?.. თუ შენი შვილი ჭკუაზე არ მოვა და ცოტა მეტ ფულს არ გამომიგზავნის, საერთოდ ქუჩაში გაგაგდებ და მერე, სადაც გინდა, იქ იხეტიალეო...

– რას მეუბნებით?! – შეწუხდა მეგი და კიდევ უფრო აცახცახებულ მოხუცს სკამზე ჩამოჯდომაში მიეხმარა. – მერე ღმერთს სად მიუდის?.. ან ქმარს რა პასუხს გასცემს, როცა დაბრუნდება?!

– ან დაბრუნდება და ან – არა... – ბავშვივით ამოისლუკუნა მოხუცმა. – გუშინ ჩემმა ძმისშვილმა დამირეკა და საიდუმლოდ მითხრა – მგონი, დათას მოსკოვში „მეორე პირი“ ცოლ-შვილი გაუჩენიაო... ძალიან კი შევწუხდი, მაგრამ მე აბა, რა შემიძლია?!

– თქვენი შვილის მოსკოვური მისამართი თუ იცით? – დაინტერესდა უცბად მეგი.

– როგორ არა?!. მისამართიც ვიცი და ტელეფონიც. მაგრამ შენ რად გინდა, შვილო? – გაუკვირდა მოხუცს.

– თქვენ მაგივრად მივწერდი წერილს ან დავურეკავდი და ერთი კარგად შევახურებდი – მშობელი დედა ასე როგორ მოიძულე-მეთქი?!.

– არა, არა, რას ამბობ?! – ხელები გაასავსავა მოხუცმა. – ეგრეც კი არ მემეტება ჩემი დათიკო!.. იცი, რა სიმწრით მყავს გაზრდილი?.. ეგ რომ გაგვიჩნდა, მე და ჩემს ქმარს იმდენად გვიჭირდა, რომ ერთმა მეზობელმა დათას გაშვილებაც კი მირჩია: ხომ ხედავ, შენი ქმარი ოჯახს ვეღარაფრით აუდის, ჩვილ ბავშვს კი კარგი კვება სჭირდება, ამიტომ იქნებ, დათა ჩემი მდიდარი ნათესავებისთვის მიგეცა, ისე მოუვლიან, ცივ ნიავს არ მიაკარებენ, თან, იმათ მადლსაც მოისხამ, შვილი არა და არ უჩნდებათ, შენ კი, დათას გარდა, კიდევ ოთხი გყავსო!.. კინაღამ გავგიჟდი, ეს რომ გავიგონე!.. იმ მეზობელს ხომ კუდით ქვა ვასროლინე, მერე დათა ძველმანებში გამოვხვიე და გარეთ ისე გიჟივით გავვარდი, თითქოს შვილს ვინმე ძალით მართმევდა... შინ შეღამებულზეღა დავბრუნდი... ქმარ-შვილი დაზაფრული დამხვდა... მათთვის არაფერი მითქვამს... მეორე დილით, თმა მოვიჭერი, გავყიდე და იმ მეზობლის ჯიბრზე, ჩემს დათას სულ ნაირ-ნაირი საჭმელი ვუყიდე... ახლა კი ჩემს ბიჭს საერთოდ აღარ ვახსოვარ, მაგრამ არა უშავს. სანამ სული მიდგას, მე მაინც მისთვის ვილოცებ...

ცოტა ხანში, მეგიმ მოხუცი ქუჩის კუთხემდე მიაცილა და სანამ ის თვალს არ მიეფარა, თავად ადგილიდან არ დაძრულა.

— ღმერთო ჩემო!.. — შინისკენ გულდამძიმებულმა გასწია მან შემდეგ. — ხანდახან რატომაა ცხოვრება ასეთი დაუნდობელი?!. ამ ქალს ამხელა ამაგი არ დაუფასდა და მე სხვის გაზრდილ შვილს რის იმედადღა ვეპოტინები?!. ვინ იცის, როგორ მოიქცევა მიშიკო, როცა ჩემს ამბავს გაიგებს?.. ან ჩემი გამოჩენით გამწარებული ლანა რას ჩააგონებს მას?.. არა, არა!.. ჯობს, ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის!.. — მტკიცედ გადაწყვიტა მან ბოლოს და უმალ, საოცარი სიმშვიდეც იგრძნო...

შინ მისულმა მეგიმ ტანსაცმელი გამოიცვალა, შხაპი მიიღო და ცოტა ხნით ტელევიზორის წინ, ტახტზე წამოწვა. რომელიღაც უაზრო კომედიას უჩვენებდნენ, მაგრამ ფიქრებში წასული მეგი ეკრანს მაინც ჯიუტად არ აშორებდა თვალს.

უცბად, შემოსასვლელ კარზე ვიღაცამ ფრთხილად დააკაკუნა. მეგიმ ტელევიზორის ხმას დაუწია და მიაყურადა. კაკუნი გამეორდა. მეგი ჰოლში უხალისოდ გავიდა, საჭვრეტელში ფრთხილად გაიხედა და თვალებს არ დაუჯერა: კართან კახა სუთიძე იდგა. მეგი წამით დაფიქრდა, შემდეგ სწრაფად გააღო კარი და გაოცებულმა აათვალიერ-ჩაათვალიერა კახა:

— ხომ არ გაგიჟდი?!. ახლა აქ რამ მოგიყვანა?

— იქნებ, ჯერ შემომიშვა?.. — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა თვალებამოღამებულმა კახამ.

მეგი განზე გადგა და კახას გზა დაუთმო. კახა კი მაშინვე შუა ოთახში შევარდა და სავარძელში ჩაესვენა:

— გეხვეწები, ერთი-ორი წუთი არაფერი მკითხო და მერე ყველაფერს მე თვითონ აგიხსნი! — უთხრა მან და თავი ხელებში ჩარგო.

— კარგი... შენ იჯექი, მე კი სამზარეულოში გავალ და ყავას მოგიდუღებ... ან იქნებ, ბარემ ერთად გვევაზშმა?.. ჯერ მეც არ მიჭამია...

— არა. მე არ მინდა. ყელში საერთოდ არაფერი გადამდის...

— მაგრამ ასე ხომ ძალიან დასუსტდები და აღარც შენთვის ივარგებ და აღარც დედაშენისთვის!.. — შეწუხდა მეგი.

— დედაჩემს რა უჭირს?.. მოკვდა და მოისვენა!.. აი, მე კი... — ხელი უიმედოდ ჩაიქნია კახამ.

— რა — შენ, რა? — გაღიზიანდა მეგი. — კაცი არა ხარ?.. რას წუწუნებ?! აბა, შენ დედის სიკვდილი ადვილი გეგონა?!.

— არა, მაგრამ მაინც არ მეგონა, თუ ასე გამიჭირდებოდა... — ისე ამოიოხრა კახამ, თითქოს გულიც თან ამოაყოლაო.

— კარგი, კარგი... — დაუყვავა მეგიმ. — წამო სამზარეულოში, რამე შეჭამე და მერე შინ დაბრუნდი, თორემ, ახლობლები გაგიგიჟდებიან...

— არ გაგიჟდებიან. ყველას ასე ვუთხარი — თავს ძალიან დათრგუნვილად ვგრძნობ და ჩემი მოძღვარი უნდა მოვინახულო-მეთქი...

— მოძღვარიო?!. — ღიმილი ვერ შეიკავა მეგიმ და კახას რომ არ შეემჩნია, სასწრაფოდ კარისკენ შებრუნდა.

კახა მორჩილად გაჰყვა მეგის სამზარეულოში.

— მერე?.. დაგიჯერეს? — სამზარეულოში შესვლისთანავე ჰკითხა მას მეგიმ და თან, სკამზე ანიშნა: — აი, აქ დაჯექი!

— რა? — ვერ მიუხვდა კახა.

— მოძღვართან მივდივარო, რომ უთხარი?..

— ვითომ, რატომ არ უნდა დაეჯერებინათ?.. — იწყინა კახამ.

— რა ვიცი... — გულგრილად აიჩეჩა მხრები მეგიმ. — მე პირადად მეგონა, რომ მოძღვარი საერთოდ არ გყავდა.

— არც მყავს, — აღიარა კახამ, — მაგრამ ჩემი ახლობლებისთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს?..

— შენთვის მაინც თუ აქვს მნიშვნელობა, კიდევ არა უშავს რა... — დაფიქრდა მეგი.

— ჩემთვის ახლა მხოლოდ ერთ რამეს აქვს მნიშვნელობა, — ხმას აუწია კახამ. — მაინტერესებს, შვილს როდის მაჩვენებ?.. როდის უნდა...

— რას გეტყვი, იცი?.. — გააწყვეტინა გაღიზიანებულმა მეგიმ. — თუ ასე გააგრძელებ, არც არასოდეს!.. ახლა რომ ნახო, საინტერესოა, რას ეტყვი?.. მიცვალებული დედა შინ უპატრონოდ დავაგდე და შენზე საწუწუნოდ კარდაკარ დავიარებიო?!

— რას ჰქვია — კარდაკარ? — გაღიზიანდა კახა. — მე მარტო შენთან მოვედი!.. ხომ არ გავიწყდება, რომ ის ბავშვი ჩვენი საერთო შვილია?!

— შენგან განსხვავებით, მე ეს წუთითაც კი არ დამვიწყნია!..

— მეგი, გეხვეწები! — საფეთქლებზე ხელისგულები მთელი ძალით მიიჭირა კახამ. — ნუღარ მტანჯავ!.. მითხარი, სად არის, ვინ არის ჩემი შვილი!

— კარგი! — წამის წინ გაღებული მაცივრის კარი გამეტებით მიაჯახუნა მეგიმ და კახას პირდაპირ, სკამზე დემონსტრაციულად დაჯდა. — გეტყვი, მაგრამ მერე რაც დაგემართება, მხოლოდ შენს თავს დააბრალე!..

— გისმენ! — მეგის მუქარა არად ჩააგდო კახამ. — მითხარი!

— კი, ბატონო!.. სკამზე ხომ კარგად ზიხარ?

— არ მესმის, სკამზე ჯდომა რაღა შუაშია?

— იმაში, რომ სულ ადვილად შეიძლება გადმოვარდე, როცა გაიგებ, რომ შენი შვილი ანდრო და ლანა სვანიძეების ოჯახში იზრდება!

— რაა?!. — თვალები არაბუნებრივად გაუფართოვდა კახას. — ლანას ბიჭი... მიშიკო... ჩემი შვილია?!.

— მარტო შენი არა — ჩემიცაა! — შეუსწორა მეგიმ.

— კი, მაგრამ როგორ?.. რანაირად?.. ვინ გითხრა?

— ერთმა, საქმეში ბოლომდე ჩახედულმა ადამიანმა.

— იმ საქმეში ჩახედულ ადამიანს სახელი არა აქვს?

— სახელს ჯერ ვერ გეტყვი...

— რას ჰქვია, ვერ მეტყვი?!.

— იმ ადამიანს სიტყვა მივეცი, რომ...

— იმ ადამიანსაც ჯანდაბამდე გზა ჰქონია და მისთვის მიცემულ სიტყვასაც! — მაგიდას მუშტი გამეტებით დაჰკრა კახამ. — ახლავე მითხარი, ვინ ეშმაკია?!.

— ვინ და შენი მშობელი დედა!.. — უცბად, კბილებში ბოროტად გამოცრა მეგიმ.

— რა თქვი?!. — ახლა კი სკამზე მართლა შეტორტმანდა კახა, მაგრამ ბოლო წამს, მაგიდის კიდეს ჩაებღაუჭა და თავი ისე შეიმაგრა. — დედაჩემმა იცოდა, რომ შვილი მყავდა და მე არაფერი მითხრა?!.

— სამწუხაროდ, სწორედ ასე იყო...

— არა!.. — უცბად ფეხზე წამოხტა კახა და სამზარეულოში გიჟივით გაიარ-გამოიარა. — არ მჯერა!.. ნამდვილად რაღაც გეშლება! შენ დედაჩემი კარგად არ გცნობია!..

— მართალი ხარ... მაგრამ მარტო მე კი არა — თურმე, ბოლომდე შენც არ გცნობია დედაშენი... — ამოიოხრა მეგიმ და მარიკა პერტაიას უშუალო ჩარევით წლების წინ დატრიალებული, საკუთარი მძიმე თავგადასავალი კახას სულ პირწმინდად გადმოულაგა...

მეგიმ მოყოლა რომ დაამთავრა, სამზარეულოში ჯერ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, შემდეგ კახამ ერთი უცნაურად ამოიგმინა, მაგიდას დაემხო და მოტყუებული ბავშვივით მწარედ აქვითინდა...

მაგიდასთან უძრავად მჯდარი მეგი კახას ქვითინს თავიდან გულგრილად უსმენდა, შემდეგ მაინც დაიხარა და თავზე ხელი მზრუნველად გადაუსვა:

— კარგი, დაწყნარდი... რაც მოხდა — მოხდა. ამის გამო გულში ბოღმას ნუ ჩაიდებ.. დედაშენმა ხომ ეს ყველაფერი



მხოლოდ შენს სასიკეთოდ გააკეთა...

— ჩემს სასიკეთოდ?!. — თავი უცბად ასწია და მეგის ცრემლით სავსე თვალები შეანათა კახამ. — შენ ამას სიკეთეს ეძახი?!.

— მე — არა, დედაშენი ფიქრობდა ასე. სჯეროდა, რომ თუ ბავშვს მოგაშორებდა, მერე ჩვენი დაცილებაც არ გაუჭირდებოდა და აკი, ასეც მოხდა...

— კი, მაგრამ ბავშვი რა შუაში იყო?! საკუთარი შვილიშვილი სხვის კარზე ყოფნისთვის როგორ გაიმეტა?!.

— ნუ თვალთმაქცობ! — ახლა გაღიზიანებული მეგი წამოხტა ფეხზე. — შენც და დედაშენიც ყოველთვის ღვთის პირიდან გადავარდნილები იყავით და ბოლომდე ასეთებად დარჩით!..

— მეგი, გესმის, რას ამბობ?!

— ძალიან კარგად მესმის!.. ცოცხალი და გაზრდილი შვილი მოგინდა, ხომ?!. თანაც, ისე, რომ მის გაშვილებასთან დაკავშირებული ყველა ცოდვაც დედაშენს აჰკიდო!.. ვერ მოგართვი!.. შენ არ იყავი, მარიკას რომ შემოუთვალე — მეგისთვის ერთი აბორტის გაკეთება გაგიჭირდაო?!. მითხარი, ხომ ასე იყო?!

— ასე იყო... — დამნაშავე ბავშვივით მოიბუზა კახა.

— აბა, ახლა რაღას იბრძვი? მორჩა!.. გათავდა!.. ჩაიარა შენმა მატარებელმა!.. შენგან უარყოფილ შენს შვილს ახლა მამაც ჰყავს და დედაც!.. და ბოლომდეც ისინი ეყოლება!

— მეგი, შენ... — ხელი უცნაურად აიქნია გაოგნებულმა კახამ — შენ მართლა გაგიჟებულხარ, თუ ერთი წამით მაინც დაიჯერე, რომ ჩემს შვილს ჩემს დაუძინებელ მტერს დავუტოვებ!..

— სხვა რა გზა გაქვს?!. — ხმაში სიცივე გაერია მეგის. — ის, რომ მიშიკოს მამა შენ ხარ, მხოლოდ მე და დედაშენმა ვიცოდით! მოგეხსენება, დედაშენი ცოცხალი აღარ არის, მე კი, შენს მამობას უბრალოდ არ ვაღიარებ და მორჩა!.. ვერავინ ვერასოდეს...

— მიკვირს, იურისტი ქალი ასე ბრიყვულად როგორ მსჯელობ!.. — გააწყვეტინა კახამ. — შენ ის ბავშვი სადმე გამოქვაბულში ხომ არ გაგიჩენია?.. დაგავიწყდა, რომ სამშობიაროში ყველა ახალშობილზე სათანადო ჩანაწერი კეთდება?

— არა! არაფერიც არ დამვიწყნია!.. — მაინც არ შეეპუა მეგი. — მაგრამ შენმა დედიკომ ამაზეც თავიდანვე იზრუნა და მისი მონდომების შედეგად, სამშობიარო სახლის დოკუმენტებში შენ კი არა, მეც კი სხვა გვარითა და სახელით ვფიგურირებდი, ასე რომ...

— მით უარესი შენთვის!.. არ მესმის, რა გიხარია?! საქმე საქმეზე რომ მიდგეს, საინტერესოა, შენ რაღას იზამ? როგორ დაამტკიცებ, რომ ის ბავშვი შენი შვილია, როგორ?! — მაგიდას კიდევ ერთხელ დაჰკრა მუშტი წონასწორობიდან საბოლოოდ გამოსულმა კახამ.

ამის შემდეგ, სამზარეულოში ცოტა ხნით სრული სიჩუმე ჩამოწვა. მერე მეგი ისევ მაგიდას მიუჯდა და თვალებად ქცეულ კახას თითქმის ჩურჩულით უთხრა:

— შენ მგონი, საერთოდ ვერაფერი გაიგე, ჩემო კახა!.. საქმე ისაა, რომ მე ჩემს შვილს არავის და მათ შორის არც შენს საჯიჯგნად არასოდეს გავიმეტებ! გესმის?.. ა-რა-სო-დეს!..

— ამით რისი თქმა გინდა? — გაოგნდა კახა. — დაუტოვებ შენს შვილს უცხო ადამიანებს და შორიდან უყურებ, თუ როგორ?..

— უცხო ადამიანებსო?.. — გააწყვეტინა მეგიმ. — ვის ეძახი უცხო ადამიანებს? ანდროს და ლანას?

— აბა, რა! — წარბიც არ შეუხრია კახას.

— მაშინ მე და შენ ვინღა გამოვდივართ?

— ვინ და ღვიძლი მშობლები, რომლებიც სხვადასხვა გარემოების გამო...

— რას გეტყვი, იცი?.. — არც ამჯერად აცალა მეგიმ კახას. — ბავშვებს და მათ შორის მიშიკოსაც გარემოებების ახსნა და თავის მართლება კი არა, დაბადებიდანვე სითბო, სიყვარული და ყოველდღიური ყურადღება სჭირდებათ. ეს ყველაფერი კი ჩვენს შვილს სწორედ მათ მისცეს, ვისაც შენ ახლა უცხო ადამიანებს ეძახი!..

— მართალი ხარ... — როგორც იქნა, აღიარა კახამ. — მაგრამ შენგან განსხვავებით, მე მაინც იმ აზრზე ვარ, რომ ყველა ბავშვი თავის ღვიძლ მშობლებთან უნდა იზრდებოდეს!

— კი, შენ ყოველთვის ჩემგან განსხვავებული აზრებით გამოირჩეოდი: მე რომ ჩემი შვილის სიცოცხლის გადარჩენას ყველანაირად ვცდილობდი, შენ მოსკოვიდან დედაშენს საყვედურებით ავსებდი — მეგისთვის ერთი აბორტის გაკეთება რა გაგიხდაო?!. ჰოდა, ჩათვალე, რომ ქალბატონმა მარიკამ მაშინ მართლა გამიკეთა აბორტი და...

— „ჩათვალე“ — გრამოფონშია! — უეცრად მუშტი დაჰკრა მაგიდას კახამ. — თუ გინდოდა, რომ ასე ჩამეთვალა, ენას კბილი რატომ არ დააჭირე?!. დედაჩემი ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, რომ ჩემთვის სიტყვაც არ უთქვამს! შენც ბოლომდე გაჩუმებულიყავი და ყველაფერი ისე დარჩებოდა, როგორც იყო!.. არ გაჩუმდი, ხომ?!. ჰოდა, ახლა რაც მოხდება, ყველაფერი მხოლოდ საკუთარ თავს დააბრალე!

— მართალი ხარ... — თავი დამნაშავესავით ჩაქინდრა მეგიმ. — არ ვიცი, როგორ წამომცდა...

— არა, ჩემო გოგონა!.. — საჩვენებელი თითი პატარა ბავშვივით დაუქნია მეგის კახამ. — შენ იმ ქალების რიგს ნამდვილად არ მიეკუთვნები, ვისაც შემთხვევით რაიმე წამოსცდება ხოლმე! ასე რომ, მოდი, რა, თავს ნუ იკატუნებ! კი არ წამოგცდა — ყველაფერი შეგნებულად მითხარი!..

— კარგი!.. — უცბად დანებდა მეგი. — დავუშვათ, რომ მართლა შეგნებულად გითხარი. ეს მიშიკოსთვის რას ცვლის?

— მიშიკოსთვის ჯერ შეიძლება, არც არაფერს, ჩემთვის კი, უკვე მთელი სამყარო ამოტრიალდა და სანამ შვილს არ დავიბრუნებ, ასეც დარჩება!.. მე კი, თავდაყირა ცხოვრებას დიდხანს ნამდვილად არ ვაპირებ!

— აბა, რას აპირებ?

— ჯერ არაფერს... ჯერ დედა მყავს დასამარხი!..

— ჰოდა, წადი და მიხედე, რა!.. — უკივლა მეგიმ. — მე კი, ცოტა ხანს მაინც დამასვენე!.. იქნებ, დავმშვიდდე და მეც რაღაც ჭკუასთან უფრო ახლომყოფი მოვიფიქრო!

— კარგი, წავალ! — დაეთანხმა კახა. — ოღონდ, გაითვალისწინე, რომ უკან დახევა არ მჩვევია!.. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ჩემს მომავალს ეხება!.. ჩემი მომავალი კი, მიშიკოს გარეშე საერთოდ აღარ არსებობს!.. გა-სა-გე-ბია?.. — ბოლო სიტყვა ახლა კახამ დაუმარცვლა მეგის და სამზარეულოდან უკანმოუხედავად გავიდა...

გაგრძელება იქნება

„ტროიაში“ წასული მგელმთმავარი ფილოსოფოსი, ბისექსუალი არქიტექტორი და ... ყოფილა

ამ ფილმში მართლაც რომ თანავარსკვლავედმა მოიყარა თავი: დამდგმელი რეჟისორი — ოლივერ სტოუნი, მთავარ როლებში — კოლინ ფარელი, ენტონი ჰოპკინსი, ანჯელინა ჯოლი, ველ კილმერი. ბიუჯეტიც ჭეშმარიტად „ვარსკვლავურია“ — 200 მლნ დოლარი. რაც მთავარია, მთავარი გმირი — „ისტორიული ვარსკვლავი“ — ალექსანდრე მაკედონელია!..

ადვილი არ არის, იყო მეომარი. აბა, მოიქნიე მძიმე მახვილი ისე, რომ მისი ვადა ხელიდან არ გაგივარდეს!.. არც ის არის ადვილი, რომ შიშველ ტანზე მოკლე თეთრი ქვედაბოლო გეცვას. მაგრამ კოლინ ფარელი დიდი მეომარია. მერე რა, რომ ქვედაბოლოს ქვეშ საცვალი აცვია? სამაგიეროდ, მახვილს ცალი ხელით თავს ზემოთ ისე ძლიერად იქნევს, რომ შიშისაგან ნებისმიერ ბაბილონელს გული გაუსკდებოდა. მართლაც, ნამდვილი ალექსანდრე დიდია! აკი, ოლივერ სტოუნიც ამბობს: „კოლინი დიდებულია ამ როლში“... სტოუნს მზისგან დასაცავად თავზე შლაპა ახურავს და ოფლით დანამული წითელი მაისური აცვია. მას დიდი ხნის ოცნება აუსრულდა და ახლა მაროკოს უდაბნოში დგას.

უყურებს მისი ვარსკვლავი — კოლინ ფარელი ანტიკურ სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლაში როგორ ვარჯიშობს. „იცით, რა... — დუნედ ისვრის სიტყვებს რეჟისორი, რაც სიცხის ან მარიხუანის ბრალი უნდა იყოს, ორივე კი უხვად არის მთელ მაროკოში. — მაშინ, ჩემი აზრით, სცენარი სათანადო კონდიციამდე მიყვანილი არ იყო...“ მაშინ — ე.ი. 12 წლის წინ დაწერა სტოუნმა კინოსცენარი, 1996 წელს კი, ალექსანდრე მაკედონელზე ფილმის გადაღება უნდოდა, სადაც მთავარ როლზე ტომ კრუზის მიწვევას აპირებდა, მაგრამ მისი პროექტი ვერ განხორციელდა. ეს მხოლოდ 2 წლის წინ გახდა შესაძლებელი, როცა სცენარით ჰოლივუდის გერმანელი პროდიუსერი მორის ბორმანი („ტერმინატორი 3“) დაინტერესდა. და ახლა, როგორც იქნა, სტოუნი „ალექსანდრე დიდს“ იღებს და ამით ბედნიერია.

რეჟისორის უკან ქვედაბოლოიანი და ჩაჩქნიანი მამაკაცები ქვიშაში ცხენებს აჭენებენ და მძიმე, მოკლე მახვილებს იქნევენ. მეომრებს შორის ტრაქტორი მიიზლაზნება და გზად „ადამიანის გვამებსა“ და „სხეულის ნაწილებს“ ყრის. გადაღება შესვენების გარეშე მიმდინარეობს. ეს სტოუნის სტილია. ხშირად, ერთდროულად ორ სცენას იღებენ. ორიოდე კვირის წინ, ძლიერი ქვიშის ქარიშხალი ამოვარდა, მაგრამ სტოუნს გადაღება არ შეუწყვეტია. დრო დაზოგა, თანაც სცენა ძალზე შთამბეჭდავი გამოვიდა. სტოუნი პროფესიონალია, მაქსიმალისტი, კინოთი შეპყრობილი, იმდენად, რომ მასზე შეიძლება ითქვას: „ის ნაძირალაა, მაგრამ — გენიალური ნაძირალა!..“

„ნაძირალას“ კი საზრუნავი ბევრი აქვს. სტოუნს ფილმის გადაღება ასე არასოდეს გაუწელავს: თითქმის ერთი წელი — მაროკოში, ტაილანდსა და ლონდონის Pinewood-სტუდიაში, — ძალზე დიდი დროა სწრაფად გადაღების დიდოსტატისათვის, რომელიც ამავე დროს უშეღავათოც არის, ის არაფერს მიაფუჩეჩებს. როცა ტაილანდში გადაღებული მასალა საბაჟოს რენტგენის აპარატმა დაუზიანა, ის სცენები თავიდან გადაიღო.

ალექსანდრე დიდზე ბევრი ფილმი არ შექმნილა — კაცზე, რომლის მთავარი საქმეც ომი და ქალაქების შენება იყო. ეს ფილმის შემქმნელებისთვის კი ბევრი დროის და ბევრი ფულის ხარჯვას ნიშნავს. თითქმის 200 მილიონი დოლარი ჯდება სტოუნის ეს ექსკურსი ისტორიის ლაბირინთებში. ამ ძლევამოსილ მეფეზე ფილმის გადაღება მთავარ როლში დი კაპრიოთი, ავსტრალიელ ბაზ ლურმანსაც („მულენ რუჟი“) უნდოდა. ორ რეჟისორს შორის

ჭიდილი ლურმანის დამარცხებით დამთავრდა.

დიდ რეჟისორს დიდი ფილმის შექმნის პრეტენზია აქვს, მონუმენტური შედევრის, სადაც ყველაფერი იქნება წარმოდგენილი: ბაბილონში შესვლა, სახალხო ქორწილი სპარსეთის სუზაში, გავგამელას ბრძოლა, ომი ინდოეთში სპილოებით, — და ეს ყველაფერი ისტორიული სინამდვილის დაცვით უნდა გაკეთდეს. ამიტომაც ააშენეს მარაკეშთან ახლოს იშტარის კარიბჭე — მართალია, ხის — მაგრამ ზედ დახატული ცხოველების ფიგურები პერგამონის მუზეუმში დაცული ექსპონატების ზუსტი ასლია. მთაში ბერბერ-სოფელში ხისგან ნაშენი ბაქტარის ციხე-სიმაგრეც უმცირეს ნიუანსებშიც კი იმეორებს თავის ისტორიულ „წინაპარს“...

სტოუნმა ამ ფილმის გადაღებით, ასე ვთქვათ, დიდად გარისკა. მონუმენტური ფილმების ბაზარზე უკვე არსებობს „გლადიატორი“, „ტროა“, „მეფე არტური“. ახლა მას „ალექსანდრე დიდი“ შეემატება. ეს კინონაწარმოები შეიძლება, ყველა დროის უდიდეს ფილმად შევიდეს კინოს ისტორიაში ან ყველაზე დიდ ჩავარდნად. იგი შეიძლება მეორე „კლეოპატრადაც“ (მთავარ როლში ელიზაბეტ ტეილორი) იქცეს, რომელმაც 1963 წელს 20th Century Fox-ი თითქმის გაკოტრების პირას მიიყვანა...

არადა, მასალა, ფილმს რომ დაედო საფუძვლად, ნამდვილად კინემატოგრაფიულია. — „ალექსანდრეს როკვარსკვლავს ვამსგავსებ. ახალგაზრდა კაცი, რომელსაც საკუთარი მიზანსწრაფვა არ ასვენებს, გაუკვალავი გზებით დადის... 32 წლის ასაკში კვდება. 22 წლის „როკვარსკვლავი“ „ტურნეში“ მიდის, თანამემამულე ბერძნების გუნდთან ერთად. მას უნდა, რომ ქვეყნის დასალიერს მიაღწიოს, ასეთად კი იმ დროს ინდოეთი ითვლებოდა. დასახული მიზნისკენ მიმავალი, გზად „კონცერტის“ გასამართავად სპარსეთში შეყოვნდება, ბაბილონში შევა და მერე ინდოეთშიც ჩააღწევს — მაგრამ არა Heavy Metal-ით, არამედ ხმლითა და მახვილით, როგორც დამპყრობი...“ — ჰყვება თავის გმირზე სტოუნი. „არა, არა, ის იყო ფილოსოფოსი, მეცნიერი, არქიტექტორი, ქალაქების დამაარსებელი, აღმაშენებელი. შექმნა უზარმაზარი იმპერია და ხალხი ცივილიზაციას აზიარა“, — საკუთარ თავს ეკამათება, აღფრთოვანებას ვერ ფარავს რეჟისორი. ალექსანდრეს მიზანი საბერძნეთისა და აღმოსავლეთის გაერთიანება, ახალი მსოფლიო კულტურის შექმნა იყო.

სტოუნს ფილმში დიდი მხედართმთავრის სულიერი სამყაროს წარმოჩენა სურს. უნდა აგრეთვე ისტორიული სიმართლის ერთგული დარჩეს და ალექსანდრეს ბისექსულობაზეც მიანიშნოს. „დიახ, მხოლოდ მინიშნება იქნება. ამაზე ყურადღების ზედმეტად გამახვილება არ შეიძლება, ამისთვის ფართო პუბლიკა ჯერ მზად არ არის...“ — ამბობს კოლინ ფარელი. „დიახ, ასეა. ამ გმირის დაკნინება ნამდვილად არ არის საჭირო“, — ეთანხმება სტოუნი ფარელს. „ალექსანდრე კილერი იყო. საშინელი სისასტიკით კლავდა, მაგრამ — მხოლოდ მოღალატეებს!“ ბრძოლის ველზე კი იგი, როგორც პლუტარქე მხედართმთავრის ბიოგრაფიაში წერდა: „გამბედავი და შეშლილი იყო“.

„კოლინი მეამბოხეა, მაგრამ საოცარი შემართებით მუშაობს, ბოლომდე იხარჯება“, — აქებს სტოუნი თავის ვარსკვლავს. ქვიშიან უდაბნოში ვარსკვლავები, სტატისტები და მეომრები ხმლებს მარჯვედ იქნევენ, მათ შორის კი უმხედრო რაში დარბის. ფარელი მუზარადზე წითელი ფრთების ფრიალით ცხარე ბრძოლის შუაგულში ტრიალებს. ეს მძიმე სამუშაოა, საპასუხისმგებლოც, რადგანაც არავინ იცის და არც თვით მსახიობმა, მიიზიდავს თუ არა მისი — კოლინ ფარელის სახელი ამ 200-მილიონიანი ფილმის სანახავად მაყურებელს და ჰოლივუდში ამ ფილმის შემდეგ, მასაც ტომ კრუზისა და ბრედ პიტის მსგავსად, სლენგის ენაზე bankable-ს უწოდებენ თუ არა.

ჯერჯერობით კი მისი მფარველი ანგელოზები, სახელგანთქმული მეგობრები არიან: ანჯელინა ჯოლი — ოლიმპიას როლში, ველ კილმერი — ფილიპე II, ენტონი ჰოპკინსი — ბრძენი პტოლემეოსი.

კოლინ ფარელი გადასაღებ მოედანზე და ცნობილ სახელებს შორის თავს ლაღად გრძნობს. თმა ამ როლისთვის სპეციალურად ქერად შეიღება, და ამასთან ერთად, ანტიკური მითოლოგია კარგად შეისწავლა. „აქამდე ალექსანდრე დიდის შესახებ თითქმის არაფერი ვიცოდი, ისტორიის სახელმძღვანელოებში წაკითხულ რამდენიმე სტრიქონს თუ არ ჩავთვლით“. ძნელი დასაჯერებელია, რომ ფარელი ბეჯითი მოსწავლე იყო. „ეჭვგარეშეა — ასეთი დიდი ფილმი თანამედროვე კინოში სულ რამდენიმე თვე იქნება“ — ამბობს მსახიობი და ამიტომ მოსწონს უდაბნოში ყოფნა. „აქ მომწონს, მაგრამ ერთი რამაა ცუდი — პირი და კბილები ქვიშით გევსება...“

მოამგეა ლოლო თოფურია



მარლონ მრანდოს თერთული ტაიტიზე გათანტეს

ეს დიდი მსახიობის ანდერძის აღსრულება გახლდათ: მარლონ ბრანდოს სურდა, რომ მისი ნეშტის ერთი ნაწილი წყნარ ოკეანეში მდებარე ტაიტის არქიპელაგში, მეორე ნაწილი კი, კალიფორნიის შტატში, ე.წ. „სიკვდილის ველის“ თავზე გაეფანტათ. როგორც ცნობილია, ორგზის „ოსკაროსანი“ ბრანდო წლეულს, პირველ ივლისს, 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. ბოლო წლებში ის სრულიად განმარტოებით ცხოვრობდა და იმ ქვეყნად წასვლამდე, მასთან დამშვიდობება მხოლოდ უახლოესმა ნათესავებმა და მეგობრებმა – კოლეგებმა ჯეკ ნიკოლსონმა, შონ პენმა და უორენ ბიტიმ მოახერხეს. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში მსახიობი ძალზე იშვიათად ჩნდებოდა საზოგადოებაში, შარშან მან მაიკლ ჯექსონის მამული – Neverland მოინახულა. პირველად ორი ვარსკვლავი 80-იან წლებში შეხვდა ერთმანეთს, შემდგომში კი ჯექსონმა ბრანდოს 9 წლის ქალიშვილი პრუდენსი მონათლა.



ტაიტის არქიპელაგის ერთ-ერთი კუნძული, რომლის თავზეც კინოვარსკვლავის ფერფლი გაფანტეს, მან 1966 წელს შეიძინა. რაც შეეხება „სიკვდილის ველს“ – მასზე არჩევანის შეჩერება თურმე იმით იყო განპირობებული, რომ ადრე, პლანეტაზე გვალვიანობით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ამ უდაბნოს თავზე მარლონ ბრანდოს უახლოესი მეგობრის – უოლი კოქსის ფერფლი გაუფანტავთ...

ეგვიპტელი პარლამენტარები მადონას წინააღმდეგ

ეგვიპტის სახალხო კრების დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრს მიმართა მოთხოვნით – პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადოს ვარსკვლავი. პარლამენტარები აპირებენ აგრეთვე, აკრძალონ ეგვიპტეში მადონას სახელთან დაკავშირებული კლიპების გადაღება და მისი სავაჭრო მარკის გამოყენება. ყოველივე ამის მიზეზად, ისრაელში მის ამასწინანდელ სკანდალურ მოგზაურობას ასახელებენ. მომღერალი, რომელმაც იუდეური სახელი – ესფირი აიღო, ებრაული კალენდრით ახალი წლის დადგომის შესახვედრად და ე.წ. კაბალას ცენტრის გახსნაში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა ისრაელში. ამ ღონისძიების მონაწილეთა უსაფრთხოებას ათასობით პოლიციელი უზრუნველყოფდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი, მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ბეთლემს ეწვივნენ.

ჰელენ კრისტენსენს კინოში კარიერის გაკეთება სურს

კრისტენსენს თურმე, არ აკმაყოფილებს მხოლოდ პოდიუმზე გამოსვლა და ფოტოსურათების გადაღება და ისევე, როგორც ბევრი სხვა სუპერმოდელი, კინემატოგრაფიულ კარიერაზე ოცნებობს. დანიელი ლამაზმანის ეს ნატვრა შესაძლოა, მალე ასრულდეს კიდეც. ყოველ შემთხვევაში, პირველ ნაბიჯს კინოკარიერის გზაზე ის სულ მალე გადადგამს, როცა სკანდინავიურ ფილმში – „ალეგრო“ – გადაიღებენ. სურათში ცნობილი პიანისტის, მშობლიურ კოპენჰაგენში დაბრუნების სევდიანი ამბავი იქნება გადმოცემული. გამოუცდელობის მიუხედავად (ჰელენი მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა კინოეკრანზე – ეპიზოდურ როლში რეჟისორ რობერტ ალტმანის ფილმში „პრეტ-ა-პორტე“ – და კიდევ, სიმღერის კლიპშიც გადაიღეს), მას მთავარ როლს ანდობენ. ამგვარად, ახლა ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად ნიჭიერი მსახიობი აღმოჩნდება თავად ჰელენ კრისტენსენი.

ემინემი ჯორჯ მუშს უფლებს

როგორც ცოტა ხნის წინ გახდა ცნობილი, პოპულარული რეპერი თავის ახალ ალბომში – Encore – აშშ-ის პრეზიდენტს აკრიტიკებს. ალბომის რეალიზატორი კომპანიებისთვის მოწყობილ ამ დისკის პრეზენტაციაზე რამდენიმე სიმღერა იყო წარმოდგენილი. შთაბეჭდილების გაზიარებისას ერთ-ერთი ფირმის მესვეურმა განაცხადა: „ის, რაც მოვისმინეთ, ერთობ პოლიტიზებული გახლდათ: ემინემი აშკარად ეწინააღმდეგება ბუშის ადმინისტრაციას“. პრესის ცნობების თანახმად, დილერები ვარაუდობენ, რომ ალბომი გამოსვლისთანავე მოიპოვებს პოპულარობას და დახლებზე გამოჩენის პირველსავე კვირაში, მილიონამდე ასლი გაიყიდება.

ავრილ ლავინის „აღიარებითი ჩვენება“

კანადელმა მომღერალმა გადაწყვიტა, ზოგიერთი საკუთარი სისუსტის შესახებ მოეთხრო მკითხველისთვის და აღიარა, რომ მართალია, ლუდის დიდი მოყვარულია, მაგრამ გაცილებით მაგარი სასმელების მირთმევაზეც არ ამბობს უარს. „ხშირად მსურს, უზომო მხიარულების მორევში გადავეშვა, – თქვა ავრილმა. – ალკოჰოლი ხელს უწყობს იმას, რომ სრულიად მოეშვა, იმხიარულო, არაფერზე იფიქრო, იცეკვო, გაერთო... ჩემი საყვარელი სასმელი, არაყგარეული კოქტეილი Grey Goose-ია“, – აღნიშნა 19 წლის მომღერალმა და დასძინა, რომ მზადაა, ძალ-ღონე არ დაიშუროს საკუთარი შეხედულებების დასაცავად. „ერთხელ, ბარში ვიღაც გაპრანჭული გოგო გამომელაპარაკა, რაღაც მითხრა ჩემს სიმღერასთან დაკავშირებით და თან, აქეთ-იქით უშნოდ იქნევდა ხელებს. ერთი-ორჯერ ხელი გავარტყი – ისე, რომ დიდხანს არ დაავიწყდება... ეგდა მაკლია, რომ ვიღაც სულელი უშნოდ მეხებოდეს!.. ჩხუბს ვერ ვიტან, მაგრამ საკუთარ თავს არავის დავაჩაგვრინებ“, – კმაყოფილებით დაასრულა ავრილმა. ჟურნალისტის თხოვნაზე – საქმროსთან, ჯგუფის – Sum 41 – გიტარისტ დერიკ უიტლისთან ურთიერთობის შესახებაც მოეთხრო რამდენიმე სიტყვით, – ლავინმა უპასუხა: „მუდამ მომწონდა გიტარისტები. ვფიქრობ, არავინ აღძრავს სექსუალურ გრძნობებს ისე ძლიერ, როგორც სცენაზე მდგომი გიტარისტი...“

■

ჰონფლიქტი ბუშერების ოჯახში, სევდიანი დღე ჯექსონვილში და გულის ამაჩუყებელი დამშვიდობება

ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო, — ნათქვამია. თუმცა საბედნიეროდ, არც მე აღმოვჩნდი რეგვენი და არც მეუღლეების კონფლიქტზე მომიწევს თქვენთვის მოყოლა, რადგან ამჯერად, მშობლებსა და შვილს შორის უთანხმოებასთან მქონდა საქმე.

ალბათ გახსოვთ, ყოფილი სახელმწიფო მოხელის დევიდ ბოუერის პენსიაზე გასვლას, ვაშინგტონიდან მაიამი-ბიჩში მისი ოჯახის გადაბარგება მოჰყვა და მე მათი ავეჯისა და ბარგის გადატანა დამეკისრა. ვაშინგტონიდან ჩემზე ადრე წასულმა ცოლ-ქმარმა — დოროთიმ და დევიდმა — გზად, თავიანთი შვილის, დევიდ-უმცროსის სახლში, ქალაქ ჯექსონვილში მისვლა მთხოვა. მისი სახლის ზღურბლს გადავაბიჯე თუ არა, უმალ ვიგრძენი, რომ მშობლებსა და შვილს შორის სერიოზულ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი. ვერასდროს ვიფიქრებდი, თუ ამერიკაში უცხო ოჯახში მომხდარი კონფლიქტის მომსწრე და მონაწილეც კი გავხდებოდი...

აკაკი გეგენავა

წინამორბედი წერილი იხ. „გზა“ №38

აყალმაყალი საუზმის დროს

ჯექსონვილში ჩასვლის დღეს, დევიდ ბოუერის ვაჟისა და სეხნიის (ასეთ შემთხვევაში, ამერიკაში უყვართ თქმა – დევიდ მეორე) სახლის ერთ-ერთ კომფორტულ საძინებელში დამაბინავეს. ღამით მშვენივრად მოვისვენე და მეორე დილით ადრე ავდექი, რათა დროულად გამეგრძელებინა გზა მაიამისკენ. მალე მოსამსახურემ სასაუზმოდ მიხმო – ბოუერები უკვე სუფრასთან გელოდებიანო.

ვრცელ სასადილო-სამზარეულოში სუფრას დევიდი, ქალბატონი დოროთი და მათი ვაჟი დევიდ II უსხდნენ. მოხუცები თბილად მომესალმნენ და ღიმილით, თავისუფალ სკამზე მიმითითეს. ახალგაზრდა ბოუერმა გამარჯობაც არ მითხრა, მხოლოდ ოდნავ შესამჩნევად დამიკრა თავი. აშკარად ეტყობოდა, რომ უგუნებოდ იყო და არც ამის დაფარვას აპირებდა. გამიკვირდა, რადგან ამერიკელები უმეტესად, თავაზიანობით გამოირჩევიან და უცხო ადამიანთან ურთიერთობისას ყოველთვის ცდილობენ, ღიმილი არ მოიშორონ სახიდან. დევიდი კი ელემენტარული ზრდილობის ფარგლებშიც კი ვერ იჯდა.

დევიდ II ასე, 40-ოდე წლის, საკმაოდ კარგი შესახედაობის კაცი გახლდათ და პირველი შეხედვით, სიმპათიასაც კი იწვევდა. მაგრამ თუ კარგად დააკვირდებოდი, შეამჩნევდი, რომ თვალები უსიამოვნოდ უკიაფებდა და განუწყვეტლივ ამოძრავებდა. ალბათ, სწორედ ეს „მორბენალი“ თვალები იწვევდა უსიამოვნო შეგრძნებას.

– ...გამოდის, რომ მე ამ ოჯახში არაფერს წარმოვადგენ და ჩემი სიტყვა თქვენთვის არაფერს ნიშნავს?!. – ისე განაგრძო დევიდ-უმცროსმა, როგორც ჩანს, ჩემს შემოსვლამდე დაწყებული საუბარი, თითქოს ოთახში მხოლოდ ოჯახის წევრები იმყოფებოდნენ... დოროთიმ სწრაფი მზერა მესროლა, შემდეგ ქმარს გადახედა და რაც შეიძლება რბილი ტონით მიმართა შვილს:

– როგორ შეიძლება ასეთი ლაპარაკი?.. შენი სიტყვა ძალიან ბევრს ნიშნავს. მაგრამ შენს ძმასაც ხომ უნდა გავუწიოთ ანგარიში?!

– ძმა, ძმა... მთელი ცხოვრება სულ ეს მესმის! რატომღაც ყოველთვის იმან უნდა გაიტანოს თავისი, მე კიდევ, უნდა დავთმო!.. არც ერთი ნაბიჯით აღარ დავიხევ უკან!

რა თქმა უნდა, ასეთ სიტუაციაში, პირში ლუკმა არ გადამდიოდა და მარტო ზრდილობის გულისთვის (თუმცა,

ახლა ჩემთვის ვის ეცალა?!) ყავა ოდნავ მოვსვი და ნამცხვარიც მოვციცქნე... თვალი უფროსი დევიდისკენ გავაპარე და შევამჩნიე, როგორ აუკანკალდა მაგიდაზე დაწყობილი ხელები. მან მკაცრად გადახედა შვილს და უთხრა:

— ხომ არ გავიწყდება, რომ აქ ჯერ უფროსი მე ვარ?!

— 40 წლის კაცს, რა უფროსობაზე მელაპარაკები?!. ჩემი ბედი სხვამ რატომ უნდა გადაწყვიტოს?.. თავს არავის დავაჩაგვრინებ!..

— მერე ვინ გიპირებს დაჩაგვრას, შე მართლა უნამუსოვ?.. — მოულოდნელად იფეთქა დოროთიმ.

— მე-ე? — გაოცდა კაცი, რომელიც ეტყობა, დედისგან ასეთ სიტყვებს არ ელოდა. — მე მეუბნები?.. — ენა დაება მას. — თქვენ... თქვენ... — და უეცრად მე მომიბრუნდა: — მოდი, ამას ვკითხოთ, ვარ თუ არა მართალი! ვკითხოთ. ის ხომ არც ერთ მხარეს არაა... მითხარი ერთი, ხომ გაქვს ოჯახი, საქმე, ფული...

ცივმა ოფლმა დამასხა, არ ვიცოდი, რა მეპასუხა. მაგრამ უეცრად დევიდ-უფროსმა მოუჭრა სიტყვა შვილს:

— რა ოჯახი, რა ფული?! — წამოჭარხლდა იგი. — ჩემს სტუმარს თავი დაანებე! თუ საჭირო იქნება, მე თვითონ ვკითხავ რჩევას.

— აბა, რა ვქნა? როგორ მოვიქცე? თქვენ არაფრის მოსმენა არ გინდათ და სულ გამოჩერჩეტდით! — თანდათან ხმას აუწია და ბოლოს იღრიალა შვილმა.

— უსინდისო!.. — დაიკივლა დოროთიმ და უცებ გაფითრდა. წამიც და სკამიდან გადავარდებოდა, ქმარს ხელი რომ არ შეეშველებინა — გული წაუვიდა.

ამით საბოლოოდ გაგიჟებული დევიდ-უფროსი წამოიწია და ისტერიკულად იყვირა:

— ახლავე გაეთრიე აქედან, თორემ!.. — მას არ დაუმთავრებია ფრაზა, მაგრამ უცებ შევამჩნიე, რომ სუფრაზე დადებულ დანას დაავლო ხელი და ელდა მეცა: შემეშინდა, საშინელი უბედურება არ დატრიალებულიყო. წამოვხტი და მამა-შვილს შორის ჩავდექი. შვილმა სიძულვილით სავსე მზერა ესროლა მამას, მერე მე გადმომხედა, მკვეთრად შეტრიალდა და ოთახიდან გავიდა. მე და დევიდი დოროთის მივუბრუნდით, ამ დროს, ხმაურზე მოსამსახურეც შემოვარდა და სამივემ ერთად ქალის მოსულიერება დავიწყეთ. თვალები რომ გაახილა, წამოვაყენეთ და თავის საძინებელში გავიყვანეთ...

გულახდილი საუბარი და მოულოდნელი რჩევა

როცა სასტუმრო ოთახში მე და დევიდი მარტონი დავრჩით, მან მოკლედ მომიყვა საქმის არსი. ბოუერს, რომელიც სახელმწიფო სამსახურშიც და კერძო კომპანიებშიც სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა, წლების მანძილზე გარკვეული თანხა დაუგროვდა. როცა მაიამი-ბიჩში სამშენებლო ბუმი ატყდა, მან გადაწყვიტა, საკურორტო ბიზნესში ჩაბმულიყო, დაგროვილ თანხას ბანკიდან გამოტანილი გრძელვადიანი სესხი მიამატა და სანაპიროზე, ერთ-ერთ საუკეთესო ადგილას სასტუმროს ასაშენებლად მიწის ნაკვეთი იყიდა. პენსიაზე გასულ დევიდს სურდა, დარჩენილი წლები ამ სასტუმროში გაეტარებინა, ბიზნესის მართვა კი, დევიდ მეორისა და მისი უმცროსი ძმის — ჯასტინის სახელზე თანაბრად გადაეფორმებინა. მაგრამ დევიდს ერჩივნა, რომ ოჯახს სასტუმრო გაეყიდა, მისი წილი ფულად მიეღო და ამ თანხით საკუთარი საქმე ცალკე წამოეწყო. დევიდსა და ჯასტინს არ ეთმობოდათ მომგებიანი ბიზნესი...

— აი, ასეთი პრობლემის წინაშე ვდგავარ, — დაასრულა თხრობა დევიდ ბოუერმა. — რა ვიღონო, არ ვიცი. დაჭრილი ვეფხვივით იბრძვის. ხომ ნახე, რა სიძულვილით ჰქონდა ანთებული თვალები?!

— თქვენი ხნის კაცს ჩემგან არ გესწავლებათ, მაგრამ იქნებ, ისევ თქვენ მოახერხოთ რამე... — შევბედე დევიდს.

გაკვირვებულმა შემომხედა:

— რა გავაკეთო? არც ჩემი ჩხუბი ჭრის, არც დოროთის დაყვავება... შენ რას იზამდი, ჩემს ადგილზე რომ იყო?

— ძალიან ძნელია, სხვისი ოჯახის საქმეში ჩაერიო... — დავიწყე ფრთხილად. — მაგრამ თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ... იქნებ, რჩევა მოძღვრისთვის გეკითხათ? ხომ მორწმუნე ადამიანი ბრძანდებით? ხომ გყავთ მოძღვარი?.. ადამიანები ზოგჯერ იმდენად ვართ ჩაფლული ყოველდღიურობის მორევში, რომ შეუწყნარებლები ვხდებით ერთმანეთის მიმართ, უახლოესი ადამიანების მიმართაც კი. შეიძლება, ძალზე ბანალურ რაღაცას ვამბობ, მაგრამ... იქნებ, მაინც გეცადათ... და იგივე თქვენი შვილისვის გერჩიათ, ა?..

თავის ფიქრებში იმდენად ღრმად ჩაფლული ჩანდა, რომ მეგონა, არც ესმოდა, რას ვეუბნებოდი. მაგრამ რომ გავჩერდი, უცებ ამომხედა, თავი დამიკრა და მითხრა:

— მართალს ამბობ. ამ გიჟურ სამყაროში, გამუდმებულ გადარბენ-გადმორბენაში არაფერია გასაკვირი. მართლა გვავიწყდება ერთმანეთის მოფერება, ანგარიშგაწევა, მით უმეტეს, ამერიკაში... მაგრამ ეკლესია... ფიქრობ, რომ მღვდელი კარგ რჩევას მომცემს?.. — ეჭვით შემომხედა, თუმცა შევატყვე, რომ მასში იმედის ნაპერწკალი კიაფობდა.

— ქართველები იტყვიან ხოლმე — ცდა ბედის მონახევრეაო. რას კარგავთ?.. ჰოდა, თუ დევიდს დაიყოლიებთ და ერთად მიხვალთ, შესაძლოა, მართლაც გამონახოთ საერთო ენა...

ამ დროს, ოთახში დევიდ-უმცროსი შემოვიდა. ტანში ჟრუანტელმა დამიარა — ვაითუ, ისევ დაეჯახონ-მეთქი ერთმანეთს. მაგრამ ჩემდა გასაოცრად, შვილიც ისეთივე დათრგუნვილი ჩანდა, როგორიც მამა და თითქოს, მომხდარის გამო სინანულსაც კი გრძნობდა. მამამ ანიშნა — დივანზე ჩემ გვერდით ჩამოჯექიო. შვილმაც მორჩილად შეასრულა მისი უსიტყვო თხოვნა. ფეხზე წამ-

ოვდექი და სიტყვის უთქმელად გავედი ოთახიდან...

ჩემს მწირ ბარგს მოვუყარე თავი, მერე ტელეარხებს „ჩამოვურბინე“... უკვე წასვლის დრო იყო, მაგრამ ვაყოვნებდი – არ მინდოდა, ხელი შემეშალა მამა-შვილისთვის ურთიერთობის გარკვევაში... 20-ოდე წუთში, ჩემს კარზე კაკუნი გაისმა. გავაღე თუ არა, დევიდ უფროსმა მახარა:

– აკაკი, ნამდვილად არ ველოდი, მაგრამ მშვიდად მომისმინა... მე მგონი, რაღაც გამოგვივა. შენი დიდად მადლიერი ვარ...

– რას ბრძანებთ?.. – მეუხერხულა მისი შექება. – ქალბატონი დოროთი როგორ არის?

– უკეთაა, უკეთ... დიდი მადლობა, – გაიმეორა დევიდმა და ჩემს ჩანთას დახედა: – შენ უკვე მოემზადე?

– რა თქმა უნდა. ხომ უნდა გავუდგე გზას მაიამიში? მე მგონი, თქვენ აქ აღარ გჭირდებით...

– ძალიან კარგი, – მომიწონა დევიდმა და დასძინა: – ჩვენ ცოტა ხანს აქ დავრჩებით. დევიდს ახლა ძალიან უჭირს...

– ჰო... – დავუდასტურე მე.

ამ დროს ზღურბლთან დოროთი გამოჩნდა.

– უკვე ადექით?.. – კითხე გახარებულმა. – თავს როგორ გრძნობთ?

– უკვე კარგად, გმადლობ, – გამიღიმა ქალბატონმა დოროთიმ და კონვერტი გამომიწოდა: – აკაკი, ნუ გეწყინება – პატარა საჩუქარი გვინდა მოგართვათ, მადლიერების ნიშნად ყველაფრისთვის, რაც ჩვენთვის გააკეთე.

– დიდი მადლობა! – არ ვიუარე და კონვერტი გამოვართვი. მერე ჩემს ჩანთას წამოვავლე ხელი და გასასვლელისკენ წავედი...

– ნელი ხომ კარგია (ხომ გახსოვთ, ბოუერებს ქართველი ნაცნობი ნელი ჰყავდათ) და შენც არანაკლებ კარგი ადამიანი ყოფილხარ, – დამაწია სიტყვა დოროთიმ. შემოვბრუნდი და გავუღიმე:

– კარგად ბრძანდებოდეთ! ყველაფერი კარგად იქნება... – დავაიმედე ბოლოს.

...როცა მანქანის კაბინიდან სახლისკენ გავიხედე, ერთ-ერთ ფანჯარაში დევიდ მეორის სახეს წავაწყდი. სევდიანად იყურებოდა, მაგრამ მის გამოხედვაში აღარ იგრძნობოდა ის ბოღმა, რომელიც რამდენიმე საათის წინ მეცა თვალში, ან იქნებ, მე მომეჩვენა ასე – არ ვიცი...

P.S. მაიამიმდე მგზავრობისა და შემდგომი მოვლენების შესახებ, „გზის“ №42-ში შეიტყობთ.

■

„ვერნისაჟის“ ხელმძღვანელი თეა გობეჯიშვილი ერთწლიანი პაუზის შემდეგ, ოქტომბერში კვლავ სცენაზე გამოსვლას აპირებს. თეა ამ ამბავს ცოტა უფრთხის და ფიქრობს, რომ ცოტათი გაუჭირდება სცენაზე ჩვეული, ძველი ტემპით მუშაობა... თუმცა ამჯერად, პირველ პაემანზე სასაუბროდ შევხვდით.

მერი კობიაშვილი

აჩაჩოქანტიკული ჩოქანტიკული თეა გოგეჯიშვილის თავგადასავლები

– პირველი სიყვარული საბავშვო ბაღში მეწვია. ჩემი სატრფო შავ-შავი, პუტკუნა, დაბალი ბიჭი იყო. არ ვიცი, არჩევანი მასზე რატომ შევაჩერე. ალბათ მას მოვეწონე და მეც საპასუხო გრძნობა გამიჩნდა. მახსოვს, მეუბნებოდნენ – შენ როცა ბაღში არ მოდიხარ, სულ ტირისო... იმ ბიჭის გამო ბაღში სიხარულით მივდიოდი, თან – სულ გაპრანჭული ვიყავი... ეს სიყვარული სკოლაში მისვლისთანავე, რა თქმა უნდა, გაქრა.

— სკოლაში ბევრი თაყვანისმცემელი გყავდა?

– სკოლაში სერიოზულად არავინ შემყვარებია. თუმცა ზოგადად ყველას ვეპრანჭებოდი. მქონდა პატარ-პატარა „ფლირტები“, მყავდა სხვა სკოლელი თაყვანისმცემლები, რომლებიც ჩემს სხვა მეგობრებთან ერთად შინ მაცილებდნენ ხოლმე, მაგრამ რატომღაც არავინ მყვარებია. სიმართლე გითხრათ, ბაღში უფრო ემოციებით დატვირთული მივდიოდი, ვიდრე სკოლაში, რადგან ვიცოდი, რომ იქ შეყვარებულს შევხვდებოდი... თეატრალურ ინსტიტუტში რომ ჩავბარე, გავიცანი საშა ლობჟანიძე. აი, მასზე კი, აბსოლუტურად შეყვარებული ვიყავი და უბედნიერესად ვთვლიდი თავს. საშა მოგვიანებით, ჩემი მეუღლე გახდა.

— რითი მიიქცია შენი ყურადღება?

– ცხოვრებაში არასდროს ვყოფილვარ ინიციატორი რაიმე ურთიერთობის დაწყების. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. შეუძლებელი იყო, თეატრალურში საშკასთვის ყურადღება არ მიგექცია – ძალიან კარგი გარეგნობის და თვისებების ბიჭი იყო. მეც ცოტას ვეკეკლუცებოდი. თუმცა თავიდან ვცდილობდი, ჩვენი ურთიერთობა მეგობრობის ზღვარს არ გასცდენოდა. მაგრამ როცა სიყვარული ამიხსნა, მივხვდი, რომ მეც ძალიან მომწონდა.

— პირველ პაემანზე მისვლის წინ ძალიან ინერვიულე?

– ჩვენ ძირითადად, ინსტიტუტში ვხვდებოდით ერთმანეთს... რა თქმა უნდა, ძალიან ვნერვიულობდი. როცა პირველად მომაცილა სახლში მარტო, მახსოვს, გული ისე მიცემდა, მეგონა, გამისკდებოდა. იმ პერიოდში, ყველაფერს ვარდისფრად ვხატავდი. ალბათ იმიტომ, რომ ორივენი, ოჯახისთვის და სერიოზული ურთიერთობისთვის პატარები ვიყავით.

— ერთმანეთს მალე გაეყარეთ?

– ოჯახი 90-იანი წლების დასაწყისში შევქმენით. ორივეს ასაწყობი გვქონდა ცხოვრება, დამოუკიდებლად ოჯახის რჩენა არ შეგვეძლო. ერთმანეთს ოჯახის შექმნიდან 3 წელიწადში გავეყარეთ.

— დაახლოებით ამ პერიოდში ჩამოყალიბდა „ვერნისაჟი“. შენი საქმიანობის წინააღმდეგი ხომ არ იყო? ხომ არ მოითხოვდა, რომ ცეკვისთვის თავი დაგენებებინა?

– იყო ასეთი მოთხოვნებიც. მაგრამ ჩვენი ოჯახი ამ მიზეზით არ დანგრეულა. სხვათა შორის, მარტო მეუღლე კი არა, ჩემი მეგობრები და ახლობლებიც ეწინააღმდეგებოდნენ „ვერნისაჟის“ შექმნის იდეას: მათთვის წარმოუდგენელი იყო, შოუ ჩიხტიკოპის გარეშე... დღეს ამ ყველაფერზე ლაპარაკი სასაცილოცაა. ამიტომ არ ვნანობ, რომ მაშინ ჯიუტად ვიდექი ჩემს აზრზე და გავაკეთე ის, რაზეც ვოცნებობდი.

ტესტი

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რა ჰქვია გიდელის ჩამოსაკიდებელ კაუჭს?

ა) ღაღვი;
ბ) ქაფჩა;
გ) ხალამი.

2. რით განსაზღვრავენ გიოლოგები ირმის წლოვანებას?

ა) რქების სისქით;
ბ) ჩლიქებით;
გ) რქების განტოტებით.

3. როდის შედგა ნობელის პრემიით დაჯილდოების პირველი ცერემონიალი?

ა) 1901 წელს;
ბ) 1801 წელს;
გ) 1941 წელს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ხშირად ვიკრიბებოდით მეგობრები ჩემთან, გვიანობამდე ვმხიარულობდით. ყველა მიდიოდა და ნიკა რჩებოდა...

— „ვერნისაჟის“ მოცეკვავეს, ალბათ მამაკაცების ყურადღება არ გაკლდა, არა?

— რა თქმა უნდა. ბევრი მიძღვნიდა ყვავილებს, მიგზავნიდა წერილებს (ზოგი მათგანი წერილს ჩემს ავტომანქანაზეც კი ტოვებდა). მაგრამ მე არც ერთის მიმართ არ გამჩენია საპასუხო გრძნობა, რადგან სულ საქმეში ვიყავი ჩაფლული. თითქმის ყოველდღე გვიწევდა სცენაზე გამოსვლა. ერთხელ სიზმარში ვნახე, რომ კონცერტი გადაიდო და გახარებულს გამომეღვიძა. მაგრამ სამწუხაროდ, სიზმარი არ ამიხდა... ასეთ რეჟიმში ცხოვრება ძალზე ძნელია: ამ დროს, ადამიანი ლიმონივით გამოწურული ხარ... ერთი პერიოდი, ნებისმიერი ჰანგის გაგონებაც კი მაღიზიანებდა. ეს კი მოცეკვავისთვის ძალიან ცუდია, რადგან იძულებით ცეკვა არ შეიძლება.

— შენი და ნიკა ლომიძის ურთიერთობა როგორ დაიწყო?

— თავიდან, მხოლოდ თანამშრომლობა გვაკავშირებდა ერთმანეთთან. „მაესტრო“ საახალწლო გადაცემას — „ჯადოსნურ ღამეს“ ამზადებდა და იქ გავიცანით ერთმანეთი. მაშინვე ვიგრძენი ნიკას მხრიდან ყურადღება, მაგრამ ის მალევე ამერიკაში წავიდა და დამავიწყდა კიდეც, როგორც პიროვნება. რომ ჩამოვიდა, „პირველ სტერეოზე“ „ტოროლას“ წამყვანად დაიწყო მუშაობა. სწორედ მაშინ ვნახე წლების შემდეგ პირველად. აღმოჩნდა, რომ ერთი სამეგობრო წრე გვქონდა. ერთხელ ნიკამ ჩინურ რესტორანში დამპატიჟა. ერთმანეთს ქუჩაში მანქანებით შევხვდით და რესტორნამდე გვერდიგვერდ მივდიოდით. იმ დღის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ერთი მანქანით გვევლო... ძალიან ხშირად ვიკრიბებოდით მეგობრები ჩემთან, გვიანობამდე ვმხიარულობდით. ყველა მიდიოდა და ნიკა რჩებოდა... სახლში წასვლას აზრიც აღარ ჰქონდა, რადგან მალე, პირდაპირ ტელეეთერში უნდა დამჯდარიყო. მერე ასეთი ცხოვრება წესად იქცა: ვიკრიბებოდით მეგობრები, ნიკა რჩებოდა, მერე მე გამოშტერებული ვიჯექი და ველოდებოდი, როდის წავიდოდა... მიდიოდა და პირდაპირ ეთერში ვჯდებოდა. ვერავინ იტყოდა, თუ როგორი ადამიანის თვალები ჰქონდა — ნარკომანის, გამოუძინებლის თუ „პახმელიაზე“ მყოფის. ძალიან ცუდ დღეში იყო ჩავარდნილი ერთი-ორი კვირის მანძილზე. ერთ მშვენიერ დღეს კი გამომიცხადა — მინდა წასვლა და ვერ მივდივარ — რა ვქნაო?.. — არ ვიცი-მეთქი, — ვუპასუხე. თუმცა ამ დროს, მეც არ მინდოდა, რომ წასულიყო... ასე, ზედმეტი ისტერიკებისა და ემოციების გარეშე აეწყო ჩვენი ურთიერთობა...

— შენთვის საყვარელი ადამიანი ნიკამდე რომ გამოჩენილიყო და მოეთხოვა — „ვერნისაჟსა“ და ჩემ შორის არჩევანი გააკეთეო, — რომელს აირჩევდი?

— არა მგონია, რომ ასეთი მენტალიტეტის ადამიანი შემყვარებოდა. ამიტომ ამ თემაზე არასდროს მიფიქრია.

— შეყვარებულ მეგობრებს თუ აძლევ ხოლმე რჩევას?

— კი, მაგრამ ერთ ჭეშმარიტებას დიდი ხანია მივხვდი: აზრი არა აქვს, შეყვარებულ ადამიანს რაიმე ურჩიო — შეიძლება, წლები გავიდეს და მერე მიხვდეს, რომ სიმართლეს ეუბნებოდი ან პირიქით — შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ის იყო მართალი...

— შენ თვითონ როგორი ხარ შეყვარებული?

— საერთოდ, რომანტიკული ადამიანი არ ვარ. ამის გამო დედაჩემი სულ მსაყვედურობს. სიყვარული ძალზე დიდ სტიმულს და უზომო ენერგიას მაძლევს. ამ დროს შემიძლია, 10 საქმე ერთად გავაკეთო. დღე და ღამე ამაღლებულ ხასიათზე ვარ... ■

100%-იანი ნებისერული პროდუქტი

„თერმოჯეტეკსი“

წონაში დაკლება შიმშილის გარეშე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისაგან და შაქრის რაოდენობის სტაბილიზაცია. ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისა და მარილებისაგან. კონსულტაცია უფასოა.

შედეგი გარანტირებულია!

☎ 92-19-69 (ოფისი); 69-87-21 (ბინა)

სილამაზის კონკურსი

ფემინისტ ნაპირიდან ჯაბუმის ჯულვარიამდე

სილამაზის კონკურსების ისტორია გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იღებს სათავეს. „მის მსოფლიოს“ ჩატარების იდეა ბრიტანელ ერიკ მორლის ეკუთვნის. ხელმოცარულმა და უიღბლო მორლიმ 1946 წელს პატარა რესტორანში მოცეკვავეთა სარეკლამო აგენტად დაიწყო მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ მას თვითონაც არ ესმოდა, თუ რას ნიშნავდა მოცეკვავეთა აგენტი, ფორტუნამ გაუღიმა და ერთ წელიწადში, რესტორნის დირექტორი გახდა. სულ მალე კი მისი რესტორნების ქსელში მომუშავეთა რაოდენობამ 1500-ს გადააჭარბა.

რა ტიტულის მოპოვებას ეპირებს სალომე ჩიკვილაძე

მერი კობიაშვილი

1951 წელი იყო. ერიკს მოცეკვავეთა ჯგუფი ჰყავდა. რესტორანი და სარეპეტიციო დარბაზი ლონდონში, მდინარე ტემზის სანაპიროზე, ვატერლოოს ხიდის მახლობლად მდებარეობდა. მორლიმ შეიტყო, რომ მდინარის მეორე ნაპირზე ფესტივალი ტარდებოდა და იმაზე დაფიქრდა, თუ როგორ მოეზიდა თავის რესტორანში ფესტივალის მონაწილეები და სტუმრები. მას ულამაზესი მოცეკვავეები ჰყავდა, მაგრამ ვინ იყო მათ შორის ყველაზე ლამაზი?.. ერიკმა გადაწყვიტა, ყველაზე ლამაზის გამოსავლენად კონკურსი მოეწყო. მშვენიერი გოგონები, ლამაზი სხეულების რხევა-რხევით ივლიდნენ დარბაზში და მაყურებლები მათ მდინარის მეორე ნაპირიდანაც დაინახავდნენ და რესტორანს ესტუმრებოდნენ. ერიკ მორლიმ ამ ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა შეძლო.

გარკვეული ხნის შემდეგ, გამჭრიახ ერიკ მორლის კიდევ ერთი ამბიციური იდეა მოუვიდა თავში – მას მსოფლიოში ულამაზესი გოგონა უნდა გამოევლინა. ასე გაიცნო მსოფლიომ ერიკ მორლი, რომლის მეუღლე ჯულია მორლი ამჟამად, „მის მსოფლიოს“ კონკურსის პრეზიდენტია.

ეს კონკურსი ყურადღების ცენტრში დაარსებისთანავე მოექცა, რადგან პირველსავე კონკურსში გადაწყდა, რომ ლამაზი სხეულის წარმოსაჩენად პაექრობის მონაწილეები სცენაზე საცურაო კოსტიუმებითაც უნდა გამოჩენილიყვნენ. ამას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ტრადიციული, რელიგიური ადათ-წესებით გამორჩეული ქვეყნები უარს აცხადებდნენ თავიანთი წარმომადგენლების გაგზავნაზე, თუ კონკურსში საცურაო კოსტიუმებით გამოსვლაც იქნებოდა გათვალისწინებული. ერიკი გრძნობდა, რომ მოწინააღმდეგეებს ვერ გაუმკლავდებოდა. საზოგადოება სცენაზე ნახევრად შიშველი გოგონების გამოსვლას თანდათან უნდა შესჩვეოდა. ამიტომ, კონკურსის ამ ნაწილზე მორლიმ უარი თქვა, თუმცა – დროებით.

„მის მსოფლიოს“ არც ფემინისტ ქალთა რისხვა დაჰკლებია. 1970-იან წლებში მთელი ძალით გაჩაღდა საპროტესტო მოძრაობა. მთელი მსოფლიოს ფემინისტი ქალები ითხოვდნენ, რომ ამგვარი შოუები აკრძალულიყო. ისინი სილამაზის კონკურსს „ძროხების შოუს“ უწოდებდნენ. ერიკ მორლიმ ზუსტად იწინასწარმეტყველა ფერადკანიანებისგან მოსალოდნელი დარტყმა და სანამ რასიზმში დაადანაშაულებდნენ, მიიჩნია, რომ საჭირო იყო, გამარჯვებულებს შორის, ფერადკანიანი გოგონაც მოხვედრილიყო. ფემინისტებისგან შევიწროებულს ფერადკანიანთა მხარდაჭერა განსაკუთრებით წაადგებოდა. ჰოდა, 1970 წელს, პირველი და მეორე ადგილი ფერადკანიანმა ქალებმა დაიკავეს. შემდგომ, ეს 1993 წელს გამეორდა. ამჟამად, „მის მსოფლიოს“ კონკურსის დაუწერელ კანონად იქცა გამარჯვებულ ხუთეულში ფერადკანიანის მოხვედრა. „მის მსოფლიოს“ ასოციაციაში ამჟამად, 140 ქვეყანაა გაერთიანებული. მათ შორისაა საქართველოც. წლეულს ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი ამ კონკურსში მეორედ მიიღებს მონაწილეობას.

გასულ კვირას, ბათუმში მისი ვინაობა ჩატარებული „მის საქართველო — 2004“-ის შედეგად დადგინდა. გამარჯვებული 19 წლის სალომე ჩიკვილაძე გახდა. სალომეს სიმაღლე 175 სმ-ია, პარამეტრები — 85-60-90. ოცნებობს, იმოგზაუროს მსოფლიოს გარშემო, განსაკუთრებით ტიბეტის ნახვა აინტერესებს. გატაცებულია ხატვით, ოცნებობს აქტიურ, საინტერესო და სიურპრიზებით სავსე ცხოვრებაზე.

სალომე ჩიკვილაძე

– როდესაც გავიგე, რომ სილამაზის კონკურსი ტარდებოდა, მასში მონაწილეობაზე არც მიფიქრია. იმედი არ მქონდა, რომ 400 გოგონას შორის გავიმარჯვებდი. ჩემი მეგობრების და ახლობლების დაჟინებული თხოვნით გადავწყვიტე კონკურსში მონაწილეობა.

— ადრე, ოცნებაში მაინც თუ წარმოგედგინა, რომ ოდესმე „მის

საქართველო“ გახდებოდი?

— სიმართლე გითხრათ, ამაზე არც არასდროს მიფიქრია და არც არასდროს მიოცნება. ტექნიკური უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე ვსწავლობ და ოცნებებში ჩემს წარმატებებს ყოველთვის ჩემს პროფესიას ვუკავშირებდი ხოლმე.

— გამარჯვებას ახლა თუ ელოდი? ფინალის ბოლო წუთები როგორ გახსენდება?

— ბოლოს მე და რუსიკო ბოჭოიძე დავრჩით. დარწმუნებული არ ვიყავი, რომ მე გავიმარჯვებდი. „მის საქართველოდ“ მე რომ გამომაცხადეს, გაოცებული და გახარებული ვიყავი. იმ წუთიდან მომაწვა ემოციები. მივხვდი, რამხელა პასუხისმგებლობა დამეკისრა.

— ეს ემოციები დიდხანს გაგყვა?

— საკმაოდ. 25.000 დოლარად ღირებული გვირგვინით, ღამის 4 საათამდე ვცეკვავდი დისკოთეკაზე. ახლა ის გვირგვინი ერთ-ერთ ბანკში ინახება...

— არ გეშინოდა ასეთი ძვირფასი ნივთით ცეკვა?

— არა, რადგან იქვე იყო ლევან ვარშალომიძე და მისი დაცვის ბიჭები. ასე რომ, მის მოპარვას ვერავინ გაბედავდა.

— კონკურსის ფინალისთვის მომზადება ძალიან რთული იყო?

— ბათუმში რეჟიმის დაცვით ცხოვრება გვიწევდა: ვდგებოდით დილის 8 საათზე, აუცილებლად უნდა გვევარჯიშა; მერე ვსაუზმობდით, რის შემდეგაც გვეწყებოდა ცეკვის გაკვეთილი. ვემზადებოდით მეტყველებაშიც. საღამოს კი, ზღვაზე მივდიოდით. რთული არაფერი იყო. გოგონები ყველაფერს ხალისით ვაკეთებდით.

— მანქანათმშენებლობამ რით დაგაინტერესა?

— ამას რატომღაც ყველა მეკითხება. ძალიან მამაკაცური პროფესიაა. თუმცა, ამ ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ შეიძლება, მენეჯერადაც იმუშაო. საქმიანი ქალის იმიჯი ყოველთვის მხიბლავდა.

— შენი ოჯახის შესახებ მოგვიყევი.

— დედა დიასახლისია, მამა მცირე ბიზნესს მისდევს. მყავს და-ძმა — თეონა და ლადო. ისინი ჩემზე უმცროსები არიან. მათ ძალიან გაუხარდათ ჩემი გამარჯვება, ყველა რატომღაც სიხარულისგან ტიროდა...

— ოჯახის წევრები თუ დაესწრნენ ფინალს?

— საერთოდ, გამოცდების ჩასაბარებლად ყოველთვის მარტო მივდიოდი. მინდოდა, დამოუკიდებლად მიმეღწია წარმატებისთვის — ასე უფრო ვხვდები, რისი გაკეთება შემიძლია. ამიტომ ახლაც მარტო ვიყავი წასული ბათუმში.

— მამას და ძმას ხომ არ ეხამუშებოდათ, საცურაო კოსტიუმით რომ გამოდიოდი?

— ასე მარტო მე ხომ არ გამოვდიოდი?! ეს ხომ სილამაზის კონკურსი იყო, სადაც ყველას უწევს საცურაო კოსტიუმით გამოსვლა. ამიტომ ჩემებს ამის გამო არანაირი პროტესტი არ გამოუთქვამთ.

— სიმღერა თუ გეხერხება ირინა ონაშვილივით კარგად?

— მომღერალი არა ვარ, მაგრამ საშუალო დონეზე სიმღერა შემიძლია.

— როგორ ფიქრობ — რაში შეიძლება გამოავლინო შენი ტალანტი „მის მსოფლიოზე“?

— ძალიან ენერგიული ვარ. ბავშვობაში სკოლის შეჯიბრებებზე სულ პირველ ადგილს ვიკავებდი. მაქვს ხატვის ნიჭი. ვწერ ნოველებს და ლექსებს.

— შენს დოსიეშიც წერია, რომ ხატვა გიყვარს. რატომ არ გაჰყევი მხატვრობას?

— საქართველოში მხატვრობა ძალიან ძნელია. როცა ვხედავდი, თუ როგორ წვალობენ მხატვრები, როგორ დგანან ქუჩაში მთელი დღეები და ელოდებიან, როდის გაიყიდება მათი სურათი, გადავწყვიტე, მხატვრობაზე უარი მეთქვა.

— საყვარელი მხატვარი თუ გყავს?

— ძალიან მიყვარს სალვადორ დალი, პიკასო და ლადო გუდიაშვილი. ჩემი ყველა ნახატი ერთმანეთს ჰგავს, ყველა ძალიან ფსიქოლოგიურია. ზოგი იმასაც მეუბნება — შენი ნახატები რაღაცით სალვადორ დალის ნახატებს ჰგავსო...

— გავიგე, მანქანის მართვა არ გცოდნია. ამ ეტაპზე მანქანა ვის ჩააბარე?

— უკვე დავიწყე მანქანის ტარების შემსწავლელ კურსებზე სიარული. მეუბნებიან — ძალიან მონდომებული ხარ და ერთ თვეში ისწავლიო. მანამდე კი მირჩევნია, არავინ დავსვა საჭესთან.

— სკოლასა და უბანში ბიჭების განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდი?

— ვერ ვიტყვი, რომ სულ მე ვიყავი ყურადღების ცენტრში, მაგრამ როგორც ყველა გოგოს, თაყვანისმცემლები მყავდა.

— შეყვარებული ყოფილხარ?

— რამდენჯერმე მქონდა ერთი-ორი ბიჭის მიმართ სიმპათია, მაგრამ შეყვარებული არასდროს ვყოფილვარ.

— როგორი ბიჭი შეიძლება, გახდეს შენი რჩეული?

— ვერ ვიტყვი, თეთრ ცხენზე ამხედრებულ პრინცს ველი-მეთქი. ჩემს რჩეულს უნდა ჰქონდეს იუმორის გრძნობა, უნდა იყოს ერთგული, ვაჟკაცური და აუცილებლად ჰქონდეს ინტელექტი. არა აქვს მნიშვნელობა, ქერა იქნება თუ შავგვრემანი.

— ირინამ რამდენიმე მიწვევა მიიღო, მონაწილეობდა კონცერტში, გადაიღეს კლიპშიც. შენ რა შემოთავაზება გაგახარებდა ყველაზე მეტად?

— კინოში მონაწილეობაზე ვოცნებობ.

— ეი. ფიქრობ, რომ მსახიობური ნიჭი გაქვს, ხომ?

— მგონი, კი. ძალიან მომწონს იუმორისტული და ისტორიული ჟანრის ფილმები. სიამოვნებით მივიღებდი ასეთ ფილმებში მონაწილეობას.

— შენ თვითონ როგორ დაახასიათებდი საკუთარ თავს?

— ძნელია საკუთარ თავზე ლაპარაკი. ალბათ ჯობს, ჩემზე სხვებმა ილაპარაკონ, თორემ, თავის ქება გამომივა. ვფიქრობ, რომ ვარ კეთილი, ერთგული, ბუნებრივი, მიყვარს ადამიანების გახარება.

— საოჯახო საქმე გეხერხება?

— სახლიც დამილაგებია და კერძების გაკეთებაც ვიცი. როცა თავისუფალი დრო მაქვს, ან ვხატავ, ან ვწერ.

— შენს გარეგნობაში თუ შეცვლიდი რაიმეს?

— ჩემი გარეგნობა მთლიანობაში მაკმაყოფილებს, მაგრამ რაღაცებს მაინც შევცვლიდი. როცა სარკეში ვიხედები, ხანდახან მომწონს ჩემი თავი, ხანდახან — არა. ეს ყველაფერი განწყობაზეა დამოკიდებული.

— როგორ ფიქრობ — გაქვს შანსი, რომ „მის მსოფლიო“ გახდე?

— ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემ, რადგან იქ 100-ზე მეტი გოგონა იქნება. ყოველ შემთხვევაში, მინდა, რომ საქართველო ვასახელო. შეიძლება, „მის მსოფლიო“ ვერ გავხდე, მაგრამ ვეცდები, თავი კარგად წარმოვაჩინო და რომელიმე ტიტული მაინც მოვიპოვო.

■

ალბათ, ნებისმიერ ადამიანს ჰქონია შემთხვევა, როცა ცივ ოფლში მცურავს გაღვიძებია და ეროტიკული სიზმრის სიუჟეტის გახსენებისას, საკუთარი თავისაც კი შერცხვენია... ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ სექსუალური სიზმრები, თვით სრულიად წარმოუდგენელ პარტნიორებთანაც კი, აბსოლუტურად ნორმალური მოვლენაა. შესაბამისად, არც პანიკის საფუძველი არსებობს და არც ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ თქვენ ზნედაცემული ადამიანი ხართ.

მორფევსის მარწუხებში მოქცეული

კონება და ეროტიკული სიზმრები

ამგვარ სიზმრებს ყველა ნახულობს!

ნუ იღელვებთ, ეროტიკული სიზმრები მხოლოდ თქვენ როდი გესიზმრებათ. მკვლევართა აზრით, ქალების 70%-სა და მამაკაცების 100%-ს ძილში საკმაოდ პიკანტური სცენების ჭვრეტა უწევთ ხოლმე. თანაც, ღამის ფრივოლური სიუჟეტები, განსაკუთრებით სექსუალური დაუკმაყოფილებლობის ხანგრძლივი პერიოდებისათვის ყოფილა დამახასიათებელი: 20 წლამდე და 50 წლის ასაკის შემდეგ. წარმოიდგინეთ, თურმე ეროტიკული სიზმრები 70 წელს გადაცილებულ ქალბატონებსაც ესიზმრებათ! ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამაზე მეტყველებს გამოკითხვის შედეგები, რომელიც გერმანელმა მკვლევარებმა ხანში შესულ ადამიანთა შორის ჩაატარეს.

სხვათა შორის, ოცდაათი წლის ქალებიც, რომლებსაც, როგორც ამბობენ, სექსუალური გაფურჩქნის ხანა უდგათ, თურმე ძილში ამ მხრივ საკმაოდ ხშირად სცოდავენ. მათი უმრავლესობა ხომ ცხადში საკმაოდ აქტიურ სექსუალურ ცხოვრებას ეწევა. ამის შედეგად, სასიყვარულო განცდების ნაწილი მექანიკურად გადადის ძილში — ე.ი. ტვინში დღის მანძილზე მიღებული ინფორმაციის „გადახარშვა“ ხდება.

ერთი სიტყვით, გამოდის, რომ სიზმრისეულმა სასიყვარულო თავგადასავლებმა ასაკი არ იცის! თუკი თქვენი ნაცნობ-მეგობრები ირწმუნებიან, რომ მსგავსი რამ მათ არასდროს დასიზმრებიათ, იცოდეთ, რომ ისინი გულწრფელნი არ არიან. თუმცა, დასაშვებია, რომ მათ უბრალოდ არ ახსოვდეთ თავიანთი სიზმრები, რადგან როცა ადამიანს „სიზმრის ფაზაში“ შესვლამდე ეღვიძება, მას საკუთარ ტვინში წარმოქმნილი სიუჟეტის აღდგენის უნარი პრაქტიკულად არ გააჩნია (სხვათა შორის, ადამიანს ერთ ღამეში რამდენიმე „სიზმრის ფაზა“ აქვს, რომლებიც სულ რამდენიმე წუთს გრძელდება ხოლმე, დანარჩენ დროს ჩვენი ორგანიზმი სიზმრების გარეშე ატარებს).

თავიანთი გერმანელი კოლეგების მსგავსად, სიზმრების საკითხებზე გულმოდგინედ მუშაობენ ბრიტანელი მეცნიერებიც, რომლებმაც დაადგინეს, რომ ეროტიკულ სიზმრებს არა მხოლოდ ადამიანები, არამედ... შინაური ცხოველებიც ნახულობენ. ისინი ირწმუნებიან, რომ ძაღლებს და კატებს მადის აღმძვრელი საკვების გარდა, საწინააღმდეგო სქესის ის პარტნიორებიც ესიზმრებათ, რომლებთანაც მათ ოდესღაც კონტაქტი ჰქონიათ. თუმცა, ცოტა არ იყოს გაუგებარია, როგორ მოახერხეს მათ ამის დადგენა...

სიზმრის სიკეთე

ეროტიკული სიზმრების არსებობა შემთხვევითი სულაც არ გახლავთ. ამგვარ სიზმრებს თავისი დადებითი ფუნქციაც აქვს.

პირველ რიგში, სექსუალური ზმანებების მეშვეობით, ორგანიზმი სტრესისა და დეპრესიისაგან თავისუფლდება. ალბათ, შემთხვევითი არც ის არის, რომ მსგავს სიზმრებს ქალები ყველაზე ხშირად კრიტიკული დღეების დაწყების წინ და მენსტრუალური ციკლის დროს ნახულობენ — ანუ მაშინ, როცა მათი ორგანიზმის ყოველი უჯრედი მეტისმეტი დაძაბულობისაგან თრთის.

მეორე, ძილში ნანახი ეროტიკული ზმანებები, სექსუალური შიმშილის დაძლევაში გვეხმარება (მაგალითად, ორსულობის დროს, როცა ექიმი ამა თუ იმ მიზეზით ინტიმური კავშირისგან თავშეკავებას ურჩევს პაციენტს). მომავალი დედების თქმით, ისინი ამაღელვებელ სიზმრებს ორსულობამდეც ნახულობდნენ, მაგრამ მანამდე ეს ზმანებები საკმაოდ ბუნდოვან-ეროტიკული გახლდათ. ორსულობის 9 თვის მანძილზე კი, ისინი პორნოგრაფიულ ელფერს იძენდა. ამის გამო, ბევრ მათგანს სინდისის ქენჯნა აწუხებდა და დანაშაულის გრძნობა მოსვენებას არ აძლევდა: „მალე დედა გავხდები, მე კი თავი კვლავ სისულელეებით მაქვს გამოტენილი!“ — ფიქრობდნენ ისინი. თუკი მსგავსი რამ თქვენც გაწუხებთ, ნუ შეშფოთდებით — რაღაც გარკვეული მიზეზების გამო, მომავალი დედები საკუთარ სექსუალურ ენერგიას იხშობენ ხოლმე, ძილში კი, სწორედ ეს ენერგია ახსენებს მათ თავს.

მესამე, ეროტიკული სიზმრების მეშვეობით ძილში იმ აკრძალული სიტუაციების გათამაშება ხდება, რომელსაც რეალურ ცხოვრებაში ადამიანთა უმრავლესობისათვის, ტაბუ აქვს დადებული. ცხადში ხომ არც ერთი ჭკუათამყოფელი არ დათანხმდება იმას, რაც ძილის მარწუხებში მოქცეულმა სრულიად კონტროლდაკარგულმა გონებამ შეიძლება წარმოიდგინოს?! მორფევსის მბრძანებლობის ჟამს კი, ყველაფერი შესაძლებელია. ეს სულაც არ მეტყველებს იმაზე, რომ სინამდვილეში თქვენ ექსჰიბიციონიზმით ხართ შეპყრო-

● მეცნიერებმა გამოკითხვების მეშვეობით დაადგინეს, რომ ქალების დაახლოებით 40%-ს ძილში საყვარელ მამაკაცთან ინტიმური კავშირი ესიზმრება, 6%-ს — ცნობილ კინომსახიობთან; ქალების 30% აღიარებს, რომ პერიოდულად სიზმარში სექსუალური ძალადობის სცენებს და ლესბოსურ სექსს ნახულობს. ზოგჯერ კი ესიზმრებათ, რომ უცნობ პარტნიორთან ინტიმურ კავშირს ყველას თვალწინ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (მეტროში, მაღაზიაში და მუზეუმებშიც კი) ამყარებენ.

ბილი ან ქვეცნობიერად სექსუალურ ორგიებში მონაწილეობა გსურთ. უბრალოდ, თქვენს ტვინს აინტერესებს: როგორი შეიძლება იყოს ეს ყველაფერი სინამდვილეში. ასე რომ, ვინც არ უნდა დაგესიზმროთ სექსუალურ პარტნიორად — უძლური მოხუცი, ყმაწვილი კაცი, ვამპირი ქალი თუ სხვა, ნუ იჩქარებთ საკუთარი თავისათვის დიაგნოზის დასმას და ნურც ფსიქიატრთან გაიქცევით. ამით ხომ ტვინი მხოლოდ და მხოლოდ იმ ცნობისმოყვარეობას იკმაყოფილებს, რომელიც მასში დაბადებიდანვე არსებობს.

ნუთუ, მე ქალი პარტნიორი მჭირდება?

საყოველთაოდ გავრცელებულია აზრი, რომ სიზმარში ადამიანი სანუკვარ სურვილებსა და ფანტაზიას ავლენს. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ეს მხოლოდ ნაწილობრივაა ასე. დავუშვათ, თქვენ ქმართან ძალზე დაძაბული ურთიერთობა გაქვთ, ძილში კი, გამუდმებით მოსიყვარულე უცნობის მკლავებში ნებივრობთ. ამგვარი სიზმარი შესაძლოა, მართლაც ასახავდეს თქვენს ფარულ ზრახვებს; ოღონდ, თუკი თქვენ მოულოდნელად საინფორმაციო გადაცემის ტელეწამყვანთან ან მათხოვართან (რომელსაც სამსახურისკენ გზად მიმავალი, თითქმის ყოველდღე ხვდებით ქუჩაში) სექსი დაგესიზმრათ, საეჭვოა, რომ ცხადშიც ამაზე ოცნებობდეთ. ამ შემთხვევაში, უფრო მეტად სავარაუდოა ის, რომ განვლილი დღის შთაბეჭდილებები (სატელევიზიო გადაცემები, პრესის კითხვა, რაღაც შეხვედრები და საუბრები) ფრაგმენტულად ჩაგებეჭდათ მეხსიერებაში და სწორედ ამის შედეგია, რომ ძილში უცნაური სიზმრების „კოქტეილმა“ შეგაწუხათ. ამიტომ, სპეციალისტები არ გვირჩევენ სიზმრების ზედმიწევნით ზუსტ ინტერპრეტირებას. საერთოდ, ფსიქოანალიტიკოსების აზრით, სიზმრის მთლიანი კონტექსტიდან ამოგლეჯილი ცალკეული ნაწყვეტის ახსნას, აზრი არა აქვს — სიზმარი მთლიანობაში უნდა იქნას განხილული. ეს კი, სპეციალისტების პრეროგატივაა.

ნურც იმ შემთხვევაში იჩქარებთ საკუთარი თავისათვის „ვარდისფრობის“ დიაგნოზის დასმას, თუკი ზოგჯერ ლესბოსური სცენები გესიზმრებათ. ფსიქოანალიტიკოსებმა დაადგინეს, რომ მსგავს სიზმრებს უფრო ხშირად ნახულობენ ის ქალები, რომლებსაც გვერდით მყოფი საყვარელი მამაკაცისაგან სითბო და ყურადღება აკლიათ. ამიტომ ნუ გეგონებათ, რომ ჭკუიდან გადასცდით და ქალთან ურთიერთობა გჭირდებათ, თქვენ მხოლოდ და მხოლოდ ყურადღებიანი და მოსიყვარულე მამაკაცი გესაჭიროებათ.

● სპეციალისტებმა დაადგინეს ისიც, რომ სექსუალური სიზმრები ყველაზე ხშირად ფრანგ ქალებს ესიზმრებათ. ნისლიანი ალბიონის მკვიდრი ქალბატონები ეროტიკულ სიზმრებს ფრანგებზე ორჯერ უფრო იშვიათად ნახულობენ. ამ გამოკითხვის შედეგების სიის ბოლოში კი, ამერიკელი ქალბატონები არიან მოქცეულნი, რომლებიც საკუთარი კარიერის შექმნითა და ქალთა უფლებების დაცვით იმდენად არიან დაკავებულნი, რომ ეროტიკული სიზმრებისთვის დრო აღარ რჩებათ.

სიზმრის სიმბოლიკა

ქალთა სიზმრებს სპეციალისტები ფსიქოსექსუალური მომწიფების თვალსაზრისითაც საკმაოდ საინტერესოდ განმარტავენ. მაგალითად, თუკი თქვენ სიზმარში საოცრად მშვენიერ, ამაღელვებელ ადგილას (ზღაპრული ვილა, სანთლები, აბრეშუმის ზეწრები და ა.შ.) მოხვდით და თქვენს „უფლისწულს“ ელით, სიზმარი კი ისე მთავრდება, რომ „ის“ არა და არ მოდის, მაშინ სავარაუდოა, რომ ცხოვრებაში თქვენ განვითარების პლატონურ სტადიაზე „გაიყინეთ“. თქვენთვის რომანტიკა და ანტურაჟი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ინტიმი. თუკი სიზმრისეულ რომანებში თქვენი სატრფოსთან ურთიერთობა საძინებლამდე არ მიდის და მხოლოდ კოცნითა და ფერებით შემოიფარგლება, შესაძლოა, ეროტიკული ლიბიდო ბოლომდე ჩამოყალიბებული არ იყოს. ხოლო თუკი ხშირად გესიზმრებათ სექსუალური სცენები, ორგაზმს კი არასოდეს განიცდით (თუმცა გრძნობთ, რომ ეს საცაა უნდა მოხდეს), გამორიცხული არ არის, რომ თქვენ ზედმეტად მკაცრად აკონტროლებდეთ თავს, ე.ი. თქვენს შინაგან ვნებათაღელვას გონება არა მარტო ცხადში, არამედ სიზმარშიც თრგუნავს.

თუკი ოჯახში მეტისმეტად მკაცრი აღზრდა გაქვთ მიღებული ან დიდობაში რაღაც გარკვეული სექსუალური კომპლექსები ჩამოგიყალიბდათ, შესაძლოა, რომ დაშიფრულ ეროტიკულ სიზმრებს ნახულობდეთ. დაშიფრულ სიზმრებში ეროტიკული სახეები სიმბოლოების სახითაა წარმოდგენილი. ზიგმუნდ ფროიდს „სიზმრისეული“ სიმბოლოების ლექსიკონიც კი აქვს შედგენილი, რომლის მიხედვითაც, სიზმრად ნანახი მოგრძო ფორმის საგნები (სიგარეტი, ჯოხი, ქოლგა, ხე, ძილი, ქვემეხი, ავტომობილი) მამაკაცის სასქესო ორგანოს სიმბოლოდ აქვს წარმოდგენილი, ხოლო ჩაღრმავების მქონე ყველა საგანი, რომელსაც საკუთარ თავში რაღაცის მიღების უნარი აქვს (მაღარო, გამოქვაბული, ბანკი, ცარიელი ოთახები, ყუთები) — ქალის. ლექსიკონის მიხედვით ტკბილეული სიზმარში სექსუალურ ნდომას აღნიშნავს, კიბეზე ასვლა — სქესობრივ აქტს. ხოლო თუკი სიზმარში კბილები გცვივათ, შესაძლოა, ეს გამოწვეული იყოს სულის სიღრმეში ჩაბუდებული სასჯელის შიშით, რომელსაც მასტურბაციის გამო განიცდით.

ჩვენ „სიზმრისეული“ სიმბოლოების მხოლოდ მოკლე ლექსიკონი მოვიყვანეთ. თუმცაღა, ფსიქოანალიტიკოსებს მისი ბევრად უფრო სრულყოფილი ვერსია აქვთ. სიზმრების ახსნა (მათ შორის, ეროტიკული სიზმრებისაც) მათი პრეროგატივაა. ასე რომ, ვისაც აუცილებლად სურს საკუთარი ზმანების სიუჟეტის წვდომა, ვურჩევთ, ფსიქოანალიტიკოსებს მიმართოს. საკონსულტაციოდ მათთან ვიზიტი სასურველია იმ შემთხვევაშიც, თუკი საკმაოდ გაშფოთებთ თქვენი სიზმრები ან გტანჯავთ ერთი და იგივე კოშმარი — შესაძლოა, თქვენ რაღაც ფსიქოლოგიურ დისკომფორტს განიცდიდეთ და ქვეცნობიერება სიზმრის მეშვეობით თქვენთვის „ხმის მოწვდენას“ ცდილობდეს. დანარჩენ შემთხვევებში, იძინეთ მშვიდად და ტკბილი სიზმრებით დატკბით! ■

1983 წლის დამდეგს, შვილებს მონატრებული კომპოზიტორი დავით (გუგული) თორაძე მათ სწერდა: „ვადიდოთ ღმერთი, ვევედროთ უფალს, რათა 1983-მა წელმა ჩვენს ოჯახში სიკეთით შემოაბიჯოს“... ჯერ წინაა 1983 წლის 28 სექტემბერი — როცა ესპანეთში, გასტროლებზე წასული ლექსო თორაძე საბჭოთა კავშირში აღარ დაბრუნდა — და 1983 წლის 7 ნოემბერი — დღე, როდესაც ქალბატონი ლიანა ასათიანი თავის მეუღლეზე იტყვის: ჩაეძინა და თავის თავს გაეპარაო... 5 წლის შემდეგ კი, ამდენი ხნის უნახავი დედა-შვილი ნიუ-იორკში ჩაეხუტა ერთმანეთს...

„ჯული ფაილიანი ვიყავ, რომ ლეჟონ ვალიანის ცოლი ვყოფილიყავ...“

ნუცა თოფჩიშვილი

— ქალბატონო ლიანა, როდის გაიცანით ბატონი დავითი და როგორ ჩაეყარა საფუძველი თქვენს ოჯახს?

— 1945 წელს, ფილმის — „ჭირვეული მეზობლები“ — გადაღებისას შევხვდით ერთმანეთს. გუგული მუსიკას წერდა ამ ფილმისთვის. მას მანამდეც ვიცნობდი. სახელმწიფო ჯაზორკესტრის ხელმძღვანელი იყო, გამორჩეული, არაორდინარული, უკვე პოპულარული პიროვნება გახლდათ. აქეთ-იქიდან სულ „გუგული, გუგული“-ს ძახილი ისმოდა... ერთმანეთისადმი სიმპათია გაგვიჩნდა და გადავწყვიტეთ, შეგვექმნა ოჯახი, ცარიელ ადგილზე... მძიმე წლები იყო...

— ეი. იმ დროს, უკვე ცნობილი კომპოზიტორი იყო, ხომ?

— კი. ყოველ შემთხვევაში, პერსპექტიულ კომპოზიტორად ითვლებოდა. ჯაზორკესტრის მთელი რეპერტუარი მის მიერ იყო დაწერილი. ეს ორკესტრი დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

— ყველაზე დიდ წარმატებას როდის მიაღწია ბატონმა გუგულიმ?

— ყველაზე დიდი წარმატება ბალეტმა „ვორდამ“ მოუტანა, 1949 წელს. საბალეტო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე მის წარმოდგენას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ეს ლირიკულ-ჰეროიკული ბალეტი სურამის ციხეზე ლეგენდის მოტივების მიხედვით შეიქმნა. ასევე დიდი წარმატება ხვდა წილად ოპერას — „ჩრდილოეთის პატარძალი“, რომელიც ნინო ჭავჭავაძისა და ალექსანდრ გრიბოედოვის ლეგენდარულ სიყვარულს მიეძღვნა. სპექტაკლი დიდხანს ამშვენებდა სცენას. „ჩრდილოეთის პატარძლის“ ლიბრეტო იოსებ ნონეშვილთან ერთად დაიწერა. ქუთაისში ოპერის განმეორებითი დადგმისას ავტორებმა მასში კორექტივები შეიტანეს. იქაურ დადგმას განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად (რეჟისორი დოდო ალექსიძე გახლდათ). იგი უფრო შთამბეჭდავი და მომგებიანი აღმოჩნდა, ვიდრე თბილისის თეატრში დადგმული სპექტაკლი... 1958 წელს, მოსკოვში გამართულ დეკადაზე დიდ თეატრში საქართველომ გუგულის 3 ნაწარმოები წარმოადგინა: ბალეტები — „ვორდა“, „მშვიდობისათვის“ და ოპერა „ჩრდილოეთის პატარძალი“ *(გარდა ამისა, „ოტელო“ და „აბესალომ და ეთერი“ იყო წარმოდგენილი. — ავტ.)* ეს თავისთავად დიდი აღიარება გახლდათ. გუგული ლენინის ორდენით მკერდდამშვენებული დაბრუნდა მოსკოვიდან...

— მუსიკის გარდა, რითი იყო გატაცებული, რა იყო მისი ჰობი?

— ყველას „მენეჯერი“ და პატრონი იყო. მეგობრის გულისთვის რკინის ქალამანს ჩაიცვამდა და რკინის ჯოხს დაიჭერდა. როცა კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის პოსტიდან წამოვიდა, აღმოჩნდა, რომ სხვების დასახმარებლად, 6 თვის ხელფასი წინასწარ ჰქონდა აღებული!.. ალექსანდრე მაჭავარიანთან ერთად სოხუმის და ბორჯომის კომპოზიტორთა დასასვენებელი სახლების მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი...

— გამიგონია, ბატონი დავითი იუმორის გრძნობითაც გამორჩეული პიროვნება იყოო...

— ერთხელ, მოსკოვში, სასტუმრო „ბუდაპეშტის“ რესტორანში ზურიკო ანჯაფარიძესთან ერთად ქეიფობდა. ბევრმა ქართველმა მოიყარა თავი. მეგობრების თხოვნით, გუგული ესტრადაზე ავიდა. მას ზურიკოც შეუერთდა და ბევრი იმღერეს. დარბაზში, რასაკვირველია, არა მარტო ქართველები ისხდნენ. გუგულისა და ზურიკოს მუსიკით აღფრთოვანებული ერთი კაცი მიუახლოვდა მათ და გადაეკიდა — გინდათ თუ არა, მითხარით, ვინ ხართ, საიდანო?.. გუგულიმ უპასუხა: მე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვარ, ეს კი (ზურიკო ანჯაფარიძე) ტრაქტორისტიაო. გადაირია კაცი, მთელი საღამო დასდევდა ორივეს — ანსამბლში მოწყობასა და მოსკოვში ჩაწერას *(მაშინ მოსკოვში ჩაწერა დიდ პრობლემას წარმოადგენდა. — ავტ.)* სთავაზობდა... შემდეგ ეს კაცი დიდ

მარცხნიდან დავით თორაძე, რევო ლაღიძე, ბიბინა კვერნაძე, სულხან ნასიძე

ლიანა და ლექსო, 1996წ. ფინეთი, ქ. მიქელი, კონცერტის შემდეგ

თეატრში მოხვედრილა ზურიკოს კონცერტზე და ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ გაოცდებოდა...

— შვილებთან ურთიერთობისას როგორი იყო ბატონი გუგული? რამდენად აქტიურად მონაწილეობდა მათ აღზრდაში?

— ლექსოსა და ნინოს ჩამოყალიბებაში მამამ დიდი როლი შეასრულა. შვილებთან დამოკიდებულება, მოთხოვნები, რომლებსაც მათ უყენებდა, ნათლად ჩანს მათდამი მიწერილ წერილებში *(ქალბატონმა ლიანამ ერთი წერილი მაჩვენა და რამდენიმე ამონარიდს გთავაზობთ. — ავტ.):* „შვილო ლექსო, კიდევ და კიდევ — „ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი“... ეს ხომ ჩვენი ხვედრიცაა საერთოდ... მოიკრიბე ძალა, ჩემო იმედო, და კიდევ ბევრ სიხარულს მოუტან შენს ლამაზ და განწმენდილ სულს... გაიხარე და გამახარე. გაუფრთხილდი შენს ძვირფას დედას, ჩვენი ოჯახის შნოსა და მფარველ ანგელოზს“... მისი პოზიცია ასეთი იყო: შემოქმედს უნდა ეფერო, რათა მის წინსვლას შეუწყო ხელი და თანდათან, ფრთხილად ხედნო... ასეთივე იყო სტუდენტებთან ურთიერთობის დროსაც. თითოეულ მის სტუდენტს ეგონა, რომ ყველაზე უკეთესი სწორედ ის იყო. ამიტომაც იქცეოდა გუგულის კლასის თითოეული კონცერტი დღესასწაულად.

— თუ ჰქონდა ისეთი ოცნება, რომელიც არ აუხდა?

— 1983 წლის 7 ნოემბერს მოსკოვში, კონსერვატორიის დიდ დარბაზში უნდა შესრულებულიყო გუგულის საფორტეპიანო კონცერტი, რომელიც მამამ ლექსოს მიუძღვნა; მეორე განყოფილებაში ლექსოს რახმანინოვის II კონცერტი უნდა დაეკრა. ე.წ. მთელი საღამო თორაძეების სახელთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მაგრამ 2 თვით ადრე, ლექსოს ისეთი დღე დააყენეს ესპანეთში... გუგულიმ ძალზე განიცადა ეს ამბავი. თავიდანვე მიხვდა, რომ ლექსოს ვეღარასოდეს ნახავდა და მეორეც — ეს მისი შემოქმედებითი გეგმების ჩავარდნას ნიშნავდა.

— ზოგს აღარ ახსოვს, ბევრმა კი არც იცის, თუ რა მოხდა ესპანეთში ლექსოს გასტროლის დროს...

— როდესაც 1983 წელს, ლექსო ესპანეთში მოსკოვის რადიოსა და ტელევიზიის ორკესტრთან ერთად *(ხელმძღვანელი ფედოსეევი გახლდათ. — ავტ.)* ჩავიდა, იქ შეიტყო, რომ მას არ აძლევდნენ კონცერტში მონაწილეობის უფლებას. ლექსომ სამშობლოში დაბრუნება სამჯერ სცადა, მაგრამ ამაოდ. პიანისტი, რომელიც თავად მიიწვიეს გასტროლებზე, ორკესტრის ხელმძღვანელობამ ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომ იმ საშინელი „გოსკონცერტის“ კლანჭებიდან თავის გამოხსნის ერთადერთი გზა დარჩა...

— ესპანეთში დარჩენის შემდეგ, ლექსოს ხმამ პირველად როგორ მოაღწია თქვენამდე?

— შვილის პირველი წერილი ესპანეთიდან პეტერბურგში ცნობილმა დირიჟორმა იური ტემირკანოვმა ჩაიტანა და შემდეგ თბილისში ლექსოს მეგობრის მაკა მიქაძის საშუალებით გადმოგზავნა. ლექსო გვწერდა: „1983 წ. 29.IX. ესპანეთი. წარმოუდგენელია დაიჯერო, რომ ეს წერილი თქვენამდე მოაღწევს, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდა“. მე მაინც ვცდი ბედს. ახლა მთავარზე, მხოლოდ მთავარზე. ფედოსეევები არამზადები, პირუტყვები არიან, მათ გამყიდეს!.. მათი სეპარატული მოლაპარაკების შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ დიდ სიმფონიურ ორკესტრთან ყველა ჩემი კონცერტი გაუქმებულია... სამი კვირა უსაქმოდ ვიქნებოდი. დაუყოვნებლივ და დაჟინებით მოვითხოვე მოსკოვში დაბრუნება. ამაზე ფიქრიც კი შეუძლებელიაო, — ასე მიპასუხეს. მოსკოვში დაბრუნების უფლება არ მომცეს... ფაქტობრივად, ყველა ჩემი უფლება დავკარგე. წარმოუდგენელი რაოდენობისა და ხარისხის, აუტანელი შეურაცხყოფაა... სასტუმრო „რობლედოდან“ 25 აგვისტოს 8 სთ და 30 წთ-ზე გამოვედი, ყავისფერი ხელჩანთით, რომელშიც მეწყო ნოტები, რახმანინოვის მე-2 კონცერტის ჩანაწერები და ზოგი წვრილმანი. მე კი არ წავედი, არამედ ჩემგან „წავიდნენ“. ეს გასტროლები მიზნად ისახავდა ჩემი წონასწორობიდან გამოყვანას, რომლის შემდეგაც ქვეყნიდან წასვლა ერთ-ერთი გამოსავალი იქნებოდა. რას იზამ, მათ საწადელს მიაღწიეს... მე არაფერი მემუქრება. საშუალება მაქვს, ვიმეცადინო, ვიცურაო, ვირბინო, ვიკვებო და ვიცხოვრო. ყოველ წუთს ველოდები ვიზას ამერიკის შეერთებული შტატებიდან... დედა, ადვილი შესაძლებელია, შენი დაბადების დღეს, 6 დეკემბერს, დავუკრა ნიუ-იორკის ყველაზე დიდ დარბაზში. შენი ადგილი თავისუფალი იქნება და შენ დაგელოდება. კონცერტიდან მიღებულ შემოსავალს შენი დაბადების დღის აღსანიშნავად, შენი სახელით გადავცემ ქალთა რომელიმე მსხვილ საქველმოქმედო ორგანიზაციას. სანამ ვუკრავ, საკონცერტო დარბაზში შენი ადგილი ყოველთვის შენ დაგელოდება... მამა, ამ უმძიმეს მომენტში მთავარია, იყავი მაგრად, გახსოვდეს, ყველაფერი ეს მე გამოვიწვიე, მაგრამ თქვენზე მეტად მე მიმძიმს — მე მარტო ვარ. რაც შეუძლია, მამამ შვილს მისცეს, შენ მომეცი — მე შენი მამობრივი და ადამიანური ოცნების განმახორციელებელი ვარ“...

— ქალბატონო ლიანა, უშიშროების კომიტეტიდან თქვენს ოჯახზე ზეწოლა არ განუხორციელებიათ?

— რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არავითარი ზეწოლა არ ყოფილა. იმასაც ვერ ვგრძნობდი, რომ ჩვენი ტელეფონი ისმინებოდა. ალბათ — კი. ვიფიქრე — რამდენიც უნდათ, მისმინონ! რაც ლექსოს ესპანეთში გაუკეთეს, ის ჩვენზე ადრე მათ თვითონ იცოდნენ...

— ამჟამად სად ცხოვრობს და რას საქმიანობს ლექსო?

— ინდიანის შტატში, ქალაქ საუზბენ-

საუზბენდი — 2000 წ. მარცხნიდან ალექსანდრე, ნინო, დავით, ლექსო თორაძეები

ვან კლიბერნი და ლექსო, ფორტ-უორტი 1988 წ. ლექსოს კონცერტის შემდეგ

დის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა საფორტეპიანო სტუდია, რომელიც ალექსანდრე თორაძის სახელს ატარებს. მისმა სტუდენტებმა და ასპირანტებმა ისეთ წარმატებებს მიაღწიეს, რომ „კოლამბია არტისტმა“ – მსოფლიოში უდიდესმა სამენეჯერო კორპორაციამ მთელი კლასი აიყვანა. ლექსოს ორი შვილი – ალექსანდრე და დავითი ჰყავს.

— არც თქვენი ქალიშვილი ცხოვრობს საქართველოში...

– ნინო ოჯახთან ერთად 1992 წლიდან ინგლისში ცხოვრობს. მისი მეუღლე ექიმია, ქალიშვილი ნინი – ლონდონის უნივერსიტეტის სტუდენტი. ნინო ცნობილ კუტიურიე ზენიასთან ინფორმაციის განყოფილებაში მუშაობს.

— ქალბატონო ლიანა, ისეთი რა ტრადიცია გაქვთ ოჯახში, რომელსაც განსაკუთრებით უფრთხილდებით?

– ყველას დაბადების დღე უნდა აღინიშნოს: ნინოსი, ლექსოსი, გუგულისიც და ჩემიც. მინდა, რომ მომავალშიც ასე იყოს...

— მიუხედავად არცთუ ისეთი ლაღი ცხოვრებისა, თქვენს თავს გადახდენილი განცდებისა, შესანიშნავად გამოიყურებით. იქნებ, გაგვანდოთ თქვენი ცხოვრებისეული ფილოსოფიის საიდუმლო?

– ფილოსოფია?.. როცა შვილებში ჩადებული შრომა და ამაგი არ იკარგება, ეს უკვე საკმარისია მშობლის ბედნიერებისთვის. მშობლების უმთავრეს მოვალეობად ის მიმაჩნია, რომ შეუმსუბუქო შვილებს ცხოვრებისეული ტვირთი. არ უნდა შეაწუხო შენი წუწუნით. ჩემს შვილებს ეს პრობლემა მოხსნილი აქვთ.

— მერე, მარტო ცხოვრება არ გიჭირთ?

– არა. საკმაოდ საინტერესო ცხოვრება გამოვიარე და ახლა ამის შესახებ ვწერ. გაუთავებლად ვკითხულობ ახალ-ახალ რაღაცებს, არ ვაკლდები საინტერესო კონცერტებსა და ღონისძიებებს. სულ მაკითხავენ კორესპონდენტები და ტელევიზიის თანამშრომლები... ამას წინათ, ლექსოს ვუთხარი – შენ თუ გჭირდები, ჩამოვალ-მეთქი. – არა, შენ მანდ უფრო მჭირდებიო, – მიპასუხა. რომ დავფიქრდი, მართალია. ყველა ჩემს ინტერვიუში ნინოზე და ლექსოზე ვსაუბრობ. აბა, სხვაზე ვისზე ვილაპარაკებ?..

■

ნელი ბიჩიკაშვილი: მერწმუნეთ, ჯადო ბედნიერებას არ მოგიტანთ!

ნანა სისაური

ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს მომავლის წინასწარმეტყველების ნიჭი ბებიისგან მემკვიდრეობით ერგო. მას უამრავი ადამიანი ემადლიერება. თუ რაიმე პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი, მაშინვე ნელისთან მიდიან. ნათელხილვის უნიკალური ნიჭის წყალობითა და შელოცვებით მან ბევრი ოჯახი გადაარჩინა დანგრევასა და მოსალოდნელ უსიამოვნებას. ქალბატონ ნელისთან ხალხი რაიონებიდან ჩამოდის, ბიზნესმენები მისი რჩევის გარეშე ახალ საქმეს არ იწყებენ.

– ამ ორი წლის წინ ჩემთან მოვიდა ქალბატონი, რომელსაც ვუმარჩიელე და წინასწარ გავაფრთხილე, მთელ ოჯახს ჯადო გაქვთ გაკეთებული და თუ არ მოიხსნით, თავს უბედურება დაგატყდებათ-მეთქი, მაგრამ რატომღაც არ დაიჯერა ჩემი ნათქვამი. საუბედუროდ, აუხდა, რაც ვუწინასწარმეტყველე. როცა ქმარი და ორი შვილი ერთ დღეს დაელუპა ავტოკატასტროფაში, მაშინღა მოვიდა ჩემთან ატირებული... დაქვრივებულმა ქალმა სახლი გაყიდა და გადაბარგების დროს ჯადო იპოვა, რამაც დაარწმუნა, რომ სიმართლე ვუთხარი და დახმარება მთხოვა. ერთი შვილიღა დარჩა და ეშინია, ისიც არ წაართვას სიკვდილმა.

— შეულოცეთ?

– არა, უარი ვუთხარი!

— რატომ?

– სამწუხაროდ, ვეღარ დავეხმარები, უკვე ძალიან დაგვიანებულია, ქრონიკული ჯადოს მოხსნა თითქმის შეუძლებელია... ამას წინათ, ერთმა უშვილო ქალბატონმა მთხოვა დახმარება, მაგრამ დამიმალა, რომ მამაკაცი, რომელმაც ჩემთან მოიყვანა, მისი მეუღლე კი არა, საყვარელი იყო. ვუმარჩიელე და სიმართლე ვუთხარი, – რატომ მატყუებთ, სხვას ოჯახს როგორ უნგრევთ ჯადოებით-მეთქი.

— საყვარელი მოაჯადოვა?

– დიახ, ცოლს ქმარი მჩხიბავების დახმარებით წაართვა, კაცი სახლში აღარ შედიოდა, შვილებიც კი მოიძულა. როცა სიმართლე გაირკვა, ძალიან გავბრაზდი და უარი ვუთხარი დახმარებაზე... მერწმუნეთ, ჯადო ბედნიერებას არ მოგიტანთ, წარმატება დროებითია და ადვილად წარმავალი.

— ქალის საყვარელს უთხარით სიმართლე?

– დიახ, მათი ტელეფონის ნომერი ჩაწერილი მქონდა და დავურეკე. როცა მოვიდა, სიმართლე გავუმხილე და დახმარება შევთავაზე. სხვათა შორის, გულისყურით მოეკიდა ჩემს ნათქვამს და მთხოვა, ჯადო მომიხსენითო. როცა მაგიური ზემოქმედება გავანეიტრალეთ, კაცს გონება გაუნათდა, საღად აზროვნების უნარი დაუბრუნდა და მიხვდა, რომ მართალი არ იყო ცოლ-შვილის წინაშე. საბედნიეროდ, ოჯახი დანგრევას გადარჩა.

P.S. დარეკეთ და წინასწარ ჩაეწერეთ! მისამართი: წერეთლის №12 (მეტრო „წერეთლის“ გვერდით), II სადარბაზო, II სართული, ბინა №24. ტელეფონები: 35.29.72, 893.30.65.51, 899.20.37.64

კვირის (4 - 10 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: ამ კვირაში განმტკიცდება მეგობრული და ოჯახური ურთიერთობები. იგრძნობთ, რომ თქვენზე ზრუნავენ და ეს კმაყოფილების გრძნობას მოგვრით.

მამაკაცი: ძალიან პროდუქტიული იქნება თქვენი დიალოგი ხელმძღვანელებთან. მაგრამ ქებამ არ გაწყინოთ. საქმე თანმიმდევრულად და პუნქტულურად აკეთეთ – თქვენ გითვალთვალებენ!

კურო – 21/IV-21/V

ქალი: ფული გაქვს? – ცხოვრობ! არ გაქვს? – მაინც ცხოვრობ – ესე იგი ფული არ არის მთავარი და როცა ამას მთელი გულით იტყვით და შეიგრძნობთ, სწორედ მაშინ გაივსება თქვენი საფულე.

მამაკაცი: შეეცადეთ, ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეების განხორციელება ხუთშაბათამდე მოასწროთ, იმიტომ რომ შემდეგ მხიარული დღეები მოდის.

მარჩხეთი – 22/V-21/VI

ქალი: მთელი კვირის განმავლობაში მოგიწევთ ურთიერთობის მოწესრიგება მშობლებთან და უფროსებთან. შემოგთავაზებენ სოლიდურ შემოსავალს, მაგრამ დაფიქრდით – რის სანაცვლოდ?

მამაკაცი: ამ კვირაში ზედმეტი ხარჯებისკენ გაქვთ მიდრეკილება. იყავით უფრო ხელმომჭირნე, მაგრამ ეს სიძუნწეში არ გადაგივიდეთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: პარასკევის გარდა ამ კვირის დღეები არ იქნება შთაბეჭდილებით აღსავსე. წინა პლანზე წამოიწევს პირადი ცხოვრება. დაგეგმეთ ბინის ინტერიერის შეცვლა, ეს თქვენს ცხოვრებაში მცირეოდენ სიახლეს მაინც შეიტანს.

მამაკაცი: კარგი იქნება თუ სამსახურის საქმესაც შინ შეასრულებთ. დაგეუფლებათ ადამიანებისა და სიტუაციის მართვის სურვილი. გამოიჩინეთ ტაქტი და ყველაფერი კარგად აეწყობა.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: უარს ნუ იტყვით მეგობრებთან ერთად დროის გატარებაზე. თქვენ დასვენება გჭირდებათ. თქვენთვის სასარგებლო იქნება, რაც შეიძლება მეტ ადამიანთან გქონდეთ კონტაქტი. ყური დაუგდეთ ახლობლების კეთილ რჩევებს.

მამაკაცი: განსაკუთრებით კარგი დღეებია სამშაბათი და ოთხშაბათი. დაგიბრუნებენ ვალს, იპოვით დიდი ხნის წინ დაკარგულ ნივთებს. მომდევნო კვირისთვის კი ახლავე მოემზადეთ: გაიზრდება შეცდომების დაშვების ალბათობა.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: ამ კვირაში იდეების მოზღვავებას იგრძნობთ. ჩამოყალიბდით კარგად და ახალი პროექტების შესახებ მხოლოდ ამის შემდეგ ისაუბრეთ ხელმძღვანელებთან.

მამაკაცი: შეინარჩუნეთ სიმშვიდე. ამ კვირას შეიძლება რაღაც პრობლემებმა იჩინოს თავი, მაგრამ გაიხსენეთ, რომ ყველა დაღმართს აღმართი მოსდევს.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: ვარსკვლავები ყველაფერ კარგს გპირდებიან. ერთდროულად გიმართლებთ, როგორც საქმიან ურთიერთობებში, ასევე პირად ცხოვრებაში. წარმატება გელით სიყვარულში.

მამაკაცი: უმჯობესია მთელი კვირა სახლში გაატაროთ. კვირის დასაწყისში მოსალოდნელია რომანტიკული თავგადასავალი, კვირა დღეს კი – ხმაურიანი წვეულება. შესაძლებელია, წვეულებაზე შეხვდეთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: შეეცდებით, ყველას დაუმტკიცოთ თქვენი დამოუკიდებლობა, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ყველა საქმეში ზომიერების დაცვაა საჭირო.

მამაკაცი: შეიძლება უნებურად ახლობელ ადამიანს აწყენინოთ. ამ კვირაში დროის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმეთ დასვენებას. მოუსმინეთ შინაგან ხმას და იმოქმედეთ მისი კარნახით.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: ამ კვირაში ყოველგვარ მოგზაურობაზე უარი უნდა თქვათ. ადვილად მოგვარებული ფინანსური საკითხები პირადი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად გამოიყენეთ.

მამაკაცი: თუ რაღაც მნიშვნელოვანი ან ძვირფასი ნივთის ყიდვას აპირებთ, ამ დღეებში შეეცადეთ მის შეძენას. რატომღაც გიჭირთ გაუგოთ ახლობლებს. თავი შეიკავეთ ოჯახური სკანდალის მოწყობისაგან და დააფასეთ ახლობელთა მოთმინება.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: გასაგებია, რომ მოგენატრათ მშვიდი ცხოვრება, მაგრამ არ გიფიქრიათ იმაზე, რომ ისინი, ვისაც მშვიდი ცხოვრება აქვს, თქვენნაირ აქტიურ პოზიციაში ყოფნას ნატრობენ? ასე რომ, მოეშვით წუწუნს და აივსეთ ოპტიმიზმით. თქვენ ამის საფუძველი გაქვთ.

მამაკაცი: ამ კვირაში ძალიან მიმზიდველი ხართ და ეს გეხმარებათ, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე შრომით საქმიანობაში.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: ამ კვირაში განსაკუთრებულად დაგაინტერესებთ მოღვაწეობა რელიგიისა და კულტურის დარგში. მოულოდნელად თავს დაგატყდებათ სიყვარული და აფროდიტე მშვენიერ სიურპრიზს შემოგთავაზებთ.

მამაკაცი: ფინანსურ საკითხებში მოიკოჭლებთ, მაგრამ ნუ იჩქარებთ მდგომარეობის ნებისმიერი მეთოდით გამოსწორებას. გამოჩინეთ მოთმინება და წარმატებაც არ დააყოვნებს.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: მზად ხართ გარისკოთ, რათა მიაღწიოთ მაქსიმალურ შედეგს, როგორც კარიერაში, ისე რომანტიკულ ურთიერთობებში. თავის მსხვერპლად გაღებისთვის მზაყოფნა სხვადასხვა სარისკო ავანტიურისკენ გიბიძგებთ. ნუ დაკარგავთ სიფრთხილის განცდას.

მამაკაცი: ნუ გადააჭარბებთ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების შეფასებაში. იყავით თვითკრიტიკული და დააფასეთ სხვისი ნიჭიერება.



ყვავის ბარტყი
წარწერა კინო-ფილმის კადრზე
ძვირფასი ლითონი
კათო-ლიკური ტაძრის დარაჯი
იგივეა, რაც კოსმო-ნავტი
მსგავსი, ერთ-ნაირი
კონტი-ნენტი
განსჯის პროდ-უქტი
ბრიტა-ნეთის პრემიერ-მინისტრი
უცნაური სასა-ცილო შემთხვევა
სას-წორის თეფში
რკინიგზის სადგურის ამაღლე-ბული მოედანი
სახელმ-წიფო ევროპაში
მონღო-ლეთის ფულის ერთეული
საზღვაო მოგზაუ-რობა
ფულის მიცემა სესხად
კალმანის ოპერეტა
ბატონი ესპა-ნეთში
კალათ-ბურთის საერთა-შორისო ფედერაცია
მუხის ნაყოფი
ხელოვნური თავლია წყალსაცავი
მდიდ-რული აგარაკი
კორიდის ცხენოსანი მონაწილე
ღვთაებრი-ვი ხარი
ტროპიკუ-ლი ხილი
ციხის ოთახი
ფელინის მეუღლე
აშშ-ის შტატი
კაზინო
იგივეა, რაც პარადი
ფინეთის პარლა-მენტი
ვიწრო და ღრმა ხეობა
ებრაული ენა
კორე-ული ავტომო-ბილი



მე-11 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ბ; 4-ა.
52-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-გ; 3-ა.

ჟამორჯენილი ადამიანების ბოსტრეჯული ჟამონათქვამები

კომპეტენტური შემფასებელი

მორის რაველმა ახალი ნაწარმოები დაასრულა და წვეულებაზე გატაცებით უყვებოდა თავის მეგობრებს ამის შესახებ. დამსწრეთაგან ერთ-ერთმა ყური მოჰკრა კომპოზიტორის საუბარს და ორაზროვანი ღიმილით ჰკითხა მას:

— როგორც ვხედავ, დიდად კმაყოფილი ხართ და ძალზე მოგწონთ თქვენი ახალი ნაწარმოები, არა?

— ვერ დავიჩემებ, გენიალურია-მეთქი, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ არცთუ ისე ურიგო გამოვიდა, — მიუგო რაველმა და დასძინა: — ყოველ შემთხვევაში, ჩემს მოსამსახურეს მოეწონა, ეს კი კარგის ნიშანი გახლავთ.

ჟურნალისტები გამჭრიახი ხალხია

ამერიკის შეერთებულ შტატებში საგასტროლოდ ჩასულ გამოჩენილ საოპერო მომღერალს ენრიკო კარუზოს ჟურნალისტთა მთელი არმია დაესია. რა კითხვა აღარ დაუსვეს — მუსიკის შესახებ და მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც ხელოვნებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. ერთ-ერთი კორესპონდენტი იმდენად შეიჭრა როლში, რომ კარუზოს ჰკითხა — რას ფიქრობთ იტალიასა და აშშ-ს შორის სავაჭრო ურთიერთობებზეო? კარუზომ ღიმილით უპასუხა:

— სიმართლე გითხრათ, ამ საკითხზე დაფიქრებაც კი არასდროს მიცდია, თუმცა... ჟურნალისტები გამჭრიახი ხალხი ხართ და იმედი მაქვს, ხვალინდელი გაზეთებიდან შევიტყობ ამ პრობლემაზე ჩემს შეხედულებას.

გონებაგაფანტული გენიოსი

ერთხელ, გამოჩენილი მეცნიერი ჩაფიქრებული მიდიოდა ქუჩაში და თავისი ძველი ნაცნობი შეხვდა.

— ხვალ ვახშმად გეპატიჟებით. აუცილებლად მობრძანდით! პროფესორი სტიმსონიც მეწვევა.

— გმადლობ, კოლეგა, მაგრამ... სტიმსონი ხომ მე ვარ!..

— ა-ა... — წამით დაიბნა გენიოსი და დასძინა: — არა უშავს, მაინც მობრძანდით.

ანეკდოტები

***

დოინჯშემოყრილი კახელი პოლიციაში მივიდა.

— უფროსო, ფული მამპარეს.

— კი, მაგრამ დოინჯი რატომ გაქვს შემოყრილი?

— ფუი, თქვენი, აქა კიდენა... საზამთროებიც მაუპარამთ.

***

— უკაცრავად, თქვენ გურული ხართ?

— კი, მაგრამ... ვმკურნალობ, აპა!..

***

მამაკაცი პირველ სართულამდე ლიფტით ჩადის. გზაში იმეორებს:

— მერწყული... არა! კურო... თუმცა, არა — მორიელი!..

ჩავიდა პირველ სართულზე და კვლავ მაღლა ავიდა. შეაღო ექიმის კაბინეტის კარი და ეკითხება:

— ექიმო, რა მითხარით წელან, რა გაქვსო?

— კიბო, გენაცვალე, კი-ბო!

***

სვანი კროსვორდს ავსებს. კითხვა:

გაზაფხულის მახარობელი ყვავილი, რომელიც ორი ასოსგან შედგება.

სვანმა ჩაწერა — ხე.

***

სიძემ სიდედრი დაასაფლავა. სასაფლაოდან ბრუნდება. მოულოდნელად ჩიტმა თავზე დასკინტლა. აიხედა მაღლა და ყვირის:

— ააა, ძვირფასო სიდედრო, შენ უკვე იქა ხარ?..

***

„ზაპოროჟეცი“ — სულ რაღაც ნახევარსაათიანი სირცხვილი და უკვე სამსახურში ხარ!..

***

მიხო პირველ კლასში მიიყვანეს. მშობლები მოუთმენლად ელიან შინ მის დაბრუნებას... მიხოც დაბრუნდა სკოლიდან, ჩანთა მაგიდაზე დააგდო და თქვა:

— ესე იგი, წერომ მამიყვანა, არა?.. ესე იგი, კომბოსტოში მიპოვეთ, არა?.. მე ვიცი, საიდანაც მამიყვანეთ!.. მაგრამა ხვალ იმასაც გავიგებ, იქ როგორ მავხვდი.

***

„ახალმა ქართველმა“ ბინა უნდა იყიდოს და იკითხა:

— ეს ბინა მყუდროა?

— მერედა, იცით, როგორი?.. თქვენზე წინ ვინც ცხოვრობდა, ისე მოკლეს, გასროლის ხმაც არავის გაუგონია.

***

ბუში მიმართავს ხალხს:

— ჩემო კეთილო ხალხო, მე თქვენ გაგხდით...

ხანმოკლე პაუზის შემდეგ:

— ...მდიდრებს.

***

მიხო და მარო ღამით ქუჩაში სეირნობენ. თავს დაესხმებიან ყაჩაღები და მოკვლას დაუპირებენ. ერთ-ერთი ყაჩაღი მიდის მაროსთან და რა გქვიაო, ეკითხება. მაროც უპასუხებს თავის სახელს. ყაჩაღი მიუბრუნდება სხვებს და ეუბნება:

— დედაჩემსაც მარო ერქვა, გარდაიცვალა და მოდით, მის პატივსაცემად, ეს ქალი არ მოვკლათ.

მიდიან ახლა მიხოსთან და ეკითხებიან სახელს.

— მე მიხო მქვია, მაგრამა გურჯაანში ყველა მაროს მეძახის... — პასუხობს მიხო.

***

ორი კახელი „ბირჟაზე“ დგას და ლაპარაკობს:

— გაიგე, გუშინა, გოგლამ მანქანა რო მაიყვანა?

— გავიგე კიდევაცა და ვნახე კიდევაცა.

— მემრე, როგორ მაგეწონა, ჯო?

— ნამეტანი პატარა მანქანა იყო, კაცმა შიგ ჰაერი რო გააფუჭო, ფანჯარა თუ დროზე არ გააღე, გაიგუდები.

გაეცადეთ თქვენი თავი გრაფოლოგიაში

უპირველეს ყოვლისა, შეგახსენებთ, რომ გრაფოლოგია მეცნიერებაა კალიგრაფიის შესახებ. გირჩევთ, ამ საქმეს ყოველგვარი სერიოზული განზრახვის გარეშე მიუდგეთ. კალიგრაფიის მეშვეობით ხომ შეგიძლიათ თქვენი თუ ახლობლების ხასიათში იოლად გაერკვეთ. ტესტის საშუალებით ახლობლების ხასიათის დადგენა ბევრად უფრო გაგიადვილდებათ, რადგან სასურველია ერთი რამის გათვალისწინება – ნიმუშად აღებული ნაწერი ჩვეულებრივად, ყოველგვარი განსაკუთრებული მონდომების გარეშე უნდა იყოს შესრულებული. ნიმუშად არ გამოიყენოთ სტუდენტობის დროინდელი კონსპექტები, საგამოცდოდ დაწერილი თხზულებები, ექიმის მიერ დაწერილი დიაგნოზი თუ გამოწერილი რეცეპტი, განცხადება... უმჯობესია, თუკი ადამიანს არ ეცოდინება, თუ რისთვის გჭირდებათ მის მიერ თაბახის უხაზო ფურცელზე დაწერილი რამდენიმესტრიქონიანი ფრაზა.

ნაწერის ყოველი დამახასიათებელი ნიშანი, ქულათა გარკვეული რაოდენობით ფასდება, შემდეგ კი, ეს ქულები ჯამდება. იმ შემთხვევაში, თუკი მიღებული პასუხი თქვენთვის მოულოდნელი ან უსიამოვნო აღმოჩნდება, ნუ დაღონდებით, ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ თამაშია!

ასოების ზომა

ძალზე პატარა ასოები — 3 ქულა;

პატარა ასოები — 7 ქულა;

საშუალო ასოები — 17 ქულა;

მსხვილი ასოები — 20 ქულა.

ასოების დახრილობა

მარცხნივ დახრილი ასოები — 2 ქულა;

მარცხნივ მსუბუქად დახრილი ასოები — 5 ქულა;

მარჯვნივ დახრილი ასოები — 14 ქულა;

მარჯვნივ მკვეთრად დახრილი ასოები — 6 ქულა;

სწორი დაწერილობა — 19 ქულა.

ხელწერის მიმართულება

თუკი სტრიქონები ზევითკენ „მიიწევენ“ — 16 ქულა;

თუკი სტრიქონებს სწორი მიმართულება აქვთ — 12 ქულა;

თუკი სტრიქონები ქვევით „იხრებიან“ — 1 ქულა.

ინტენსივობა (რამდენად გაკრული ხელითაა დაწერილი ნიმუში და კალამზე დაჭერის ხარისხი)

მსუბუქი — 8 ქულა;

საშუალო — 15 ქულა;

მეტისმეტად ძლიერი — 21 ქულა.

სიტყვის დაწერილობის ხასიათი

ასოების გადაბმულად წერისაკენ მიდრეკილება — 11 ქულა;

ასოების ცალ-ცალკე წერისაკენ მიდრეკილება — 18 ქულა;

შერეული სტილი — ერთიც და მეორეც — 15 ქულა.

საერთო შეფასება

კალიგრაფიას აშკარად ეტყობა მონდომება, ასოები სუფთად და გულდასმითაა გამოყვანილი — 13 ქულა;

კალიგრაფია არათანაბარია, ასოების ნაწილი მკაფიოდ იკითხება, ნაწილის წაკითხვა კი ჭირს — 9 ქულა;

ასოები იმდენად დაუდევრად და გაურკვევლადაა დაწერილი, რომ ნაწერის გარჩევა პრაქტიკულად შეუძლებელია — 4 ქულა.

ტესტის შედეგები

38-51 ქულა: მსგავსი კალიგრაფია მოხუც, სუსტი ჯანმრთელობის ადამიანებს აქვთ, ძირითადად მათ, ვინც ოთხმოცს უკვე კარგა ხანია გადააბიჯა.

52-63 ქულა: ასე გაუბედავი, მორცხვი, პასიური და ფლეგმატური ადამიანები წერენ.

64-75 ქულა: ასეთი ხელწერა გამბედაობას მოკლებულ, რბილი და მშვიდი ხასიათის, დახვეწილმანერებიან ადამიანებს აქვთ.

76-87 ქულა: ამგვარი კალიგრაფია გულღია, გულწრფელ, მგრძნობიარე და შთამბეჭდავი ხასიათის მქონე ადამიანებს ახასიათებთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისინი გამორჩეულად კარგი მეოჯახეები არიან.

88-98 ქულა: ქულათა ეს რაოდენობა მეტყველებს იმაზე, რომ თქვენ გამორჩეულად პატიოსანი და კეთილსინდისიერი ადამიანი ბრძანდებით. გაქვთ ძლიერი და მდგრადი ფსიქიკა. ხართ მამაცი, გამბედავი, გამჭრიახი და ინიციატივიანი ადამიანი.

99-109 ქულა: ასეთი ხელწერის მქონე ადამიანები ინდივიდუალისტები არიან. მათ საკმაოდ ფიცხი ხასიათი აქვთ და გამჭრიახობითა და მოქნილი აზროვნებით გამოირჩევიან. როგორც წესი, მათ დამოუკიდებელი მსჯელობა და ქმედება ახასიათებთ. ამათან საკმაოდ უკმეხები, ჭირვეულები და საურთიერთოდ მძიმე ადამიანები არიან. მათი განაწყენება ძალზე იოლია. მათ შორის ბევრია ნიჭიერი ადამიანი — ისეთი, რომელიც ძირითადად შემოქმედებითი საქმიანობისაკენ არის მიდრეკილი.

110-121 ქულა: ასეთი კალიგრაფია უპასუხისმგებლო, უდისციპლინო, უხეშ და ქედმაღალ ადამიანებს აქვთ.

მოხუცებს ჯუბოსი ეშინიათ

ავსტრიის ერთ-ერთ ქალაქში, რიტუალური მომსახურების ბიურომ მოხუცთა თავშესაფრის შენობის ნაწილი იქირავა, მაგრამ მოულოდნელად სირთულეებს წააწყდა: მოხუცებმა, რომლებიც ვიტრინაში უცერემონიოდ გამოწყობილი სასახლეების დანახვამ აა-

ღელვა, საპროტესტო აქცია მოაწყვეს. თავშესაფრის მკვიდრნი აღშფოთებულნი არიან კანტორის თანამშრომელთა გულგრილობით, რომლებიც თავხედურად უწევენ დემონსტრირებას ხანდაზმულთა ცხოვრების უახლოეს პერსპექტივას. მოხუცები ჩივიან, რომ კუბოების დანახვა მათზე დამთრგუნველად მოქმედებს და ნერვულ მოშლილობასაც კი იწვევს. შედეგად, ადგილობრივმა საზოგადოებამ ქალაქის ხელისუფლებას მიმართა თხოვნით – შენობიდან გამოაძევოს არასასურველი არენდატორები. მოხუცებს მხარი დაუჭირა მწვანეთა პარტიამაც.

მიუხედავად საყოველთაო აღშფოთებისა, თავშესაფრის მფლობელი – ივივე ქალაქის მერი – დამქირავებლებთან განშორებას სულაც არ ჩქარობს. ის აპირებს, შენობა ხელახლა გაარემონტოს და ოთახები ისე განალაგოს, რომ დამკრძალავი ბიუროს თანამშრომლები „მომავალ კლიენტებს“ რაც შეიძლება იშვიათად შეხვდნენ.

ნატოს სამზარეულო წიგნი

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის, 26 ქვეყნის ელჩების ცოლებმა ბრიუსელში კულინარიული რეცეპტების კრებული გამოსცეს. ნაციონალური რეცეპტების სამზარეულო წიგნს, „კულინარიის გასაიდუმლოებული რეცეპტები – ნატოს სამზარეულო წიგნი“ ეწოდა. კრებულში თავმოყრილია სხვადასხვა კულინარიული შედევრის მომზადების წესი – დაწყებული იტალიური ლიმონიანი სპაგეტით და დამთავრებული პოლონური წესით მომზადებული არაჟნიანი თევზით.

შემოსული თანხა საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება.

ღუდის „სისხლიანი“ ფესტივალი

ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში, 23 სექტემბერს, წმინდა ვანცესლასის ლუდის ფესტივალის გახსნის დღეს, უჩვეულო, ხუთდღიანი აქცია მოეწყო: ნებისმიერ დონორს, რომელმაც სისხლის განსაზღვრული რაოდენობა ჩააბარა, საჩუქრად გადაეცემა ორი პინტა (0,568 ლ) ლუდი; ამასთანავე, ერთ-ერთ „ლუდის“ ჟურნალზე 1-წლიან ხელმოწერას უფასოდ მიიღებს.

პრაღის ქუჩებში ხუთი დღის მანძილზე სპეციალური ავტობუსი მოძრაობდა, რომელსაც დონორობის ყველა მსურველი უახლოეს საავადმყოფომდე მიჰყავდა.

ბოლო გამოკვლევის თანახმად, რომელიც ერთდროულად ლუდის რამდენიმე მსოფლიო ასოციაციამ ჩაატარა, ყოველი ჩეხი წელიწადში საშუალოდ 162 ლ ლუდს სვამს.

ფრანგმა „ადამიანმა-ობობამ“ მონპარნასი დაიპყრო

43 წლის ფრანგი ალპინისტი ალენ რობერი, რომელიც თავს „ადამიან-ობობას“ უწოდებს, რამდენიმე დღის წინ, პარიზში, მონპარნასის 200-მეტრიანი შენობის კედელზე აცოცდა და 45 წუთში მის სახურავზე მოექცა. როგორც ყოველთვის, რობერს საკუთარი ხელების გარდა, არავითარი იარაღი არ გამოუყენებია. ქალაქის პოლიციამ, რომელსაც არაერთხელ მოუწია რობერთან საქმის დაჭერამ, შენობას ალყა შემოარტყა. პოლიციელები, მძაფრი შეგრძნებების მოყვარულს, სახურავზეც ელოდნენ. რობერი დააკავეს და რამდენიმე საათი ციხის საპყრობილეში აყურყუტეს.

როგორც ალპინისტი ამბობს, ბოლო ასვლა არცთუ ისე იოლი იყო. ლითონის ძელები, რომლებსაც ის ეჭიდებოდა, ძალზე სრიალებდა; თან არც ამინდი უწყობდა ხელს – ციოდა და ძლიერი ქარი უბერავდა.

ადრე ფრანგმა უკვე „დაიპყრო“ ეიფელისა და ფრანკლინის კოშკები – პარიზში, Empire state building – ნიუ-იორკში, ლონდონის ცათამბჯენი – Lloyds-ი და კიდევ რამდენიმე ათეული მაღალი შენობა, მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას.

ფოტოკუჩიოზები





სამშაბათიდან

ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

6212/30

ოქტომბრის ნომერში იხილეთ:



4 პოსტერი

საფრთხე, რომელიც საქართველოს ემუქრება

ნადირობის მოყვარულთათვის

„ქართული საიდუმლო" იარაღი ერაყში

ჯარში მარტო მამაცები მიდიან

სნაიპერობა რომ შეძლოთ...

ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის